



მამათა სწავლანი
სულიერი ცხოვრების შესახებ



თბილისი
2006

იბეჭდება
ბათუმისა და სსაღთის
მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით



შეადგინა ვლადიმერ წამალაშვილმა
რედაქტორი: ნინო კვანტალიანი

მხატვრები: მარიამ ჩხაიძე, ნინო მკერვალიძე

გარეკანზე: შიომღვიმის მონასტერი

შინაარსი

წიგნი I

დეკანოზი ვალენტინ სვენციცი – „სულიერი ცხოვრების შესახებ“	5
ღირსი აბბა დოროთე – „სულიერი სახლის აღშენებისათვის“	34
წმ. ბასილი დიდი – „სიმდაბლისათვის“	46
წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი – სწავლანი ლოცვისა და ხიბლის შესახებ	58
ეპისკოპოსი პეტრე – „დამოდღვრა და ნუგეშისცემა სნეულების ჟამს და სიკვდილის წინ“	64
წმ. გრიგოლი დიდი – „წმ. სტეფანეს ეკლესიის მნათე კონსტანტინეს შესახებ“	92
წმ. სიმეონ სალოსის ანდერძი დიაკონ იოანესადმი	95

წიგნი II

თავი 1. ცოდვის წარმომავლობისა და ვნებებისათვის	97
თავი 2. რვა მთავარი ვნებისათვის	107
თავი 3. ამპარტავნებისათვის	118
თავი 4. სიმდაბლისათვის	127
თავი 5. განკითხვისათვის (განსჯისათვის)	137
თავი 6. მოთმინებისა და კეთილმსახური ცხოვრებისათვის	148
თავი 7. ლოცვისათვის	157
თავი 8. იესოს ლოცვისათვის	164
თავი 9. ხიბლისათვის	172
თავი 10. სიყვარულისათვის	180

ჩანს, რომ ჩვენს დროებას არ მისცემია ძლიერი, ქმედითი გარეგანი ღვაწლი. ამას ბოლო დროის მრავალი მამა ამბობს, ძველებთანაც ვპოულობთ ამგვარ წინასწარმეტყველებებს უკანასკნელ ქრისტიანებზე: ისინი ძლიერ სუსტად იცხოვრებენ, თვით მონაზვნებიც, მაგრამ მწუხარებათა და განსაცდელთა დათმენით ცხონდებიან. რა თქმა უნდა, ამჟამადაც ბევრი მოიძებნება მოღვაწეობის შემძლე გაბედული ადამიანი, მაგრამ მოიძებნებიან კი ისეთები, რომელთაც ძალუძთ გონივრულად ისარგებლონ მოღვაწეობით? გარეგანი ღვაწლი სულ უფრო მეტად იცვლება შინაგანით, არანაკლებ ძნელით, ხოლო შინაგანი ღვაწლი სულ უფრო მეტად იცვლება მძიმე გაჭირვებებითა და განსაცდელებით, რომლებიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმნიან ქრისტიანებს. ჭეშმარიტი ქრისტიანების მდგომარეობა უფრო და უფრო დაემსგავსება სამი ებრაელი ყრმის მდგომარეობას ბაბილონის სახმილში. ისინი საშინელი ალით იყვნენ მოცულნი და მხოლოდ სასწაულით არ იწვოდნენ. დაიცვა სწორი, მშვიდი, უდრტვინველი, ლოცვითი შინაგანი მდგომარეობა, დაიცვა გული ბორგნეული წუთისოფლის სიბილწეთაგან, არ უღალატო მართლმადიდებლობას – აი, ჩვენი დროის არცთუ მცირედი ღვაწლი. დღეს უკვე ისე არ დგას საკითხი, „კარგი“ მართლმადიდებელი ქრისტიანი იქნები, თუ „ცუდი“; დღეს საკითხი ამგვარად დგას: შევინარჩუნებთ კი საერთოდ ჩვენს სარწმუნოებას? ბევრი მას ვეღარ შეინარჩუნებს...

მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზი

წიგნი I

დჰკანოზი ვალენტინ სჰენციციკი*

სულიერი ცხოვრების შესახებ**

მოდვარი: რა იქნება, რომ სულიერი ცხოვრების გზას შეუდგე? შენ ალბათ ფიქრადაც არ გაგივლია, თუ რაოდენ ძნელი და ამავედროულად იოლია ეს!

უცნობი: მესმის, რომ ძნელია, მაგრამ იოლი რატომ არის – ვერ გავიგე.

მოდვარი: ერთი ოპტინელი ბერი (სტარეცი) ამბობს: „ყველასთვის ცნობილია, რომ ძნელია მონაზვნური ცხოვრება, ოღონდ ცოტამ თუ იცის, რომ იგი ყველაზე აღმატებული, უწმინდესი, უმშვენიერესი და უმსუბუქესიც კი არის; დიახაც! იგი მსუბუქი, გამოუთქმელად მიმზიდველი, უტკბილესი, მანუგეშებელი, ნათელი და სიხარულით მარადის მბრწყინავია; მაგრამ ჭეშმარიტება არა მრავალთა, არამედ მცირედთა მხარეს არის“.

ბერი ამას მონაზვნობის შესახებ ამბობს, მაგრამ იგივე შეიძლება გავიმეოროთ საერთოდ სულიერ ცხოვრებაზე. აი, რატომ ბრძანა მაცხოვარმა: „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მთ. 11,30).

მაინც რა არის უღელი ქრისტესი და ტვირთი მისი, თუ არა სულიერი ცხოვრება! მოციქულთანაც ვკითხულობთ: „მარადის გიხაროდენ!“ არც ის ლაპარაკობს სხვა რამ სიხარულზე, თუ არა სიხარულზე იესუ ქრისტეში – ამიტომაც არის იოლი სულიერი ცხოვრების გზაზე შედგომა.

იგივე ბერი განაგრძობს: „უფალმა უთხრა საყვარელ მოწაფეებს: ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ ჩემო, რამეთუ ნებავს ღმერთს გიბოდოთ თქვენ... რა? გგონიათ ლხენა, სიმდიდრე, განცხრომა?

* ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწე; გარდაიცვალა გადასახლებაში 1931 წლის 7 ოქტომბერს (ძვ. სტ.).

** მათე დიალოგი, კრებულიდან „დიალოგები“.

არა! — სასუფეველი! სადაც არა მარტო ყველა შესაძლო საუნჯე, სიკეთე და სილამაზეა, იქ არის დიდებაც და ნათელიც, სიხარულიც და მხურვალე სიყვარულიც, საღვთო ცხოვრება და მხიარულება მარადიული; სასუფეველი სამეფოა ყოველთა საუკუნეთა, რომლის წინაშე ამსოფლიური ყველა უდიდესი სამეფო კვამლია და მტვერი! და იმ ნათლისა და მხიარულების სასუფეველში შენთვის და ყველასთვის, ვინც უფალ იესუ ქრისტეს შეიყვარებს, სამეფო ადგილია განმზადებული“.

როგორ შეუძლია ადამიანს, იყოყმანოს ცხოვრების გზის არჩევისას?! გზა ორია: ვიწრო — გადარჩენისა და ფართო — დაღუპვისა. გზა ხსნისა არის სულიერი ცხოვრება, დაღუპვისა — ხორციელი ცხოვრება. როგორც მოციქული ამბობს: „უკუეთუ ხორციელად სცხონდებოდეთ, მოსიკუდიდ ხართ; ხოლო უკუეთუ სულითა ხორცთა საქმესა მოაკუდინებდეთ, სცხონდეთ“ (რომ. 8,13).

უცნობი : გზის არჩევა მე უკვე აღარ მაეჭვებს. არჩევანი იოლია, როდესაც ცხოვრებას უყურებ ისე, როგორც ამჟამად მე მესახება იგი. ეს მართალია, მაგრამ გეკითხები: როგორ შევუდგე ამ გზას, საიდან დავიწყო? მე სხვაგვარად ვიარე და თითქმის განვკვლე ჩემი ცხოვრება — მასში ყოველივე ნაცნობი და ჩვეულია. ეს სულიერი გზა კი ჩემთვის შორეული, უცხო და სრულიად უცნობია. მივხვდი, რომ სწორად არ ვცხოვრობდი. ახლა მსურს სხვაგვარად, იმ ჭეშმარიტების თანახმად ვიცხოვრო, რომელსაც ვხედავ. და გეკითხები, როგორ შევძლო ეს?

მოძღვარი : დიახ, მეც ზუსტად ასე გავიგე შენი შეკითხვა. გიპასუხებ, ოღონდ დავიწყებ თავიდან, ასე ვთქვათ, პირველი სიტყვიდან.

უცნობი : უფრო ზუსტად?

მოძღვარი : იმისთვის, რომ სულიერ ცხოვრებას შეუდგე, უპირველესად შენს წინ თვალნათლივ უნდა წარმოიდგინო ორივე გზა: სულიერი ცხოვრებისა, რომელსაც ცხოვრებისკენ მიყავხარ, და ხორციელი ცხოვრებისა, რომელიც დაღუპვისკენ მი-

გიძღვის. და საკუთარი არსების სიღრმეში ირჩიო სულიერი ცხოვრების გზით სიარული. ამგვარი გადაწყვეტილებით უნდა დაიწყო სულიერი ცხოვრება თითოეული ადამიანისა, რომელმაც გააცნობიერა, რომ მან ცხოვრების გზას გადაუხვია. გადაწყვეტილების მიღების ეს პირველი ნაბიჯი იოლია, რადგან ადვილია სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევანის გაკეთება. მხოლოდ შეშლილს შეუძლია, შეგნებულად აირჩიოს სიკვდილი და არა სიცოცხლე. და თუ მიხვდი, რომ საერო, ხორციელი ცხოვრება სიკვდილია, ხოლო ეკლესიური, სულიერი ცხოვრება სიცოცხლე, მაშინ უყოყმანოდ მიიღებ შინაგან, ურყევ გადაწყვეტილებას, შეუდგე საეკლესიო ცხოვრების გზას. შენი შინაგანი ცხოვრებისათვის ეს ნაბიჯი თავისი მნიშვნელობით მონასტერში წასვლას უდრის. შეგეცვლება სულიერი განწყობილება: რაც ადრე გიზიდავდა, მას ახლებურად დაინახავ; შეგადრწუნებს საკუთარი წარსული, მიხვდები, თუ რაოდენ ცოდვას, უწმინდურებას, სიბილწეს იტევდა იგი; როგორი ცარიელი და უმიზნო იყო ის; შენი წარსული უგვანო სიზმრად მოგეჩვენება. რა ასაკისაც არ უნდა იყო, იგრძნობ, რომ ცხოვრებას ხელახლა იწყებ. გაგაოგნებს ეს ცვლილება და უდიდესი გაცხებით შეეკითხები საკუთარ თავს: კი მაგრამ, ადრე როგორ ვცხოვრობდი?! როგორ ვერ შევნიშნე ის, რასაც ახლა ვხედავ, როდესაც ეს ყოველივე ასეთი ცხადი და უეჭველია?! ამასთან, საკუთარი წარსულის გამო გაუსაძლისი სირცხვილის გრძნობა მოგიცავს. შენანების დაუოკებელი წყურვილი დაგეუფლება. ეს არის პირველი ნაბიჯი შენს გზაზე, მაგრამ აქვე გელის პირველი საცდურიც: სირცხვილის ამ გრძნობამ და ცოდვის შეგნებამ შეიძლება სიცოცხლისკენაც წაგიყვანოს და სიკვდილისკენაც. სიცოცხლისკენ წაგიყვანს, თუ იგი შენში აღძრავს გადარჩენის წყურვილს, თუ მას განანათლებს საღვთო გულმომწყალებისადმი სასოება, თუ იგი არ ჩაგიკლავს რწმენას, რომ უფალი დაინდობს თავის ქმნილებას და მიგიღებს ისე, როგორც უძღები შვილი მიიღო. გზა სასიკვდილო იქნება,

თუ იგი უიმედო სასოწარკვეთილებამდე მივიყვანს. დააკვირდი: სულიერი ცხოვრების გზაზე პირველივე ნაბიჯებიდან მტრის ხრიკებს აწყდები — ისინი ადამიანს სულიერი ზეასვლის ყოველ საფეხურზე სდარაჯობენ. ჩასაფრებული მტერი ცდილობს გულის თითოეული კეთილი მოძრაობა ბოროტებად აქციოს, რადგანაც ჩვენში ნებისმიერ სიკეთეს აქვს რაღაც მიჯნა, რომლის იქითაც შეუმჩნევლად ჩავვარდებით ბოროტებაში. ამ ზღვარის ამოცნობა ადამიანს საკუთარი ძალებით ხშირად არ შეუძლია. ეს საღვთო მადლს ხელეწიფება. ამიტომ თვითდაჯერებულობა ყველაზე სახიფათო ცოდვია, რადგან მასში იმალება ყველა სხვა ცოდვის შესაძლებლობა. მტერი ეცდება, შენი კეთილი სინანულიც კი ბოროტ უღებებამდე დაიყვანოს. იგი დაგიწყებს უიმედო აზრების შთაგონებას, რომ შენთვის უკვე გვიანია გამოსწორება, საამისოდ ძალა არ შეგწევს და დაიღუპები, რომ აღარ ღირს ამ ახალი ცხოვრების დაწყება, იგი საშენო არ არის.

უცნობი : ჯერ არ დამიწყია ახალი ცხოვრება და ამგვარი აზრები უკვე გამიელვებს ხოლმე გონებაში.

მოდვარი : განაგდე ისინი! ნება არ მისცე, შენს გულში შეეყონდნენ, რადგან მტრისაგან მოდიან. სულიერი ცხოვრება დროზე არ არის დამოკიდებული. ჯვარცმული ავაზაკის მაგალითიდან ვხედავთ, რომ ცხონების მოპოვება ერთ საათშიც შესაძლებელია. ამასვე ადასტურებს მრავალი ეპიზოდი წმინდანთა ცხოვრებებიდან. ყოველთვის შესაძლებელია ცხოვრების თავიდან დაწყება. არ არსებობს ისეთი ცოდვილი, რომელსაც ღმერთი არ მიუტევებს. ასაკი? კი მაგრამ რა კავშირი აქვს მას სულიერ ცხოვრებასთან?! განა ადამიანი, რამდენი წლისაც არ უნდა იყოს ის, ერთნაირად ახლოს არ ღვას სიკვდილთან?! განა არ შეიძლება სიყმაწვილეში სულიერად დაიღუპო და მოხუცებულობაში გადარჩე?!

უცნობი : მაშ რისი გაკეთება მმართებს, როცა შევიგნებ ჩემს ცოდვებს?

მოდვარი : შენ გმართებს, აღიარო შენი ცოდვები ეკლესიაში და მათი მიტევების შემდეგ წმიდა საიდუმლოებს ეზიარო.

უცნობი: ნუთუ აქედან უნდა დავიწყო?! მგონია, ზიარების მისაღებად ჯერ კიდევ არ ვარ მზად. ამას სჭირდება რწმენის სისავსე და წმინდა ცხოვრება. სხვაგვარად, ეკლესიის სწავლების თანახმად, ეს ზიარება ჩემთვის განკითხვად და სასჯელად იქცევა.

მოდვარი : ზიარებას ღირსეულად არა მხოლოდ წმინდანები იღებენ. წმიდა საიდუმლოთა მისაღებად რწმენაში არასრულყოფილებაც ვერ იქნება დაბრკოლება, რადგან ექიმი სნეულებს სჭირდებათ და არა ჯანმრთელებს. ქრისტე მოვიდა როგორც მართალთა, ისე ცოდვილთა გადასარჩენად. ზიარება — ეს ჩვენი რწმენის განმტკიცებისა და სრულყოფის წყაროა; როგორ შეიძლება, ჯერ რწმენასა და ცხოვრებაში სრულყოფილება მოითხოვო და უკვე შემდგომ ჩათვალო დასაშვებად წმიდა საიდუმლოთა ზიარება?!

უცნობი : მაგრამ ღირსეულად ზიარებისათვის რაღაც პირობა ხომ არსებობს?

მოდვარი : არის და ეს სინანულია!

უცნობი : მაგრამ ხომ თავად ამბობდი, თუ რაოდენ უმნიშვნელოა ჩვენი სინანული ცოდვათა სიმძიმესთან შედარებით.

მოდვარი : ღიას! მაგრამ გვმართებს, სინანულის არქონაც აგრეთვე ცოდვად ვაღიაროთ. და თუ ცოდვაში დარჩენის ბოროტი და შეგნებული სურვილი არა გაქვს, თუ იგი არ გიყვარს, არამედ მის გამო გრცხვენია, წმიდა ეკლესია მღვდლისადმი მინიჭებული ძალაუფლებით მოგიტევებს ყველა ცოდვას და ზიარების ღირსიც გახდები. იგივე ითქმის რწმენის სისუსტეზეც. დაე, შეგნებული გქონდეს შენი რწმენის სიმცირე და უსუსურობა. მაგრამ, ხომ გსურს, რომ გწამდეს; შენ ურწმუნობას საკუთარ ცოდვად აღიქვამ და ღაღადებ: „მრწამს, უფალო, შემეწიე ურწმუნობასა ჩემსა“ (მარკ. 9,24). და მცირედმორწმუნეობის მიუხედავად, ზიარებას ღირსეულად მიიღებ. სულიერ გზას სინანულით

უნდა შეუდგე და საღვთო ექპარისტის საიდუმლოთი განმტკიცდე. ზიარება უნდა მიიღო არა წელიწადში ერთხელ, როგორც ეს ამა სოფლისკენ მიდრეკილ ქრისტიანებს ექცათ ჩვევად, არამედ ბევრჯერ, როგორც მონასტერშია მიღებული, რადგან ხშირი ზიარების გარეშე შეუძლებელია სულიერი ცხოვრება ერში. შენი სხეული ხომ იფიტება და უძღურდება, როდესაც საკვებს არ აწვდი. სულსაც სჭირდება თავისი ზეციური საზრდო, არადა გამოიფიტება და დაძაბუნდება. ზიარების გარეშე შენში მიხელოვნება სულიერი ცეცხლი, მას ამსოფლიური ხარახურა დაეყრება და ქვეშ დაიტანს. მისგან გასათავისუფლებლად საჭიროა ჩვენი შეცოდებების ეკალბარდთა დამბუგავი ცეცხლი. სულიერი ცხოვრება განყენებული ღვთისმეტყველება არ არის, იგი ქრისტეში ცხოვრებაა – ნამდვილი და ყველაზე ეჭვშეუვალი. მაგრამ როგორ დაიწყებ მას, თუ არ მიიღებ ქრისტეს სულის სისავსეს ამ საშინელი და უდიდესი საიდუმლოთი. როგორ იცხოვრებ ქრისტესთან, თუ მის სისხლსა და ხორცს არ ეზიარები?! აქაც, როგორც სინანულში, მტრის შემოტევები არ მოგასვენებს, იგი აქაც მოგიწყობს ათასნაირ ზრიკს; აღმართავს მრავალ შინაგან თუ გარეგან დაბრკოლებას – ხან ვერ მოიცლი, ხან უქეიფოდ იგრძნობ თავს, ხან ზიარების ცოტახნით გადადება მოგინდება, რათა უკეთ მოემზადო... ნუ უსმენ, წადი, თქვი აღსარება, მიიღე ზიარება. შენ ხომ არ იცი, როდის მიგიხმობს თავისთან უფალი.

უ ც ნ ბ ი : ღიახ, ასე მოვიქცევი.

მ ო ძ ვ ა რ ი : სულიერი გზა ითხოვს მთელი ცხოვრების – შინაგანისა და, შეძლებისდაგვარად, გარეგანის – გაეკლესიურებას. თუ მკვეთრად არ გამიჯნავ საკუთარ ცხოვრებას საეროსგან, სოფელი უეჭველად მოგერევა, მონად გაგიხდის. უფალმა განყოფის მახვილი მოიტანა: „ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშვიდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვი თქვენ, არამედ განყოფად. რამეთუ იყუნენ ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ორთაგან და ორნი სამთაგან. განყოფად

მამამ ძისაგან და ძე მამისაგან; და დედამ ასულისაგან და ასული დედისაგან; დედამთილი ძის-ცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან“ (ლკ. 12,51-53). ასე გმართებს, გამოეყო ყველაფერსა და ყველას, რაც თავისთავში ამსოფლიურ საწყისს შეიცავს. ამ შინაგანი სულიერი გამოყოფის გარეშე შეუძლებელია სულიერი ცხოვრება.

უცნობი : მაგრამ, რას გულისხმობ ცხოვრების გაეკლესიურებაში?

მოძღვარი : გესმის, რა განსხვავებაა მონასტერსა და სოფელს შორის?

უცნობი : რა თქმა უნდა!

მოძღვარი : ხვდები, რომ მონასტრული ცხოვრება გაეკლესიურებულია და ამიტომაც უბირისპირდება სოფელს?

უცნობი : დიახ!

მოძღვარი : ამა სოფლად მონასტრული ცხოვრების შექმნა – აი, ეს არის გაეკლესიურება, რომელიც აუცილებელია სულიერი ცხოვრების გზაზე სვლის მსურველთათვის.*

* ამ სწავლების სწორად გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ როდესაც გადასახლებაში მყოფი დეკანოზი ვალენტინ სვენციციკი ამ საუბრებს წერდა (1928-31 წწ.), რუსეთში თითქმის არც ერთი მონასტერი აღარ ფუნქციონირებდა. მონაზვნების ნაწილი კომუნისტებმა გადასახლეს ან დახვრიტეს, გადარჩენილებმა კი ნაცნობ-მეგობრებსა და მიყრუებულ მთებსა და ტყეებს შეაფარეს თავი. წერილის ავტორი იმას როდი ამტკიცებს, რომ ერში შეიძლება ისეთივე წარმატებული სულიერი ცხოვრებით იცხოვრო, როგორც მონასტერში; ეს შეუძლებელია, რადგან მონასტერში, სადაც სამონასტრო ცხოვრების წესგანგებას იცავენ, ყველა პირობაა მონაზვნური აღთქმების – მორჩილების, უბიწოების და უპოვარების დაცვისთვის, ხოლო მათი დაცვა ქრისტიანს ვნებებისაგან ათავისუფლებს. ავტორი გვასწავლის, რომ სახარებისეული მცნებების დაცვა, სულიერი ცხოვრება – ლოცვა, მარხვა, სინანული, მორჩილება, გულის განწმენდა საჭიროა არა მხოლოდ მონაზვნებისთვის, არამედ ერში მცხოვრებთათვისაც, და ქრისტიანული ცხოვრება, ღვთის მადლით, ყველგანაა შესაძლებელი. (შემდგენლის შენიშვნა)

უცნობი : შენი აზრი ამა სოფლად მონასტრული ცხოვრების შექმნაზე ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ვერ ვხვდები, როგორ უნდა განვახორციელო იგი პრაქტიკულად.

მოძღვარი : წარმოიდგინე, რომ მონასტერში ცხოვრობ. მის გარშემო მაღალი კედელია. კარიბჭესთან მონაზონია, რომელიც მონასტერში უცხოს არავის უშვებს. იქვეა ტაძარი, სადაც სალოცავად დადიხარ, დანარჩენ ცხოვრებას კი სენაკში ატარებ. გაქვს სენაკის ლოცვითი კანონი, კითხულობ საღვთო წერილს, წმინდა მამათა თხზულებებს, უღრმავდები საღვთო საიდუმლოთა ჭვრეტას. ტაძარსა და სენაკს გარეთ ასრულებ მორჩილებას – ზოგჯერ მეტად მძიმესაც: საცხობში, ბოსტანსა თუ ბაკში. გყავს სულიერი მამა, რომელიც წარმართავს მთელს შენს ცხოვრებას – მას ჩააბარე საწვრთნელად შენი სული, როდესაც უარი თქვი თვითნებობასა და საერო თავისუფლებაზე. იცავ მარხვას და მთელი შენი ცხოვრების წესი დაფუძნებულია ეკლესიის კანონებზე. მონაზვნობა ტაძარია, რომლის კედლები გაიხსნა, მთელი შენი ცხოვრება მოიცვა და თავისთავში მოაქცია. და ვთქვათ, მოხდა ისე, რომ მონასტერი ამა სოფლად იქნა გადმოტანილი: უკვე მოიშალა მისი კედლები. მაგრამ სად არის შენი მონასტრული ტაძარი? სად და იქ, სადაც ამჟამად ამბობ აღსარებას მოძღვართან და წმიდა საიდუმლოებს ეზიარები. შესაძლოა, მასში იმდენ დროს ვერ ატარებ, რამდენსაც მონასტერში, მაგრამ მაინც ამ ტაძარში ცხოვრება შენთვის მთავარია. სად არის შენი სენაკი? მან გადაინაცვლა ხმაურიან, საერო ბინაში, მაგრამ იგი აქაც სენაკად დარჩება, თუნდაც მასში ერთი კუთხე გეკუთვნოდეს. იქ უნდა დაივანოს მღუმარებამ და მონასტრულმა ცხოვრებამ, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ხმაურია, კედლებს იქიდან შენს სენაკში აღწევს არა ძმობის საეკლესიო საგალობლები, არამედ საერო სიმღერები, ამოო საუბრები თუ მთვრალთა მხიარულება. შენი ოთახი უცვალებელად უნდა დარჩეს სენაკად,

სადაც ყველაფერი ლოცვისა და სიჩუმის სულით იქნება განმსჭვალული. გექნება მრავალი საერო საქმე, რაც მორჩილებისთვის უნდა გააკეთო, როგორც მონასტერში ასრულებდი მძიმე სამუშაოს საცხოვრებლად და ბაკში, მაგრამ სულით არ მიემსჭვალა ამ სამუშაოს. საერო ცხოვრება თავისი კანონების თანახმად მიედინება, აქვს თავისი მოწყობა. შენ მას იწყნარებ (რადგან ეს გარე საქმიანობა აუცილებელია შენი საერო ცხოვრებისათვის), მაგრამ პირადი და შინაგანი ცხოვრება ეკლესიურ საწყისებზე უნდა ააგო. მონასტერში მორჩილი იყავი — ამქვეყნადაც ასეთად უნდა დარჩე.

თუ ამ ყოველივეს ერში ყოფნის დროსაც დაიცავ, შეინარჩუნებ მონასტერს. ამ შინაგანი მონასტრის განადგურებას ვერავინ შეძლებს — იგი ადამიანის ხელშეუვალი მონაპოვარია, განადგურება კი მხოლოდ გარეგნულის შეიძლება. აი, რა არის გაეკლესიურება, რომელიც ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

უცნობი : დიახ, ახლა მესმის, რასაც გულისხმობ სიტყვაში „გაეკლესიურება“. მაგრამ შევძლებ კი, შევიქმნა სულიერი ცხოვრებისათვის ეს აუცილებელი პირობა?!

მოძღვარი : რატომაც არა! ეს მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

უცნობი : ალბათ! მაგრამ რამდენად შევძლებ ამის შესრულებას; განა ძალმიძს ასე უცებ უარი ვთქვა ყოველივე ამქვეყნიურზე?! მე მეტისმეტად მივეჩვიე საერო ცხოვრებას და მასში ბევრი რამ ძალიან მიყვარს.

მოძღვარი : მაგალითად?

უცნობი : აი, თუნდაც მუსიკა, მაღალ საზოგადოებაში მიღებული ლიტერატურა, თეატრი... ერისკაცისთვის მიყვარს ცოცხალი ბუნება — ყვავილები, ჩიტების გალობა... მიყვარს სიცილი, ხუმრობა, მხიარულ საზოგადოებაში ლაყბობა და ბოლოს თამბა-

ქოს მოწვევა... რასაკვირველია, ეს ყოველივე წვრილმანია, მაგრამ მათზე უცბად უარის სათქმელად ძალა არ შემწევს.

მოდვარი: კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ უცბად უნდა დათმო?

უცნობი: ამას სახარება გვეუბნება.

მოდვარი: არამც და არამც! სახარებაში იგულისხმება მტკიცე გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა — შეუდგე ქრისტეს. ლაპარაკია იდეალზე, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი და რისი გაკეთება ჰმართებს მას ამ იდეალის მისაღწევად. მეტიც, იქნათქვამია, რომ სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოვება; რომ მას ძალისხმევით იღებენ (მთ. 10,12). მოციქულებიც ასწავლიან, რომ ღვთის სასუფეველში შესვლა მრავალი განსაცდელის გადატანით მიიღწევა. გამოდის, ეს უცბე სულაც არ ხდება. მოსაგრებმა, რომელთაც თავად გაიარეს გზა ცხონებისა, გამოცდილებით ამოიცნეს მტრის ყველა ხრიკი, ჩვენთვის წარმოაჩინეს, რაც ადამიანში შინაგანია, შეისწავლეს უხილავი სულიერი ბრძოლა, მადლმოსილი შეგონების შუქით გაანათეს სულიერი ცხოვრების მთელი გზა, გარდუვალად დაადგინეს ეკლესიის სწავლება, რომლის თანახმადაც ადამიანის შინაგანი ჩამოყალიბების პროცესი სწრაფად კი არა, პირიქით — ნელა, თანდათანობით მიდის და დიდ მოთმინებას ითხოვს.

უცნობი: მაშ, როგორ შევეუთავსოთ ამას მაცხოვრის სიტყვები იმ კაცის მიმართ, რომელსაც სურდა, სანამ ქრისტეს შეუდგებოდა, წასულიყო და მამა დაემარხა: „აცადენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა; ხოლო შენ წარვედ და მიმოსდე სასუფეველი ღმრთისაჲ“. მეორეს კი, რომელმაც სთხოვა, გაეშვა იგი, რათა სახლეულს გამოსთხოვებოდა, მიუგო: „არავინ დასდვის ხელი სახნველსა და ხედავნი იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა“ (ლუკ. 9,59-60)?

მოდვარი: სწორედ ეს არის მოთხოვნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა — შეუდგე ქრისტეს; უკანმოუხედავად და

ორჭოფობის გარეშე სამუდამოდ ამოირჩიო გზა. აქ მაცხოვარი არაფერს ამბობს სრულყოფილების მაშინვე მიღწევის შესაძლებლობაზე; მხოლოდ მიგვითითებს ამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე არა ფიქრით, გრძნობითა თუ განზრახვით, არამედ ნებითა და ცხოვრების წესით.

უცნობი : დავუშვათ, თეორიულად ეს ასეა. მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება პრაქტიკულად დავადგინოთ ეს თანდათანობა? მაგალითად, მე მგონია: თუ არ შეიძლება თეატრში სიარული, არ შეიძლება და დამთავრდა, თუ დაუშვებელია რომანების კითხვა ან მოცლილ საზოგადოებაში უაზრო ლაპარაკი კბილებში გაჩრილი სიგარეტით — ესე იგი, დაუშვებელია; არ შეიძლება ცეკვა, სიცილი, ხუმრობა, სიმღერა, თამაში — ეს ყველაფერი მიუღებელია, მაგრამ ვინ მეტყვის, ყოველივე ამას როგორ დავანებო თავი თანდათანობით? რა გარეგნული ნიშნით ხასიათდება დროებით დასაშვები სიცილი, გართობა? რას ნიშნავს იყო დროებით ამსოფლიური?

მოდვარი : ვერავინ გიჩვენებს ასეთ გარეგნულ ნიშანს. იგი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ამსოფლიურობა საერთოდ დაუშვებელია. მაგრამ აქ საუბარია არა ასეთი მიკუთვნების დაშვებაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ დავიხსნათ მისგან თავი და მივალწიოთ მთელი ცხოვრების გაეკლესიურებას. მართლმადიდებლობა არც აქ გვეუბნება, რომ ამას მაშინვე მივალწევთ. იგი მიგითითებს დიდი შინაგანი ბრძოლის გარდუვალობასა და სრულყოფილების კიბეზე თანდათანობით ასვლაზე. აქვე შეგეგმნება საშინელი საფრთხე, რომელმაც შეიძლება სიწმინდის ჭეშმარიტად მაღლმოსილი მდგომარეობა შეგიცვალოს მისი გარეგნული, ფარისევლური ნაყალბევით. მეკითხები, რა გარეგნული ნიშანი ახასიათებს დასაშვებ გართობებს? მიგანიშნებ სხვა რამეზე — შინაგან საფუძველზე პროცესისა, რომლითაც ადამიანი ნამდვილად თავისუფლდება ამსოფლიურისგან.

ეს საფუძველი — ადამიანის სულიერი ზრდაა. აქ გარეგნული თვითშეზღუდვა უნდა მოხდეს სულიერი ცხოვრების შინაგან პროცესთან შესაბამისობით და არა კანონის ზედმიწევნით დაცვით. მაშინვე არ უნდა მიახლოდეს ადამიანს, მიატოვოს საერო სიამენი, მაგრამ არც ლოდინი შეიძლება, თუ როდის დათმობს მათ ძალისხმევას და ბრძოლის გარეშე, სრულად როდის დაკარგავს მათდამი ყოველგვარ ლტოლვას. უნდა მოძებნო შესაფერისი დრო და ისე დაუყენო ადამიანს ასეთი ამოცანა. მარტო კანონის მოთხოვნები კი არ უნდა იცოდეს, არამედ ისიც, მომწიფდა თუ არა ეს ადამიანი ამ ამოცანის გადასაწყვეტად. ფორმალური, მშრალი უარის თქმა ყოველივე საეროს მიმართ, რაკი წმინდა მამებს თეატრში არ უვლიათ, არ ეწეოდნენ და მხიარულ საზოგადოებაში დროს არ ატარებდნენ, მიუხედავად სრული ჭეშმარიტებისა, შეიძლება სულისათვის არა მარტო უნაყოფო, დამღუპველიც კი აღმოჩნდეს. აქ არასაკმარისია, იცოდეს სწავლება სრულყოფაზე — სულიერი ხედვის უნარი უნდა გქონდეს. წიგნი დიდი რამ არის, მაგრამ მის გამოსაყენებლად საჭიროა მადლმოსილი ზესიბრძნე და არა ამსოფლიური სიბრძნე. რამდენიც არ უნდა ვიცოდეთ უხილავი ბრძოლის შესახებ მოსაგრეთა თხზულებებიდან, როგორ კარგადაც არ უნდა გვქონდეს შესწავლილი სულიერი ცხოვრების ძირითადი კანონები წმინდანთა გამოცდილების მაგალითზე, თითოეული ადამიანი მაინც განსაკუთრებულია და ყოველი მათგანის ცხოვრება გამორჩეული, ერთადერთი და განუმეორებელია. ამიტომ წიგნებსაც არ შეუძლია ყველაფრის თქმა. იმ ცოცხალს, ერთადერთს, განსაკუთრებულს, რაც მხოლოდ მოცემულ ცხოვრებას ეხება, ჩასწვდები არა ამსოფლიური სიბრძნით, არამედ მადლის ზესიბრძნით. მართლმადიდებელმა მონასტრებმა დღევანდლამდე შემოინახეს ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრობის ცოცხალი პრაქტიკა. და თუ გსურს, ნამდვილად გაიგო მართლმადიდებლური სწავლება სულიერი ცხოვრების გზასა და სრულყოფაზე.

ფის კიბეზე ასვლის შესახებ, ნახე, როგორი სული ტრიალებდა იქ, რას ასწავლიდნენ ბერები თავიანთ სულიერ შვილებს, იყო თუ არა მათ სიტყვებში ეს მკვდარი, ფორმალობით აღსავსე მოთხოვნა – „დაუყოვნებლივ“, რომელიც ასე ამაღლებულად ჟღერს და სინამდვილეში გარეგნული ფარისევლობით არის გაჯერებული. აი, უსმინე, როგორ წერდნენ დიდი ოპტინელი ბერები საერო გართობებზე. მხედველობაში მიიღე, რომ სიტყვები, რომელთაც ახლა მოისმენ, მისწერეს გოგონას, ვინც მხიარულ საერო ცხოვრებას მისდევდა, მაგრამ მონაზვნობისკენ ისწრაფვოდა:

„საიდუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ: ქვაბი ცათა ემსგავსა, ქალწული ქერაბინთა, ხოლო ბაგა სახე იქმნა სამყაროსა, რამეთუ დაიჭია დღეს ქრისტე ღმერთი, დაუტევნელი...“

ჭეშმარიტად სასწაულია საშინელი! ქერუბიმთა გონებაც შეძრწუნებულია: ეს როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო – და ეს მოხდა! გონება უარს აცხადებს, გაიაზროს, ამ სასწაულთაგან რომელია ყველაზე საოცარი... დიახ, წმიდა ეკლესიამ უდიდესი ნუგეში უბოძა გონიერ ადამიანს. ასე რომ, მთელი სიცოცხლე თვალს არ მოვაშორებდი ამ სამი სტრიქონის მიუწვდომელ სიღრმეს. და კიდევ რამდენი მარგალიტია გაბნეული საეკლესიო საგალობლებში, მაგრამ მიწიერი გონება ამ განძს არ სწყალობს, რადგან მისი გაგება არ ძალუძს. რაში უნდა მამალს ფასდაუდებელი ღალი – მას მუხუდოც ეყოფა. შენც განუგეშებს იატაკზე ბეკეკასავით ხტუნვა, ოღონდ კისკისით გული იჯერო, ფერ-უმარილი წაისვა, ნილაბი აიფარო... და კიდევ რამდენი სისულელე და უაზრობაა, რომელიც ნთქავს ჩვენს გონებას – ამ ზეციურ ნათელმოსილ ნიჭს. თუმცა ამას იმიტომ არ გწერ, რომ შენ, ჩემო კეთილო, ფერ-უმარილი და საცეკვაო ნივთები საერთოდ გადაყარო და ამით გაანაწყენო ახლობლებიცა და უცხონიც. ამას გეუბნები, რათა იცოდე, რას აკეთებ. და თუ მაინც ვინმეს აწყენინებ, უფალს უთხარი აღსარება და მოგიტევეს“.

იმავე გოგონასადმი მიწერილი სხვა წერილიდან: „გუშინ, ანუ მესამე დღეს მამა მ-მ მითხრა, რომ მანდ ისევ ცეკვავ და ცეკვავ. მე ვურჩიე მას კრილოვის არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ შეგახსენოს. იგი შენზეა ზედგამოჭრილი. ჭრიჭინასაც უყვარდა ყველიერი და არ მოსწონდა მარხვა — მუდამ დახტოდა. მე ამას გასაკიცხად არ გეუბნები, არამედ იმისათვის, რომ შეიგნო ნამდვილი მდგომარეობა და შემთხვევით თავი არ წააგო“.

და კიდევ: „რა ეჭვიანი ყოფილხარ! ისევ ცილს მწამებ, თითქოს შენით უკმაყოფილო ვიყო. ნამდვილადაც რომ მოგწონებოდა ვინმე, როგორ არ შეგინდობდი? თავადაც ცოდვილი ვარ. შენ კი გატაცებულიც არ ყოფილხარ, ისე უბრალოდ დაუშვებობდი მას. დაე, ღმერთმა შეგინდოს და მეც გაპატიებ“.

განა ბერი ამ საერო ცხოვრებით მცხოვრები გოგონასაგან ითხოვდა, რომ მას ყველაფერზე უცებ ეთქვა უარი?! პირიქით — ცხოვრების ასეთ დაუყოვნებელ შეცვლაზე თვით აზრსაც კი განაგდებდა მისგან, როგორც მტრულს: „გხედავ, გსურს გადაყარო მოღური, მოსართავებიანი მაშეები და სამეჯლისო კაბა და ამ წუთიდან გახლე წმინდა, ღირსი, მეყსეულად განათლდე. არა, ჩემო კარგო, სულიერებაში ასე არ ხდება. აქ უპირველესია მოთმინება, მას მოსდევს ისევ მოთმინება და ბოლოს ყოველივე ამას ისევ და ისევ მოთმინება აგვირგვინებს“ (მღვდელსქემმონაზონი ანატოლი).

აი, ხმა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისა! ასე ესმოდა ბერობას ადამიანის სულიერი გარდაქმნის პროცესი. და ეს თორია კი არა, თავად ცხოვრება იყო. ხუთი წლის შემდეგ ოპტინელი ბერი იმავე გოგონას ულოცავს მონაზვნურ გზაზე შედგომას წერილით, რომელშიც უკვე აღარაფერი წერია მოღურ მაშეებსა და სამეჯლისო კაბებზე, სამაგიეროდ, ნათქვამია: „უეჭველად ყოველდღე იკითხე აბა დოროთე ან იოანე კიბისალმწერელი. ამ წიგნებში სულიერი ცხოვრების გაკვეთილების უდიდესი საგან-

ძური ძევს. თუ მათგან მითითებულ გზას გაუყვები, გჯეროდეს, არ დაიღუპები და მარადიულ ზეციურ სასუფეველს მოიპოვებ“.

უცნობი : გამოდის, ყურადღების გადატანა ხდება შინაგან ზრდაზე. გარეგნული შეზღუდვები ნაწილობრივ ეხმარება ამ ზრდას, ნაწილობრივ კი მისი შედეგია.

მოდვარი : სრული სიმართლეა...

უცნობი : რა უწყობს ხელს ამ ზრდას?

მოდვარი : უკვე გითხარი: სინანული, ხშირი ზიარება. ამას უნდა დაემატოთ ლოცვა, მარხვა და შინაგანი ბრძოლა.

უცნობი : მომიყევი ამის შესახებ უფრო დაწვრილებით.

მოდვარი : ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ლოცვასა და მარხვაზე მაშინ, როცა მონაზვნობაზე ვსაუბრობდით*, მაგრამ ახლა გვმართებს ლოცვითი შრომის განხილვა შენს მიერ დასმულ კითხვასთან მიმართებით. როგორ წაგადგება ლოცვა ცხოვრების გაეკლესიურებაში და როგორ უნდა მიუღგე მის შესწავლას? ლოცვას სულიერ ხელოვნებას უწოდებენ; ჭეშმარიტად, ეს ხელოვნებაა, რომელიც ხანგრძლივ, გულმოდგინე სწავლას ითხოვს. ლოცვითი განწყობა ბევრს ეუფლება ხოლმე, მაგრამ სხვა რამ არის მოიპოვო ლოცვა, როგორც მუდმივი და ჩვეული სულიერი მდგომარეობა.

ლოცვისას, როგორც საერთოდ სულიერ ცხოვრებაში, აუცილებელია ადამიანური ღვაწლი, რასაც საღვთო მადლის გარეშე ფასი არა აქვს. უძველესი დროიდან მოყოლებული უდიდეს მლოცველთა და მოსაგრეთა თხზულებებში ლოცვითი გზა გამორჩეული სისავსით არის ახსნილი. მათ რჩევებს თუ მიჰყვები, გზას აღარ ასცდები. მაგრამ მრავალს აშფოთებს იმ საერო პირობათა თავისებურებანი, რომელთა კალაპოტშიც მიედინება სულიერი ცხოვრება ამა სოფლად. ლოცვა, რომელზედაც წმინდა მამები საუბრობენ, აღევლინებოდა განმარტოებით, მღუმარებაში და არა

* აქ საუბარია სხვა წერილზე, რომლის სათაურია „მონაზვნობისთვის“.

თანამედროვე ცხოვრების საშინელ აურზაურში. მოგეჩვენება, რომ ამა სოფლად ლოცვა შეუძლებელია. დიახ, უეჭველია, არსებობს საერო პირობათა თავისებურებებზე დამოკიდებული სირთულეები. მაგრამ ლოცვა ერში შესაძლებელიც არის და აუცილებელიც იმიტომ, რომ მის გარეშე ვერ შექმნი უხილავ მონასტერს, იგი დაიცავს და განამტკიცებს სულიერ ცხოვრებას: შენი ოთახი ვერ იქნება სენაკი, სანამ მასში არ ილოცვებ; ხმაურიან ქალაქში თავს ვერ იგრძნობ მონასტრის კედლებს შიგნით, სანამ შენს გულში არ დაისადგურებს ლოცვა. როცა თითქმის მთელი ცხოვრება ულოცველად გაატარე, ლოცვის შესწავლა განსაკუთრებით გაგიჭირდება, როგორც ადამიანს, რომელსაც თავი ზრდასრული ჰგონია, მაგრამ იძულებულია, სიარული ისწავლოს. ოღონდ სირთულის შეგრძნებამ არ უნდა დაგაბნიოს. რწმენაში ყრმას, სულიერი ცხოვრების სულ ახლახან დამწყებს, როგორ შეუძლია ლოცვითი შრომის გზაზე უმაღლეს ზრდასრულივით გაიაროს, თუ სიარული არ შეისწავლა?! ლოცვა – შენს ცხოვრებაში „არა ამის სოფლისაგანი არს“, ამიტომაც მისი დაწყებისთანავე სოფელი შენთვის უცხო ხდება; ლოცვა და ყოველივე მასთან დაკავშირებული შენს სულში გაერთიანდება და ქვეყანა მთელი თავისი საერო საქმეებით განზე დარჩება. რაც უფრო ღრმად ჩაერთვები ლოცვაში, მით უფრო გამოიკვეთება ზღვარი შენს შინაგან ცხოვრებასა და წუთისოფელს შორის, მით უფრო მაღლა და შეუვალად აღიმართება უხილავი მონასტრის კედლები.

უცნობი : მაგრამ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დავიწყო ეს ყოველივე – როგორ ვილოცო? ლოცვები ლოცვანიდან ვიკითხო? ეთანადება კი ამ უცხო სლავურ სიტყვებს ის ლოცვის-მაგვარი რამ, რაც სულში იბადება? იქნება საკუთარი სიტყვებით უნდა ვილოცო, მაგრამ როგორ მიემართო ასეთი მიწიერი, ყოფითი სიტყვებით ღმერთს, რომლის არსებობაც მზად ვარ, ვაღიარო, მაგრამ რომლის შეგრძნებაც საერთოდ ვერ ვისწავლე?

იქნება იგი ხატოვნად წარმოვიდგინო და წარმოსახვის საშუალებით უფრო რეალური გავხადო? ამიხსენი ეს ყოველივე.

მოდვარი: ლოცვა უნდა დაიწყო ისე, რომ გონებას ძალა არ დაატანო და არ აიკვირებო შეკითხვა: როგორ იქნება ეს ყოველივე? არ არის საჭირო საქმის გართულება გონისმიერი რაიმე კითხვით. თავნება და საერო თვითნებობით გარყვნილი ჩვენი გონება უეჭველად დაგაყრის კითხვას კითხვაზე. ეცადე, არ მოუსმინო. შენთვის თქვი, რომ ილოცებ ისე, როგორც ეკლესია ასწავლის; რომ ეს შენი მოვალეობაა ღვთის წინაშე; გამოგივა თუ არა, შენს საქმეს მაინც გააკეთებ. ამასთან აუცილებლად გქონდეს სენაკის კანონი. სულ მცირედით, თუნდაც რამდენიმე ლოცვით დაიწყე, რათა სიტყვიდან საქმეზე გადახვიდე. ვერც კი წარმოიდგენ, ეს გადასვლა შენს ცხოვრებაში რა გარდატეხას შეიტანს. მლოცველნი და არამლოცველნი — ორ განსხვავებულ სამყაროს ეკუთვნიან. დასაწყისში ლოცვა აღვიძრავს ძირითად შეგრძნებას — რომ იმყოფები იმ მხარეს, სადაც ეკლესიაა, ადგახარ ვიწრო გზას, ხარ სხვა სამეფოში და არ ეკუთვნი „მათ“, ანუ მეორე მხარეს — ბოროტებაში ჩაფლულ ამა სოფლის საბრძანებელს. ლოცვისას რაიმე განსაკუთრებულს არ ელოდო და საერთოდ არაფერმა შეგაცბუნოს; არც განსაკუთრებული ამოცანა დაისახო; იგრძენი თავი ყრმად, რომელმაც ჯერ სიარულიც კი არ იცის და რა მსჯელობა, რა სხვადასხვა საკითხის წამოჭრა შეუძლია მას?! შენც ოღონდ ფეხზე დადგე და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა; ამაში იმეცადინე; ეცადე, ყურადღება ლოცვის სიტყვებიდან სხვა საგნებზე არ გაგექცეს, თუ გაგექცა — უკან მობრუნდი. წაიკითხე ნაცნობი ლოცვა წყნარად; დასაწყისში გადაიწერე პირჯვარი და მუხლი მოიდრიკე, დასასრულსაც იგივე გაიმეორე. თუ შენს სულს შვება მიეცემა, მადლობა ღმერთს!.. თუ ვერაფერი შეიგრძენი — ნუ შეშფოთდები. საკუთარ თავში რაიმე განსაკუთრებული განცდები თავად არ გამოიწვიო, მაგრამ აღძრულსაც ნუ განაგდებ — ყველაფერი უფალს მიანდე. შესაძლოა,

მაშინვე შეიგრძნო გაორების მძიმე მდგომარეობა. იწყებ საკუთარი თავის გარედან ჭკვრეტას და უცნაურად და სასაცილოდ აკი მოგეჩვენება, რომ ლოცულობ, კითხულობ, პირველად იწერ და მუხლს იდრეკ. სოფელი შენი საშუალებით იწყებს თვალთვალს შენივე სულისა, რომელიც ახალი ცხოვრებისათვის იღვიძებს. შენში ამსოფლიური სჭარბობს სულიერ ცხოვრებას და მოგეჩვენება, რომ შეპყურებ რაღაც შემთხვევითსა და უცნაურ ქცევებს, რაც საკუთარი არც კი გგონია. თავი დაანებე, დაე, გიყუროს ამა სოფელმა, შენ კი შენს საქმეს მიხედვე, რადგან იგი უდიდესი და ჭეშმარიტია. ნელ-ნელა შეეთვისები ლოცვის სიტყვებს, ისინი გონებამ კი არა, ცხოვრებამ შექმნა. მათ უკან დგას ღვაწლი, ცოდვათა სინანული, ვნებებთან ბრძოლა, რწმენა, სასოება, სიყვარული, მადლმოსილი გაცისკროვნება, ცხოვრება სულიწმიდაში. გეშინია, რომ ლოცვის სიტყვები შენს შეგრძნებებს ვერ დაიტევს? მათში არა მარტო შენი სულიერი მდგომარეობის, მთელი სამყაროს დატევნა შეიძლება. ოღონდაც შენი სული შეუერთდეს იმ შეგრძნებებს, რომლებიც წმიდა ლოცვათა სიტყვების უკან დგას. თუ შეიგრძნობ ერთგვარ მოთხოვნილებას – გულიდან ამომავალი სიტყვები უთხრა უფალს, აქაც ნუ დაბრკოლდები. ისინი დაამატე ლოცვით კანონს. არასოდეს ეცადო, წარმოიდგინო და ხატოვნად წარმოსახო ისინი, ვის მიმართაც ლოცულობ: არც უფალი იესუ ქრისტე, არც მისი ყოვლადწმიდა დედა, არც უხორცო ძალნი და არც ღვთისთვის სათნონი. ლოცვისას ხატოვანი წარმოსახვა ეშმაკეული საცდურია, რომელიც ადამიანს სულიერ დაღუპვას უქადის.

უ ც ნ ბ ი : მაგრამ როგორღაც ხომ უნდა წარმოვიდგინო, ვის მიმართაც ვლოცულობ. ჩემთვის ეს ცარიელი ადგილი ხომ არ არის?!

მ ო ძ ჯ ვ ა რ ი : დიახ, ცარიელი ადგილი არ არის. მაგრამ ვის მიმართაც ლოცულობ, იგი წარმოსახვაში კი არა, გულში უნდა სუფევდეს; მას კი არ უნდა გამოხატავდე, უნდა გრძნობდე. შენს

წინაშე გარეგნული ნიშნები და სახება კი არ წარმოიდგინო, არამედ გულში დავანებულ ხატებას უნდა გრძნობდე. ლოცვისთვის საჭირო გარეგნული გამოსახულება ხატის საშუალებით გეძლევა. მის წინაშე ლოცვისას მიმართავ ხატის პირველსახეს არა ცოცხალი, გარეგნული ნიშნების წარმოსახვით, არამედ გულისმიერი სულიერი მდგომარეობით. სხვაგვარად, წარმოსახვის შედეგად მოგეჩვენება, რომ შენს წინაშე არის უფალი იესუ ქრისტე მთელი იმ გარეგნული ნიშნებით, რასაც თავად წარმოიდგენ მასში; ხატებას ისე ცხადად დაინახავ, თითქოს შენს წინ იდგეს, რაც აღგიძრავს შესაბამის გრძნობებს, ოღონდ იგი არ იქნება ქრისტე მაცხოვარი; ხოლო შენი შეგრძნებები იქნება არა ლოცვა, არამედ ეშმაკისეული ცდუნება. შეიძლება ერთგვარად გულიც გაგიტეხს, ცრემლებიც მოგერიოს და სიხარულიც განიცადო, მაგრამ ყოველივე ნამდვილი კი არა, ნაყალბევი გამოდგება, რომელშიც მტერი ჩაგითრევს. ეს შესამჩნევი ხდება მხოლოდ შინაგანი ნიშნების მიხედვით — ურჩობით, სიამაყით, სულიერი დაბრძანებით, მაგრამ საკუთარ თავში ყოველივე ამის დანახვა და შეგნება ერთობ ძნელია. ღმერთმა დაგვიფაროს ყოველივე ამისგან — წარმოდგენით ლოცვა სიშლეგა!..

უცნობი : კიდევ მითხარი: როგორ ვიარო ლოცვითს გზაზე, როგორ გადავდგა შემდგომი ნაბიჯები? როგორ წავიწიო წინ?

მოდვარი : წინსვლა დამოკიდებულია არა გონისმიერ გადაწყვეტილებაზე, არამედ სულიერ ზრდაზე. თუ იცხოვრებ ეკლესიური ცხოვრებით, უფლის შემწეობით შინაგანად დაბნეულობა ამა სოფლისაგან განდგომას და ღვთისკენ სწრაფვას. ამასთან შენს სულს მიიზიდავს ლოცვითი შრომა, მოგინდება, უფრო ხშირად და დიდხანს ჩაიკეტო სენაკში სალოცავად. ამა სოფლად უცხო იქნები, ტაძარსა და სენაკში ლოცვისას კი საკუთარ სახლში იგრძნობ თავს. ლოცვა ტკბილი განდება. მას მიაშურებ, როცა დაასრულებ საერო აუცილებელ მორჩილებას, და სენაკის ლოცვითი კანონი მოგეჩვენება ისე მოკლე, რომ ძლივძლივობით თუ

მოსწყდები მის კითხვას. შეამოწმე ეს გრძნობა, ხომ არ არის შემთხვევითი განწყობილება, მყარია თუ არა იგი შენში? როცა დარწმუნდები მის მდგრადობაში, გაადიდე ლოცვითი კანონი.

თითოეული მოსაგრის სანუკვარი ოცნებაა – მოუკლებლად ილოცოს – რომ ლოცვა გულში მარადის ცოცხლობდეს და მოქმედებდეს; რომ ლოცვის ცოცხალი, გამოუთქმელი, მადლმოსილი ნიჭი – სიტყვიერი თუ უსიტყვო ლოცვისას, ტამარშიც, სენაკშიც, ყოფითს საქმესა და ძილშიც კი – როგორც უდიდესი საუნჯე და ფასდაუდებელი სიხარული მარადის სუფევდეს სულის იღუმალ და მიუწვდომელ სიღრმეებში. აი, ეს არის სასოება! დაე, ნურასოდეს გაკადნიერდება თვითნება, რომ თავისთავში საკუთარი ძალისხმევით გამოიწვიოს ასეთი მდგომარეობა; დაე, ნურასოდეს იტყვის კაცი: არ დადგა დრო, რომ უსიტყვო ლოცვაზე გადავიდე? ლოცვა გონებითი ხდება და გულში ივანებს არა ადამიანური გადაწყვეტილების თანახმად, არამედ უფლის წყალობითა და მადლით.

უცნობი : ღიახ, მესმის, რომ ლოცვის გარეშე შეუძლებელია სულიერი ცხოვრება და მეც შევეცდები, შევასრულო შენი დარიგება.

მოძღვარი : ახლა მარხვაზე ვისაუბროთ. ერში ბევრს მარხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ჰგონია. მიეჩვივნენ, იგი საგანგებოდ მონაზვნურ საქმედ ჩათვალონ, ერისკაცთათვის კი სავალდებულოდ არ მიიჩნევენ. თითქოს იგი სიძველის გადმონაშთი, რალაც უაზრო, არაფრისთვის საჭირო ფორმალობა და მკვდარი განაწესი იყოს. რასაკვირველია, ეკლესიურმა ადამიანმა უხერხულია თქვას, რომ მარხვა არ არის საჭირო, მაგრამ მის დარღვევას იმდენად ლმობიერად ეკიდებიან, რომ უთქმელადაც აშკარაა – მორწმუნეთა უდიდესი უმრავლესობა მარხვის მიმართ გულგრილი გახდა. ეს კი ქრისტიანთა ამა სოფლისკენ მიდრეკის ერთ-ერთი მიზეზია. ამიტომაც გაეკლესიურება დაუყოვნებლივ მოითხოვს მარხვითი განაწესის აღსრულებას. იცი თუ არა, როგორ

მკაცრად ითხოვდა ეკლესია მარხვის დაცვას?! იცი თუ არა, რა მკაცრი სასჯელით იცავდა იგი მის შესრულებას?! მოციქულთა 69-ე კანონის მიხედვით: „თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, კერძო დიაკონმა, წიგნისმკითხველმა ან მგალობელმა წმინდა ორმოცი ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხოს, განიკვეთოს, თუ ხორციელი უძღურებით არ იყოს შეპყრობილი. თუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობით დაისაჯოს“.

მცირედ მნიშვნელოვანი საქმისათვის ასეთი სიმკაცრის გამოჩენა საჭირო არც იქნებოდა. ადამიანის შინაგან ცხოვრებაში მარხვის მნიშვნელობაზე ჩვენ ვილაპარაკეთ მაშინ, როდესაც მონაზვნობაზე ვსაუბრობდით. ახლა ვნახოთ, რა როლს ასრულებს იგი იმ შინაგანი ამოცანის განხორციელებაში, რომლის შესახებაც შეკითხვები.

მარხვა არა მარტო ავითარებს განსაკუთრებულ მგრძობელობას და არა მხოლოდ ერთი მძლავრი საშუალებათაგანია ვნებებთან ბრძოლაში, იგი, ლოცვის მსგავსად, ახალ განმყოფ ზღუდეს აღმართავს შენს სულიერ ცხოვრებასა და საერო ყოფას შორის. მარხვა იწყება საკვების შეზღუდვით, ხოლო მაღალ საფეხურებზე იგი ლოცვასა და ღვთის ჭვრეტასთან ერთობაში აღწევს უმაღლესს – უვნებობას (ძვ. ქართ. – უვნებელობას). უდაბლესი საფეხურიდან დაწყებული, იგი უკვე განგარიდებს საერო ცხოვრებას, სადაც მარხვა უცნაურობად და თითქმის სასაცილოდაც კი არის მიჩნეული. იქ ყველაფერს მიირთმევენ: დიდ ხუთშაბათსაც, როდესაც აღსრულდა საიდუმლო სერობა და გაიყიდა ძე კაცისა; დიდ პარასკევსაც, როდესაც ვისმენთ ღვთისმშობლის გოდებას ჯვარცმული ძის საფლავთან; დაფლვის დღესაც – ამა სოფლისთვის არ არსებობს არც ქრისტე, არც ღვთისმშობელი, არც საიდუმლო სერობა და არც გოლგოთა! როგორ შეიძლება, რომ მათ მარხვა დაიცვან? ჩვენ კი თითქმის არ ვიღებთ საზრდოს ამ დღეებში იმიტომ, რომ სულიერი ცხოვრება ქრისტეს ვნებათა შესახებ ხსოვნით გვაქვს მოცული. და თუ არ გსურს, პირვე-

ლი ნაბიჯი გადადგა საიმისოდ, რომ შენი ცხოვრება ერთგვარად შეერწყას „მათ“ ყოფას, არასოდეს დათმო მარხვა. მიჰყევი მას და დაიცავი იგი, როგორც ეკლესიის დიდი სიწმინდე. ყოველთვის, როდესაც მარხვის დღეებში თავს იკავებ აკრძალულის გასინჯვისაგან, შენ მთელს ეკლესიასთან სრული თანამოაზრობითა და თანაგრძნობით მოქმედებ. ამასვე იქმოდა ღვთისთვის სათნო ყველა წმინდანი და თავად ეკლესია მისი არსებობის პირველივე დღეებიდან. ეს მოგანიჭებს ძალასა და სიმტკიცეს სულიერ ცხოვრებაში და შეძლებ საერო ჩვევებით მცხოვრებთ თამამად, ღიად და მამაცურად გაემიჯნო. რადგან მარხვა ერთ-ერთი შეუძვრელი საძირკველია შენი უხილავი მონასტრისა.

უ ც ნ ბ ი : დიახ, შესაძლოა ამ თვალსაზრისით მარხვის დაცვა ყველაზე ადვილია. მე მზად ვარ, განსჯის გარეშე შევინახო იგი, რადგან ასეთია ეკლესიის წესი.

მ ო ძ ღ ვ ა რ ი : მაგრამ შენი შინაგანი ცხოვრების გზაზე ყველაზე მთავარი ამოცანაა ვნებებთან ბრძოლა და საერო საწყისებისგან თავის შინაგანად დაცვა. ეს ამოცანა ძირფესვიანად გარდაქმნის მთელ შენს ცხოვრებას და მას სრულიად ახალ შინაარსს მიანიჭებს, მთლიანად შეგიცვლის გარემომცველ სამყაროსთან მიმართებას. აქამდე საერთოდ არ იცნობდი შინაგან ბრძოლას ცოდვასთან. შენს წინაშე არ მდგარა საკითხი მარადიულ ცხოვრებაზე. მიწიერი ცხოვრება აღიარებს მხოლოდ იმ ზნეობრივ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთობებს მიწიერი ინტერესებისა და ამოცანების ფარგლებში. ცოდვა — ეს არის საღვთო რჯულის დარღვევა, რომელიც გაცხადდა ადამიანთათვის მარადიული ცხოვრების მისაღწევად. ამიტომაც, რაც ხალხს მოსაწონი ჰგონია, ღვთის წინაშე სისაძაგლეა. შენ არასდროს გადაგიხედავს შენივე სულიერი მდგომარეობის, გულისსიტყვების, გრძნობების, ქცევების, საერთოდ შენი შინაგანი და გარეგანი ცხოვრებისათვის ამ საღვთო რჯულის მაღალი მოთხოვნების თვალსაზრისით. მთელი შენი ზნეობრივი

ცნებანი და ცხოვრება ცხონების საკითხს საერთოდ არ ეხებოდა. აქამდე ცხოვრობდი, როგორც ნაწილაკი ამა სოფლისა — მისი კანონებითა და სტიქიებით. ახლა გმართებს, მთელ შენს ცხოვრებას შინაგანად გადახედო. რა ძრწოლა შეგიპყრობს, როცა ამ ახალი ნათების ფონზე საკუთარ თავს დაინახავ. წარმოიდგინე ერთ უთქმელი სილამაზის ტაძარი, რომელშიც ჭერამდეა ასული ნაგვის გროვები, საძაგელი სიბინძურე და ყოველგვარი უწმინდურება. ძვირფასი სამკაულები ყველაზე შორეულ და ბნელ კუთხეშია მიყრილი. ეს ტაძარი შენი გულია — სად არის იქ შენი სულიერი ცხოვრება, სად არის ძვირფასი საღვთო ნიჭი?! იქნებ ამა სოფლის სისადაგლემ ამოავსო შენი გული და ყველაფერი გადაფარა მასში?! ამიტომაც უნდა დაიწყო გულის განწმენდა, სულიერი ცხოვრების გათავისუფლება საერო ხარახურისგან სინანულითა და წმიდა ზიარებით, ლოცვითა და მარხვით, ყველაფერში საღვთო მოწყალებისადმი სასოებით. ეს არც ისე იოლი იქნება — ბრძოლა მოითხოვს უზარმაზრ ძალისხმევას, მოთმინებასა და რწმენას. იგი სრულად შთანთქავს ყურადღებას და აღავსებს მთელ შენს ცხოვრებას. ყველაფერი, იქნება ეს შენი ინტერესი, შეხედულებანი თუ გემოვნება, სხვანაირი გახდება. სიკეთედ მიიჩნევ არა იმას, რაც მიწიერ სიკეთეებს გაგიძრავს, არამედ რაც ხელს შეუწყობს შენს შინაგან აღშენებას. მიუღებელი იქნება არა ის, რაც მიწიერ სიკეთეებს შეგიძრავს, არამედ — რაც შენს ცხონებას წინ აღუდგება. არასოდეს გაგიჩნდება მოწყენილობის, ცხოვრების ამაოების შეგრძნება, არ გაგიტაცებს ადამიანებთან მოჩვენებითი ურთიერთობები და ლაყბობა, არ შეეცდები გარეგნული შთაბეჭდილებებით შეივსო ცხოვრება. დაისახავ შინაგანი მოწესრიგების უდიდეს ამოცანას, შეეცდები, ყოველივე დაითმინო საკუთარი ცხონების სასიკეთოდ — ეს შესძენს შენს ცხოვრებას ზნეობრივ სისავსეს. იმ მოვლენებს, რომლებსაც ერი გრანდიოზულად თვლის, შენ არაფრად მიიჩნევ, ხოლო ის, რასაც ადრე საერთოდ ვერც ამჩნევდი, შენ-

თვის დიდი და მნიშვნელოვანი გახდება. შენი ცხოვრების მრავალ უმნიშვნელო მოვლენას — შეხვედრებს ადამიანებთან, ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს, გამადიზიანებელ, ბოროტ სიტყვებს — ყველაფერს, რაც ადრე ყოფით წვრილმანად მიგაჩნდა, ახლა სულ სხვანაირად შეხედავ, რადგან შენთვის გადასხვაფერდება მათ უკან მდგომი სულიერი მდგომარეობანი. დაინახავ, რომ სულით ვნებებს დამონებიხარ, რომ შენს თავისუფალ სულს დაუკარგავს ჭეშმარიტი თავისუფლება, რომ საკუთარი თავისადმი სიყვარულის, ამოების, ამპარტავნების, გემოთმოყვარეობის, შეურის, მზვაობრობის, ეჭვიანობის, მრუშობის მონად ქცეულხარ.

სულიერი ცხოვრების დაწყება ნიშნავს, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადო შენზე გაბატონებულ ვნებებს. რამდენადაც თავისუფლდები მათგან, იმდენად განეშორები ამა სოფელს და დამკვიდრდები უხილავ მონასტერში. ნუ გგონია, რომ ამის მიღწევა უცბად შეიძლება და ნუ დალონდები იმის შემხედვარე, თუ რა ნელა და ცუდად მიდის საქმე. იცოდე, სულიერი კიბის ყველაზე მაღალ საფეხურებზეც ხდება საშინელი დაცემა და პირველ საფეხურებზეც შეიძლება სულმა საღვთო მოწყალებით ღვთაებრივი მაღლი მიიღოს. ამიტომაც არასოდეს გძლიოს ამპარტავნებამ ბევრის მიღწევით, რადგან შეიძლება ყოველივე მყისიერად დაკარგო, და არ იღარდო მცირედის შესრულებაზე, რადგან ყველაფერი ღვთის ხელთაა. იშრომე მშვიდად, დაუცხრომლად, მოთმინებით; არასოდეს იკითხო — კიდევ დიდხანს დაგქანცავს თუ არა ბრძოლა და როდის მოვა სასურველი გათავისუფლება?! და თუ მაინც იკითხავ, პასუხი მზად არის: — იბრძოლებ შენს აღსასრულამდე, გამუდმებით, ვიდრე უფალი არ მიგიხმობს. და არასდროს ითვალო ნაყოფთა რაოდენობა. შენ მხოლოდ შრომაზე უნდა იფიქრო, ნაყოფი კი უფლისაგან მოდის. მისი მიღების მოლოდინი ბადებს მოუთმენლობას, მოუთმენლობა — მჭმუნვარებას, მჭმუნვარება — ვნებებს. თუ ადამიანს უიმედობა დაეუფლა, იგი ყველაფერზე ჩაიქნევს ხელს და იტყვის: — მაინც არა-

ფერი გამოვა! მის ამგვარ განწყობილებას ჩაენაცვლება სურვილი — იცხოვროს ისე, როგორც ყველა ცხოვრობს. მტერი ხშირად ასე აბამს ხაფანგში ადამიანებს. მოსაგრე თავიდანვე შინაგანად უნდა განეწყოს, რომ ნაყოფის მიღების შესახებ აზრიც კი ეშმაკისეულად ჩათვალოს. პირადი ღვაწლიდან სულიერი ნაყოფის მიღების მოლოდინი საკუთარი ძალების იმედად ყოფნას ნიშნავს, სულიერ ცხოვრებაში კი ყველაფერი საღვთო შემწეობას, უფლის წმიდა ნებას, საღვთო მადლს უნდა მივანდლოთ. ამიტომ თავმდაბლად აკეთე ის, რასაც ჩვენგან ითხოვს უფალი. არა მხოლოდ ნაყოფს არ უნდა ელოდო, არამედ არც შეშფოთდე, თუ მას აშკარად ვერ იღებ. ყოველთვის გახსოვდეს წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები: „საერთოდ, ღმერთი გვირგვინით ამკობს მოღვაწეებს მათი განწყობის და არა ღვაწლის აღსასრულის მიხედვით“. აი, ეს განწყობა და მისგან გამომდინარე შრომა მოგეთხოვება. ზოგჯერ უფალი ადამიანის თავმდაბლობასა და მოთმინებას მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში გამოცდის. არ ანიჭებს მას მადლმოსილებას — იგი მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე მიეცემა უფლის მიერ, მისი გამოუთქმელი წყალობით, მთელი მოსაგრეობითი ცხოვრების ღვაწლის მიხედვით.

სულიერი ცხოვრების გზა რთულია, მაგრამ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტი ცხოვრება, რადგან მხოლოდ მას მივყავართ გადარჩენისა და მარადიული ცხოვრებისკენ. ამ გზის გავლა და უხილავი მონასტრის შექმნა კიდევ ერთ პირობას ითხოვს: სულიერ წინამძღვრობას, ეს კი გულისხმობს მორჩილებას. ის, რაც მონასტერში მორჩილისთვის არის ილუმენი ან ბერი, შენთვის ამა სოფლად ასეთად უნდა გახდეს შენი მოძღვარი. მას უნდა მიანდო შენი სული სამოდვროდ და ვალდებული ხარ, დაემორჩილო.

უცნობი: ვერ წარმომიდგენია, როგორ ხორციელდება მორჩილება ამა სოფლად. მორჩილება ხომ ცხოვრებაში თითოეულ ნაბიჯზე მოძღვრის ლოცვა-კურთხევას ითხოვს. როგორ მოვახერხებ ამას, როცა ჩემი მოძღვრის ნახვა უკეთეს შემთხვევა-

ში კვირაში ერთი-ორჯერ თუ შემოდია. საერო ცხოვრება არ იცდის და ხშირად, სურვილის მიუხედავად, შეუძლებელი ხდება, ჰკითხო მოძღვარს, თუ როგორ მოიქცე ამა თუ იმ შემთხვევაში. ეს რა სულიერი წინამძღვრობაა, როგორი მორჩილებაა?!

მოდვარი: რა თქმა უნდა, საერო და სამონასტრო სულიერი წინამძღვრობაცა და მორჩილებაც გარეგნულად რამდენადმე განსხვავდებიან, მაგრამ შინაგანად ერთმანეთის მსგავსნი არიან. სულიერი წინამძღვრობა შესაძლებელია არა მხოლოდ მონასტერში და არა მხოლოდ ამა სოფლად სულიერ მამასთან მუდმივი თუ ხშირი ურთიერთობით, იგი შესაძლებელია იმ იშვიათ შემთხვევაშიც, როდესაც გარეგნული ურთიერთობა საერთოდ აღკვეთილია. ბერები და დაყუდებულნი ხშირად წინამძღვრობდნენ მათგან შორს მცხოვრები მონაზვნებისა და ერისკაცების ცხოვრებას, რომლებთანაც პირადი ურთიერთობა საერთოდ არ ჰქონდათ. რასაკვირველია, ასეთი წინამძღვრობა ეხებოდა შინაგანი ცხოვრების უმთავრეს მომენტებს. იგულისხმებოდა, რომ მოძღვარმა გულთ მიიბარა ამგვარი მორჩილის სულიერი ცხოვრება და ეს უკანასკნელიც, გარეგნული ურთიერთობის გარეშე, მუდამ მასთან იქნება იმ შინაგანი ურთიერთშეთანხმებით, რომელიც მანძილზე არ არის დამოკიდებული. მით უფრო სრულად შესაძლებელია წინამძღვრობა ამა სოფლად ჩვეულებრივ პირობებში, როდესაც არსებობს სულიერ მამასთან გარეგნული, თუმცა მონასტერთან შედარებით არც იმდენად ხშირი ურთიერთობის საშუალება. რაც შეეხება მორჩილებას, აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს თავად მორჩილების განწყობის არსებობას და არა მის პრაქტიკულ მნიშვნელობას, ანუ ბრძანებათა აღსრულებას.

უცნობი: განმიმარტე ეს.

მოდვარი: მტკიცედ შეიგნე, რომ მორჩილება სათნობაა. არ არსებობს ისეთი სათნობა, რომლის მოსაპოვებლადაც საკმარისი იქნებოდა მისი შეძენის მარტოოდენ წარფელი სურვილი. აქ საჭიროა გადაწყვეტილების მიღება. მორჩილების სათ-

ნობაც იწყება სათანადო გადაწყვეტილების მიღებით და შემდეგ მიიღწევა საღვთო მადლითა და ადამიანის პირადი შრომით. იგი ერთ-ერთი ურთულესი სათნოებაა და მისი სრულყოფის გზაზე ყოველთვის მიმდინარეობს სასტიკი უხილავი ბრძოლა მტერთან. მორჩილება არ ნიშნავს ადამიანისადმი ერთგულებას, საკუთარი ნების უარყოფას კაცობრივი ნების სასარგებლოდ, თუმცა არეგნულად ეს ასე ჩანს. მორჩილება არის ღვთისადმი ერთგულება და საკუთარი ნების უარყოფა საღვთო ნების სახელით. იგი უფლისთვის სრულდება და თავის უმაღლეს საფეხურებზე საკუთარი პიროვნულობის სრული უარყოფით ვლინდება; მორჩილება არ არის თანხმობა, ამიტომაც იგი არ გულისხმობს დამოუკიდებელ ცოდნას ყველაფერში, რაც ეხება შეცნობას, ნებასა და შეგრძნებას. დამოუკიდებელი ცოდნა მხოლოდ ერთს – ეკლესიის სწავლების სიწმინდეს უნდა ეხებოდეს. ამიტომ დაგვარიგეს წმინდა მამებმა, სრულიად დავემორჩილოთ ჩვენს სულიერ მამებს ყოველგვარი განსჯის გარეშე, მაშინაც „როცა გვეგონია, რომ მათი მოთხოვნები მკვეთრად ეწინააღმდეგება იმას, რაც სასარგებლოა ჩვენი ცხოვრებისათვის“ (აბბა დოროთე) და მხოლოდ იმ შემთხვევაში დავარღვიოთ მორჩილების აღთქმა, როცა სულიერი მამა ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგო სწავლებას დაიწყებს (წმინდა ანტონი დიდი).

უ ც ნ ბ ი : თუ სულიერი მამის მითითებანი აშკარად მცდარია?

მ ო ძ ვ ა რ ი : წმინდანთა ცხოვრებებში მოთხრობილია ანჩხლ ბერზე, რომელიც აბუჩად იგდებდა და სცემდა თავის მორჩილს; ის კი ბერისადმი ბოლომდე მორჩილი დარჩა და ზუსტად ამის წყალობით მოიპოვა სიწმინდე, რაც სასწაულით დადასტურდა. მოძღვარი საკუთარ შეცდომებსა და ცოდვებზე ღვთის წინაშე აგებს პასუხს. ხოლო მორჩილისათვის ასეთი შეცდომების ყველა შედეგს გადაფარავს სულიერ ცხოვრებაში მორჩილების ყოვლისმომცველი მნიშვნელობა. აი, ამიტომაც არის შესაძლებელი

მორჩილება ამა სოფლად, სადაც შინაგანი ცხოვრებისთვის მისი მნიშვნელობა შეუცვლელი რჩება. სულიერ ცხოვრებაში პირველხარისხოვანია არა ამა თუ იმ მითითებათა პრაქტიკულად შესრულება და მათი შეუმცდარობა, არამედ მორჩილის შინაგანი მზადყოფნა — შეასრულოს მორჩილების აღთქმა. ასეთი მზადყოფნა მორჩილის შინაგანი მდგომარეობაა, რაც გადაფარავს მოძღვრის არასწორ მითითებათა ყველა მავნე შედეგს, ჩაანაცვლებს მის დარიგებებს, რომელთა მუდმივად გამოთხოვა შეუძლებელია გარემოებათა გამო. გარდა ამისა, როგორც ყოველთვის, აქაც გახსოვდეს საღვთო მზრუნველობა ჩვენდამი. უფალი ხედავს მთელ ჩვენს ცხოვრებას: რა არ გვსურს და არ შეგვიძლია. იგი ჩვენთვის შეუძლებელს, მაგრამ საჭიროს, თავისი განგებულებითი მზრუნველობით აანაზღაურებს.

აი ის, რისი გაკეთებაც გმართებს, რათა ეკლესიის სწავლების ჭეშმარიტების აღიარებიდან ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრებისაკენ გადაინაცვლო. საჭიროა „საკუთარი სული უდაბნოში გაიყვანო“ (წმინდა იოანე ოქროპირი), შეინანო ეკლესიაში, გამუდმებით ეზიარო წმიდა საიდუმლოებს, ილოცო, დაიცვა მარხვა და ეკლესიის განაწესი, გყავდეს სულიერი მამა, რომელიც წარმართავს შენს ცხოვრებას, შენ კი მის მიმართ მორჩილების ვალდებულებას იკისრებ, და მაშინ საღვთო შემწეობით, მისი უდიდესი გულმონწყალებით მიიღებ იმას, რის შესახებაც მეკითხები: ახლებურად ცხოვრებას დაიწყებ, ნამდვილი რწმენით აღივსები, ამა სოფლად შენთვის მონასტერს შექმნი.

უ ც ნ ო ბ ი : დიახ, ახლა ყველაფერი ნათელია.

მ ო ძ ღ ვ ა რ ი : მაგრამ უნდა გაგაფრთხილო — ჩვენი ცხონების მტერს არ უყვარს, ხელიდან გაუშვას ადამიანის სული და ისწრაფვის, ცხონების გზაზე თითოეული შემდგარი თავის ხლართებში მოაქციოს. იგი შენს წინ აღმართავს მოულოდნელ წინააღმდეგობებს, შინაგანსაც და გარეგანსაც, ყოველგვარი საცდურით ავიმხედრდება, დაცემის უფსკრულში გადაგისვრის, დაუ-

ჯერებელ ხრიკებს მოგიწობს. აქ ყოველივეს უნდა ელოდო და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. გახსოვდეს პეტრე მოციქულის სიტყვები: „განიფრთხვეთ, მღვიძარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა“ (I პეტ. 5,8). ეს თქვა მოციქულმა, რომელმაც თავად უარყო ქრისტე და შემდგომად ამისა უფალმა მას სამჯერ მოუწოდა: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ და გახდა მოციქულთა თავი. წარმართთათვის ასეთადვე იქცა ქრისტიანთა მდევნელი საველეც. შენ საღვთო განგებულებამ მოგიყვანა ეკლესიაში, სადაც წყაროა ცხოვრებისა. მაშ შეუდექ ცხონების გზას მტკიცედ, ურყევად, ორჭოფობის გარეშე და დაიწყე ცხოვრება თავიდან.

უცნობი : დიახ, მე მზად ვარ! ვხედავ, რომ არ არსებობს სხვა ცხოვრება. მაკურთხე ამ გზაზე...

მოძღვარი : დაე, გაკურთხოს უფალმა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. ამინ.

თარგმნა ნინო ბელთაძემ

წიგნიდან Протоиерей Валентин Свенцицкий «Избранное», Издательская группа Свято-Троице-Серафимо-Дивеевского женского монастыря.



სულიერი სახლის აღშენებისა და სრულყოფისათვის

წმიდა წერილი მოიხსენებს ბებიაქალებს, რომლებიც ისრაელიანთა ვაჟებს ცოცხლებს ტოვებდნენ, რადგან „ეშინოდა ყრმის აღმქუმელთა მათ ღმრთისა, იშენეს თავისა თვისისა სახლები“ (გამ. 1, 21). აქ მიწიერი სახლები იგულისხმება? და რას ნიშნავს: აღვივით სახლები ღმრთის შიშით?

წმიდა წერილი (ამ შემთხვევაში) გვესაუბრება არა მიწიერ სახლზე, არამედ სულიერზე, რომელსაც ადამიანი საღმრთო მცნებების დაცვით აღაშენებს. წმიდა წერილი გვასწავლის, რომ ღმრთის შიში სულს მცნებების დასაცავად აღძრავს და მცნებათა შემწეობით აღშენდება სულიერი სახლი. ჩვენც ყურადღებით ვიყოთ, ძმანო, საკუთარი თავის მიმართ, გვეშინოდეს ღმრთისა, აღვაშენოთ ჩვენთვის სახლები, რათა გვქონდეს თავშესაფარი ზამთარში, ავდარში, ელვასა და ჭექა-ქუხილში, რადგან უდიდესი განსაცდელი ატყდება იმას, ვისაც ზამთარში თავშესაფარი არა აქვს. როგორ შენდება სულიერი სახლი? მიწიერი სახლის შენება ზედმიწევნით შეგვასწავლის ამ საქმეს. ვისაც ამგვარი სახლის აგება სურს, მან ყოველმხრივ უნდა გაამაგროს იგი, კედლები ოთხივე მხარეს უნდა ამოიყვანოს, და მხოლოდ ერთ მხარეზე არ უნდა იზრუნოს, დანარჩენები კი უყურადღებოდ დატოვოს: ამგვარად ის ვერავითარ სარგებელს ვერ იპოვის, ხარჯსაც ამაოდ გასწევს და შრომასაც. ასევე ხდება სულთან მიმართებაშიც: თუკი ადამიანს სურს ააგოს სულიერი სახლი, მან დაუზარებლად უნდა იზრუნოს მის ყოველმხრივ და თანაბრად აგებაზე. ეს იგულისხმება აბბა იოანეს გამონათქვამში: „მსურს, რომ ადამიანმა ყოველდღიურად მოიპოვოს ყოველთა სათნობათაგან

მცირე ნაწილი“. არა იმგვარად, როგორც ზოგიერთები იქცევი-
ან, ამოირჩევენ რომელიმე სათნოებას და მხოლოდ მას აღასრუ-
ლებენ, დანარჩენებს კი უგულებელყოფენ. შესაძლოა ამ სათნო-
ებისთვის აღიდებენ კაცნი და ამიტომაც აღასრულებენ მას გულ-
მოდგინედ და აღარც ეშმაკი ებრძვით ამის გამო. ამ ადამიანებს
შეუმჩნევლად წარიტაცებენ და აშფოთებენ სხვა ვნებები, მაგრამ
არ ეწინააღმდეგებიან მათ და ჰგონიათ, რომ რაღაცას მიაღწიეს.
ასეთები მიემსგავსებიან ადამიანს, რომელიც მხოლოდ ერთ კე-
დელს აღმართავს, თანაც რაც შეიძლება მაღალს, და ფიქრობს,
რომ უდიდესი საქმე აღასრულა, და არ უწყის, რომ ოდესმე ძლი-
ერი ქარი დაბერავს და გადააქცევს, რადგან მას არაფერი ამაგ-
რებს. ამასთან, ერთი კედელი საფარად არავის გამოადგება, რად-
გან სხვა მხრივ არაფერი იცავს. უგუნურებაა ამგვარი ქცევა. ვი-
საც სურს სახლი აიშენოს და თავშესაფარი ჰქონდეს, მართებს
ააშენოს და ოთხივე მხრიდან გაამაგროს. მინდა ავიხსნათ, რო-
გორ უნდა მოხდეს ეს.

თავდაპირველად საძირკველი უნდა დავდოთ, რაც არის სარ-
წმუნოება: რადგან „თვნიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ
არს სათნო-ყოფაჲ“ ღმრთისა (ებრ. 11, 6). ამ საძირკველზე უნ-
და აავოს ადამიანმა კედლები თანაბრად და თანწყობილად: რო-
დესაც მორჩილების გამოჩენა მოუწევს, დადოს ერთი ქვა მორ-
ჩილებისა; როდესაც ძმისაგან განსაცდელი შეემთხვევა, დადოს
სულგრძელების ერთი ქვა; როდესაც მარხვის დრო დადგება, და-
დოს ერთი ქვა მარხვისა. ამგვარად, ყოველი სათნოებისგან უნ-
და შეკრიბოს სათითაოდ და ააშენოს სულიერი სახლი, უნდა აა-
გოს ყოველმხრივ — ხან ღმობიერების ქვა დადოს, ხან — საკუ-
თარი ნების მოკვეთისა, ხან — სიმშვიდისა და სხვანი კიდევ მსგავ-
სად ამისა. ამასთან ერთად მხნეობასა და მოთმინებაზეც უნდა იზ-
რუნოს: რადგან ისინი არიან ქვაკუთხედნი, რომლითაც იკვრება
შენობა და უერთდება კედელი კედელს, რათა არ გადაიქცნენ.

მოთმინებისა და მხნეობის გარეშე ვერავინ შეძლებს რომელიმე სათნოების აღსრულებას. თუკი ადამიანს მხნე გული არა აქვს, მას არც მოთმინება ექნება, ხოლო ვისაც მოთმინება არა აქვს, მას არაფერი ძალუძს. ამიტომ ითქვა: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვეთ სულნი თქუენნი“ (ლკ. 21, 19).

მშენებელი ქვეს კირით აერთებს, რადგან კირის გარეშე ქვები ჩამოცვივა და სახლი წაიქცევა. კირი არის სიმდაბლე, რადგანაც ის მიწაში მოიპოვება და ფეხქვეშ აქვს თითოეულ ადამიანს. ყოველი სათნოება, რომელიც სიმდაბლის გარეშე აღესრულება, არ არის სათნოება. ამის შესახებ ნათქვამია პატერიკში: „როგორც ხომალდის აგებაა შეუძლებელი სამსჭვალთა გარეშე, ასევე შეუძლებელია ცხონება სიმდაბლის გარეშე“. ამგვარად, თითოეულს მართებს ყოველი სიკეთე სიმდაბლით აღასრულოს, რათა ამ სიმდაბლემ დაიცვას მისი კეთილი საქმე. სახლს გასამაგრებლად ე. წ. სარტყელიც ესაჭიროება, რაც არის განსჯა (განკითხვა): ის განამტკიცებს შენობას, ქვას ქვასთან აღუღაბებს და კედლებს აერთებს, ამასთან დიდად ამშვენებს სახლსაც. ხოლო სახლის სახურავი არის სიყვარული, რომელიც თავია სათნოებათა, ისევე, როგორც სახურავია სახლის თავი. სახურავის გარშემო მოაჯირი* უნდა შემოავლო. რას ნიშნავს მოაჯირი სახურავის გარშემო? სჯულში წერია: „უკუეთუ აღიგოთ თავთა თქუენთათჳს სახლი, დაბურეთ ერდო მისი, რადგან არა შთამოიჭრნენ შჳლნი თქუენნი ერდოისაგან ქვე“ (2 სჯლ. 22, 8). მოაჯირი არის სიმდაბლე, რადგან იცავს და იფარავს ყოველ სათნოებას. როგორც ყოველი სათნოება უნდა აღესრულებოდეს სიმდაბლით, მსგავსად იმისა, რაც უკვე ვთქვით, რომ ყოველ ქვას კირი დაედება, ასევე სათნოების სრულყოფისათვის საჭიროა სიმდაბლე. წმინდანნი რაც უფრო წარემატებიან ღვაწლში, მით მეტ სიმდაბლეს ავლენ-

* ამგვარი მოაჯირი გავრცელებულია აღმოსავლეთში, სადაც სახლს ტერასულად ხურავენ.

ნენ. არაერთხელ გვითქვამს, რომ რაც უფრო უახლოვდება ადამიანი ღმერთს, მით მეტად შეიცნობს საკუთარ თავს ცოდვილად. ვინ არიან შვილები, რომელთა შესახებ გვაუწყებს სჯული, რომ არ უნდა გადმოცვივდნენ ერლოდან? შვილები გულისსიტყვებია. ისინი სულში არიან, მათი დაცვა გვმართებს სიმდაბლით, რათა შენობის ერლოდან არ გადმოიჭრნენ.

სახლის შენება დასრულდა. მას სარტყელიც აქვს, სახურავიც, რომლის შესახებ ვთქვით, რომ ის არის სათნოებათა თავი. ერლოც გვაქვს და მოაჯირიც, სახლი მზად არის, კიდევ რაიმე ხომ არ აკლია? თუმცა ერთი რამ არ გვითქვამს. სახლის მშენებელი დახელოვნებული უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კედელი გაუმრუდდება და სახლი ოდესმე დაიქცევა. ხელოვანი კი არის ის, ვინც გონივრულად ადასრულებს (სათნოებებს). ზოგიერთი იტვირთავს სათნოებას, მაგრამ იმის გამო, რომ უგუნურად ადასრულებს, წაახდენს საქმეს და ბოლომდე ვერ მიიყვანს. დადებს ერთ ქვას, მაგრამ ისევ აიღებს. სხვა კიდევ ერთს დადებს და ორს აიღებს. მაგალითად, მოვიდა ძმა და გითხრა შეურაცხყოფელი ან გულსატკენი სიტყვა. თუკი დადუმდები და მუხლს მოუდრეკ მას, ამით ერთ ქვას დადებ. შემდეგ მიდიხარ და სხვა ძმას ეუბნები: „ამა და ამ ძმამ ესა და ეს მითხრა, მე არა თუ დავუთმე, მუხლიც მოვუდრიკე“. შენ ერთი ქვა კი დადე, მაგრამ ორი აიდე. აგრეთვე, როდესაც კაცი სხვას მოუდრეკს მუხლს იმისთვის, რომ შეაქონ, (მასში) არის სიმდაბლე, მაგრამ ის ნაზავია ამპარტავნებასთან: ეს ნიშნავს ქვის დადებასა და აღებას. ხოლო ვინც გონივრულად ადასრულებს მეტანიას, ის მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ცოდვილია და თავად დააბრკოლა ძმა: აი, რას ნიშნავს გონივრულად მუხლის მოდრეკა. სხვა მდუმარებს, მაგრამ არა გონივრულად, რადგან ფიქრობს, რომ სათნოებას ადასრულებს. ამ დროს ის არ არის სათნოების აღმასრულებელი. მამათა სწავლების თანახმად ის, ვინც გონივრულად

დუმს, ფიქრობს, რომ ღირსი არ არის ისაუბროს. ეს არის გონივრული მღუპარება. და ისევ, ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს შეურაცხყოფს და ფიქრობს, რომ უდიდეს საქმეს აკეთებს და თავმდაბალია; მან არ იცის, რომ ხელცარიელია, რადგან უგულისხმოდ იქცევა. ხოლო გულისხმისყოფით თავის არაფრად შეურაცხვა ნიშნავს, ადამიანს თავი კაცთა რიცხვში შეურაცხვის უღირსად მიაჩნდეს, როგორც მამა მოსე ეუბნებოდა საკუთარ თავს: „შაკვანიანო! რად ერევი კაცთა შორის, შენ ხომ ადამიანი არა ხარ?“

ვიღაც ემსახურება ავადმყოფს, მაგრამ ემსახურება ჯილდოსთვის. ესეც უგულისხმოებაა. განსაცდელი მას ამ კეთილი საქმისგან ადვილად განაშორებს. მას ვერ მიჰყავს საქმე ბოლომდე იმიტომ, რომ უგულისხმოდ აღასრულებს; ხოლო ვინც გონივრულად ემსახურება სნეულს, ემსახურება იმისთვის, რომ მოიპოვოს გულის შემუსვრილება. ვინც ამგვარად იღვწის, რაც უნდა შეემთხვეს, გარეგანი განსაცდელი იქნება თუ თავად ავადმყოფი განურისხდება, უდრტვინველად იტანს ყოველივეს, რადგან იცის, რატომ ემსახურება მას და, რომ ავადმყოფი უფრო დიდ სიკეთეს იქმნის მისთვის, ვიდრე თავად — ავადმყოფისთვის. მერწმუნეთ, ვინც გულისხმიერად ემსახურება სნეულს, ის ვნებათაგან და ბრძოლისაგან დაფარულია. ვიცნობ ერთ ძმას, რომელსაც ბოროტი გულისსიტყვები ებრძოდნენ და გათავისუფლდა მათგან, რადგან გულისხმიერებით ემსახურებოდა წყალმანკით დაავადებულ ძმას. ევაგრე ერთი დიდი ბერის შესახებ ამბობს, რომ მან ძმათაგან ერთ-ერთს, რომელსაც ღამეული ზმანებანი ტანჯავდნენ, მათგან გასათავისუფლებლად უბრძანა ემარხულა და მომსახურებოდა სნეულთ. ამის შესახებ კითხვაზე მან უპასუხა, რომ ეს ვნება ისე კარგად არაფრით იკურნება, როგორც უძღურთა მიმართ თანაღმობით.

თუკი ადამიანი მარხულობს თავმოძვრის ან ფიქრობს, რომ სათნოებას აღასრულებს, ის უგულისხმოდ მარხულობს და ამის შედეგად იწყებს ძმის შეურაცხყოფას, რადგან საკუთარი თავი უკეთესად მიაჩნია. ასეთი ადამიანი არათუ ერთ ქვას დადებს და ორს აიღებს, არამედ მოყვასის განკითხვის გამო მთელ შენობას დააქცევს. ხოლო ვინც გონივრულად მარხულობს, მას არ მიაჩნია, რომ სათნოებას აღასრულებს, არ სურს ქება-დიდება შეასხან როგორც მმარხველს, არამედ სურს მარხვით მოიპოვოს სიწმინდე, მისი მეშვეობით კი სიმდაბლე, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან: „გულისხმისყოფით აღსრულებული ხორციელი ღვაწლი შობს სიმდაბლეს“. ამგვარად, ყოველი სათნოება ადამიანმა გულისხმისყოფით უნდა აღასრულოს, რათა შეითვისოს და ჩვევად ექცეს, (ასეთი) ადამიანი გახდება დახელოვნებული ხუროთმოძღვარი და თავისი სულისთვის მტკიცე სახლს ააგებს.

ვისაც სურს ღმერთის შეწევნით ასეთ მაღლისმიერ მდგომარეობას მიაღწიოს, ნუ იტყვის, რომ ღიღინ არიან სათნოებები და შეუძლებელია მათი მოპოვება. ვინც ამას ამბობს, მას ან ღმერთის შეწევნის იმედი არა აქვს, ან არ სურს თავი კეთილ საქმეს მიუძღვნას. დაასახელებთ რომელიც გნებავთ სათნოება. ჩვენ განვიხილავთ მას და თქვენ იხილავთ, რომ ჩვენზეა დამოკიდებული მისი აღსრულება, თუკი მოვისურვებთ. წმიდა წერილი გვეუბნება: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (ლევ. 19, 18; მთ. 5, 44). ნუ მიაქცევ ყურადღებას, რაოდენ შორს ხარ ამ სათნოებისგან, რათა შეძრწუნებულმა არ თქვა: „როგორ შემიძლია შევიყუარო მოყვასი, როგორც საკუთარი თავი? როგორ შემიძლია ვიზრუნო მის საჭიროებებზე როგორც საკუთარზე, განსაკუთრებით, რომლებიც გულში აქვს დაფარული და არავინ უწყის? ნუ გაგიტაცებს ამგვარი მსჯელობა და ნუ იფიქრებ, რომ სათნოება აღემატება შენს ძალებს და შეუძლებელია მისი აღსრულება. იწყე სათნოების აღსრულება ღმერთისადმი სასოებით, უჩ-

ვენე მას შენი ნება და მცდელობა და იხილავ შეწევნას, რომელსაც ის მოგანიჭებს სათნოების აღსასრულებლად. წარმოიდგინე ორი კიბე: ერთი ზეცად აღმყვანია, მეორე — ჯოჯოხეთად ჩამყვანი, ხოლო შენ მიწაზე დგახარ მათ შორის. ნუ იფიქრებ და ნუ იტყვი: როგორ შემიძლია მოვწყდე მიწას და აღვფრინდე ზეცად, ანუ განვასრულო ეს კიბე? ეს შეუძლებელია და არც ღმერთი ითხოვს ამას შენგან. მხოლოდ ეცადე, რომ ქვევით არ ჩახვიდე. ნუ გაუკეთებ მოყვასს ბოროტებას, ცუდს ნურაფერს ეტყვი, ცილს ნუ დასწამებ, ნუ შეურაცხყოფ, ნუ განიკითხავ და ამის შემდეგ თანდათან შეძლებ მისთვის კეთილი საქმის აღსრულებას, ანუ გეშებ სიტყვით, გაიზიარებ მის ტკივილს ან შეეწევი იმით, რაც სჭირდება. ამგვარად, ახვალ ერთი საფეხურიდან მეორეზე და ღმერთის შეწევნით კიბის თავსაც მიაღწევ. მოყვასის შეწევნაში თანდათანობით იქამდე მიხვალ, რომ სიკეთესა და წარმატებას მისთვის ისევე ისურვებ, როგორც საკუთარი თავისთვის. სწორედ ამას ნიშნავს „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

რასაც ვეძებთ, ვიპოვით კიდევ და თუკი შევევედრებით ღმერთს, განგვანათლებს კიდევ, რადგან წმიდა სახარებაში ნათქვამია: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ“ (მთ. 7, 7). „ითხოვდით“ ნათქვამია იმისთვის, რომ მოვუწოდოთ ღმერთს ლოცვით. ძიება ნიშნავს გამოვიძიოთ, თუ რა გზით მოიპოვება სათნოება და რა უნდა აღვასრულოთ მის მოსაპოვებლად. „ეძიებდით და ჰპოოთ“ — ნიშნავს მუდმივ ძიებას. ხოლო „ირეკდით“ ნიშნავს მცნებათა აღსრულებას, რადგან რეკვა არის სათნოებათა ქმნა, ადამიანი ხელით რეკავს, ხოლო ხელები ნიშნავს საქმეს. ამგვარად, არა მარტო უნდა ვითხოვოთ, არამედ ვეძიოთ და ვიქმოდეოთ კიდევ. ვეცადოთ, როგორც მოციქული გვასწავლის, „მტკიცე ვიყვნეთ ყოველსავე ზედა საქმესა კეთილსა და განმზადებულ“ (2 ტიმ. 3, 17). რას ნიშ-

ნავს ვიყოთ განმზადებული? როდესაც ადამიანს ხომალდის აგება სურს, წინასწარ ყოველივე საჭიროს მოამზადებს, თვით უწვრილეს სამსჭვალს, ფისსა და კანაფის ძენძსაც კი. ასევე, თუკი დედაკაცი გადაწყვეტს ტილოს მოქსოვას, მომდარაგებს ძაფს. სწორედ საქმისთვის ყოველივე აუცილებელის მომზადებას ჰქვია მზადყოფნა. ჩვენც ამგვარად გავემზადოთ ყოველი კეთილი საქმის აღსასრულებლად, რათა გულისხმისყოფით აღვასრულოთ ღმერთის ნება, როგორც მას სურს და ესათნობა. რას ნიშნავს მოციქულის სიტყვები: „ნებაჲ კეთილი, სათნოჲ და სრული“ (რომ. 12, 2)? ყოველივე, რაც აღესრულება, აღესრულება ან ღმერთის კეთილი ნებით ან მისი მიშვებით, როგორც წინასწარმეტყველი იტყვის: „მე ვარ უფალი, რომელმან დაგბადე ნათელი, და ვქმენ ბნელი“ (ეს. 45, 7). და აგრეთვე: „იყოს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი უფალმან არა ქმნის“ (ამოს. 3, 6). სიბოროტეში იგულისხმება ყოველივე ის, რაც გვამძიმებს, ანუ ის განსაცდელეები, რომლებიც მოგვეწევა განსწავლისთვის: შიმშილი, ჭირი, მიწისძვრა, გვალვა, ავადმყოფობანი, ბრძოლანი. ეს ყოველივე მოგვეწევა არა ღმერთის კეთილი ნებით, არამედ მისი მიშვებით, რათა გამოვსწორდეთ. თუმცა ღმერთს არ სურს, რომ ჩვენც გვსურდეს ამ სასჯელის მოწევნა და ვმონაწილეობდეთ მასში. მაგალითად, ღვთის ნებით დაშვებულია რომელიმე ქალაქის დაქცევა, მაგრამ მას არ სურს, ჩვენ თავად წავუკიდოთ მას ცეცხლი ან ავიღოთ ნაჯახები და ჩვენი ხელით დავანგრიოთ. ასევე, როდესაც ღმერთის მიშვებით რომელიმე ადამიანს მოეწევა განსაცდელი ან ავადმყოფობა, მას არ სურს, რომ ჩვენც გულის ვტკენდეთ ამ ადამიანს ან ვამბობდეთ: ის ხომ ღმერთის ნებით დასწულდა, და არ შევიბრალოთ. ღმერთს ეს როდი სურს. პირიქით, მისი ნებაა გვიხილოს იმდენად კეთილნი, რომ არ გვსურდეს მის მიერ სხვაზე დაშვებული განსაცდელი. ნებავს, რომ მისი კეთილი ნების მოსურნენი ვიყოთ, რაც არის მცნებათა

დაცვა, ურთიერთ სიყვარული, ვიყოთ ღმობიერნი, გავიღოთ მოწყალება და სხვა ამის მსგავსი. ეს არის ღმერთის კეთილი ნება. რას ნიშნავს სათნო? ყოველი კეთილი საქმე როდი აღესრულება ღმრთივსათნოდ. მაგალითად, თუკი ადამიანს შეხვდება ლატაკი ობოლი, რომელიც გარეგნულად ლამაზია, გარეგნობის გამო მოეწონება და წაიყვანს აღსაზრდელად, როგორც გლახაკ ობოლს, მაგრამ ამავე დროს ლამაზს, ეს არის კეთილი საქმე და ღმრთის ნების აღსრულება, მაგრამ არა — სათნოება. ხოლო სათნოება არის ის, როდესაც ადამიანი მოწყალებას აღასრულებს არა რაიმე ადამიანური გულისთქმის გამო, არამედ ღმობიერებით. სწორედ ეს ესათნოება ღმერთს. სრული (ნება ღმრთისა) არის ის, როდესაც ადამიანი მოწყალებას გაიღებს არა სიძუნწით, არა სიზარმაცით, არა იძულებით, არამედ სრული გულმოდგინებით, გასცემს ისე, თითქოს თავად მიეღოს და ისე ქველმოქმედებს, თითქოს თავად იღებდეს სიკეთეს. მაშინ აღესრულება ღმრთის ნება სრულად. ასე აღსრულდება ღმერთის ნება, როგორც მოციქული გვამცნებს: „კეთილი, სათნო და სრული“. ასე აღესრულება ის გულისხმისყოფით. უნდა ვიცოდეთ ძალა და მადლი მოწყალებისა, — ის იმდენად დიდია, რომ ცოდვათა მიტევება ძალუმს, როგორც იტყვის წინასწარმეტყველი: „სახსარ კაცისა არნ სიმდიდრე მისი“ (იგავ. 13, 8). და სხვა ადგილას კიდევ ამბობს: „ქმენ მოწყალება, რათა განერე ცოდვათა შენთა“ (ღან. 4, 24). ხოლო თვით უფალი ამბობს: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად მოწყალე არს“ (ლკ. 6, 36). მას არ უთქვამს: იმარხულეთ, როგორც მამა ზეციერი მარხულობს. არც ის უთქვამს: უპოვარნი იყვენით, როგორც მამა ზეციერი. არამედ გვითხრა: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად მოწყალე არს“, რადგან ეს სათნოება განსაკუთრებით მიაძგავსებს ადამიანს ღმერთს. ამგვარად, მუდამ გვმართებს მას ვისახავდეთ მიზნად და გულისხმისყოფით აღვასრულოთ სიკეთე, რადგან მოწყა-

ყალბა მიზნად სხვადასხვა რამეს ისახავს. ერთი მოწყალეობას იმისთვის გაცემს, რომ მისი ყანა იკუროთხოს. ღმერთიც აკუროთხებს მის ყანას და მისი მიზანი მიღწეულია. მეორე გაცემს მოწყალეობას, რათა გადარჩეს მისი ხომალდი და ღმერთიც იფარავს მას. სხვა კიდევ გაცემს იმისთვის, რომ ღმერთმა მისი შვილები დაიფაროს. ღმერთიც მფარველობს მათ. სხვა კიდევ იმისთვის გაცემს, რომ განდიდდეს და ღმერთიც განადიდებს მას. ღმერთი არავის უგულვებლყოფს, არამედ თითოეულს ანიჭებს იმას, რასაც ითხოვს, თუკი მისი სულისთვის საზიანო არ არის. მაგრამ თითოეულმა მათგანმა უკვე მიიღო თავისი საზღაური და უფალს აღარაფერი მართებს მათი, იმიტომ, რომ ისინი არაფერს ეძიებდნენ იმქვეყნიურს და მათ მიზანს არაფერი ჰქონდა საერთო მათ სულიერ კეთილდღეობასთან. შენ ხომ ყანის კუროთხევითვის იღვწოდი? და ღმერთმაც აკუროთხა იგი; შენ ხომ შვილებისთვის ზრუნავდი? ღმერთმა დაიცვა ისინი; შენ განდიდება გეწადა? და ღმერთმა განგადიდა. რაღა მართებს მას შენი? მან მოგანიჭა საზღაური, რისთვისაც იღვწოდი.

სხვა მოწყალეობას გაცემს იმისთვის, რომ თავი დაიხსნას მოძავალი სატანჯველისაგან: ის მოწყალეობას სულის სასარგებლოდ და საღმრთოდ გაცემს, თუმცა არც ის აღასრულებს ღმრთის ნებას, რადგან ის ჯერ კიდევ მონის მდგომარეობაშია. მონა კი ბატონის ნებას აღასრულებს არა ნებაყოფლობით, არამედ სასჯელის შიშით. ესეც იმისთვის გაცემს, რომ თავი დაიხსნას სატანჯველისაგან და ღმერთიც იხსნის მისგან. სხვა კიდევ იმისთვის გაცემს, რომ მოიპოვოს ჯილდო: ის აღემატება პირველს, მაგრამ არც ის არის ღვთის ნების აღმასრულებელი: რადგან ჯერ კიდევ არ არის მის ხარისხში, არამედ როგორც მუშაკი ასრულებს ბატონის ნებას, რათა საზღაური მიიღოს მისგან, ესეც ასევე გაცემს (მოწყალეობას), რათა ღმერთისგან საზღაური მოიპოვოს. როგორც ბასილი დიდი გვასწავლის, მხოლოდ სამი სახის სიკე-

თე არსებობს: აღვასრულებთ სიკეთეს ტანჯვის შიშით და ვართ მონის მდგომარეობაში; ან აღვასრულებთ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ჯილდო და ვართ მუშაკის მდგომარეობაში; ან აღვასრულებთ სიკეთეს სიკეთისთვის და მაშინ ვართ ძის ხარისხში: რადგან ძე აღვასრულებს მამის ნებას არა შიშის გამო და არა ჯილდოსთვის, არამედ სურს სათნოეოს მას, პატივი მიაგოს და განუსვენოს. ასევე უნდა გავცეთ ჩვენც მოწყალეობა სიკეთისთვის, ურთიერთთანაღმობით, და ისე აღვასრულოთ სათნოება სხვებისთვის, თითქოს თვითონ ვიღებდეთ წყალობას მათგან. გავცეთ ისე, თითქოს მივიღეთ. სწორედ ეს არის გონივრული მოწყალეობა, ასე მოვიპოვებთ ძის ხარისხს. ნურავინ იტყვის: „უპოვარი ვარ და არაფერი შემიძლია გავცე“. თუკი ვერ გასცემ იმდენს, რამდენსაც სწირავენ მდიდრები, გაეცი ორი მწვლილი ქვრივი დედაკაცის მსგავსად და ღმერთი შეიწირავს მათ, როგორც მდიდრების მიერ გაცემულს (მკ. 12, 42; ლკ. 21, 2). თუკი არც ეს გაქვს, ძალა ხომ გაქვს და შეგიძლია ემსახურო უძღურთ. არც ეს შეგიძლია? სიტყვით ანუგეშე შენი ძმა, რადგან წმიდა წერილი ამბობს: „სიტყუაჲ კეთილი უფროს არს მიცემისა“ (ზირ. 18, 17). თუკი არც ეს შეგიძლია, ნუთუ იმას ვერ შეძლებ, რომ, როდესაც აღშფოთდება შენი ძმა, შეიწყალო და იტვირთო იგი აღშფოთების ჟამს. მას ხომ ჩვენი საერთო მტერი განსცდის და იმის ნაცვლად, რომ შეესიტყვო, დაღუძდი. ამით წყალობას უყოფ და მის სულს დაიხსნი მტრისაგან. ასევე, როდესაც ძმა შეგცოდებს, მიუტევე, რათა ღმერთმა შენც მოგიტეოს. როგორც უფალი ბრძანებს: „მიუტევეთ და მოგეტევენ თქვენ“ (ლკ. 6, 37). ასე აღვასრულებ წყალობას შენი ძმის სულისთვის, როდესაც შეუნდობ შენს მიმართ ჩადენილ ცოდვას. ღმერთმა მოგვანიჭა ხელმწიფება, თუკი მოვისურვებთ შევეუნდოთ ძმამ ძმას ერთმანეთის მიმართ ჩადენილი ცოდვები. და თუკი არა გაქვს საშუალება, რომ ხორციელი


წყალობა გასცე მისთვის, მის სულს უწყალობე, რაც აღმატებულია ისევე, როგორც სულია ხორცზე აღმატებული.

ამიტომ ვერავინ იტყვის: „არ შემიძლია მოწყალების გაცემა“, რადგან თითოეულ ადამიანს შეუძლია თავისი ძალებისა და სულიერი წყობის შესაბამისად გასცეს მოწყალება. თითოეული უნდა ეცადოს სიკეთე გონივრულად აღასრულოს, როგორც ზევით აღვნიშნეთ თითოეულ სათნობასთან მიმართებაში. ვინც მათ გონივრულად აღასრულებს, ის დახელოვნებული მშენებელია და მტკიცედ აგებს სახლს თავისი სულისთვის. ამაზე სახარება ამბობს: ბრძენმან აღაშენის სახლი თვისი კლდესა ზედა, და ვერა-რაჲ წინააღმდეგომი შესძრავს მას. (შლრ. მთ. 7, 24).

კაცთმოყვარე ღმერთმა მოგვანიჭოს სმენა და აღსრულება იმისი, რაც გვესმა, რათა ეს სიტყვები განკითხვის დღეს სასჯელად არ გვექცეს, რამეთუ მისი არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თარგმნა თამარ ერისთავმა

წიგნიდან Преподобного аввы Дорофея “Душеполезные поучения”, Москва, 1999.



სიმდაბლისათვის

ო, ღმრთისძიერ დიდებას რომ არ მოჰკლებოდა ადამიანი და არა ყალბი, არამედ ჭეშმარიტი სიმაღლე შეენარჩუნებინა; განდიდებულიყო ღმრთის ძალით, ღვთაებრივი სიბრძნით გაბრწყინებულიყო, განმხიარულებულიყო მარადიული ცხოვრების სიკეთეებით! მაგრამ მან დაუტევა ღვთაებრივი დიდების სურვილი და უფრო მეტის მომწადინებელმა, მოსურნემ იმისა, რაც ვერ მიიღო, ისიც დაკარგა, რაც შეეძლო რომ ჰქონოდა. და იმ დროიდან მისი ხსნა, მისი კურნება, მისი დაბრუნება პირველყოფილ მღვთმარეობაში შეუძლია მხოლოდ სიმდაბლეს, ანუ იმას, რომ არ მოისურვოს არანაირი დიდების შარავანდედით შემოსვა, არამედ მხოლოდ ღმრთისძიერ დიდებას ეძიებდეს. ამით გამოასწორებს იგი დაშვებულ შეცდომას, ამით უმკურნალებს თავის სნეულებას, ამით დაუბრუნდება იმ წმინდა მცნებას, რომელიც უგულვებლყო.

ამასობაში კი ეშმაკი, რომელმაც ცრუ დიდების იმედი ჩაუნერგა ადამიანს და ამით დაამხო იგი, კვლავ იმავე გულისწადილს აღუძრავს მას და მრავალ მზაკვრობას მიმართავს თავისი მიზნის მისაღწევად: შთააგონებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის ფულის მოპოვება, რათა ამ გზით გაამედიდუროს და მისი გონება დააკავოს იმით, რაც არავითარ დიდებას არ მოუტანს, მხოლოდ და მხოლოდ საფრთხეში ჩააგდებს მას. რამეთუ ფული — ეს მომხვეჭელობის ვნების სათავეა და ღვთივსათნო დიდებისკენ როდი მიჰყავს ადამიანი, არამედ ტყუილუბრალოდ აბრმავეებს, ამაოდ აამპარტავნებს და მის სულში სიმსივნის მსგავს სნეულებას ბადებს. სიმსივნე არც ჯანმრთელობაა და არც არანაირი სარგებელი მოაქვს ადამიანისთვის, პირიქით: მეტად მავნე-

ბელია, ზიანის მომტანი, საწინდარი განსაცდელისა და მიზეზი დაღუპვისა. ზუსტად იმავეს აკეთებს სულში სიამაყე; და მარტო ფული როდია სიამაყის მიზეზი. ადამიანი მედიდურობს არა მხოლოდ ძვირფასი საჭმლითა და შესამოსელით, რომელიც ფულითაა მოპოვებული, არა მხოლოდ იმით, რომ საჭიროების გარეშე აწყობს დიდებულ და ბრწყინვალე ნადიმებს, იმოსება მდიდრული ტანსაცმლით, აშენებს უზარმაზარ, მორთულ-მოკაზმულ სასახლეებს, დადის უამრავი მსახურისა და აურაცხელი თავყანის-მცემლის თანხლებით, არამედ იგი, დამვიწყებელი თავისი ბუნებისა, მედიდურობს იმ წოდებითაც, რომელიც არჩევნებით ხვდა წილად; თუ ხალხის წყალობით რაიმე ხარისხი მიიღო, უფროსობის ღირსი გახდა, მაღალი წოდება მიენიჭა, ფიქრობს, რომ, ადამიანურ ბუნებას აღმატებულმა, უკვე ღრუბლებზე დაისაყდრა, და თავისზე დაბლა მდგომთ საკუთარ კვარცხლბეკად მიიჩნევს, ზემოდან დაჰყურებს იმათ, ვისი წყალობითაც ხარისხში აღზევდა, და ზვობს მათ წინაშე, ვის მიერაც, საკუთარ ფიქრებში, განდიდებული შეიქნა! იგი არ იშლის თავის უგუნურებას. მაგრამ მისი დიდება სიზმარზე უფრო ცვალებადია, ბრწყინვალეა, რომელსაც ის გარემოუცავს, დამეულ აჩრდილზე არამდგრადია: ხალხის წამისყოფით წარმოიშობა და ხალხის წამისყოფითვე ქრება. ასეთი იყო ის უგუნური ძე სოლომონისი — ასაკით მცირე, ახალგაზრდა, და კიდევ უფრო მცირე — გონებით. ხალხი მისგან ღმობიერ მმართველობას ითხოვდა, ის კი უფრო მკაცრი მმართველობით იმუქრებოდა, და ამ მუქარისთვის სამეფო ტახტიც დაკარგა. რისი მეშვეობითაც სურდა, უფრო მეტად სრულუფლებიანი გამოჩენილიყო, სწორედ იმითვე წაერთვა ის ღირსებაც კი, რომელიც ჰქონდა. ადამიანს ამედიდურებს აგრეთვე მკლავის სიძლიერე, ფეხის სიძარდე, სხეულის სიმშენიერე, — თუმცა ყველაფერ ამას სწეულება სპობს, დრო ანადგურებს. და ვერ გულისხმა-ჰყოფს ადამიანი, რომ „ყოველი ხორცი თივაა არს

და ყოველი დიდებაჲ კაცისაჲ — ვითარცა ყუავილი თივისაჲ. განხმის თივაჲ იგი და ყუავილი დასცვივის“ (ესაია 40,6). ასეთი იყო ბუმბერაზების ქედმაღლობა თავიანთი სიძლიერით, უგუნური გოლიათის ღვთივსაძულველი თავმომწონება; ასეთები იყვნენ აღონია, თავისი სილამაზით გაამაყებული, და აბესალომი, თავისი გრძელი თმებით განლაღებული.

და ის ადამიანური სიკეთეებიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოსდა სხვა სიკეთეებს აღემატებიან და მათზე ურყევნი არიან, — ანუ სიბრძნე და კეთილგონიერება, — ისინიც კი არა-ჭეშმარიტი, ამოღებისაკენ წაგვიყვანს, თუკი არ გვექნება ღვთისმიერი სიბრძნე; რამეთუ თვით ღემონსაც არ გაუვიდა ადამიანის სამტროდ მოფიქრებული ხრიკები: რასაც მის წინააღმდეგ განიზრახავდა, ის თავისდაუნებურად თვითონვე ეწია; ვისი განშორებაც უნდოდა ღმერთისგან, იმას იმდენი ვერაფერი ავნო, რამდენიც საკუთარ თავს: ღმრთისაგან განვარდა და სამუდამო სიკვდილი მიესაჯა; უფლისთვის დაგებულ მახეში თვითონვე აღმოჩნდა გაბმული, ჯვარცმის მიერ უნდოდა ევნო უფლისთვის და თვითონ ევნო მისი ჯვარცმით, იმ სიკვდილითვე მოკვდა, რომლითაც მის მოკვლას განიზრახავდა. თუკი თვით „მთავარი ამის სოფლისა“, ამქვეყნიური სიბრძნის პირველი დიდი და უხილავი მასწავლებელი, უკიდურეს უგულისხმოებაში ვარდება და თავისივე ხრიკებით ებმება მახეში, მით უფრო მისი მოწაფეები და მიმდევრები, თუნდაც ათი ათასჯერ განისწავლონ, „იზყოდეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს“ (რომ. 1,22). ფარაონიც მზაკვრული ხრიკებით ცდილობდა ისრაელის დაღუპვას, მაგრამ საიდანაც არ ელოდა, იქიდან მიიღო დარტყმა და მისი ზრახვები დაიმსხვრა. ჩვილი, რომლის მოკვლაც მან ბრძანა, მისსავე სახლში აღიზარდა, განაქარვა ფარაონისა და მთელი მისი ერის ძალა და გამოიხსნა ისრაელი. აბიმელექმა, გედეონის უკანონო შვილმა, მოკლა გედეონისავე სამოცდაათი კანონიერი ვაჟიშვი-

ლი და ფიქრობდა, რომ ბრძნულ საშუალებას მიაგნო საკუთარი ტახტის განსამტკიცებლად. მაგრამ, თუმცა მან თავისი თანაშემწენი შეემუსრა, თვითონაც შეიმუსრა მათ მიერ და საბოლოოდ ქალის ნასროლი ქვით მოკვდა. და იუდეველებიც, რომლებმაც უფლის დაღუპვა განიზრახეს, ასე მსჯელობდნენ: „უკუეთუ დაუტეოთ იგი ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისა მიმართ და მოვიდენ ჰრომნი და მიგვიღონ ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა“ (იოან. 11,48). ამ მსჯელობამ ისინი ქრისტეს მკვლელობამდე მიიყვანა. რითაც თავიანთი ერის გადარჩენას ფიქრობდნენ, სწორედ იმითვე დაღუპეს იგი, და სამშობლოდანაც განიღვენენ და კანონებისთვისაც და ღვთისმსახურებისთვისაც უცხონი აღმოჩნდნენ. ამ მაგალითებით და კიდევ სხვა მრავალი მაგალითით ჩვენ შეგვიძლია გულისხმაყვით, რომ ადამიანური სიბრძნე არამდგრადია, არა დიადი და მაღალი, არამედ — მდაბალი და უმნიშვნელო.

ამიტომაც არც ერთი კეთილად მოაზროვნე ადამიანი არ გაამყდებდა საკუთარი სიბრძნითა თუ სხვა სიკეთეებით, არამედ შეისმენს წინასწარმეტყველ ანასა და წინასწარმეტყველ იერემიას მშვენიერ შეგონებას: „ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნითა თვისითა, და ნუ იქადინ ძლიერი ძალითა თვისითა, და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თვისითა“ (I მეფ. 2,10; იერ. 9,23.). მაგრამ რა არის ჭეშმარიტი სიქადული, რით განდიდდება ადამიანი? ამაზე ნათქვამია: „არამედ ამას ზედა იქადოდენ მოქადული — გულისხმის-ყოფასა და ცნობასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ უფალი“ (იერ. 9,24). აი სიმაღლე ადამიანისა, აი სიქადული და დიდება მისი — შეიცნოს ჭეშმარიტი დიდებულება, მიეჯაჭვოს მას და ეძებოს დიდება უფლისაგან, რომელიც ერთადერთია დიდებული. და მოციქულიც ამბობს: „მისგან თქუენ ხართ ქრისტე იესუმს მიერ, რომელი-იგი იქმნა ჩუენდა სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე, სიწმიდე და გამოსხნა, რაჟთა, ვითარცა წერილ არს: რო-

მელი-იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდის“ (I კორ. 1,30-31). რამეთუ ესაა სრულყოფილი და მოუკლებელი ღმრთისმიერი სიქადული – როცა ადამიანი არ მედიდურობს საკუთარი სიმართლით, არამედ კარგად იცის, რომ მას ჭეშმარიტი სიმართლე არ გააჩნია, და რომ იგი განმართლებულია მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს სარწმუნოებით. და პავლეც ხომ იმით იქადის, რომ მან შეურაცხყო საკუთარი სიმართლე და სურს განმართლდეს სარწმუნოებითა ქრისტესითა, ანუ სურს მოიძიოს „ღმრთისა მიერი იგი სიმართლე სარწმუნოებით, ცნობად მისა და ძალსა მას აღდგომისა მისისა და ზიარებასა მას ვნებათა მისთასა, თანა-ხატ ქმნად სიკუდილსა მას მისსა, რაათა მი-ვითარ-რაჲ-ვსწუდე აღდგომასა მასცა მკუდართასა“ (ფილიპ. 3,9-11).

აქ განქარდება ყველანაირი სიმაღლე სიამაყისა. აღარაფერი გრჩება ზესთამჩენობისთვის, ადამიანო! შენი სიქადული და სასოება ხომ ისაა, რომ მოაკვდინო, რაც კი რამ საკუთარი გაგაჩნია და ეძიო უკვდავი ცხოვრება ქრისტეში: ცხოვრება, რომლის დასაბამიც უკვე შენშია, და შენ უკვე სავსებით გამდიდრებული ხარ ღმრთის მადლითა და ნიჭებით. და როგორც ღმერთი „შეიქმს თქუენდა ნებასაცა და შეწევნასა სათნობისათვის“ (ფილ. 2,13), ასევე ღმერთი „სულისა მიერ თვისისა“ გვიცხადებს საკუთარ სიბრძნეს, განჩინებულს „სადიდებელად ჩუენდა“ (I კორ. 2,7;10); ღმერთი შრომაშიც ძალას გვაძლევს: „უმეტეს მათ ყოველთასა დავეშუერ, – ამბობს პავლე, – არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა“ (I კორ. 15,10); და ღმერთი განსაცდელებისაგანაც გვიფარავს – მაშინ, როდესაც უკვე ყოველგვარი ადამიანური იმედი ამოწურულია: „თავით თვისით განჩინებაჲ იგი სიკუდილისაჲ მოგველო, რაათა არა ვესვიდეთ თავთა ჩუენტა, არამედ ღმერთსა, რომელმან-იგი აღადგინნის მკუდარნი. რომელმან ესევითარისა მის სიკუდილისაგან მიხსნნა ჩუ-

ენ, და მიხსნის, რომელსა-იგი ვესავთ, ვითარმედ მერმეცა მიხსნენს“ (II კორ. 1,9-10).

მაშ ასე, მითხარი, რატომ მედიდურობ სიკეთეებით, როგორც რაღაც პირადი საკუთრებით, ნაცვლად იმისა, რომ ჰმადლობდე მათ მომცემელს? „ანუ რაჲ გაქუს, რომელი არა მიგიღებებს? ხოლო უკუეთუ მიგიღებებს, რასა იქადი, ვითარცა არა მიღებულსა?“ (I კორ. 4,7). შენ კი არ შეგიცვნია ღმერთი საკუთარი სიმაართლით, არამედ მან შეგიცნო თავისი სახიერებით. ნათქვამია: „ხოლო აწ იცანთ ღმერთი, უფროჲსა გიცნნა თქუნ ღმერთმან“ (გალ. 4,9); შენ კი არ მიწევნიხარ ქრისტეს შენი სათნოებით, არამედ ის თვით გეწია თავისი გამოჩინებით: „ხოლო ვსდევ გერე, რაჲთა ვეწიო, რომლითაცა წევნულ ვიქმენ ქრისტე იესუმს მიერ“ (ფილიპ. 3,12). „არა თქუნ გამოძირჩიეთ მე, — ამბობს უფალი, — არამედ მე გამოვიჩინე თქუნ“ (იოან. 15,16).

შენ კი ღიდ რამედ მიგაჩნია საკუთარი თავი, რაკილა პატივს მოგაგებენ, და წყალობა სიამაყის საბაბად გაგიხდია. შეიგნე ბოლოს და ბოლოს ვინა ხარ: ადამი, გამოვარდნილი სამოთხიდან; საული, სული წმიდის მიერ დატეკებული; ისრაელი, მოწყვეტილი თავის წმინდა ფესვებს. ნათქვამია: „ხოლო შენ სარწმუნოებითა სდგა. ნუ ჰმადლოი, არამედ გეშინოდენ“ (რომ. 11,20). წყალობას მსჯავრი მოჰყვება და მსაჯული გამოიძიებს შენგან, როგორ ისარგებლე მის მიერ ბოძებული წყალობით. ხოლო თუკი იმასაც ვერ ხვდები, რომ მადლის ღირსი გავხადა ღმერთმა და, სრულ უგრძობელობაში მყოფი, მადლს საკუთარ დამსახურებად მიიჩნევ, მაშინ შენ ნეტარ მოციქულ პეტრეზე ღირსადპატიოსანი როდი ხარ; რამეთუ უფლისადმი სიყვარულში ვერ გადაამეტებ იმას, ვისაც იმდენად უყვარდა უფალი, რომ მისთვის სიკვდილიც კი სწყუროდა. მაგრამ რაკი მან ქედმაღლობა გამოამჟღავნა, როდესაც თქვა: „დაღათუ ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე“ (მათ. 26,33), ამი-

ტომაც იქნა მასზე დაშვებული ადამიანური შიში და იგი ღმრთის უარყოფამდეც კი მივიდა, რითაც მან ისწავლა სიფრთხილე, ისწავლა უძლურთა დაზოგვა, – რამეთუ შეიცნო საკუთარი უძლურება და ნათლად გაიაზრა, რომ როგორც ზღვაში დანთქმად მიახლებული შეაკავა ქრისტეს მარჯვენამ, ასევე განსაცდელით გარემოცული, ურწმუნოებით დაღუპვის საფრთხის წინაშე მდგარი დაიფარა იესო ქრისტემ, რომელმაც უწინასწარმეტყველა კიდევ, რაც შეემთხვეოდა: „სვიმონ, სვიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად, ვითარცა იფქლი, ხოლო მე ვეკედრე მამასა შენთვის, რაათა არა მოგაკლდეს სარწმუნოებად შენი; და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი“ (ლუკ. 22,31-32).

და პეტრემ, ამ სახით მხილებულმა, სამართლიანად მიიღო შეწევნა, რაკი მიატოვა თავისი ქედმაღლობა და ისწავლა უძლურთა დაზოგვა. იმ ფარისეველს კი, აუტანელსა და უსაშველოდ ამპარტავანს, არა მხოლოდ საკუთარ თავს ზედმეტად მინდობილს, არამედ ღმრთის წინაშე მეზვერის ავად მომხსენებელს, თავისი სიამაყის გამო სიმართლეს კი აღარაფრად შეერაცხა. და მეზვერე „გარდამოვიდა... განმართლებული სახედ თვისა, ვიდრე ფარისეველი იგი“ (ლუკ. 18,14); რამეთუ მეზვერე აღიღებდა ღმერთს და თავის მაღლა აწევასაც კი ვერ ბედავდა, არამედ მხოლოდ შეწყალებას ითხოვდა და კიცხავდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს: ეს მის გარეგნობაშიც გამოიხატებოდა, მკერდში ხელის ცემაშიც და იმაშიც, რომ შეწყალების გარდა სხვას არაფერს ეძებდა. ამიტომაც გაფრთხილდი და მუდმივად თვალწინ გედგას ეს მაგალითი, აქედან ისწავლე, რამხელა ვნების მოტანა შეუძლია ადამიანისთვის სიამაყეს. დაკარგა სიმართლე ამპარტავანმა, წარწყმიდა გვირგვინი საკუთარ თავს ზედმეტად მინდობილმა, დამცირებულია მდაბლისა და ცოდვილის წინაშე ის, ვინც მასზე მაღლა დააყენა საკუთარი თავი და არ დაელოდა

ღმრთის განაჩენს, არამედ თვითონ გამოუტანა ცოდვილს განაჩენი. შენ კი ნურც ერთი ადამიანის წინაშე ნუ აღიმადლებ თავს, თვით უდიდესი ცოდვილის წინაშეც კი. თავის დამდაბლება ხშირად იმათაც აცხოვნებს, ვისაც მრავალი მძიმე ცოდვა აქვს ჩადენილი. ნუ განიმართლებ თავს სხვებზე მეტად, რათა, საკუთარი მსჯავრით განმართლებული, ღვთისმიერი მსჯავრით არ გამტყუნდე. „არამედ არცაღა თავსა ჩემსა განვიკითხავ, — ამბობს პავლე, — რამეთუ არარაჲ თავსა ჩემსა შემიცნობიეს, არამედ არა თუ ამით განვმართლდები. ხოლო განმკითხველი ჩემი უფალი არს“ (I კორ. 4,3-4).

შენ ფიქრობ, რომ რაიმე სიკეთე გაქვს გაკეთებული? — მაღლობა შესწირე ღმერთს და ნუ აღიმადლებ თავს მოყვასის წინაშე. ნათქვამია: „არამედ საქმენი თვისნი გამოიცადენინ კაცად-კაცადმან და მაშინ თავისა თვისისა ხოლო ქებაჲ აქუნდეს, და არა მოყუსისა მიმართ“ (გალატ. 6,4). რამეთუ რა სარგებელი მოუტანე მოყვასს იმით, რომ ჭეშმარიტება აღიარე, ან მოთმინებით ეწეოდი მარხვის ღვაწლს, ან კიდევ ქრისტეს სახელისათვის დევნა დაითმინე? ეს შენთვის იყო სასარგებლო, და არა სხვისთვის. გეშინოდეს, რომ შენი დაცემა ეშმაკის დაცემას არ მიემსგავსოს: მან ხომ ადამიანის წინაშე აღიმადლა თავი და დაცემაც ადამიანის მიერვე განიცადა და დაითრგუნა დათრგუნვილის მიერ. ისრაელის დაცემაც ამგვარი იყო: ისინი წარმართებს უწმინდურებად თვლიდნენ, მედიდურობდნენ მათ წინაშე, ბოლოს კი თვითონ გახდნენ უწმინდურნი და მათი სიმართლე იქმნა „ვითარცა ძონდი დაშტანისაჲ“ (ესაია 64,6). წარმართებმა კი თავიანთი უსჯულოება და არაწმინდება სარწმუნოებით გამოისყიდეს. ერთი სიტყვით, გახსოვდეს ჭეშმარიტი იგავი: „უფალი ამპარტავანთა შეკმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მაღლი“ (იგავ. 3,34; I პეტრ. 5,5). მუდამ თვალწინ გედგას უფლის გამონათქვამი: „ყოველმან, რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რო-

მელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“ (ლუკ. 14,11). ნუ იქნები საკუთარი თავის უსამართლო მსაჯული, გამოსცადე შენი თავი, ისე რომ არ აცტუნო იგი, და თუ ფიქრობ, რომ რაიმე სიკეთე გაგაჩნია, მასზე ნუ შეაჩერებ ყურადღებას, არამედ ცოდვებიც გაიხსენე. ნუ მედიდურობ იმით, რაც დღეს გააკეთე, გუშინ და დიდი ხნის წინ გააკეთებულ ბოროტ საქმეებს საკუთარ თავს ნუ აპატიებ. როცა ღღევანდელით აღზვავდები, უწინდელი დაცემები გაიხსენე და ამით თავს დააღწევ უგუნურ მედიდურობას. და თუ დაინახავ, რომ შენი მოყვასი სცოდავს, მხოლოდ ამას კი ნუ შეხედავ, არამედ იმაზე იფიქრე, რა გაუკეთებია ან რას აკეთებს იგი კარგს, რაც შენთვის ცნობილია და რაც შენ არ იცი. და იქნებ აღმოაჩინო, რომ ის შენზე უმჯობესია. ღმერთი ხომ ერთი საქმის მიხედვით არ სჯის კაცს. „და მე, — ამბობს იგი, — საქმეთა მათთა და გულისსიტყვათა მათთა მეცნიერ ვარ და მივაგო მათ“ (ესაია 66,18). და იოსაფათიც ერთი კერძო ცოდვისთვის გაკიცხა ოდესღაც, მაგრამ მისი დამსახურებებიც გაიხსენა და თქვა: „არამედ გარნა საქმენი კეთილნი იპოებოდენ შენ შორის“ (II ნეშტ. 19,3).

აი ამგვარად შენ ყოველთვის შეძლებ მოიკვეთო სიამაყის ვნება და დაიმდაბლო საკუთარი თავი, რათა ამაღლდე და ამით უფალს მიემსგავსო — უფალს, რომელიც ზეციდან გარდამოხდა და უკიდურესად დამდაბლდა, ამ სიმდაბლიდან კი კვლავ ჯეროვან სიმაღლეზე ავიდა. მისი მაგალითით ჩვენ ყოველთვის ყველაფერში სიმდაბლეს ვსწავლობთ: ჯერ კიდევ ჩვილი, ის გამოქვაბულშია, ის ბაგაში წევს, და არა — სარეცელზე; ცხოვრობს დურგალ იოსებისა და ღარიბი დედის სახლში და ემორჩილება დედასა და მის დამწინდველს; სწავლობს, თავად წყარო სიბრძნისა, ამასთან ერთად კი შეკითხვებსაც სვამს და ყველას აკვირვებს თავისი სიბრძნით; თავს უდრეკს იოანეს და იგი, მეუფე, ინათლება მონის მიერ; თავის შეურაცხმყოფელებს არ ეწინააღმდეგება, არ

იყენებს იმ უსაზღვრო ძალაუფლებას, რომელიც გააჩნია, არამედ უთმობს მათ — თითქოს ისინი მასზე ძლიერები იყვნენ, და დროებით ხელისუფლებას კუთვნილ სიმტკიცეს ანიჭებს; როგორც მსჯავრდებული, მღვდელთმოდვართა წინაშე წარდგება, მიჰყავთ მთავართან და იღებს სასჯელს; მღუმარედ ითმენს ცილისწამებას, თუმცა კი შეუძლია ამხილოს ცილისმწამებლები; მას აფურთხებენ მონები და ყველაზე საცოდავი მსახურები; ხალხს მისთვის სიკვდილის განაჩენი გამოაქვს და თანაც — ყველაზე სამარცხვინო სიკვდილის. ასე გაიარა მან მთელი თავისი ადამიანური ცხოვრება — დაბადებიდან ჯვარცმამდე და ასეთი სიმდაბლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გამოაჩინა თავისი დიდება და თავისთან ერთად ისინიც განადიდა, ვინც მასთან ერთად დაიმდაბლა თავი, — პირველ რიგში, ნეტარი მოციქულები. შიშვლებმა და უპოვარებმა, მათ მთელი მსოფლიო შემოიარეს: არა სიტყვიერი სიბრძნით, არა ურიცხვი ადამიანის თანხლებით, არამედ სულ მარტო მავალებმა ხმელსა და ზღვაზე. მათ ამათრახებდნენ, ქვებით ქოლავდნენ, დევნიდნენ და ბოლოს სიკვდილითაც სჯიდნენ. აი, მამებისეული და ღვთაებრივი გაკვეთილი ჩვენთვის! ვისწავლოთ მათი მიბაძვა, რათა სიმდაბლის მიერ გამოგვიბრწყინდეს მარადიული დიდება — სრულყოფილი და ჭეშმარიტი მოსაგებელი ქრისტესი.

მაგრამ როგორ მოვიპოვოთ მაცხოვრებელი სიმდაბლე და განვაგლოთ დამღუპველი ზვაობა სიამაყისა? სიმდაბლის გზა ამგვარია: მარადის მას უნდა ვეძიებდეთ და იმ საქმეებს უნდა აღვასრულებდეთ, რომელთაც სიმდაბლე მოაქვთ; არც ერთი უბრალო (მდაბალი, უნდო) საქმე არ უნდა მივიჩნიოთ საზიანოდ, რამეთუ სული თავისსავე საქმეებს ემსგავსება: რასაც აკეთებს, ის აღიბეჭდება მასზე. დაე, შენი გარეგნული სახეც, და შესამოსელიც, და სიარულიც, და ჯდომაც, და საკვებიც, და სარეცელიც, და სახლიც, და ჭურჭელიც — იყოს უბრალო, თავმდაბლური და მათ-


ში ზედმეტი არაფერი იპოვებოდეს; და სიტყვაც, და საგალობელიც, და მოყვასისადმი მიმართებაც დაე, იყოს უფრო მეტად მოკრძალებული, ვიდრე ქედმაღლური; დაე, უცხო იყოს შენთვის სოფისტურად შელამაზებული მეტყველება, ზედმეტად ტკბილხმოვანი გალობა, ამაყი და გაბედული საუბარი, – არამედ მოიკვეთე ყველანაირი მედიდურობა; მეგობართან კეთილი იყავი, მსახურთან – მშვიდი, თავხედებთან – ძვირუხსენებელი, მდაბლებთან – კაცთმოყვარე; ანუგეშე ბედკრულები, მოინახულე ავადმყოფები; ნურც ერთ ადამიანს ნუ შეიძულებ, სიხარულით მიესალმე ყველას, გაცისკროვნებული სახით უპასუხე; იყავი ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, გულისხმიერი; ნუ შეიქებ საკუთარ თავს და სხვასაც ნუ გახდი იძულებულს, შენზე ილაპარაკოს; ნუ შეიწყნარებ ურიგო სიტყვას; რამდენადაც შესაძლებელია, დაფარე შენი უპირატესობა; როცა შესცოდავ, ყოველთვის შეასმინე საკუთარი თავი და ნუ ელოდები, როდის გამხილებენ სხვები, რათა მიემსგავსო მართალს, რომელიც „თავისა თვისისა შემასმენელ იქმნის პირველსავე სიტყუასა“ (იგავ. 18,17), და აგრეთვე იობს, რომელიც ამბობს: „არა შევიკდიმე სიმრავლესა წინაშე ერისასა, ვითარმცა არა აღვიარე წინაშე მათსა“ (ცოდვა) (იობ. 31,34); მკაცრად ნურავის უსაყვედურებ, ნუ ამხილებ ნაჩქარევად, ვნებისგან აღძრული, რამეთუ ეს ქედმაღლობის ნიშანია; ნუ განიკითხავ მცირე შეცოდებისთვის, თითქოსდა შენ დიდად მართალი იყო; შეცოდებულები შეიწყნარე, სულიერად გამოასწორე ისინი, როგორც მოციქული გვიჩვენებს: „ეკრძალე თავსა შენსა, ნუ უკუე შენცა განიცადო“ (გალ. 6,1); იმგვარადვე შეეცადე, არ იყო განდიდებული ადამიანების მიერ, როგორც სხვები ცდილობენ იყვნენ განდიდებულები, – თუ, რა თქმა უნდა, გახსოვს, რომ ქრისტე თვითნებურ განდიდებას ხალხის წინაშე და ხალხისავე დასანახად სიკეთის კეთებას ღმრთის მიერ მონიჭებული სასყიდლის დაკარგვას უწოდებს. რამეთუ ასეთებზე ნათ-

ქვამია: „მიუღებებს სასყიდელი მათი“ (მათ. 6,2). ასე რომ, ნუ დაუკარგავ სასყიდელს საკუთარ თავს; ხალხის თვალში განდიდების მიზნით ნურაფერს გააკეთებ, ვინაიდან ღმერთი ყოვლის მხილველია. მის წინაშე ეძიე ღიღება და იგი ღიღებულ სასყიდელსაც მოგანიჭებს. მაგრამ შენ პირველობის ღირსი გახდი? ხალხი შენ მიმართ ყურადღებას იჩენს და განგადიდებს? გაუთანასწორდი შენს ხელქვეითებს, როგორც წერილი ამბობს: „ნუცა ვითარცა ეუფლებოდეთ მნეთა მათ“ (I პეტ. 5,3). ნუ მიემსგავსები საერო ხელისუფალთ, რამეთუ ვისაც პირველობა უნდა, მას უფალმა ყველას მონობა უბრძანა (მარკ. 10,44).

მოკლედ რომ ვთქვათ, ისე მიიღტვოდე სიმდაბლისკენ, როგორც მისი მოტრფიალე. შეიყვარე სიმდაბლე და ის განგადიდებს შენ. და ასე, მშვენიერად მიეახლები ჭეშმარიტ ღიღებას – ღიღებას ანგელოზებისა და თვით ღმერთის წინაშე; ანგელოზების წინაშე ქრისტე თავის მოწაფედ აღგიარებს შენ და განგადიდებს, თუკი მისი სიმდაბლის მიმბაძველი გახდები. „ისწავეთ ჩემგან, – ამბობს იგი, – რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსუენებაჲ სულთა თქუნთაჲ“ (მათ. 11,29); რამეთუ მისი არს ღიღება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თარგმანი შესრულებულია მღვიმევის დედათა მონასტერში
წიგნიდან Творения иже во святых отца нашего Василия
Великого, Архиепископа Кесарии Каппадокийския. ч. 4.
Москва, 1846.

გამოყენებულია აგრეთვე ძველი ქართული ტექსტი: ბასილი
კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი;
გამომც. მეცნიერება, თბილისი – 1983.



სწავლანი ლოცვისა და ხიბლის შესახებ

ჭეშმარიტი ლოცვა ვერ დამკვიდრდება გულში, რომელიც არ არის ქრისტეს მცნებებით კეთილად აღშენებული. დაცემის შედეგად ყოველ ჩვენგანში ხიბლია ჩანერგილი. ცდუნებისადმი ყოველი ჩვენგანის მიდრეკილების გამო „გონებას, განსაკუთრებით იმ ადამიანებში, რომლებისთვისაც უცნოა დაფიქრება, ახასიათებს ნაადრევი სწრაფვა მაღალი ლოცვითი მდგომარეობებისკენ“, – ამბობს წმინდა გრიგოლ სინელი. ამის შედეგად ღვთისგან მინიჭებული მცირედი მოწესრიგებაც იკარგება და ადამიანი ყოველგვარი კეთილი საქმის მიმართ უგრძნობი ხდება. ამიტომაც დაკვირვებით უნდა განვიხილოთ საკუთარი თავი, რათა უღროოდ არ ვექებდეთ იმას, რასაც თავისი დრო აქვს, და რათა სხვა რამეს გამოკიდებულებმა არ განვაგდოთ ის, რასაც ხელში გვიდებენ. გონებას ახასიათებს ოცნებებში ისეთი მაღალი ლოცვითი მდგომარეობების წარმოდგენა, რომლებისთვისაც ჯერ არ მიუღწევია, და მათი დამახინჯება საკუთარ ოცნებებსა და აზრებში. არის დიდი საშიშროება იმისა, რომ ამგვარმა მოღვაწემ ისიც დაკარგოს, რაც მიცემული აქვს და ხიბლის მოქმედების შედეგად შეიშალოს“. არასწორი ლოცვითი ღვაწლის ლოგიკური შედეგი ხიბლია (მეტ-ნაკლები ხარისხისა)...

საყვარელო ძმაო, აი, ჩემი ანდერძი: არ ეძიო „გულის ადგილი“. არ მოინდომო ამაოდ იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს ეს „გულის ადგილი“. ამას მხოლოდ გამოცდილება აგვიხსნის დამაჯერებლად. თუკი ღმერთს სურს მოგანიჭოს ამის შეცნობა, მოგანიჭებს, როცა დრო მოვა, და მოგანიჭებს ისეთნაირად, რომ ვერც კი წარმოიდგენს ხორციელი კაცი. მთელი გულმოდგინებით ილოცე მხოლოდ და მხოლოდ სინანულის ლოცვით; ეცადე ლოცვით სინანული შესწირო ღმერთს; შენი ღვაწლის წარმატე-

ბაში მაშინ დარწმუნდები, როდესაც შეიგრძნობ სულის სიგლახაკეს, ლმობიერებას, შემუსვრილებას, ტირილს.

ზებუნებრივი მაღლისმიერი მდგომარეობის მიღწევა ყოველთვის იშვიათობა იყო. პიმენ დიდი, ეგვიპტის სკიტიის მონაზონი (ეს მონასტერი ცნობილი იყო მისი მონაზვნების მაღალი სულიერი ცხოვრებით), მეხუთე საუკუნეში ცხოვრობდა, როდესაც განსაკუთრებით ყვაოდა მონაზვნობა. ის ამბობდა: „სრულყოფილებაზე ჩვენ შორის ბევრნი საუბრობენ, მაგრამ სინამდვილეში სრულყოფილებას ერთმა ან ორმა თუ მიაღწია“. წმინდა იოანე კიბის აღმწერელი, ასკეტური სწავლებების ავტორი (VI საუკუნის მოღვაწე) მოწმობს, რომ მის დროში გასულ დროსთან შედარებით მეტად შემცირდა საღვთო მაღლის ჭურჭლები. ამის მიზეზად წმინდა მამა იმ სულიერ ცვლილებას მიიჩნევს, რომელმაც მაშინდელ საზოგადოებაში იჩინა თავი — ადამიანებმა დაკარგეს უბრალოება და ეშმაკობით დასნეულდნენ. წმინდა გრიგოლ სინელი, XIV საუკუნის მწერალი, გაკადნიერდა ეთქვა, რომ მის დროში საერთოდ აღარ არიან მაღლმოსილი ადამიანები, — იმდენად იშვიათი გახდნენ ისინი. ამის მიზეზად სინელი მამა ბიწიერების განვითარებას ასახელებს, რაც საცდურის გამრავლებამ გამოიწვია. მით უმეტეს, ლოცვის მუშაკს ჩვენს დროში დიდი სიფრთხილე ჰმართებს. ღვთივშთაგონებული მოძღვრები აღარ არიან! უბიწოება, უბრალოება, სახარებისეული სიყვარული განეშორნენ ქვეყნიერებას. საცთური და ბიწიერება უსასრულობამდე გამრავლდა! მსოფლიო გარყვნილებამ მოიცვა! კაცთა საზოგადოებას მრავალფეროვანი ცოდვიანი სიყვარული დაუფლებია, როგორც სრულუფლებიანი ტირანი! საკმარისია, სრულიად საკმარისია, თუკი ღირსნი გავხდებით ღმერთს ერთი, ცხონებისათვის არსებითად საჭირო საქმე შევწიროთ — სინანული!..

შინაგანი და გარეგანი მწუხარება, რომელიც აუცილებლად შეგვხვდება ლოცვითი ღვაწლის შედგომისას, რწმენით, სიმამაცით, სიმდაბლით და მოთმინებით უნდა გადავლახოთ, სწორი გზი-

დან გადახვევებს სინანულით უნდა ვუწამლოთ. მეტისმეტად სა-
შიშია ლოცვითი ღვაწლის მიტოვება ან შუალედები ამ ღვაწლში.
სჯობს საერთოდ არ შევუდგეთ ამ ღვაწლს, ვიდრე შევეუდგეთ და
შემდეგ მივატოვოთ. იმ მოღვაწის სული, რომელმაც „იესოს
ლოცვაში“ განსწავლა მიატოვა, შეიძლება შეედაროს დამუშა-
ვებისა და გაპოხიერების შემდეგ მიტოვებულ მიწას. ასეთ მიწა-
ზე არაჩვეულებრივი ძალით იზრდება სარეველა, ღრმად იღვამს
ფესვებს, განსაკუთრებით ძლიერდება. სულში, რომელმაც უარყო
ლოცვასთან ნეტარი კავშირი, მიატოვა ლოცვა და დატოვებულ
იქნა ლოცვისაგან, ვნებები მძვინვარე ნაკადით შეიჭრებიან და
დატბორავენ. ასეთ სულზე ვნებები განსაკუთრებულ ძალაუფლე-
ბას მოიპოვებენ, განსაკუთრებულ სიმტკიცეს, დაიბეჭდებიან გუ-
ლის გაქვავებითა და უსიცოცხლობით, ურწმუნოებით. სულში დე-
მონები დაბრუნდებიან, ერთ ღროს ლოცვით განდევნილები, დაბ-
რუნდებიან ძველი გაძევების გამო გამძვინვარებულნი, დაბრუნ-
დებიან დიდი გაშმაგებით და დიდი რაოდენობით...

ნუ დავიწყებთ ტკობის, ხილვების ძიებას; ჩვენ ცოდვილნი
ვართ, ღირსნი არა ვართ სულიერი ტკობისა და ხილვებისა,
უუნარონი ვართ მათ მიმართ ჩვენი სიძველის (ვნებიანობის) გა-
მო. ყურადღებიანი ლოცვით შევეცადოთ ჩვენი გონების თვალნი
საკუთარ თავს მივაპყროთ, რათა მასში ჩვენი ცოდვიანობა აღ-
მოვაჩინოთ. როდესაც აღმოვაჩინოთ, — დავდგეთ გონებით უფალ
იესო ქრისტეს წინაშე კეთროვანთა, ბრმათა, ყრუთა, კოჭლთა,
განრღვეულთა, ეშმაკეულთა რიგში; დავიწყოთ მის წინაშე ჩვე-
ნი სულის სიგლახაკიდან, ცოდვების სინანულით შემუსვრილი
გულიდან ამომავალი ქვითინი. დაე, ეს ქვითინი უსაზღვროდ უხ-
ვი იყოს! დაე, მის გამოსახატავად ყოველგვარი მრავალსიტყვა-
ობა და სიტყვათა მრავალფეროვნება უძლური იყოს. დაე, ეს ქვი-
თინი, უხვი და გამოუთქმელი, გამუდმებით იმოსებოდეს მწირ-
სიტყვიანი, მაგრამ ფართო მნიშვნელობის ლოცვით: უფალო იესო
ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი. ამინ.

* * *

განუწყვეტელი განსწავლა „იესოს ლოცვაში“ აღესრულება ბაგეებით ან გონებით ამ ლოცვის მშვიდად წარმოთქმით, რასაც აუცილებლად უნდა ახლდეს ყურადღება და სინანულის გრძობა. ეშმაკი ვერ იტანს სინანულის კეთილსურნელებას; იმ სულს, რომელიც ამ კეთილსურნელებას გამოსცემს, ეშმაკი თავის საცთურებიანად გაურბის. ამგვარად აღსრულებული „იესოს ლოცვა“ საუკეთესო იარაღია ყველა ვნების წინააღმდეგ, საუკეთესო საქმიანობაა გონებისთვის ხელსაქმის, მოგზაურობისა და ყველა იმ შემთხვევის დროს, როდესაც შეუძლებელია კითხვა და ფსალმუნთგალობა. „იესოს ლოცვაში“ ამგვარი განსწავლა შეეფერება საერთოდ ყველა ქრისტიანს, როგორც მონასტერში, ასევე ერში მცხოვრებს... თუკი ვინმე, — ამბობს წმინდა იოანე კიბის აღმწერელი — ამპარტავნული გულმოდგინებით ეძიებს სულიერი სიტკბოების ნაადრევად მიღებას, ან გულისმიერ ლოცვას, ანდა განახლებული ბუნების შესაფერ რაიმე სხვა სულიერ ნიჭს, — იგი აუცილებლად სიბლში გაეხვევა, რა სახის ლოცვითაც გინდა ლოცულობდეს — გინდ ფსალმუნთგალობით და გინდაც „იესოს ლოცვით“. ეს გამოცდილებითაც გამოჩნდა. პახუმი დიდის ცხოვრებაში მოხსენიებული მოხიბლული ბერი სიბლის მოქმედებით შიშველი ფეხებით იდგა გაღვივებულ ნაკვერჩხლებზე და „მამაო ჩვენოს“ ამბობდა. სიბლის მიზეზი ლოცვა არ არის, არც ფსალმუნები, არც კანონები და დაუჯდომლები, არც „იესოს ლოცვა“, — არა! ღმერთმა ყველა დაიფაროს ამგვარი ღვთის გმობისგან! ამპარტავნება და სიცრუე — აი, სიბლის მიზეზები!

* * *

საზოგადო წესია ყველასთვის, ვინც ლოცვის ღვაწლში იმყოფება — გონების კონცენტრირება ლოცვის სიტყვებზე, ანუ ლოცვა ყურადღებით. რაც სულია სხეულისთვის, ის არის ყურადღება

ლოცვისთვის: ყურადღების გარეშე ლოცვა მკვდარია, არანაირი სარგებელი არ გააჩნია. ლოცვის სიტყვებზე გონების კონცენტრირებისთვის უნდა ვიზრუნოთ როგორც „იესოს ლოცვით“ ლოცვისას, ასევე დაუჯდომლებისა და სხვა ლოცვების კითხვისას. ლოცვაში წარმატების მსურველებს წმინდა მამები ურჩევენ როგორც „იესოს ლოცვაში“ განსწავლას, ასევე კანონების კითხვას – მონაცვლეობით. ამგვარი მრავალფეროვნება ლოცვით ღვაწლს აიოლებს და წარმატებას უწყობს ხელს. ახალ-დამწყებებმა უნდა ილოცონ ცოტ-ცოტა, მაგრამ ხშირად, რათა ლოცვის მიმართ ლტოლვა შეინარჩუნონ და გონება არ გადაღალონ, რასაც ლოცვის მიტოვება მოსდევს.

* * *

ლოცვითი ღვაწლი, მამაო, ღვაწლია; შრომაა საჭირო. ვინც მოთმინებით ლოცულობს თავისი ბიწიანი ლოცვით, – ამბობს წმინდა იოანე კიბის აღმწერელი, – და არ ტოვებს მას, იმ ადამიანს ღმერთი თავის დროზე ჭეშმარიტ ლოცვას მიანიჭებს. ლოცვის სიტყვებს მიაპყარი ყურადღება და არა ლოცვისას მოსულ გულისსიტყვებს.

* * *

ცხონების მთელი საიდუმლო სინანულშია. რა მარტივია ეს, რა ცხადია! მაგრამ ჩვენ როგორ ვიქცევით? ღვთისგან ჩვენთვის ნაჩვენებ მაცხოვრებელ სინანულს ვტოვებთ და მოჩვენებით სათნოებებში მოღვაწეობისკენ მივისწრაფით, რადგან ჩვენს გრძნობებს ისინი სიამოვნებს. შემდეგ, თანდათანობით, შეუძინეკლად ვსწრებულდებით „ცრუ წარმოდგენით“*, და რაკილა მაღლი არ ჩქარობს ჩვენს გაცისკროვნებასა და გვირგვინით შემკობას, ჩვენ თა-

* ცრუ წარმოდგენა – ხიბლის სახეობა, რუს. Ё́мáíéá. – მთარგმ. შენიშვნა.

ვად ვიგონებთ ჩვენში სასიამოვნო შეგრძნებებს — თავად ვაჯილ-
დობთ საკუთარ თავს და ჩვენივე თავით ვიღებთ ნუგეშს!

განა ეს სასაცილო არ არის? განა ეს სისულელე არ არის?
განა ამპარტავნება და კაღნიერება არ არის? თავი დავანებოთ
ღმერთთან ხუმრობას (მომიტყვეთ, ამ შეუფერებელ გამოთქმაზე
იმიტომ არ ვთქვი უარი, რომ იგი ზუსტად გამოხატავს ჩვენს საქ-
ციელს!), ვიცხოვროთ ღვთის წინაშე განუწყვეტელი სინანულით.
ჟამი მოახლოებულია, საშინელი სამსჯავრო მზადდება ჩვენთვის,
მასზე განვისჯებით არა ჩვენი წარმოდგენებით, რომლებითაც
თავს ვიცთუნებდით, არამედ — ჭეშმარიტებით. სინანულით და-
ვასწროთ საშინელ უბედურებას, დროებითი ტირილით
ავიცილოთ თავიდან სამუდამო ტირილი. გონს მოვეგოთ ცოდვი-
ლები! უკვე მეთერთმეტე ჟამმა ჩაიარა და მუშაკობის ასპარეზიც
მალე დასრულდება. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს იმის დრო, რომ
თავი დავისაჯოთ, რათა ღმერთმა არ დაგვსაჯოს. აქამდე ჩვენ
მხოლოდ თავს ვიმართლებდით.

თარგმნა ვლადიმერ წამალაშვილმა

წიგნიდან “Учение Православной Церкви о молитве
Иисусовой, извлеченное из творений святителя Игнатия
Брянчанинова”. СПб, 2000.



დამოძღვრა და ნუგეშისცემა სნეულების ჟამს და სიკვდილის წინ

მოციქულის სწავლებით (რომ. 5, 12) ამქვეყნად ცოცხა ერთი ადამიანის მიერ შემოვიდა, ხოლო ცოდვის გზით, როგორც მისგან გამომდინარე ბუნებრივი შედეგი – შემოვიდა სიკვდილიც, სხვადასხვა სნეულებებთან ერთად, რომლებიც წინ უძღვიან მას.

სნეულება, როგორც ღვთისგან მოვლენილი სასჯელი, ყოველ ადამიანს ჰგვემს, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები სისასტიკით; ზოგიერთი დაავადება იმდენად უღმობელია, რომ სხეულთან ერთად სულსაც მოაუძღურებს, სიცოცხლეს სამძიმოს ხდის და გადასცემს მას საშინელებათა დედოფალს – სიკვდილს, რომელიც თითოეულ ადამიანს, თვით სულით ძლიერსაც კი, ძრწოლას ჰგვრის.

ამიტომ ჩვენი ვალთა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ სნეულების ჟამს, რათა მისი სიმძაფრე შევამსუბუქოთ, სულისთვის სასარგებლოდ ვაქციოთ, უნდა ვიცოდეთ, რისი აღსრულება გვმართებს, რომ სიკვდილის უზომოდ არ გვეშინოდეს და მას ზედმეტი შფოთის გარეშე შევხვდეთ.

სნეულს ავადმყოფობის ჟამს რამდენიმე აუცილებელი მოვალეობის აღსრულება მართებს: 1) ღმერთის; 2) ადამიანებისა და 3) საკუთარი თავის მიმართ.

1. სნეულს:

ა) მართებს ყოველი სნეულება მიიღოს, როგორც ცოდვათა გამო ღმერთისგან წარმოგზავნილი მისაგებელი, რომელიც კურნავს, განწმენდს და განამტკიცებს სულს. სნეულება სათნოებებში სრულყოფის საშუალებაა. ამიტომ მართებს (სნეულს) დაითმინოს იგი ღმერთის ნების მორჩილებით, სიმდაბლით, საკუთარი ცოდვების შეცნობით, სინანულით, მადლიერებით მამობრივი შე-

გონებისათვის, რომლის მიზანია გულის გამოსწორება და გადარჩენა.

ბ) ჯანმრთელობის აღსადგენად სამედიცინო საშუალებებით სარგებლობის დროს დაჟინებით არ უნდა სურდეს, უთუოდ და სწრაფად გამოჯანმრთელდეს. კურნების იმედი უნდა დავამყაროთ არა წამალზე, არამედ – ღმერთზე, რომელიც თავად ანიჭებს წამალს საკურნებელ ძალას და განაგებს ავადმყოფობას. ამიტომ იმედი მხოლოდ ღმერთზე უნდა დავამყაროთ და სრულად უნდა მივენდოთ მის ნებას ყოველივეში, რაც და როგორც მოგვეწვევა მოწყალე ღმერთის მიერ, რომელიც ყოველივეს ჩვენს სასარგებლოდ იქმს, უკეთ იცის, გაახანგრძლივოს ავადმყოფობა სულის სასარგებლოდ, თუ განგვეკურნოს.

გ) ვინაიდან სნეულების ჟამს თავისმოყვარება და ვნებები უძლურდებიან, სინდისის ხმა უფრო მკაფიოდ ისმის, სულიერი შეგრძნებები ფხიზლდება, გონება იწმინდება, ავადმყოფი უკეთ განსჯის გრძნობისმიერი სიამოვნებების არარაობას, რომლებიც ჯანმრთელ მდგომარეობაში აცდუნებენ, თავისკენ იტყუებენ. მას უკეთ შეუძლია ცოდვის სიბილწე შეიგრძნოს; სნეულების ჟამს სასარგებლოა ხშირი მსჯელობა ამის შესახებ, სიკეთის კეთება უნდა განვიზრახოთ და მტკიცედ გადავწყვიტოთ – დავთმოთ ცოდვილი სურვილები და გამოვსწორდეთ.

დ) გამოჯანმრთელების შემთხვევაში გვმართებს ვმადლობდეთ ღმერთს, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მომნიჭებელს. გვმართებს აღვასრულოთ ავადმყოფობის დროს მიღებული სასიკეთო გადაწყვეტილებები და წარვემატოთ სათნოებებში.

2. ადამიანებთან დამოკიდებულებაში:

ა) სნეული უნდა ფრთხილობდეს, რომ მშობლები, ნაცნობები, ექიმები, მომსახურენი არ შეურაცხყოს მოუთმენლობით, დრტყინვით, სიჯიუტით, ჩივილებით, სიანჩხლით.

ბ) პირიქით, მართებს მოთმინება, სიმშვიდე, მორჩილება, გაწეული სამსახურისთვის მაღლიერება.

გ) ასევე უნდა გამოავლინოს კეთილი განწყობა, სითბო, ქრისტიანული სიყვარული უცხოების, მტრებისა და იმათ მიმართაც, ვისი ნახვაც არ სიამოვნებს.

3. საკუთარი თავის მიმართ:

ა) ავადმყოფს მართებს ჯანმრთელობის აღსადგენად არ უგულებელყოს რიგიანი სამედიცინო საშუალებები, მაგრამ ამაზე შფოთით და გადაჭარბებით არ უნდა ზრუნავდეს.

ბ) უპირველეს ყოვლისა და უმეტესად მართებს ზრუნვა სულის ზნეობრივი განკურნებისთვის, სულისთვის მარადიული ხსნის დამკვიდრებისთვის, რაც მომავლისთვის არ უნდა გადადოს.

გ) არ მიეცეს მოუთმენლობას, სულმოკლეობას, სიკვდილის შიშს, სასოწარკვეთილებას, დრტვინვას, რადგან ეს ყოველივე უფრო მეტად ამძაფრებს სნეულებას. უნდა დაიცვას და გამოავლინოს კეთილგანწყობილება, რომლის შენარჩუნებას უნდა ვეცადოთ დამრიგებლური საუბრებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოცვა ღვთის მიმართ, რომ მან შეუძსუბუქოს ტანჯვა ან მიანიჭოს მოთმინება ავადმყოფობის მოთმენისთვის და განკურნოს, თუკი ეს სათნოა მისთვის და სასარგებლო ავადმყოფისთვის. დავიმშვიდოთ თავი იმაზე ფიქრით, რა მიზნით უშვებს უფალი სნეულებას, რა სარგებელი მოაქვს სნეულისთვის, ვინც გონივრულად ითმენს მას.

განსჯისა და ნუგეშისათვის სასარგებლოა წმინდა მოსაგრეთა ცხოვრებებიდან გავიხსენოთ, როგორ მოეწია ზოგიერთ მათგანს სნეულება, რა აზრის იყვნენ მის შესახებ და როგორ ითმენდნენ მას.

ერთი ბერი ამბობდა: „როდესაც შენს სნეულს უძღურება მოიცავს, სულმოკლეობას ნუ მიეცემი. თუკი უფალს ნებავს, ხორ-

ციელ უძღურებაში იყო, მაშინ ვინ ხარ, რომ წყრომით იღებ ამას? უფალი ხომ ყოველმხრივ ზრუნავს შენზე! ნუთუ მის გარეშე არსებობ? ამიტომ მოითმინე და ევედრე, რომ მოგანიჭოს უძვლობესი, ანუ ის, რაც ნებავს, — მოთმინებით იჯექი და სიყვარულით შეიტკბე ის, რაც გაქვს“.

თეოდორეს, პახომი დიდის მოწაფეს, ძლიერ აწუხებდა თავის ტკივილი და სთხოვა აბა პახომის, რომ ლოცვით შეწეოდა სნეულებაში. აბამ უპასუხა: ნუთუ ფიქრობ, შვილო ჩემო, რომ ვინმეს ღმერთის დაშვების გარეშე მოეწევა სნეულება ან ვნება? ამიტომ აიტანე სნეულება და მოითმინე თავმდაბლობით. როდესაც ღმერთი ინებებს, მოგანიჭებს ჯანმრთელობას. ხოლო, თუ მოისურვებს ხანგრძლივად გამოგცადოს, მადლობელი იყავ იობის მსგავსად, რომელიც ღმერთს განადიდებდა, და ქრისტესგან დიდ ნუგეშს მიიღებ. კარგია თავშეკავება და ლოცვა, მაგრამ სნეული უფრო აღმატებულ ჯილდოს მიიღებს, თუკი დიდსულოვანი და მომთმენი იქნება. ღმერთზე მეტად წამალზე ნუ დაამყარებ იმედს, თითქოს უფალს კურნების მონიჭება არ შეეძლოს.

წმინდა ათანასე დიდი ეახლა წმინდა ნიფონტს, რომელიც სასიკვდილო სარეცელზე იწვა და დაეკითხა: მამაო, ჰპოვებს ადამიანი რაიმე სარგებელს სნეულებისგან? წმინდა ნიფონტმა მიუგო: „როგორც ოქრო განიწმინდება ცეცხლში ჟანგისგან, ისევე სნეულების დამთმენი ადამიანი განიწმინდება ცოდვებისაგან“.

პირგის ლავრის ბერი, სახელად მიროგენი, იმდენად მკაცრ ცხოვრებას ეწეოდა, რომ წყალმანკით დაავადდა. როდესაც სხვა ბერები მასთან მიდიოდნენ, რათა მისთვის ემკურნალათ, ის მუდამ იმეორებდა: მამანო! ილოცეთ, რომ ჩემი შინაგანი ადამიანი არ დაავადდეს მსგავსი სნეულებით. რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ ავადმყოფობას, ღმერთს ვევედრები, რომ სწრაფად არ გამათავისუფლოს მისგან, რადგანაც, რაც უფრო მეტად ვევენებით გარეგანად, მით მეტად ძლიერდება შინაგანი ადამიანი.

წმინდა სვინკლიტიკია ამბობდა: მრავალფერი ხრიკი აქვს ეშმაკს: ვერ მოასწრო ადამიანის სილატაკით შერყევა, რომ უკვე მის ცდუნებას სიმდიდრით ცდილობს. ვერ სძლია შეურაცხყოფითა და ცილისწამებით და მის წინააღმდეგ უკვე ქება-დიდებათა იარაღდება. ვერ აცდუნა სიამოვნებებით და თავს ესხმის, რომ ავნოს იძულებითი შრომით (მწუხარებებით).

თუკი ადამიანი ეშმაკს სიმტკიცით ამარცხებს, ეშმაკი სწეულებას უგზავნის. გამოითხოვს უფლებას და მძიმე სწეულებით ჰგვემს იმისთვის, რომ სულმოკლე ადამიანები ღმერთის სიყვარულში მოუძღვრდნენ. ამიტომ იტანჯება სწეული ხან ძლიერი ცხელებით, ზოგჯერ კი წუხს აუტანელი წყურვილით.

თუკი ცოდვილი ხარ, ავადმყოფობით გატანჯულმა მოიგონე მომავალი სასჯელი, მარადიული ცეცხლი, ტანჯვა სამსჯავროს შემდეგ, ნუ იქნები სულმოკლე ამჟამინდელ განსაცდელში, არამედ გიხაროდეს, რომ ღმერთმა მოგინახულა და გაიმეორე ეს შესანიშნავი სიტყვები: „სწავლით განმსწავლა მე უფალმან და სიკუდილსა არა მიმცა მე“ (ფს. 117, 18).

თუკი რკინა ხარ, მაშინ ცეცხლი (სწეულებისა) განგწმენდს. თუკი მართალი ხარ და დაავადდი, მაშინ უდიდესის ნაცვლად აღმატებულს მიიღებ. თუკი ოქრო ხარ, მაშინ (მწუხარებათა) ცეცხლით განიწმინდები. შენს ხორცს სატანის ანგელოზი ტანჯავს (2კორ. 12, 7); გიხაროდეს იმის ხილვა, თუ ვის მიემსგავსე: წმინდა პავლეს პატივის ღირსი შექმნილხარ.

თუკი ციებით ან ცხელებით იტანჯები, განსოვდეს რას ამბობს წმიდა წერილი: „განვლეთ ჩუენ ცეცხლი და წყალი, და გამომიყვანენ ჩუენ განსასუენებელად“ (ფს. 65, 12). თუკი მოგეწია პირველი, სასოებდე, რომ მიიღებ მეორესაც. როდესაც სათნობებში წარმატებას მიაღწევ, გაიმეორე მართლის სიტყვები: „გლახაკ და დავრდომილ ვარი მე“ (ფს. 68, 29). ეს ორმხრივი

განსაცდელი სრულგყოფს. რადგან ფსალმუნთმგალობელი ამბობს: „ჭირსა ჩემსა განმივრცე მე“ (ფს. 4, 1).

როდესაც სნეულება გვამძიმებს, არ უნდა დავმწუხრდეთ, რომ ტკივილებისა და წყლულების გამო ვერ ვკითხულობთ ფსალმუნებს. სნეულებანი და წყლულები ხორციელი გულისთქმების აღმოფხვრას ემსახურება, ხოლო მარხვა და მუხლთა დრეკანი ვნებათა დასაძლევად გვებრძანა. თუკი ამ ვნებებს სნეულებაც აღმოფხვრის, ნულარ ვიშფოთებთ. უდიდესი ღვაწლია – დაითმინო ავადმყოფობა და ღმერთს სამადლობელი გალობანი აღუვლინო.

თუკი მხედველობა დაკვარგეთ, თვალებს ველარ აღვაპყრობთ მედიდურად, რადგან აღზვავების იარაღი წაგვერთვა (ამავე დროს სხვადასხვა საგნის მიმოხილვით გამოწვეული გონებაგაფანტულობისაც) და უფლის დიდებას შინაგანი თვალთ ვიხილავთ.

თუკი სმენა დაგვეხშო, მწუხარებას ნუ მივეცემით, რადგან აღარ გვაქვს ამაო ყურთასმენა (მასთან ერთად მრავალი გასართობიცა და განსაცდელიც). სნეულებამ მთელი სხეულიც რომ მოიცვას, სამაგიეროდ, ჩვენი შინაგანი ადამიანი ჯანსაღდება.

წმინდა იოანე კიბისაღმწერელი გვასწავლის: „სნეულება ზოგ შემთხვევაში გვეგზავნება ცოდვათაგან განსაწმენდად, ხოლო ზოგჯერ – მზვობრობის სიმდაბლით აღსაკვეთად. როდესაც სახიერი ღმერთი იხილავს, რომ ადამიანი სულიერ ღვაწლში მცონარეა, მის ხორცს სნეულებით დაამდაბლებს, როგორც სასიხარულო ღვაწლით. ზოგჯერ კი სულსაც განწმენდს არაწმინდა ვნებებისა და გულისთქმებისაგან“ (კიბე, 26, 55).

წმინდა ისააკ ასური გვასწავლის: „როდესაც დაუძლურდები, წარმოთქვი: ნეტარია, ვინც ღირსი გახდება ღმერთმა გამოსცადოს იმით, რის გამოც ცხოვრებას დაიმკვიდრებს. სენს ღმერთი სულის განსაკურნებლად წარმოგვიგზავნის. ერთ-ერთი წმინდანის სიტყვებია: „შემინიშნავს, რომ იმ მონაზონზე, რომელიც

უფალს ღმრთივსათნოდ არ ემსახურება, არ იღვწის მოშურნედ სულის ხსნიისთვის და მცონარეა სათნოებების აღსრულებაში, ღმერთი უსათუოდ დაუშვებს განსაცდელს, რათა არ დარჩეს მცონარე და ამის გამო უარეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

ღმერთი იმიტომ უშვებს განსაცდელს ზარმაც ადამიანზე, რომ მან იფიქროს განსაცდელებზე და არა — ამაოზე. ღმერთი ამას მის მოყვარეებს მოუვლენს, რათა გულისხმისყოფაში ჩააგდოს, განაბრძნოს და განსწავლოს თვისი ნებისაებრ. და როდესაც შეკლადღებენ, არ შეისმენს მათ ხმას იქამდე, ვიდრე სნეულებით დაუძღურებულნი უეჭველად შეიცნობენ, რომ ეს განსაცდელი დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო მოეწიათ“.

წმინდა ბარსანოფი დიდი გვასწავლის: „სხეულის ჯანმრთელობაც და სნეულებაც ღმერთზეა დამოკიდებული, რომელიც ბრძანებს: „მე მოვაკუდინი, მე ვაცხოვნი, მე მოვწყლი, მე განკურნი და არა არს, რომელი განერეს ხელსა ჩემსა“ (2 რჯლ. 32, 39). ამდენად, როდესაც ღმერთი ინებებს, გვანიჭებს ჯანმრთელობას მკურნალთა ხელით, ზოგჯერ კი — თავისი სიტყვით.

ტანჯვის გახანგრძლივება თუ შემოკლება ღმერთის განგებით ხდება. ამიტომ ისინი, ვინც სრულად მიენდვნენ ღმერთს, არ ზრუნავენ საკუთარი თავისთვის, არამედ ღმერთი თავისი ნებით აღასრულებს მათთვის სასარგებლოს“.

„თუკი ადამიანი შეჭამს რაიმეს რწმენით (რომ ეს საზრდელი არაფერს ავნებს), მაგრამ დაავადდება, მაშინ არ უნდა მიეცეს იჭვენეულობასა (და სულმოკლეობას), რადგან ღმერთმა იცის, რომ ეს სნეულება მას მრავალი სულიერი ვნებისაგან გამოიხსნის და ამ ტანჯვაში ტოვებს. მან უნდა მოიგონოს მოციქულის სიტყვები: „რაჟამს მოუძღურდე, მაშინ განვძლიერდები“ (2კორ. 12, 10). ნუ იფიქრებს, რომ ამგვარი რამ საზრდელისაგან დაემართა, არამედ ეს ღმერთის დაშვებაა, რადგან ღმერთის

ბრძანების გარეშე სარგებლობას ვერც ის მოუტანდა, რაც სა-
ლად და სასარგებლოდ მიაჩნია“.

წმინდა ბარსანოფი ამგვარად ანუგეშებდა სულმოკლე ავად-
მყოფ ძმას: „შვილო ჩემო, დავითმინოთ განსაცდელი მადლობით,
რათა საღმრთო მოწყალება ჩვენზე უხვად გადმოვიდეს. ნუ დავ-
ძმობდებით (მწუხარებით), რათა ნაღველმა არ მოგვინადიროს
(და არ მოგვაშთოს), რადგან ეს წარწყმელის დასაწყისია. გახ-
სოვდეს, შვილო, „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონ-
დეს“ (მთ. 24, 13).

შვილო ჩემო, ავადმყოფობა გამოსაცდელად გვეძლევა, ხოლო
გამოცდა გამოცდილებას გვძენს. „რომელი ღუაწლსა არა გამოც-
დილ არნ, მან მცირედ თუ რაჲმე უწყინ“ (ზირ. 34, 10). „ჭირი
მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ —სასოებასა. ხოლო სა-
სოებაჲმან არა არცხვინის“ (რომ. 5, 3,4).

დაე, ნუ მოაუძღურებს მტერი შენს ღმრთივსათნო განწყო-
ბას და ნუ შეარყევს შენს რწმენას ყოვლადწმიდა სამების მიმართ.
მიპასუხე, იმდენად იტანჯე, რომ ასე მოუძღურდი? მოიგონე მო-
ციქულის სიტყვები: „არდა სისხლთამდე წინა-დადგრომილ
ხართ თქვენ ცოდვისა მიმართ ახოვნად და მოჰმედგრდეთ ნუგე-
შინის-ცემისაგან, რომელი ვითარცა შვილთა გეტყვს თქვენ: შვი-
ლო ჩემო, ნუ სულმოკლე იქმნები სწავლასა უფლისასა, ნუცადა
დაჰკვნდები მის მიერ მხილებასა. რამეთუ რომელი უყუარნ
უფალსა, სწავლის; და ტანჯის ყოველი შვილი, რომელი შეიწ-
ყნარის. უკუეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა შეგიწ-
ყნარებს თქვენ ღმერთი. რამეთუ ვინ-მე არს შვილი, რომელი არა
სწავლის მამამან? ხოლო უკუეთუ შორს ხართ სწავლასა, რომ-
ლისა ზიარ-ქმნულ არიან ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ და
არა შვილნი“ (ებრ. 12, 4-8). თუკი მადლობით ითმენ განსაც-
დელს, მაშინ უკვე შვილი ყოფილხარ, ხოლო თუკი უძღურებას
გამოაკლენ, მაშინ სიძვეთ ნაშობი იქნები“ (პას. 619).

ღმერთი სწეულებას ერთ შემთხვევაში ცოდვათა სასჯელად წარმოგვიგზავნის, სხვა შემთხვევაში – ვნებათა დასაძლევად, ხოლო ზოგჯერ – იმისთვის, რომ აგვარიდოს ცოდვა, რომელშიც, ჯანმრთელნი რომ ვყოფილიყავით, ჩავვარდებოდით უზრუნველობისა და თავის განდიდების გამო. სწეულება ზოგ შემთხვევაში მცონარების გამო გვეძლევა, რათა გამოვფხიზლდეთ უზრუნველობაში ჩავარდნილნი და ვიზრუნოთ სულის გადარჩენაზე. ზოგჯერ ეს ხდება ჩვენი რწმენისა და მოთმინების გამოსაცდელად, რათა მომავალ ცხოვრებაში დიდი ჯილდო მივიღოთ.

თითოეულს ამხელს საკუთარი სინდისი, თუ რისთვის ევნება სწეულებით; ჩვენთვის, უძღურთათვის, სასარგებლოა ვიფიქროთ, რომ ავადმყოფობა მოგვეწია ჩვენი ცოდვებისა და გაუფრთხილებლობის გამო, რადგან არ ვზრუნავთ სულის ხსნასა და ღმერთის სათნოყოფაზე. საკუთარი ნებით არ ვისურვეთ მივახლოვებოდით ღმერთს ლოცვითა და მისი მცნებების აღსრულებით. და ღმერთი ავადმყოფობის გზით გვაიძულებს მოვიგონოთ ის და გვინძობს თავისკენ, როგორც ფსალმუნთმგალობელი ამბობს: „ჭიმითა და აღვრითა უქცინე დაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნეს“ (ფს. 31, 9).

არც ერთ შემთხვევაში არ გვმართებს მივეცეთ სულმოკლეობასა და დრტვინვას: ღმერთს დრტვინვა განარისხებს და ავადმყოფობას ამძიმებს, ხოლო ღმრთისადმი მადლიერება, რომ გულისხმისყოფაში მოგვიყვანა, უკეთ აღძრავს ჩვენში კეთილ განწყობილებასა და სიმშვიდეს და მოგვიპოვებს ღმერთის უდიდეს წყალობას. არ უნდა ვიფიქროთ სხვებზე, რომ სწეულება ცოდვების გამო შეხვდათ, რათა არ ჩავვარდეთ განკითხვაში და არ შეურაცხვყოთ ისინი. ამგვარი აზრი და ეჭვი აღმოფხვრის ჩვენში მოყვასის სიყვარულს. უმჯობესია ვიფიქროთ, რომ სწეულება რწმენისა და სათნოების გამოსაცდელად მოვევლინათ. ბრძმის შესახებ მაცხოვარი ბრძანებს: „არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა

ამისთა, არამედ რაფთა გამოცხადნეს საქმე ღმრთისაჲ მაგას ზე-
და“ (ინ. 9, 3). ამგვარი მიდგომა სხვების მიმართ თანაგრძნობით
განგვაწყობს.

პალესტინაში, ღაზას სიახლოვეს მდებარე აბბა სერიდოს მო-
ნასტერში ერთი ძმა დაავადდა. მას ძალა აღარ შესწევდა აეტანა
ტანჯვა და სთხოვა დიდ ბერს, მამა ბარსანოფის, შეწეოდა ლოც-
ვით. წმინდა ბარსანოფიმ მიუგო: „უფლის მიერ საყვარელო! შენ-
დამი ქრისტეს მიერი სიყვარულის გამო გაგიმხელ ღმრთის საი-
ღუმლოს. შენ უწყი და დარწმუნებულიც ხარ, რომ დღე და ღამ
ვევედრები უფალს, რათა გვიხსნას ბოროტისგან და თავის მა-
რადიულ სასუფეველში დაგვამკვიდროს. და როდესაც ჩვეულე-
ბისამებრ შევევედრე შენთვის ღმერთს, მან მიბრძანა: „დაუტე-
ვე, მსურს გამოვცადო მისი სულის სარგებლობისთვის. დაე ხორ-
ციელი ვნებით განცხადდეს, როგორი მოთმინება აქვს და ვედ-
რებისა და ღვაწლის სანაცვლოდ რას დაიმკვიდრებს“.

მამა ბარსანოფის ხორციელი ძმა მასთან მონასტერში ხანდაზ-
მულობაში მივიდა და ამ სოფელს განეშორა. იგი წყალმანკით და-
ავადდა და დიდ ბერს ევედრებოდა მისი გამოჯანმრთელებისთვის
ელოცა. წმინდა ბარსანოფიმ ამგვარად უპასუხა: „ეს სნეულება
იმისთვის მოგეკლინა, რომ უნაყოფო არ წარდგე ღვთის წინაშე.
თუკი დაითმენ და მაღლობას აღუვლენ ღმერთს — კეთილ ღვაწ-
ლად შეგერაცხება, რადგან მცირე ხანს დაჰყავი მონაზვნურ ხა-
რისხში. ნაწილობრივ იმიტომაც მოგეწია ეს განსაცდელი, რომ
მიიჩნიე, თითქოს მე, უბადრუკი, და შენ რალაცას წარმოვადგენთ
— მე, როგორც დიდი ადამიანი, შენ კი, როგორც ამ ადამიანის
ძმა. ნუთუ არ იცი, რომ ჩვენ ადამისმიერი ცოდვის შვილები, მი-
წა და ფერფლი ვართ. მაღლობდე ღმერთს, რომ ამ მდგომარეო-
ბაში აღმოჩნდი“.

ერთმა ბერმა დიდ ბერს, მამა ბარსანოფის სთხოვა ელოცა აბბა
სერიდოს გამოჯანმრთელებისთვის. წმინდა ბარსანოფიმ მიუგო:

„ჩემი სულიერი შვილის (აბბა სერიდოს) გამოჯანმრთელებისთვის ლოცვა აქ მყოფ რამდენიმე წმინდანსაც შეეძლო, მას ერთი დღითაც რომ არ ეავადმყოფა და აღსრულდებოდა კიდევ ამგვარად; მაგრამ მაშინ ის მოთმინების ნაყოფს ვერ მიიღებდა. ნუთუ მან არ უწყის, რა დავითმინე მე? მრავალფერი სნეულებანი და განსაცდელები, ვიდრე ამ კეთილსაიმედო ნავსაყუდელში დავმკვიდრდებოდი. ეს სნეულება ფრიად სასარგებლოა მისთვის, რათა ჰპოვოს მოთმინება და მაღლიერება“.

სწორედ ამ მიზეზის გამო, როგორც აბბა სერიდომ ძმებს გაუმხილა მათივე სარგებლობისთვის, თუძცა ცხელებით ფრიად ევნებოდა, მაგრამ ღმერთს არ ევედრებოდა კურნების მონიჭებას ან სნეულების შემსუბუქებას, მხოლოდ მოთმინებისა და მაღლიერების მინიჭებას ითხოვდა.

აბბა სერიდოს ზოგადცხოვრებულთა მონასტრის რამდენიმე ბერმა ჰკითხა დიდ ბერ ბარსანოფის: „როგორც გაგვანდე, ევედრებოდი ღმერთს, რომ ნეტარი აბბა სერიდო დაეტოვებინა ამქვეყნად შენს შემდეგ, მაგრამ რატომ წაიყვანა აბბა შენზე ადრე უფალმა, რომელიც აღასრულებს მის მოშიშთა ნებას? რატომ ფარავს ღმერთი ზოგ შემთხვევაში წმინდანთაგან თავის საქმეებს? და რატომ გამოაჩნდა აბბა სერიდოს აღსასრულის წინ სხეულზე წყლულები?“

წმინდა ბარსანოფიმ უპასუხა: „როგორც ერთხელ უთხრა (უფალმა) აბბა ანტონი დიდს: „ეს ღვთის განგებაა, შენ ვერ მისწვდები მას“, — ამგვარადვე უნდა გულისხმავყოთ ამ შემთხვევაშიც. რაც შეეხება წყლულებს და აბბა სერიდოს აღსასრულს, ის ადამიანთაგანაც და ღმერთისგანაც ზომაზე აღმატებულად განდიდდა. მამა სერიდო რომ არ გაელმერთებინათ (რადგან ის ჭეშმარიტად ეზიარა სული წმიდასა და სრულყოფილებას), ღმერთმა ამ გზით (სნეულებით) ჩააქრო ადამიანური დიდება, რათა სრულად გამოვლენილიყო ღმრთისმიერი დიდება.

ასეთი საზომის მიღწევის შემდეგ მას აღარ შეეძლო მიწიერ საგნებზე ზრუნვა, ხოლო სანამ ადამიანთა შორის იყო, არ შეეძლო საზრუნავებისგან თავის დახსნა. ღმერთმა ის ამიტომ წაიყვანა. რაც შეეხება ჩვენს ვედრებას, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ სწორედ ისე მოხდებოდა, როგორც ჩვენ ვითხოვდით, მაგრამ აღესრულა ღვთის ნება, რადგან ცხონების განგებულება აღმატებულია (ჩვენს განზრახვებზე). ადამიანი არ უნდა ცდილობდეს გამოიკვლიოს მიუწვდომელი, არამედ ყოველი გულისსიტყვა და ყოველი კეთილი საქმე უნდა მიანდოს ძალაუფლების მქონეს, რათა ყოველივე მისი ნებისაებრ აღსრულდეს“.

დიდ ბერს ერთი ძმა დაეკითხა, უნდა ვიმკურნალოთ თუ არა ავადმყოფობის ჟამს. წმინდა ბარსანოფიმ მიუგო: „ისინიც, ვინც ექიმებს მიმართავენ და ისინიც, ვინც არ მიმართავენ მათ, ასე იქცევიან (ყოველ შემთხვევაში უნდა იქცეოდნენ) ღმრთისადმი მინდობით. ვინც მიმართავს, ისინი ამბობენ: უფლის სახელით მივანდობ თავს ექიმებს, რათა მათი საშუალებით ღმერთმა კურნება მომივლინოს. ხოლო ვინც არ მიმართავს, ღმრთისადმი სასოებით არ მიმართავს და ის კურნავს მათ. ამდენად, თუკი მიმართავ (მკურნალთ), არ შესცოდავ, ხოლო როდესაც არ მიმართავ, თავს ნუ აიმაღლებ. იცოდე, თუნდაც ექიმს მიმართო, აღესრულება ის, რაც ღმერთს ნებავს. თუკი გსურს, გონებაში გქონდეს წმინდა ილია წინასწარმეტყველის სიტყვები: „ცხედარსა მაგას ზედა, რომელსა აღხედ, არა გარდამოხდე მაგიერ, არამედ მაგას ზედა სიკუდილითა მოჰკუდე“ (4 მეფ. 1, 4), – და მაშინ უზრუნველად (და უშფოთველად) იქნები“.

ამ ღარიბებიდან ჩანს, რომ ყოველი მძიმე ავადმყოფობის დროს უმჯობესია სიკვდილს ველოდებოდეთ. მის შესახებ დრად წინასწარ უნდა მოვემზადოთ, აღსარება ვთქვათ და ვეზიაროთ ქრისტეს წმიდა საიდუმლოებს. მაშინ შევძლებთ შფოთის გარეშე შევეგებოთ სიკვდილს, ხოლო მოულოდნელი სიკვდილი ყოველთვის

შიშის მომგვრელია. როდესაც ადამიანს ძძიმე სენი შეეყრება, სიკვდილის შიშით ევედრება ღმერთს, კიდეც გაუხანგრძლივოს სიცოცხლე და სინანულსა და გამოსწორებას აღუთქვამს. ღმერთი ამ პირობით გამოიხსნის ავადმყოფობისაგან და უხანგრძლივებს სიცოცხლეს, მაგრამ თუკი იცის, რომ ის ვერ გამოსწორდება, მაშინ სიკვდილს უგზავნის. ყოველ ადამიანს სიკვდილი მისთვის საუკეთესო დროს ეგზავნება, რათა მარადისობაში გადაინაცვლოს, როდესაც ამისთვის მზად არის. ზოგს მშვიდი აღსასრული ეგზავნება, ზოგს — სასტიკი, საზარელი, იმის მიხედვით, თუ რა არის მისი მარადიული ცხოვრებისთვის უძჯობესი. მოწვეული სნეულებისა და სიკვდილის მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ ადამიანის ცოდვიანობაზე ან სიმართლეზე, ღმერთის სათნოყოფაზე, რათა განკითხვის ცოდვაში არ აღმოვჩნდეთ. თუმცა წმიდა წერილის დამოწმებით, ზოგადად „სიკუდილი ცოდვილთა ბოროტ არს“ (ფს. 33, 22), ხოლო „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ“ (ფს. 115, 6), მაგრამ მრავალი გამონაკლისიც არსებობს — ზოგჯერ ცოდვილიც მოძკვადარა გარეგანი შფოთის გარეშე, ხოლო მართალს მოწვევია საზარელი სიკვდილი. მაგრამ ამით შეუძლებელია ვიმსჯელოთ პირველის ღმერთის სათნოყოფელობაზე და მეორის ცოდვიანობასა და წარწყმედაზე. გზანი და მსჯავრნი უფლისანი მიუწვდომელია ჩვენთვის. მათ წინაშე მხოლოდ კრძალვა გემართებს, ხოლო მათი შეცნობა შეუძლებელია.

წმინდა ათანასე დიდი გვასწავლის: მრავალი მართალი აღსრულებულა ბოროტი სიკვდილით, ხოლო ცოდვილნი — მშვიდად, ანუ უძტკივნეულოდ. ამის დასამტკიცებლად ის შემდეგ შემთხვევას მოგვითხრობს: უდაბნოში ერთი სასწაულთქმედებით განთქმული ბერი ცხოვრობდა მოწაფესთან ერთად. ერთ დღეს მოწაფეს საქმეზე მოუხდა ქალაქში წასვლა, რომელსაც ბოროტი და უღმერთო მმართველი განაგებდა, და ნახა, რომ მას დიდი პა-

ტივით კრძალავდნენ და მის კუბოს უამრავი ხალხი მიაცილებდა. როდესაც უდაბნოში დაბრუნდა, წმინდა მამა აფთორისგან დაგლეჯილი დახვდა. მან მწარედ დაიტირა ბერი და ღმერთს ამ სიტყვებით მიმართა: ღმერთო, როგორ დიდებულად აღესრულა ის ბოროტი მმართველი, ხოლო ამ წმინდა კაცს, სულიერ მოძღვარს, რად მოევლინა ესოდენ მწარე აღსასრული? როდესაც ის გლოვობდა და ლოცულობდა, წარმოუდგა ღვთის ანგელოზი და უთხრა: რად დასტირი ბერს? იმ ბოროტ მმართველს ერთი კეთილი საქმე ჰქონდა აღსრულებული, რისთვისაც ჯილდოდ მიემადლა დიდებული დაკრძალვა, ხოლო იმ ცხოვრებაში აღარაფერი ეღირსება, გარდა უღმერთო ცხოვრებისთვის განკითხვისა. ხოლო შენი მოძღვარი, პატიოსანი ბერი იყო, ყოველივეთი სათნოეყოფოდა ღმერთს; ის ყოველგვარი სათნოებით იყო შემკული, მაგრამ როგორც კაცს, ერთი მცირე შეცოდება ჰქონდა, რომელიც მწარე სიკვდილით შეენდო და ამ ცხოვრებიდან განწმენდილი განვიდა.

როგორც გადმოგვცემენ, ორმა წმინდა ბერმა აღსრულების შემდეგ გამოცხადებით შეიტყო, რომ მიწაზე მათი თანამოღვაწე მმა სიძვით დაეცა. ისინი ღმერთს ეკედრებოდნენ, რომ მის დასაგლეჯად ლომი ან სხვა მხეცი წარეგზავნა, რათა ამგვარი სასტიკი აღსასრულით ცოდვისაგან განწმენდილი მათი ნეტარების ადგილზე დამკვიდრებულიყო.

ერთხელ ერთი ადამიანი მდინარეში ჩავარდა და დაიხრჩო. ერთნი ამბობდნენ, რომ ცოდვათა გამო დაიღუპა, სხვები ამბობდნენ, რომ შემთხვევითობა იყო. ნეტარი ალექსანდრე ამის შესახებ ევსევი დიდს დაეკითხა. ევსევიმ უპასუხა: ვერც ერთ მათგანს ვერ შეუცვნიას სიმართლე. თითოეულ ადამიანს საქმეთა მიხედვით რომ მიეზღოს, მაშინ მთელი ქვეყნიერება დაიღუპებოდა. ეშმაკი არ არის გულთამხილავი. როდესაც ის დაინახავს, რომ ადამიანი სიკვდილს უახლოვდება, ბადეებს განფენს მის საცდუნებლად, რა-

თა სიკვდილს შეამთხვიოს; საჩხუბრად აღძრავს მას ან რაიმე სხვა, მცირე ან დიდ ბოროტ საქმეს ჩააგონებს.

ემშაკის მანქანებით, ზოგჯერ სუსტი დარტყმით ან სხვა უმნიშვნელო მიზეზით კვდება ადამიანი. ზოგჯერ იგი აღძრავს ადამიანს აღიდებული მდინარე გადალახოს ან სხვა განსაცდელში ჩაითრიოს ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე. ხდება, რომ ვიღაცას უწყალოდ ცემენ ან იარაღით ჭრიან და არ კვდება, სხვები კი სუსტი დარტყმითაც გარდაიცვლებიან. თუკი ადამიანი დიდ ყინვაში შორ გზას გაუდგება, როცა საშიშროება სრულიად ცხადია და გაიყინება, ის თავად იქნება დამნაშავე საკუთარ სიკვდილში, მაგრამ თუკი კარგ ამინდში გაემგზავრება, გზაში უამინდობა წამოეწევა, თავშესაფარი არ ექნება და დაიღუპება, ეს იქნება ტანჯული აღსასრული. თუკი ადამიანი საკუთარი ძალებისა და სიმარჯვის იმედით აღიდებულ და აბობოქრებულ მდინარეში შეიჭრება და დაიხრჩობა, ის თვითონ იქნება დამნაშავე საკუთარ სიკვდილში (და განისჯება, როგორც თვითმკვლეელი). თუკი ადამიანი ხედავს, რომ მდინარე დამშვიდებულია, სხვები მშვიდობიანად გადადიან და თავადაც წავა მათ კვალდაკვალ, ამ დროს ემშაკის მანქანებით წაბორძიკდება და დაიხრჩობა, ეს ადამიანი ტანჯული სიკვდილით აღესრულება (პროლოგი, 23 მარტი).

როდესაც ცოდვილნი სასტიკი სიკვდილით კვდებიან, ტანჯული აღსასრულის გამო ცოდვები მიეტევენ ან მომავალი სატანჯველი შეუმსუბუქდებათ. ხოლო როდესაც მართალს მოეწევა მოულოდნელი, ტანჯული აღსასრული, მას აღმატებული ჯილდო ელის მომავალ ცხოვრებაში.

წმინდა ათანასე დიდი ამბობს: მრავალმა მართალმა ცხოვრება ხანგრძლივ, მძიმე სნეულებაში გაატარა, ხოლო ცოდვილები ზოგჯერ მშვიდად და სწრაფად, ანუ ტკივილების გარეშე კვდებიან. წმინდა გრიგოლი გვასწავლის: ხშირად ღმრთისმოსავ ადამიანებს დიდი მწუხარება და სიმძიმე იატყვებათ თავს სიკვდი-

ლამდეც და სიკვდილის ჟამსაც. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ რა-
ღაც პატარა ცოდვები აქვთ და მათგან უნდა განიწმინდონ. აგ-
რეთვე, არ არსებობს ცოდვილი, რაიმე კეთილი საქმე რომ არ
გაეკეთებინა, რისთვისაც მშვიდი აღსასრული მოევლინება. მაგ-
რამ რაკი აქ ჯილდოს სრულად მიიღებს, მომავალ ცხოვრებაში
მით უფრო მკაცრად განისჯება ცოდვებისთვის (პროლოგი, 30
აპრილი.).

თესალონიკის ერთ-ერთ მონასტერში ერთმა ქალწულმა ეშ-
მაკის მანქანებით მოთმინება დაკარგა, დატოვა მონასტერი, დაბ-
რუნდა ერში და რამდენიმე წელი ბილწებით გაატარა. შემდეგ
გონს მოეგო, გამოსწორება გადაწყვიტა და თავის მონასტერში
სინანულით დაბრუნდა, მაგრამ მიაღწია თუ არა მონასტრის კა-
რიბჭეს, უსულოდ დაეცა. ერთ ეპისკოპოსს ღმერთმა უჩვენა მი-
სი აღსასრული. მან იხილა, რომ ანგელოზები მივიდნენ და წა-
იყვანეს მისი სული, ხოლო ეშმაკები უკან მისდევდნენ და ეკამა-
თებოდნენ. წმინდა ანგელოზები ამბობდნენ: ის ამდენი წელი
„გვემსახურებოდა და მისი სული ჩვენია“. ეშმაკები ამბობდნენ:
ის მონასტერშიც სიზარმაცით დამკვიდრდა და „როგორღა ამ-
ბობთ, რომ შეინანა?“ ანგელოზებმა მიუგეს: „ღმერთმა იხილა,
რომ იგი გულით და გონებით სიკეთისკენ მოიქცა, ამიტომაც შე-
იწირა მისი სინანული. სინანული მის თავისუფალ ნებაზე იყო
დამოკიდებული, ხოლო სიცოცხლეს ღმერთი განაგებს“. შერ-
ცხვენილი ეშმაკები უკუიქცნენ.

ღირსმა ათანასე ათონელმა სახელი გაითქვა ღმრთისმოშიშე-
ბით, სიწმინდითა და სასწაულთქმედებით, მაგრამ ღმერთმა, ჩვენ-
თვის მიუწვდომელი განგებით, გარეგნულად საზარელი აღსას-
რული მოუვლინა. მას წინასწარ განეცხადა, რომ ხუთ მოწაფეს-
თან ერთად ტაძრის სვეტი დაეცემოდა. წმინდა ათანასემ ამის შე-
სახებ მინიშნებით უთხრა ძმებს უკანასკნელ საუბარში, თითქოს
ემშვიდობებოდა მათ, შემდეგ ხუთ რჩეულ მოწაფესთან ერთად ნა-

გებობის თავზე ავიდა და მყისვე გადმოქცეულმა შენობამ მოიყოლა.

საღმრთო ისტორია მოწმობს, რომ ისრაელის უსჯულო მეფე აქაბის დროს, მისი მხილების მიზნით, ღმერთის წინასწარმეტყველმა საჭიროდ ჩათვალა მის წინაშე გასისხლიანებული წარმდგარიყო და ამისთვის, ღვთის ბრძანებით, შემხვედრ კაცს უთხრა: მცემე. იგი ღმრთის კაცის მიმართ კრძალვის გამო ბრძანებას არ ასრულებდა. წინასწარმეტყველმა უთხრა: „იმისთვის, რომ არ შეისმინე ღვთის სიტყვა, როგორც კი წახვალ ჩემგან, ლომი დაგვლევს“. ასეც მოხდა: განშორდა თუ არა ეს კაცი წინასწარმეტყველს, ლომი შემოხვდა და დაგლიჯა (3 მეფ. 20, 35-36). ნეტარი პეტრე დამასკელი შენიშნავს, რომ ეს მოხდა არა ღვთის რისხვის გამო, არამედ სხვათა სარგებლობისათვის. არა იმიტომ, რომ ეს კეთილი ადამიანი ღირსი იყო ჩვეულებრივი სიკვდილით არ მომკვდარიყო სხვა ადამიანების მსგავსად, არამედ ღმრთის სიტყვის თანახმად მხეცს უნდა დაეგლიჯა და ამგვარი საზარელი სიკვდილის გამო მიეღო გვირგვინი.

აბბა გერონტი მოგვითხრობდა: „სამი მოსაგრე ვმოღვაწეობდით მკვდარი ზღვის იქით, ბისიმონტის მახლობლად. ჩვენ მთაში მიმოვდიოდით, ხოლო სხვა მოსაგრე ჩვენს ქვევით ზღვის ნაპირზე იარებოდა. ერთხელ მას სარკინოზები შეხვდნენ, რომლებიც იმ ადგილებში მოგზაურობდნენ. ისინი მოსაგრეს გაცდნენ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უკან დაბრუნდა და მას თავი მოკვეთა. ჩვენ მაღალი მთიდან ყველაფერს ვხედავდით და მეუდაბნოე დავიტირეთ. მოულოდნელად ციდან ფრინველი დაეშვა და სარკინოზი მაღლა აიტაცა, შემდეგ გაუშვა. ის მიწაზე დაენარცხა და ნაწილებად დაიშალა“. აქედან ცხადია, რომ, თუმცა უფალმა დაუშვა მოსაგრე სარკინოზს მოეკლა ჩვენთვის უცნობი საღმრთო განგებით, მაგრამ მკვლელი თავადაც სიკვდილით დაისაჯა.

მამა ალათონიკე, წმინდა საბას ლავრის იღუმენი, თავის შესახებ მოგვითხრობდა: „ერთხელ რუმელში წავედი, რათა განდეგილი მამა აბბა პიმენი მომენახულებინა. როდესაც ვიპოვე, ჩემი გულისთქმების შესახებ მოვუყევი. როცა დადამდა, მან მღვიმეში გამიშვა. მაშინ ზამთარი იყო, ღამით ძალიან ციოდა და გავითოშე. ბერი დილით მოვიდა და სიცივის შესახებ რომ შეეჩვილე, მითხრა: მე არ გავყინულვარ, საყვარელო შეილო! ამის გაგონებამ გამაკვირვა, რადგან ტანზე არაფერი ემოსა და კკითხე: წყალობა მიყავ და მითხარი, როგორ მოხდა, რომ არ გაიყინე? მან მომიგო: მოვიდა ლომი, ჩემს გვერდით დაიძინა და მათობდა. მაგრამ უწყოდე, ძმაო, მხეცები შემჭამენ. რატომ? – დავეკითხე. – იმიტომ, რომ როდესაც სამშობლოში ვცხოვრობდი და ცხვრებს ვძვყემსავდი, ჩემმა ძაღლებმა ერთი ძწირი დაგლიჯეს. მისი გადარჩენა შემეძლო, მაგრამ არ მივეშველე, მივატოვე და ძაღლებმა დაგლიჯეს. იცოდე, რომ მეც ასეთი აღსასრული მელის. სამი წლის შემდეგ სწორედ იმგვარად მოხდა, როგორც ბერმა იწინასწარმეტყველა. იგი მხეცებმა დაგლიჯეს“. აქედან ცხადია, თუმცა ბერი ღმრთისმოსოში იყო, ღმერთს სათნოეყოფოდა, მომავლის შეცნობის ნიჭიც მიემადლა, მაგრამ ღმერთმა სასტიკი სიკვდილი წარმოუგზავნა, რათა ცოდვისაგან განწმენდილიყო. ტანჯული აღსასრულის გამო წარსულის ცოდვები შეენდო და ცათა სასუფეველის დამკვიდრების ღირსი გახდა.

ამიტომ სიკვდილის ხარისხის მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ადამიანი ღმრთის სათნო იყო თუ არა. მან ჩვენზე უკეთ უწყის, ვის როგორი აღსასრული წარმოუგზავნოს — მშვიდი, უმტკივნეულო, თუ სასტიკი და მტკივნეული. ღმერთი რასაც ადარულებს, მხოლოდ სასიკეთოდ, ადამიანის მარადიული ხვედრის შესამსუბუქებლად იქმს.

წმინდა იოანე ოქროპირი გვასწავლის: „თუკი ხედავ, რომ მართალს ბოროტი აღსასრული მოევლინა, ნუ დაეცემი სულიე-

რად, რადგან უბედურება ბრწყინვალე გვირგვინს უმზადებს. ღმერთი ზოგიერთს მიწაზევე სჯის, რათა იმქვეყნიური სასჯელი შეუმსუბუქოს ან სრულიად გაათავისუფლოს მისგან. როდესაც ხედავ, რომ ვიღაც ხომალდთან ერთად დაინთქა ზღვაში, სახლის ნანგრევებში მოყვა, მდინარეში დაიხრჩო ან სხვაგვარი მძლავრებით აღესრულა, სხვები კი, მასავით ან მასზე მეტად ცოდავენ და ცოცხლები და უვნებელნი არიან, — ნუ შემფოთლები და ნუ იტყვი — ერთნაირად შემცოდენი რატომ ერთნაირადვე არ მოკვდნენ? ღმერთი ზოგიერთს სხვისი ხელით სიკვდილს მოუვლენს, რათა იმქვეყნიური სასჯელი შეუმსუბუქოს, ან მის ცოდვილ ცხოვრებას წყვეტს, რათა უსჯულოების გამრავლებით უფრო დიდი სასჯელი არ დაიმსახუროს. სხვას კი ამგვარ სიკვდილს არ უგზავნის, რათა პირველის მაგალითით განსწავლული, გამოსწორდეს. თუკი ისინი არ სწორდებიან, დამნაშავეა არა ღმერთი, არამედ მათი უზრუნველობა“ (საუბ. მე-3 ლაზარეს შესახებ).

როგორც ჩანს ამ მიზნით დაუშვა უფალმა მოულოდნელი აღსასრული გალილეელებისა, რომლებიც პილატემ დაახოცინა და აგრეთვე სილოამის გოდოლით მოწყვეტილთა, რომელთა შესახებ მაცხოვარი ბრძანებს: „ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეელები ესე უფრომს ყოველთა გალილეელებთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ევნო მათ? გეტყვ თქუნენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრეთვე სახედ ყოველნი წარწყმდეთ. ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოწყვდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანამდებ იყვნეს უფრომს ყოველთა კაცთა, რომელნი მკვდრ არიან იერუსალჴმს? გეტყვ თქუნენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ“ (ლკ. 13, 1-5).

ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაიიმედებს თავს, რომ მას არ მოეკვლინება მოულოდნელი სიკვდილი. ის ანაზღად რომ არ მოგვე-

წიოს და ძრწოლა არ მოგვეგვაროს, მის შესახვედრად წინდაწინ-
ვე უნდა ვემზადოთ.

მზადება სიკვდილისთვის

საკმარისი არ არის სიკვდილისთვის მოვემზადოთ მხოლოდ
მაშინ, როდესაც იგი გვიახლოვდება ან გვემუქრება, არამედ მთე-
ლი ცხოვრება, მუდმივად უნდა ვემზადებოდეთ მშვიდი აღსასრუ-
ლისთვის. მზადება შეიძლება იყოს ადრეული და უახლოესი.

ადრეული სამზადისი სიკვდილისთვის

მთელი ცხოვრება, ვითარცა ერთი დღე, და თანაც, როგორც
უკანასკნელი, უნდა იყოს მუდმივი, მოშურნე სამზადისი სიკვდი-
ლისთვის. ამისთვის აუცილებელია: 1) ერთის მხრივ, განვიშო-
როთ წინააღმდეგობები; 2) მეორეს მხრივ, გამოვიყენოთ ყოველ-
გვარი საშუალება მშვიდი აღსასრულის მოპოვებისთვის.

1) წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლის მშვიდ სიკ-
ვდილს და უნდა განვაგდოთ, შემდეგია:

ა) ცოდვილი ცხოვრება, სინანულისა და გამოსწორების გა-
დადება მომავლისთვის.

ბ) სიკვდილის დავიწყება, ხანგრძლივი სიცოცხლის სურვი-
ლი არა იმ მიზნით, რომ სათნობაში წარემატო.

გ) ავადმყოფობისა და სიკვდილის წინაშე გადამეტებული ში-
ში.

დ) ღმრთის მოწყალებისა და საკუთარი კეთილი საქმეების
უგუნური მოიმედება, ღმრთის მართლმსაჯულების დავიწყება.

ე) გადამეტებული სულიერი შფოთი, საღმრთო მართლმსაჯუ-
ლებისა და მომავალი სატანჯველის წინაშე შიში.

2) მშვიდი აღსასრულის მოსაპოვებლად შეიძლება შეგვეწი-
ოს:

ა) სიწმინდის დაცვა და მშვიდი სინდისი, ყოველი ნაკლისა და სისუსტის გამოსწორება, კეთილი ზნის ჩამოყალიბება.

ბ) მუდმივი ხსოვნა და ფიქრი სიკვდილზე, რომელიც უეჭველად მოვა, მაგრამ წინასწარ არ ვიცით, როდის. ხშირად უნდა დავფიქრდეთ მიწიერ სიკეთეთა ამაოებაზე, ამქვეყნიური ცხოვრების ხიფათსა და უბადრუკობაზე, მომავალი ცხოვრების ჯილდოთა და სიხარულთა უპირატესობაზე.

გ) [ფიქრი] ღმერთის უსაზღვრო მოწყალებაზე ადამიანთა მიმართ, უფალ იესო ქრისტესთან ყოფნის სურვილი, ღმრთის სახიერებით მარადიული ნეტარების მოპოვების იმედი.

დ) მუდმივი, ქმედითი მცდელობა გამოასწორო ცხოვრება, მუდმივი სიფხიზლე და სიკვდილის მოლოდინი, ყოველი დღე უნდა ჩათვალო უკანასკნელად, რათა მშვიდად, უღრტვინველად შეხვდე სიკვდილს ნებისმიერ დღეს.

3) მაცხოვარი ხშირად იგავებით ასწავლიდა სიფხიზლეს გადარჩენის საქმეში: იგავით მონების შესახებ, რომელთაც მოულოდნელად მოუხმო უფალმა ანგარიშისთვის; მოწვეული სტუმრებისა და მონების იგავით, რომლებიც ბატონის დაბრუნებას ელიან საქორწინო ნადიმიდან; ათი ქალწულის შესახებ იგავით, რომლებიც სიძის გამოჩენას ელიან და სხვ. (მთ. 25, 1-13, 19; ლკ. 12, 26-40; 16, 2 და მთ. 24, 42-51). მოგვიწოდებდა მზადყოფნისკენ ნებისმიერ დღეს და ჟამს შევხვდეთ უფალს სიკვდილთან ერთად. ამისთვის აუცილებელია:

ა) ხშირად დავეკითხოთ ჩვენს სინდისს, არის თუ არა სუფთა, მშვიდი, რომ არ ეშინოდეს სიკვდილისა.

ბ) ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მძიმე ცოდვებთან განშორება, თუკი არაფრად მიგვაჩნია მცირე შეცოდებანი. ღვთის წინაშე ამგვარად ვერ გამართლდება ადამიანი; აუცილებელია ხშირი სინანულით განვიწმინდოთ გული ვნებებისგან, აღვაგზნოთ მასში სიყვარული: ხშირად უნდა ვთქვათ აღსარება და ვეზიაროთ

ქრისტეს წმიდა საიდუმლოებს იმგვარი განწყობით, როგორც ვისურვებდით ზიარებას სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში...

გ) ყოველდღიურად იმაზე ფიქრით უნდა დავიძინოთ, რომ შეიძლება ძილისაგან გაღვიძებულნი იმქვეყნად აღმოვჩნდეთ. ამიტომ საწოლში ისე უნდა ჩავწვეთ, თითქოს კუბოში ან საფლავში ვწვებოდეთ, ღმრთისადმი მხურვალე ლოცვით.

ერთი სიტყვით:

დ) რაც გსურს და გმართებს, რომ სიკვდილის ჟამს აღასრულო, მის დადგომამდე დიდი ხნით ადრე აღასრულე. ხშირად დაეკითხე საკუთარ თავს: დღეს რომ აღესრულო, ამ ღამით, როგორ წარდგები მართლმსაჯული ღმერთის წინაშე?

ვინც საკუთარი გადარჩენის სადარაჯოზე ამგვარად ფხიზლობს და ცდილობს ღმრთისმომოქმედებით იცხოვროს, მას ღმერთმა უეცარი სიკვდილი რომც წარმოუგზავნოს, მოუმზადებელს არ მოეწევა; უეცარი სიკვდილი უბედურება არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც მას წინ კეთილი ცხოვრება უძლოდა.

სამზადისი მოახლოებული სიკვდილის შესახებ ვერად

როდესაც ღმერთი მძიმე ავადმყოფობით ან უეცარი დაუძლურებით გვაუწყებს სიკვდილის მოახლოებას, განსაკუთრებული გულმოდგინებით გვმართებს სამზადისი მის შესახებ ვერად.

1) ავადმყოფმა უნდა სთხოვოს ექიმსა და ახლობელ ადამიანებს, რომ დროულად გააფრთხილონ სიკვდილის საშიშროების გამო, ვიდრე სულიერი ძალები საბოლოოდ დატოვებენ და ცნობიერება ტანჯვისაგან დაებინდება, რათა შეძლოს აღსარების თქმა სიმშვიდით, სინდისის უკეთ განწმენდა, ზიარება, ზეთის კურთხევის საიდუმლოში მონაწილეობა და ამის შემდეგ დამშვიდებული სულით სრულიად მიენდოს ღვთის ნებას.

ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს სასურველია რამდენჯერმე თქვას აღსარება და ეზიაროს, რაც სიცოცხლის უკანასკნელი წუ-

თისთვის არ უნდა გადადოს. როდესაც ტკივილები და სიკვდილის შიშით, უფლის სამსჯავროს წინაშე ძრწოლით სული აღშფოთებულია, დაუძღვრებულია, გონება დაბინდულია, ადამიანი კარგავს სინანულისა და აღსარების თქმის უნარს, ვერ ახერხებს კეთილმოშიშებით ზიარებას. ამის გამო მრავალი ადამიანი გარდაცვლილა უზიარებლად.

2) აღრევე უნდა მოაგვარო ოჯახური საქმეები, შეადგინო ანდერძი ქონების განკარგავსთან დაკავშირებით; ყველას შეურიგდე, მტრებს შეუნდო პირადად ან დაუსწრებლად, გულით უნდა მიუტეო მათ ყოველივე. ამის შემდეგ მიწიერზე აღარ უნდა იზრუნო, არამედ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეეგებო სიკვდილს და წარდგე ღვთის სამსჯავროზე.

3) სიკვდილის წინ ეშმაკი განსაკუთრებული გაბოროტებით ესხმის თავს ადამიანს, აღუძრავს სასოწარკვეთილებას, ურყევს რწმენას, სასოებასა და სიყვარულს ღვთის მიმართ, სულს აშფოთებს ჩადენილი ცოდვების განსენებით, ეჭვს აღუძრავს ღმერთის გულმონწყალების მიმართ, აშინებს მარადიული სატანჯველის წარმოდგენით, ცდილობს შეაძრწუნოს სასოწარკვეთილებით, რაც არის სულის სიკვდილი.

ამ დროს ავადმყოფმა განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა ილოცოს ღვთის მიმართ, რომ მან განუმტკიცოს რწმენა, სასოება, სიყვარული მის მიმართ, არ დაუშვას, რომ მტერმა დაამძიმოს თავისი მანქანებით, დათრგუნოს სასოწარკვეთილებით, შეაშფოთოს ეჭვით, შიშით. სულის ნუგეშისცემისა და განმტკიცებისთვის სასარგებლოა ღმერთისმოშიშ ადამიანთან საუბარი, კითხვა ან მოსმენა წმიდა წერილიდან დამამშვიდებელი ადგილებისა (ასეთები მრავლადაა ფსალმუნებში, მაგალითად, ფს. 6, 17, 21, 24, 26, 30, 31, 37, 40, 41, 42, 49, 50, 61, 62, 68, 72, 76, 83, 93, 101, 114, 117, 118, 142 და სხვ.). მომაკვდავისთვის განსაკუთრებით სანუგეშოა მოისმინოს მაცხოვრის გამოსათხოვარი საუ-

ბარი მოწაფეებთან: „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, გრწმენინ ღმრთისაჲ და გრწმენინ ჩემდა მომართ. სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. უკუეთუ არა, გარქუმცა თქუენ, ვითარმედ: მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ“ (ინ. 14, 1-17) და სხვ.

სასარგებლოა, ხშირად ვიკითხოთ სულის განტყევის ლოცვა (კურთხევანიდან) და სავედრებელი კანონი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიმართ ცოდვილის აღსარებისთვის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის პარაკლისი და სხვა სავედრებელი ლოცვები. როდესაც მტერი გაშფოთებს ჩადენილი ცოდვების გახსენებით, შიშს გგვრის ღვთის სამსჯავროს მოგონებით და ცოდვების გამო სასჯელით, ღმერთის უღმობელოების წარმოდგენით სურს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოს მომაკვდავი, ამ დროს თავი უნდა გაიმხნეო ღმერთის უსაზღვრო კაცთმოყვარეობაზე ფიქრით. მას ყველას გადარჩენა სურს, ფიცითაც კი გვარწმუნებს, რომ არ სურს ცოდვილთა წარწყმედა, არამედ მოქცევა და ცხონება მათი (ეზეკ. 33, 11).

ღმერთმა ადამიანთა მიმართ თავისი სიყვარული იმით დაამტკიცა, რომ წარმოგზავნა თავისი საყვარელი ძე ცოდვილთა ცხონებისთვის (ინ. 3, 16), მისცა იგი ვნებისა და სიკვდილისთვის, რათა ამით გამოეხსნა მორწმუნენი ცოდვისა და მარადიული წარწყმედისაგან.

მოციქული გვიჩვენებს ღმერთის ადამიანთა მიმართ სიყვარულის დიდებულებას და ამბობს: „ძნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდის, ხოლო კეთილისათჳს, ვინ უწყის, ნუუკუე და იკადრისცა ვინმე სიკუდილი. ხოლო გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე-იგი ცოდვილთა ვიყვნით, ჩუენთჳს მოკუდა. რაოდენ უკუე უფროჲს აწ, განმართლე-

ბულ რაჲ ვართ სისხლითა მისითა, განვერნეთ ჩუენ მის მიერ რისხვისაგან! უკუეთუ მტერ რაჲ ვიყვენით, დავეგენით ღმერთსა სიკუდილითა მისა მისისაჲთა, რაოდენ უფროჲს აწ, და-რაჲ-ვე-გენით, ვცხონდეთ მაცხოვარებითა მისითა!“ (რომ. 5, 7-10).

... არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც აღემატება ღმერთის გულმოწყალებას, ოღონდ თავად ადამიანი არ გამედგრდეს ცოდვებში, არამედ შეინანოს, დაუტეოს, მოიძაგოს, თავმდაბლად ითხოვოს შენდობა.

როდესაც მორწმუნე მღვდლის წინაშე აღიარებს ცოდვებს და შეენდობა, ღმერთიც მიუტევებს. ამაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. მაცხოვარი ეუბნებოდა მოციქულებს, მათი სახით კი მათ მემკვიდრეებს: „მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (ინ. 20, 23). „რაოდენნი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა“ (მთ. 18, 18).

წმინდა იოანე მახარებელი ამბობს: „უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რაჲთა მოგვტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ყოვლისაგან სიცრუისა“ (1 ინ. 1, 9). თუკი ღმერთი ჩვენსკენ არის, მაშ ვინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე?

თუკი ღმერთმა უდიდესი რამ მოგვცა — მისცა ძე თვისი ყოველი ჩვენგანისთვის, მასთან ერთად ნუთუ უმცირესს, ცოდვათა შენდობასა და ცათა სასუფეველს არ მოგვანიჭებს? „ვინ არს მამრალობელ რჩეულთა მათ ღმრთისათა? ღმერთი არს განმამართლებელ. და ვინ არს დამსჯელ? ქრისტე იესუ, რომელი მოკუდა, უფროჲსლა აღდგა; რომელი-იგი არს მარჯუენით ღმრთისა, რომელი-იგი მეოხ არს ჩუენთვის“ (რომ. 8, 31-34).

თვით უდიდესი მოსაგრეები ძრწოდნენ, როდესაც სიკვდილის ზღვარს უახლოვდებოდნენ, მაგრამ შემდგომში გამოჩნდა, რომ ისინი ღმერთმა განამართლა და განადიდა ცათა სასუფეველში.

თუმცა ჩვენ არ აღგვისრულებია მათი მსგავსი ღვაწლი, მაგრამ ღმერთი ყველასგან არ ითხოვს ღვაწლს. ის გვთხოვს შემუხვრილ, მდაბალ, მორჩილ და მის ერთგულ გულს (ეს. 66, 22), ანუ თავმდაბლობას, ცოდვათაგან განდგომას, ღმერთისადმი სიყვარულსა და სათნოებებს.

უფალი არ განგვსჯის იმისთვის, რომ ვცოდეთ, რადგან ეს დამახასიათებელია დაცემული, უძლური, შერყვნილი ადამიანური ბუნებისთვის, არამედ განგვსჯის ცოდვების უნანელობისათვის.

წმინდა ისააკ ასური ამბობს: ნუ დაემწუხრდებით მაშინ, როდესაც ცოდვით ვეცემით, არამედ ვიმწუხაროთ მაშინ, როდესაც ვრჩებით ცოდვაში, რადგან ეცემიან თვით სრულყოფილნიც, ხოლო ცოდვაში გამედგრება — არის სრული სიკვდილი. წუხილი, რასაც დაცემის გამო განვიცდით, მაღლის მეოხებით ღვაწლად შეგვერაცხება.

ვინც სინანულის იმედით მეორედ შესცოდავს, ის ღმერთის წინაშე მზაკერულად იქცევა. მას მოულოდნელად მოეწევა სიკვდილი და ვერ მოესწრება იმ დროს, როდესაც სათნოებების აღსრულებას ფიქრობდა. თუკი აღარ შეგვიძლია რაიმე ღვაწლის აღსრულება ან ცოდვათა გამოსწორება, მაშინ ვიმწუხაროთ მათ გამო, თავი დავიმდაბლოთ ღვთის წინაშე. ხოლო სიმდაბლეს, წმინდა ისააკ ასურის სიტყვით, ჩვენი ხსნა კეთილ საქმეთა გარეშეც შეუძლია.

„უწყოდე, — ამბობს ის, — წინააღდგომა (ეშმაკის მანქანებისა) არ არის შენი და შენს სათნოებათა მიერ აღსრულებული საქმე, არამედ ამას მაღლი აღასრულებს, რომელიც ხელის გულზე გატარებს, რათა არ შეცბუნდე. იგლოვე, ცრემლი დაღვარე და შეუვრდი (ღმერთს), როდესაც შენს ცოდვით დაცემებს იგონებ, რათა ამგვარად გათავისუფლდე და ამ გზით მოიპოვო სიმდაბლე (საკუთარი თავის განკითხვა, დამდაბლება).“

ამგვარად, სასოს ნუ წარიკვეთ და თავის დამდაბლებით გამოითხოვე ცოდვათა მიტევება. სიმდაბლე სათნობათა აღსრულების გარეშეც მრავალ ცოდვას აღხოცს და, პირიქით, სიმდაბლის გარეშე საქმეებიც უსარგებლოა, მრავალ ცუდ რამეს შეგვამთხვევენ (ანუ შეუძლიათ ზესთამჩენობაში, ცუდადმზვაობრობასა და ამპარტავნებაში ჩაგვაგდონ).

შენს მიერ ჩადენილი უსჯულოება მისატყვებელი გახადე სიმდაბლით. ის დასცემს ცოდვათა სიმაგრეს. მის დასამკვიდრებლად აუცილებელია მუდმივად წუხდე გონებით (თავს იმდაბლებდე ღმერთისა და ადამიანების წინაშე, თავს მიიჩნევდე უცოდვილესად, ყველაზე უარესად). თუკი მოვიპოვებთ სიმდაბლეს, ღმერთის შვილები შევიქნებით მისი მეოხებით და ის კეთილი საქმეების გარეშეც წარგვადგენს ღვთის წინაშე. სიმდაბლის გარეშე კი ამაოა ყოველი ჩვენი საქმე და სათნობა.

ღმერთს სურს, რომ შევიცვალოთ გულისსიტყვები. გულისსიტყვას შეუძლია გაგვხადოს უკეთესიც და უარესიც. მას შეუძლია ჩვენ, უძლურნი, ღვთის წინაშე წარგვადგინოს და იგი იმეტყველებს ჩვენს შესახებ“.

წმინდა აბბა დოროთე ამბობს: „სიმდაბლე საღმრთო მადლს მოიზიდავს სულში. ის იფარავს გულს ყოველგვარი ვნებისგან და განსაცდელისგან. მას (ღვაწლის გარეშე) ძალუძს ჩვენი დამკვიდრება ცათა სასუფეველში, ოღონდ ეს ხდება არა ერთბაშად, არამედ თანდათან, როგორც ფსალმუნთმგალობელი ამბობს: „იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომაჲ ჩემი და მომიტყევენ მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი“ (ფს. 24, 18).

ამგვარად, თავი მცირედ დავიმდაბლოთ და გადავრჩებით. თუკი როგორც უძლურთ, შრომა არ შეგვიძლია, ვეცადოთ თავი მაინც დავიმდაბლოთ (ანუ ვაღიაროთ ჩვენი უძლურება, ნაკლი, ცოდვები, დანაშაული ღვთის წინაშე, შევთხოვოთ მას წყალობა, შეწევნა, მივიჩნიოთ თავი ცოდვილად, ყოველგვარი ბედნიერების

უღირსად, საკუთარი თავი ყველა ადამიანზე უარესად მივიჩნი-
ოთ). გვწამდეს ღმერთის გულმოწყალებისა, რომ იმ მცირედის-
თვის, რასაც სიმდაბლით აღვასრულებთ, დაგმკვიდრდებით იმ
წმინდანებთან, რომელთაც მრავალი იღვაწეს და ღმერთს ემსა-
ხურნენ).

თუმცა უძლურნი ვართ და არ ძალგვიძს ვიტვირთოთ ღვაწ-
ლი, მაგრამ ნუთუ არც თავის დამდაბლება შეგვიძლია? თავი და-
ვიმდაბლოთ და ღმერთი გადაგვარჩენს, როგორც გამოთქვა მეფ-
სალმუნემ: „დავმდაბლდი და მაცხოვნა მე“ (ფს. 114, 6).

წმინდა იოანე კიბისალმწერელი გვასწავლის, რომ სიმდაბლეს
ძალუძს სული ცოდვათა უფსკრულიდან აღმოიტაცოს. სიმდაბ-
ლემ შეძლო მანასეს უკურნებელი წყლულების კურნება. თუკი
მხოლოდ ამპარტავნების გამო, სხვა ვნებების გარეშე, განვარდა
ის (ეშმაკი) ზეციდან, მაშასადამე, სიმდაბლით, სხვა სათნობა-
თა დაუნმარებლად, შესაძლებელია იქ აღსვლა. „ვცოდე წინაშე
უფლისა“, – შეჰღაღადა ერთ დროს ნეტარმა სიმდაბლემ (მე-
ფისა დავითისა), როდესაც მხილებულ იქნა მრუშებასა და კა-
ცის კვლაში, და მყისვე ესმა: „და უფალმანცა მიგიტევნა ცოდ-
ვანი შენნი“ (2 მეფ. 12, 13).

ჩვენც ვევედროთ უფალს სიმდაბლითა და გულშემუსვრილე-
ბით ცოდვათა შენდობისა და შეწყალებისთვის...

ტომსკისა და სემიპალატინსკის ეპისკოპოსი პეტრე, †1889.

“Наставление и утешение в болезни и предсмертное
время”.

თარგმნა თამარ ერისთავმა



წმინდა გრიგოლ დიდი (დიოლოლოსი)

წმინდა სტეფანეს ეკლესიის მნათე კონსტანტინეს შესახებ

[წ მ ი ნ დ ა გ რ ი გ ო ლ ი დ ი დ ი] : ახლა ვიამბობ იმის შესახებ, რაც ერთი ჩემი ნაცნობი ეპისკოპოსისაგან მოვისმინე. იგი ძრავალი წლის განმავლობაში მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა ქალაქ ანკონში და ძალზე ღვთისმოშიში გახლდათ. მის მონათხრობებს იმავე ქვეყანაში მცხოვრები ჩემი სხვა ხანდაზმული ნაცნობებიც ადასტურებენ.

ქალაქ ანკონის მახლობლად იყო წმინდა მოწამე სტეფანეს სახელობის ტაძარი. ამ ტაძარში მნათედ მსახურობდა ღირსად პატივცემული კაცი, სახელად კონსტანტინე. მისი წმინდა ცხოვრების შესახებ ხმა ძალიან შორს გავრცელდა, რადგან ამ ადამიანმა სრულიად უგულვებლყო ყოველივე მიწიერი და მთელი სულით მხოლოდ ზეციურს შეემსჭვალა. ერთხელ ტაძარში ზეთი გამოიღია და კანდელების ასანთებად ღვთის მონა კონსტანტინეს არაფერი ჰქონდა. მან შეუორგულებლად ჩაასხა წყალი კანდელებში და ჩაუშვა პატრუქი. შემდეგ, როდესაც ცეცხლი მოიტანეს, კანდლები ანთო და წყალმა ისე დაიწყო წვა, თითქოს კანდლებში ზეთი ესხა. დაუფიქრდი, საყვარელო პეტრე, იმდენად დიდი მოღვაწე იყო ეს კონსტანტინე, რომ გაჭირვებისას სტიქიათა თვისებების შეცვლა შეეძლო.

დ ი ა კ ო ნ ი პ ე ტ რ ე : ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია შენი ნაამბობი, მამაო, მაგრამ მე მსურს ვიცოდე, შინაგანი სიმდაბლის რა საფეხურზე იმყოფებოდა ეს ადამიანი, გარეგნულად ამგვარ არაჩვეულებრივ საქმეებს რომ ადასრულებდა.

წმინდა გრიგოლი: კარგია, რომ სასწაულებში შენ ადამიანის სულიერი თვისებების გამოძიება გსურს, რადგან გარეგნულ სასწაულებს სული ძლიერ განსაცდელში შეჰყავთ. იმას კი, თუ როგორ სიმდაბლეს ფლობდა წმინდა კონსტანტინე, შენ მაშინვე დაინახავ, როგორც კი მისი მხოლოდ ერთი საქმის შესახებ შეიტყობ.

დიაკონი პეტრე: დიახ, ამგვარი დიდი სასწაულის მოყოლის შემდეგ ახლა ისღა დაგრჩენია, ჩემს აღსაშენებლად მისი სულის სიმდაბლეზე მიაბო.

წმინდა გრიგოლი: როგორც კი ხმა გავარდა კონსტანტინეს სიწმინდის შესახებ, მისი ნახვის მოუთმენელი სურვილით აღძრულმა მრავალმა ადამიანმა იწყო სხვადასხვა მხრიდან სიარული. ერთხელ შორეული ქვეყნიდან მის სანახავად ერთი გლეხი მივიდა. იმ დროს წმინდა კონსტანტინე ხის სკამზე იდგა და კანდლებს ასწორებდა. წმინდანი ძალიან დაბალი იყო, გამხდარი და ძეტად შეუხედავი. წმინდანის სანახავად მოსული კაცი ყველას ეკითხებოდა, თუ სად იყო კონსტანტინე და მოუთმენლად ითხოვდა მის ნახვას. წმინდანის ნაცნობებმა გლეხკაცს სურვილი შეუსრულეს. უბირი ადამიანები ხშირად სულიერი სათნოებების შესახებ გარეგნობით მსჯელობენ. ამ გლეხმაც ეს ტანდაბალი და შეუხედავი მსახური რომ დაინახა, არ დაიჯერა, რომ იგი წმინდანი იყო. მას ეჩვენებოდა, რომ ის, რაც საოცარ მნათეზე გაეგონა, ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ახლა თავისი თვალთ ხედავდა. შეუძლებელია, ფიქრობდა იგი, რომ საყოველთაო აზრით ასეთი სახელოვანი კაცი გარეგნულად ასეთი უმნიშვნელო იყოს. მას შემდეგ, რაც მრავალმა დაუძოწმა, რომ ეს ნამდვილად ის სახელოვანი წმინდანი იყო, გლეხკაცმა უპატივცემულოდ და დამცინავად წარმოთქვა: „მე ღირსეული კაცის ნახვას ვიმედოვნებდი, ეს კი ადამიანსაც არა ჰგავს“. როგორც კი წმინდა კონსტანტინემ ეს სიტყვები მოისმინა, მაშინვე მიატოვა კანდლები, სწრა-

ფად, მხიარული სახით მივიდა გლექკაცთან, მოეხვია, არაჩვეულებრივი სიყვარულით დაუწყო ამბორი და ამგვარი შეფასებისთვის მთელი გულით მადლობას უხდოდა. „მხოლოდ შენ თქვი ჩემ შესახებ სიმართლე!“ — ეუბნებოდა წმინდანი. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რამხელა სიმდაბლე ჰქონდა მას. კონსტანტინემ ასეთი დიდი სიყვარული გამოხატა გლექკაცის მიმართ, იმის მიუხედავად, რომ მისი შეფასება წმინდანის შეურაცხმყოფელი იყო. ადამიანის სულიერი თვისებები ყველაზე უმაღლეს იმით შეიცნობა, თუ როგორ გადაიტანს იგი სხვა ადამიანებისგან მიყენებულ შეურაცხყოფას. როგორც ამპარტავნებს უყვართ სხვებისგან პატივის მიღება, ასევე ხარობენ მდაბალნი თავის დამცირებით. ისინი მშვიდად არიან როდესაც სხვები არადა აგდებენ, რადგან ხედავენ, რომ ის აზრი, რომელიც საკუთარ თავზე აქვთ, სხვების მხრიდანაც მტკიცდება.

დი ა კ ო ნ ი პ ე ტ რ ე : ახლა ვხედავ, რომ რაც უნდა დიდი ყოფილიყო ეს წმინდანი თავისი სასწაულებით, კიდევ უფრო მეტი იყო თავისი სიმდაბლით.

თარგმნა ვლადიმერ წამალაშვილმა

წიგნიდან Святого отца нашего Григория Двоеслова епископа Римского «Собеседования о жизни Италийских отцов и о бессмертии души», кн. 1, гл. 5, М. 1996.



წმინდა სვიმეონ სალოსის ანდერძი დიაკონ იოვანესადმი

...პირველ გარდაცვალებისა მის წმიდისა ორით დღით უთხრა მას (დიაკონ იოვანეს) ყოველი საქმე თვისი, ვინაფთგან მონაზონებად განვიდა ვიდრე დღედმდე აღსრულებისა თვისისა. და ჰრქუა: მას დღეს მივედ ძმისა ჩემისა იოვანესა და ვპოვე იგი მადლითა ღმრთისაათა მიწევნული თავსა სათნოებისასა და განვინარე ფრიად და ვიხილე, რამეთუ ემოსა მას გვირგვინი, რომელსა ზელა წერილ იყო: გვირგვინი უდაბნოხსა მოთმინებისაჲ. და მან კურთხეულმან მრქუა მე, ვითარმედ: ვიხილე კაცი, რომელი გეტყოდა: მოვედ, სულელო, მოვედ და მიილე არა თუ ერთი გვირგვინი, არამედ გვირგვინები რიცხუად სულთა მათ, რომელნი აცხოვნენ. და მე მგონიეს, ვითარმედ ესევეითარი არაჲ უხილავს, არამედ სიტყუად ოდენ მრქუა, რამეთუ კაცსა სალოსსა და მოცთომილსა რაჲმცა მადლი ჰქონდა ვისგანმე?

ხოლო მე გევედრები, უფალო დიაკონ პატიოსანო, რაჲთა არა შეურაცხ-ჰყო გლახაკი და უფროჲსლა მონაზონი. მართლიად გეტყვი, რამეთუ არიან გლახაკთა შოვრის, და უფროჲსლა ბრმათა, კაცნი უბრწყინვალეს მზისთუალისა, რომელნი განწმედილ არიან ჭირითა და მოთმინებითა. რავდენნი მდაბიონი მიხილვან, რომელნი შემოვიდიან ქალაქად და მოვიდოდიან ეკლესიად ზიარებად, უწმიდეს არიედ იგინი უფროჲს ოქროჲსა, მცირედ ბოროტებისა მათისათვის, და რამეთუ ოფლითა პირისა მათისაათა ჭამედ პურსა მათსა. და ნუ მაბრალე მე, რომელ-ესე ვიტყოდე შენ თანა, რამეთუ გარდარეულითა სიყუარულითა ჩემითა შენდა მიმართ გამოვიცხადე ყოველი საქმე ჩემი. და უწყოდე, რამეთუ შენცა ადრე წარჰყავ ღმერთსა ამიერ სოფლით. არამედ რავდენ შეუძლო მოსწრაფე იყავ სულისა თვისისა ცხორებასა, რაჲთა შეუძლო განრინებად ყოველთაგან საფრხეთა მტერთაჲსა, რო-

მელნი არიედ ჰაერთა ზე. ხოლო უფალი მეწამების, რამეთუ დიდ-სა ზრუნვასა შინა ვარ, ვიდრემდის განვვლე ივინი და განვაგლო ჩემგან ურვამ მათი, რამეთუ ესე არს დღე იგი ჭირისაჲ, რომელ-სა მოციქული იტყვის. და მე გევედრები, შვილო ჩემო და ძმაო იოვანე, რაჲთა ისწრაფდე ყოვლითა ძალითა შენითა შეეყარე-ბად მოყუსისა შენისა და რაჲთა სწყალობდე მას. ესე სათნობა-ნი უფროჲს ყოვლისა საქმისა კეთილისა შემძლებელ არიან ხსნად ჩუენდა მას დღესა შინა, ვითარცა თქუემულ არს: „ნეტარ არს, რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა [და] დავრდომილისაჲ, დღესა ბოროტსა იხსნეს იგი უფალმან“. და კუალად გევედრები, რაჲთა არა წარსდგე წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა, და გა-ქუნდეს გულსა შენსა ძვირი ვისდამე, რაჲთა არა დააკლო თავი შენი მადლსა ღმრთისასა.

ამას ესევითარსა ეტყოდა წმიდაჲ იგი პირველ სიკუდილისა და ჰრქუა: ამათ სამთა დღეთა შინა წარიყვანოს უფალმან სული ჩემი, სალოსისა და გლახაკისაჲ, და სული ძმისა ჩემისა იოვანე-სი. ამისთვის მივედ, ვახარე და ვარქუ მას: გუალე, წარვიდეთ, რაჲთა მოწეენულ არს ჟამი წარსლვისა ჩუენისაჲ.

და ორისა დღისა შემდგომად მოვედ საყოფელად ჩემდა და წა-რიდე, რაჲ-იგი ჰპოვო მუნ, რამეთუ მინებს, რაჲთამცა იყო შენ თანა სახსენებელი სალოსისაჲ და გლახაკისაჲ.

და ვითარ ესე სიტყუანი დაასრულნა მისა მიმართ, წარვიდა საყოფელად თვისა. და რაჟამს სიკუდილი შეიცნა თავსა თვისსა, ენება, არცაღა რაჲთა შემდგომად სიკუდილისა იდიდოს კაცთა-გან. შევიდა ძნასა მას ნასსლევისასა ქუეშე და მუნ შეჰვედრა სუ-ლი თვისი უფალსა.

გადმოზეჭდილია წიგნიდან: „მამათა ცხორებანი“, XI საუკუნის ხელნაწერი; „ცხორებაჲ და განგებაჲ ამბა სვიმეონისი, რომელსა ეწოდა ღმრთისათვის სულელ“. თბილისის უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა, 1975.

წიგნი II
თავი 1
ცოდვის წარმომავლობისა
და ვნებებისათვის

*„და ვარდამოვარდა ვეშაპი იგი ღი-
ღი, გუელი დასაზამისაჲ, რომელსა
ენოდენის ეშმაკი და საჭანა, რომე-
ლი აწოუნებს ყოველსა სოფელსა“.*
გამოყზ. 12,9

ღმრთის მცნების ანუ ღმრთის ნების დარღვევით პირველმა ადამიანებმა სჯული დაარღვიეს და უსჯულოებაში შეაბიჯეს, რამეთუ „ცოდვაჲ იგი არს უსჯულოებაჲ“ (1იოან. 3,4). სჯული ღმრთისა — სიკეთე, სიკეთის მსახურება, სიკეთეში ცხოვრება — ეშმაკის სჯულით შეიცვალა — ბოროტებით, ბოროტების მსახურებით, ბოროტებაში ცხოვრებით. ღმრთის მცნება სჯულია, რადგან იგი გამოხატავს სახიერი და ყოვლადსახიერი ღმრთის ნებას; ამ მცნების დარღვევა ცოდვაა და ღმრთის სჯულის დარღვევას, უსჯულოებას წარმოადგენს. პირველი ადამიანები ღმრთისადმი ურჩობით, რაც ეშმაკის ნების აღსრულებაში გამოვლინდა, საკუთარი ნებით განვარდნენ ღმრთისაგან და შეემსჭვალნენ ეშმაკს, ცოდვაში შევიდნენ და ცოდვა თავში შეუშვეს... „დაე, ნურავინ იფიქრებს, — აცხადებს ნეტარი ავგუსტინე, — რომ პირველი ადამიანების ცოდვა მცირე და მსუბუქია იმიტომ, რომ ხის ნაყოფის ჭამაში მდგომარეობს, და თანაც ნაყოფი არ იყო ცუდი და მავნებელი, არამედ მხოლოდ აკრძალული. მცნება მორჩილებას ითხოვდა, ისეთ სათნოებას, რომელიც გონიერი არსებებისთვის ყველა სათნოების დედა და დამცველია“.

წმ. იუსტინე პოპოვიჩი (37 გვ. 34)

ცოდვის არსი, ეშმაკისეული იქნება ის თუ ადამიანური, არის დაუმორჩილებლობა ღმრთისადმი, რომელიც აბსოლუტური სიკეთეა და ყოველგვარი კეთილის შემოქმედი. ამ ურჩობის მიზეზი თავისმოყვარე ამპარტავნებაა. „ეშმაკი ვერ შეძლებდა ადამიანის ცოდვაში ჩაგდებას, — ამბობს ნეტარი ავეუსტინე, — ამ საქმეში თავისმოყვარებას რომ არ ემოქმედა“. „ამპარტავნება ბოროტების მწვერვალია, — ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი. — ღმერთის წინაშე არაფერია ისე საძაგელი, როგორც ამპარტავნება. ამიტომაც მან დასაწყისშივე ყველაფერი ისე მოაწყო, რომ აღმოეფხვრა ჩვენში ეს ვნება. ამპარტავნების გამო გავხდით მოკვდავნი, მწუხარებასა და ჭმუნვაში ვცხოვრობთ. ამისთვის მიედინება ჩვენი ცხოვრება ტანჯვასა და უძღურებაში, განუწყვეტელი შრომით არის დამძიმებული. პირველი ადამიანი ცოდვაში ამპარტავნებამ ჩააგდო, რადგან ღმერთის თანასწორობა მოისურვა“.

წმ. იუსტინე პოპოვიჩი (37 გვ. 37)

როგორც სხეული კვდება მაშინ, როდესაც სული მას თავისი ძალის გარეშე ტოვებს, ასევე კვდება სულიც, როდესაც სული წმიდა მას თავისი ძალის გარეშე ტოვებს.

წმ. იოანე ოქროპირი (37 გვ. 40)

როგორც შესცოდა ადამმა ცუდი სურვილის გამო, ისევე მოკვდა ცოდვით: „რამეთუ საგზალი ცოდვისაჲ სიკუდილი არს“ (რომ. 6, 23); რამდენადაც განეშორა სიცოცხლეს, იმდენად მიუახლოვდა სიკვდილს, რამეთუ ღმერთი სიცოცხლეა, ხოლო სიცოცხლის დაკარგვა — სიკვდილი. ამიტომაც ადამმა თავად განიშხადა სიკვდილი ღმრთისაგან განშორებით, თანახმად საღმრთო წერილისა: „რამეთუ, აჰა ესერა, რომელთა განიშორეს თავნი თვისნი შენგან, იგინი წარწყმდენ“ (ფსალმ. 72, 27).

წმ. ბასილი დიდი (37 გვ. 40)

ჩვენმა პირველმშობლებმა ცოდვით გაიჭუჭყიანეს და შეიბილ-
წეს გული: მან დაკარგა პირვანდელი სიწმინდე და უბიწოება,
ღმერთის სიყვარულის გრძნობა ღმრთისადმი შიშის გრძნობამ
განდევნა (შესაქმ. 3,8); გული უგუნურ მისწრაფებებსა და ვნე-
ბიან სურვილებს მიეცა. ამგვარად, ჩვენს პირველმშობლებს და-
უბნელდათ თვალი, რომლითაც ღმერთს ჭკრეტდნენ, რამეთუ
ცოდვა, როგორც საბურველი, გადაეკრა გულს, რომელიც მაშინ
ჭკრეტს ღმერთს, როდესაც უმანკო და წმინდაა (მათ. 5,8).

წმ. იუსტინე პოპოვიჩი (37 გვ. 43)

პირველქმნილი ცოდვის წინაპრებიდან შთამომავლობაზე გა-
დაცემის გზა თავისი არსით შეუვალი იდუმალებითაა მოცული.
„არაფერია უფრო ცნობილი, ვიდრე ეკლესიის სწავლება პირ-
ველქმნილ ცოდვაზე, — ამბობს ნეტარი ავგუსტინე, — მაგრამ
არაფერია უფრო იდუმალი შემეცნებისთვის“.

წმ. იუსტინე პოპოვიჩი (37 გვ. 58)

სიკვდილი — ადამის ყოველი შთამომავლის ხვედრია, რამე-
თუ ისინი ცოდვით დასნეულებული და ამის გამო მოკვდავი ადა-
მისგან იშვებიან. როგორც მოწამლული წყაროდან ბუნებრივად
გამოედინება მოწამლული ნაკადი, ასევე ცოდვითა და სიკვდილით
დასნეულებული მამამთავრისგან ბუნებრივად მოედინება ცოდ-
ვითა და სიკვდილით სნეული შთამომავლობა (შდრ. რომ. 5,12; 1
კორ. 15,22). როგორც ადამის, ისე მისი შთამომავლების სიკვდი-
ლი ორგვარია — ხორციელი და სულიერი. ხორციელია სიკვდი-
ლი, როდესაც სნეული დაკარგავს მის განმაცხოვრებელ სულს,
ხოლო სულიერი, როდესაც სული კარგავს ღმრთის მადლს, მა-
ცოცხლებელს ამაღლებული, სულიერი, ღმრთის სათნო ცხოვ-

რებით; წინასწარმეტყველის სიტყვებით: „სული მცოდველი იგი მოკუდეს“ (ეზეკ. 18,4).

წმ. იუსტინე პოპოვიჩი (37 გვ. 62)

ღმერთი ჩვენთვის განკაცდა და გაგვათავისუფლა მტრის (ეშმაკის) მონობისაგან. ძალა შეუმუსრა, სიმტკიცე დაუსუსტა, მისი ტყვეობისაგან გამოგვიხსნა და თუკი ჩვენვე არ მოვინდომებთ ცოდვას, ვერავინ გვაიძულებს მის ჩადენას. რამეთუ ღმერთმა წმიდა ნათლისღებით ყოველი ცოდვისაგან განგვწმინდა და მოგვცა ძალაუფლება „დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“ (ლუკ. 10, 19). სახიერმა ღმერთმა იცოდა, რომ ნათლისღების შემდგომ კვლავ ცოდვებში ჩავვარდებოდით, როგორც თქმულია წმიდა წერილში: „მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა სიჭაბუკითგან მისით“ (დაბ. 8,21); ამიტომ, თავისი სახიერებისამებრ წმიდა მცნებები მოგვცა, რომ თუკი მოვისურვებთ, მცნებების საშუალებით შევძლოთ განწმენდა როგორც ცოდვებისაგან, ისე ვნებებისაგანაც. ცოდვა და ვნება განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვნებებია: გულისწყრომა, მზვაობრობა, გემოთმოყვარება, სიძულვილი, ბოროტი გულისთქმა და სხვა ამგვარნი; ხოლო ცოდვაა ვნების საქმით აღსრულება, ანუ, როცა კაცი სხეულით ჩაიდენს იმას, რისკენაც უბიძგებს ვნება. მრავალნი არიან, რომელთაც ვნებები აქვთ, მაგრამ საქმით არ აღასრულებენ მათ.

წმ. აბბა ღოროთე (14 გვ. 349-350)

თქმული, რომ ღმერთის გარდა არავინაა უცოდველი, თუნდაც ქვეყანაზე მხოლოდ ერთი დღე იცოცხლოს (შდრ. იობ. 14,4), იმათ როდი გულისხმობს, ვინც პიროვნულად სცოდავს; ერთი დღის ჩვილს როგორ შეუძლია შესცოდოს? ამ სწავლებით ჩვენი სარწმუნოების ის საიდუმლო გამოითქმის, რომლის თანახმად ადა-

მიანური ბუნება ჩასახვისთანავე ცოდვილია. ღმერთს ადამიანი ცოდვილი არ შეუქმნია, მან იგი უმანკო და წმინდა შექმნა. მას შემდეგ, რაც პირველქმნილმა ადამმა ამპარტავნების გამო დაკარგა სიწმინდის ეს სამოსი და ხრწნალი და მოკვდავი იქმნა, ადამის თესლისაგან წარმოშობილი ყოველი ადამიანი ჩასახვისა და შობისთანავე პირველმშობელთა ცოდვის თანაზიარია. ვინც ამ გზით იშვა, თუნდაც არანაირი ცოდვა არ ჩაედინოს, უკვე ცოდვილია იმ პირველმშობელთა ცოდვით. ამ მიზეზით მოვიდა სხვა შობა ანუ აღორძინება, რომელიც სული წმიდის მიერ ააღორძინებს ადამიანს წმიდა ნათლისღებით, კვლავ აკავშირებს მას ღმრთაებრივ ბუნებასთან, ისევე, როგორც მაშინ, როდესაც იგი ღმრთის ხელებმა შექმნეს; აღადგენს მის ყველა სულიერ ძალას, განაახლებს მათ და იმ მდგომარეობაში მოიყვანს, რომელშიც იყო პირველქმნილი ადამის შეცოდებამდე. ამგვარად შეჰყავს იგი ღმრთის სასუფეველში, რომელშიც უნათლავს არ შეუძლია შესვლა, განანათლებს უფლის ნათლით და მისეულ სიხარულს აგემებს.

წმ. სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი (18 გვ. 309-310)

ჩვენი ქრისტიანული რწმენის ნაყოფი სულის სიჯანსაღეა. ღმერთი იმისთვის განკაცდა, რომ სულს მისი მეშვეობით სიჯანსაღის მიღება შეძლებოდა. აქედან გამომდინარე, ვისაც ჯანსაღი სული არა აქვს, ის ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი ქრისტიანი. ხოლო სული ღმრთაებრივი ძალითა და მადლის ნათლით ჯანსაღდება, რომელიც ქრისტეს მიერ რწმენისთვის მოგვენიჭება.

წმ. სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი (23 გვ. 494)

ვის არა სწამს ძე ღმრთისა? — არა მხოლოდ იმას, ვინც განცხადებულად, გადაწყვეტილად უარყოფს მას, არამედ იმასაც,

ვინც ქრისტიანად იწოდება და ცოდვიან ცხოვრებას ეწევა, ხორციელ სიამოვნებებს დაეძებს. ძე ღმრთისა არ სწამს იმას, ვისთვისაც ღმერთი მუცელია; ვისთვისაც ღმერთი ოქრო და ვერცხლია; ვისთვისაც ამქვეყნიური ღიღებია ღმერთი; ვინც ღმრთისადმი მტრულად განწყობილ მიწიერ სიბრძნეს საღმრთო პატივს მიაგებს.

... სახარების რწმენა ცოცხალი უნდა იყოს; უნდა გვწამდეს გულითა და გონებით, რწმენა ბაგეებით უნდა ვაღიაროთ, ცხოვრებით უნდა გამოვხატოთ და დავამტკიცოთ. „მიჩუენე მე სარწმუნოებაჲ შენი საქმეთაგან შენთა“ (იაკ. 2,18), ეუბნება მოციქული მას, ვინც მხოლოდ შიშველი რწმენით, ღმრთის არსებობის შიშველი ცოდნით იქადის.

... „სარწმუნოებაჲ სამე სმენისაგან არს“ (რომ. 10,17): უსმინე სახარებას და მის განმმარტებელ წმინდა მამებს; ყურადღებით უსმინე და თანდათანობით ცოცხალი რწმენა დაიმკვიდრებს შენში, რომელიც სახარების მცნებათა აღსრულებას მოგთხოვს და ამ აღსრულებისთვის უეჭველი ცხონების იმედით დაგაჯილდოებს. იგი მიწაზე ქრისტეს მიმდევრად გაქცევს, ხოლო ზეცაში ქრისტეს თანამეკვიდრედ. ამინ.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (29 გვ. 497-506)

თქვა ბერმა: ყოველი კეთილი საქმის ძირი ჭეშმარიტებაა და ყოველი ბოროტების ძირი ტყუილია; ყოვლითურთ სიკვდილია იგი, რამეთუ ეშმაკისაგან არის შობილი.

პატერიკი (2 გვ. 134)

თქვა მამა ესაიამ: ეს სამი ბოროტი ვნება — მომხვეჭელობა, პატივი და განსვენება, — სიკვდილამდე ებრძვის კაცს; გვევალება, რომ მარადჟამს მზად ვიყოთ მათთან ბრძოლისა და წინააღმდეგობისათვის.

პატერიკი (2 გვ. 113)

ჰკითხა ძმამ ბერს: როგორაა მამაო, რომ ბრძოლა (სულიერი) არა მაქვს და თავს მოსვენებულად და უბრძოლველად ვგრძნობ? ბერმა მიუგო: შვილო, შენ იმ ქალაქს ჰგავხარ, რომლის ჭიშკრები ღიაა და მტრები უბრძოლველად შედიან და გამოდიან. თუ კარს მაგრად დახშავ და მტრებს – ბოროტ გულის-სიტყვებს (აზრებს) – არ შეუშვებ, მაშინ მათ გარეთ მდგომარედ და შენს წინააღმდეგ მებრძოლად იხილავ.

პატერიკი (2 გვ. 121)

უთხრა ბერმა ძმას: ეშმაკი მტერია, შენ კი სახლი ხარ. მტერი შეუჩერებლად ყრის სახლში ყოველგვარ უწმინდურობას; შენ არ დაიზარო და მისი შემოყრილი იმწამსვე გარეთ გაყარე. თუკი დაიზარებ და მაშინვე არ გაყრი, შენი სახლი ნაგვითა და უწმინდურობით აივსება და ველარ გაასუფთავებ. პირველივე, რასაც ეშმაკი შემოგივლებს, განაგდე და ასე დაიცავ სახლს წმინდად ქრისტეს მადლით.

პატერიკი (2 გვ. 146)

ვნებები სულის სნეულებებია, რომლებიც მას ღმრთისაგან განაშორებენ.

წმ. აბბა ესაია (24 გვ. 773)

ვნებები, თუკი მათ თავისუფლება მიეცემათ, მოქმედებენ, იზრდებიან, ძლიერდებიან სულში, მოიცავენ და დაიპყრობენ მას, ღმრთისაგან განაშორებენ. ვნებები ის მძიმე ტვირთია, რომელიც ადამს აკრძალული ნაყოფის ჭამის შემდეგ დააწვა. ეს ვნებები მოკლა ჯვარზე უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ... ეს ის ძველი კაცია, რომლის განძარცვა გვიბრძანა მოციქულმა ქრისტიანებს.

წმ. აბბა ესაია (24 გვ. 775)

ცოდვაში დაყოვნებით ანუ ცოდვის მრავალჯერ გამეორებით ამ ცოდვის მიმართ მიდრეკილება ანუ ჩვეულება წარმოიშვება. ასე ჩნდება ვნებიანი მიდრეკილება ლოთობისადმი, ქურდობისადმი, ანგარებისადმი, სიძვისადმი, ცილისწამებისადმი, განკითხვისა და სხვა უსჯულოებებისადმი. ეს მიდრეკილება ანუ ჩვეულება ისეთი ძლიერია, რომ თითქოს ადამიანის მეორე ბუნებად იქცევა... რადგან ვნებიანი მიდრეკილება გულში ღრმად იდგამს ფესვებს. რაც უფრო მეტად სცოდავს ადამიანი რაიმე ცოდვით და ყოვნდება მასში, მით მეტად ღრმავდება ვნება მის გულში. რაც უფრო იზრდება ხე, მით უფრო იდგამს ფესვებს მიწაში, ასევე, რაც უფრო მეტად იზრდება ცოდვიანი ჩვეულება, მით უფრო ღრმად იდგამს ფესვებს კაცის გულში.

წმ. ტიხონ ზალონელი (23 გვ. 779)

ცოდვისმოყვარე კაცისთვის ცოდვა, რომელსაც იგი ემსახურება, კერპად ქცეულა. მისი ცოდვისმოყვარე გული საძაგელი ბომონის მსგავსია, რომელშიც ამ კერპებს მსხვერპლს სწირავენ, – რადგან ცოდვა გულში ცხოვრობს. ხბოების, ცხვრებისა და სხვა ცხოველების ნაცვლად საკუთარ ნებასა და მორჩილებას სწირავენ მსხვერპლად. ამგვარად, რამდენჯერაც დათანხმდება ცოდვილი ცოდვაზე, რომელიც მის ვნებად ქცეულა, იმდენჯერ უარყოფს გულით ქრისტეს; და რამდენჯერაც ცოდვას საქმით აღასრულებს, იმდენჯერ მსხვერპლს სწირავს ამ კერპს.

წმ. ტიხონ ზალონელი (23 გვ. 779)

გულის შემუსვრილების გარეშე შეუძლებელია ბიწიერებისაგან გათავისუფლება. ხოლო გული სამგვარი თავშეკავებით შეიმუსრება – ძილისაგან, საკვებისა და ხორციელი განსვენებისაგან.

წმ. ნილოს სინელი (24 გვ. 779)

ასობით ქრისტიანი მონა რომ გამოისყიდო უსჯულოთა მონობისაგან და თავისუფლება მიანიჭო, ვერ ცხონდები, თუკი შენ თვითონ ვნებათა მონობაში იმყოფები.

წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი (25 გვ. 17)

თავი დავანებოთ მოყვასის განკითხვას და აღარ შეგვეშინდება გმობის გულისსიტყვებისა (გონებაში ადამიანის უნებურად გაელვებული სხვადასხვა საძაგელი აზრები – ღმერთის, სიწმიდის შეურაცხმყოფელი), რამეთუ ამ მეორის მიზეზი და ფესვი ის პირველია.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 376)

სულის ბოროტებათა დასაბამი საკუთარი თავის სიყვარულია, რაც საკუთარი სხეულის სიყვარულს ნიშნავს.

წმ. აბბა თალასე (16 გვ. 426)

ეშმაკს არ მიესვლება სულში, როდესაც იგი არანაირ ვნებას არ ასაზრდოებს. მაშინ ის ნათელია და ეშმაკს მისი შეხედვა არ ძალუძს. როდესაც სული ვნების აღძვრას დაუშვებს და დაეთანხმება მას, მაშინ დაბნელდება, ეშმაკი დაინახავს, თამამად მიუახლოვდება და იწყებს მასში ბატონობას. სულს უმთავრესად ორი მთავარი მოძრაობა აშფოთებს – სიძვა და მრისხანება.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 139)

ყველა ვნებას სიმდაბლე ამარცხებს, რომელიც შრომით მოიპოვება. ძმაო! ღმერთმა მოგცეს ძალა, განკითხვასთან (განსჯასთან) და ღმერთის შიშთან შეერთებული.


წმ. ბარსანუფი დიდი. (13 გვ 216)

ნაყოფის გამოღების დასაბამი ყვავილია, ხოლო მოღვაწეობა
საზრდელის ზომიერად მიღებით იწყება.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 121)

ცეცხლი შეშის მოკლებით სუსტდება, საჭმლის სიმწირით კი
უჯერო გულისთქმები მოუძღურდება.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 121)



თავი 2

რვა მთავარი ვნებისათვის

(ნაყროვანება, სიძვა, ვერცხლისმოყვარება, მრისხანება, მწუხარება, მოწყინება, ცუდადმზვაობრობა, ამპარტავნება)

„რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყვანი ზოროცნი, კარის-კლოვანი, მრუშენანი, სიძვანი, ჰარვანი, ერლის-ნამებანი, ემოზანი“.

მათ. 15,19

ხმელი და მწირი საკვების წყალობით აზრები ნათელი ხდება, ხოლო ფუფუნებით ცხოვრება გონებას წყვილიაღში ჩაძირავს.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 121)

დიდხანს დაუმუშავებელი მიწა ეკალ-ბარდებს აღმოაცენებს, ნაყროვანებით ძლეულის გონება კი ბილწ აზრებს წარმოშობს.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 122)

ნაყროვანი კაცის გონება სულ იმას ითვლის, თუ როდის უწევს მოწამეთა ხსენება (რათა იღრეოს დღესასწაულის საბაბით), კეთილკრძალულის გონება კი მათ ცხოვრებას ბაძავს.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 122)

მარხვის ღვაწლი საჭირო და აუცილებელია არა მხოლოდ სხეულისათვის, არამედ პირველ ყოვლისა გულისა და გონებისათვის. „ეკრძალენით თავთა თქუნთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუნნი შეებითა და მთრვალობითა“ (ლუკ. 21,34). სოფლის მაცხოვარმა ამ სიტყვებით უზომო ჭამა-სმის მეტად საყურადღებო შედეგი გაგვიმჟღავნა, საშინელი, სულის დამღუპველი შე-

დეგი. მუცლის მაამებლობის შედეგად გული მძიმდება, უხეშდება, ქვავდება, გონება სიმსუბუქესა და სულიერებას კარგავს, ადამიანი ხორციელი ხდება. რას ნიშნავს ხორციელი კაცი? — ამ სახელით საღმრთო წერილი იმ საწყალობელ კაცს აღნიშნავს, რომელიც მიწასაა შემსჭვალული, სულიერი ზრახვებისა და შეგრძნებების მიმართ უუნაროა. „არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე, ყოფისათვის მათისა ხორც“ (დაბ. 6,3) — მოწმობს ღმერთი. ხორციელ კაცს ღმერთის მსახურება არ ძალუძს. თვით სულიერი კაციც, ნაყროვანებაში ჩავარდნილი, კარგავს თავის სულიერებას, თითქოს ღმრთის შეცნობისა და მსახურების უნარსაც კარგავს. „ჭამა იაკობ“ — ამბობს წმიდა წერილი; იგი იაკობს ღმერთის ჭეშმარიტ მსახურს უწოდებს, — „და განძღა, და შეზრიობდა საყუარელი იგი. განსუქნა, განსხუნა, განვრცნა, დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი და განუდგა ღმერთსა, მაცხოვარსა თვისსა“ (2 სჯულ. 32,15). ასეთ მდგომარეობაში ვარდება მოღვაწე, როდესაც თავისი ღვაწლიდან მარხვას გამორიცხავს. საზრდელის მიღების სიუხვითა და განურჩევლობით შეძენილი სიმქისე და ნისლი სხეულიდან თანდათანობით გულს გადაეცემა, გულიდან კი — გონებას. ამის შემდეგ ეს სულის თვალნი — გული და გონება — ჩლუნგდება, მარადისობა იფარება მათგან; სწეულ მხედველობას მიწიერი ცხოვრება დაუსრულებლად ეჩვენება. შეხედულებათა და შეგრძნებათა შესაბამისად წარმართება მიწიერი მოგზაურობა და ბედკრული, დაბრმავებული მოგზაური განგდებულ გველთან ერთად მუცელზე ხოხავს და მიწასა ჭამს მისი მიწიერი ცხოვრების განმავლობაში (შდრ. დაბ. 3,14). ქრისტეს მოწაფეს მარხვის მიტოვება ქრისტესგან განდგომით ემუქრება.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (31 გვ. 87)

სულის მოუსვენრობა და ვნებები სისხლს ხრწნიან და ჯანმრთელობას ძირფესვიანად აზიანებენ. მარხვა და საერთოდ, მარხული ცხოვრება საუკეთესო საშუალებაა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად...

ლოცვა სულს ღმერთთან აახლოებს, იქ კი სიცოცხლის ფესვია; სულისაგან სხეულიც ეზიარება იმავე სიცოცხლეს. შემუსვრილი სული, სინანულის განცდა და ცრემლი კი არ ამცირებენ ჩვენს ძალებს, არამედ გვმატებენ.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 183)

ამ თქვენს ყოველდღიურ ქმედებას — საზრდელისა და სასმელის მიღებას, ყველაზე მკაცრად მიაქციეთ ყურადღება, რადგან საზრდელისა და სასმელისაგან, მათი ხარისხისა და რაოდენობისაგან ძალიან დიდად არის დამოკიდებული თქვენი სულიერი, საზოგადოებრივი და საოჯახო მოღვაწეობა. „ეკრძალებით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა“ (ლუკ. 21,34). ჩაისა და ყავის უდროოდ და გადაძებებით მოხმარებაც ლოთობას განეკუთვნება.

წმ. იოანე კრონშტადტელი (27 გვ. 53)

ყოველი სვეტი მტკიცე საფუძველს ემყარება, მრუშობის ვნება კი ნაყროვანებაზეა დაფუძნებული.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ 124)

ქალის ცქერა ის შხამიანი ისარია, რომელიც სულს მოწყლავს და მოწამლავს, და რაც უფრო დიდხანს გრძელდება ეს, მით მეტად წყლულდება სული... მოერიდე ქალებთან შეხვედრას და ნუ მისცემ მათ უფლებას, მოგენლონ და გულის ნადები გაგიმხილონ. თავიდან შეიძლება მართლაც ჰქონდეთ მათ შენი რიდი და პატივისცემა, ან პირმოთნედ მოგაჩვენონ თავი ასეთად, შემდეგში კი

ურცხვად გაკადნიერდებიან. პირველი შეხვედრისას თავს დაბლა ხრიან, თვინიერად საუბრობენ, თანაღმობით ღვრიან ცრემლებს, წესიერად აცვიათ, მწუხარებით ოხრავენ, სიწმიდეზე გეკითხებიან და გულმოდგინედ გისმენენ. მაგრამ, აი, მეორედ როცა ნახავ, მხერა უკვე ცოტათი ზეაწეულია; მესამე შეხვედრისას ურცხვი ღიმილით გიცქერიან, ხმამაღლაც გადაიკისკისებენ ხოლმე. საბოლოოდ მორთულ-მოკაზმულნი მოდიან, აშკარად გამომწვევად უჭირავთ თავი, გამოხედვაში ვნება იკითხება, წარბებს მაღლა სწევენ, არც წამწამებს ასვენებენ, ყელს იშიშვლებენ, მთელი სხეულით სინაზეს გამოხატავენ, მათი საუბარი ვნებას ალაგზნებს, გამოთქმითა და კილოთი შენს მოხიბვლას ესწრაფვიან, სანამ ყოველი ღონით სულს არ დაგიტყვევებენ. ეს ყოველივე სასიკვდილო ანკესივითაა, მზაკვრულ ბადეს ჰგავს, რომელშიც წარსაწყმედელად გაებმები. ნურავინ გაცთუნებს მოკრძალებული საუბრებით, რამეთუ მათში უდიდესი ზიანის მომტანი გესლია დაფარული.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 123)

მთელი შენი ყურადღება მხედველობის დაცვას მიაპყარი, რადგან ეს გრძნობა ქურდივითაა: სწრაფად იპყრობს გონებას, ისე რომ თვალის დახამხამებაში ვნებიანი შეხედვით გონებაში კერპის სახე აღიბეჭდება, სული ამ კერპით ტკბება და გული მისი სურვილითაა შეპყრობილი, — და ცოდვაშია კაცი, როგორც უფალმა ბრძანა ამის შესახებ: „... ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა“ (მატ.5,28). ამიტომაც გვიანდერძა სოლომონმა თვალების დაცვა: „შვილო, ნუ გერევიან სიკეთე გულის-თქუმისაჲ, ნუცა მოინადირები თუალთაგან შენთა“ (იგავ. 6,25).

თუკი ეს ქურდი შემოიჭრება და მოგინადირებს, იღვაწე, რომ აფროდიტეს კერპი, ანუ სამაგელი გულისთქმა არ აღიბეჭდოს

შენს სულში. როგორ ვიღვაწოთ? — ღმერთის მოხმობით: ფსალმუნთმგალობლის თანახმად „უფლისაჲ არს ცხორებაჲ“.

წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი (40 გვ. 13)

საყვარელო, შენ მკითხე იმის შესახებ, რომ გიხდება ვნებიანი ყურება შენ წინაშე მდგომი ადამიანისა. როგორც ჩანს, ეს ეშმაკის ბრძოლისგანაა, იცოდე — გონების გატაცებაც მისი შთაგონებისგანაა. ასეთ განსაცდელში გაიხსენე როგორ იხრწნება და ყარს ხოლმე ჩვენი სხეული, როგორ შევიცვლებით, როცა საფლავში ჩავწვებით. მაგრამ ხრწნილებაზე რად გეუბნები? განა უწინარესად მომავალი საშინელი სამსჯავრო არ უნდა წარმოიდგინო? რა ხვედრი ელის ამის მოქმედთ? როგორ აიტან იმ დიდ სირცხვილს, როდესაც ჩვენი საქმეები ანგელოზებისა და მთავარანგელოზების, ყოველი ადამიანისა და მართალი მსაჯულის წინაშე გაცხადდება? როგორ დაეხშობათ ბაგეები ამგვარ საქმეთა მოქმედთ? გვეშინოდეს მისი, რომელმაც ბრძანა: „ნუ სცთებით: არცა მეძავთა, არცა მეძრუშეთა, არცა ჩუკენტა, არცა მამათ-მავალთა სასუფეველი ღმერთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6; 9-10); აგრეთვე: „ყოველი რომელი ხედვიდეს ღელაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა. უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი“ (მათ. 5,28-29). ეს ყოველივე გაიხსენე და ხშირად არ მიხვიდე იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ამ ბრძოლას განიცდი, მაგრამ არ აგრძნობინო რატომ განეშორები მათ, რომ სხვადასხვა ფიქრებისთვის არ მისცე მიზეზი. როდესაც მათთან საუბარი დაგჭირდება, შეწვევისთვის უფლის წმიდა სახელს მოუხმე, თქვი: იესო მეუფეო! დამიფარე და შეეწიე ჩემს უძღურებას. ნუ შეშინდები, ის შემუსრავს მტრის მშვილდს, რამეთუ მისი სახელის ძალით ბოროტება უმოქმედო ხდება. შეხვედრისას ცოტა ილაპარაკე, სმენასა და გულისსიტყვებს თავისუფლებას ნუ მიანიჭებ, თავი მშვიდად და უშფოთველად გეჭიროს, რათა არავინ

შენიშნოს რაც ხდება (შენს გულში). და თუკი ამ გზით ძალა მოგეცემა, მტრებს (ემშაკებს) ნუ გაუთამამლები, რადგან ურცხვები არიან და ათასჯერაც რომ დაამარცხო, მაინც შემოგიტევენ.
წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 414)

ხორციელ ბრძოლას დაუდევრობა იწვევს. იგი ჩუმად წარგიტაცებს სხვების განსჯისა და განკითხვისაკენ და ამ გზით გიმუხთლებს. როდესაც ისრაელი ჭეშმარიტად ემსახურებოდა ღმერთს, მაშინ ღმერთი იფარავდა მას მტერთაგან, ხოლო როდესაც არ ზრუნავდა ჭეშმარიტი მსახურებისათვის, მაშინ ღმერთი მიუშვებდა მტრებს მის დასამარცხებლად.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 82)

ზღვა მდინარეთა მიერთებით არ ივსება, ვერც ვერცხლისმოყვარე იკმაყოფილებს სურვილს მოგროვილი ფულით; აი, გააორმაგა მან ქონება, მაგრამ ისევ ორჯერ მეტი უნდა. და არასოდეს დაანებებს თავს შეძენილის გაორმაგებას, სანამ სიკვდილი არ შეწყვეტს ამ უსარგებლო ზრუნვას.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 125)

დაწყევლილია კაცი, რომელიც კერპს აკეთებს და დგამს „ღაფარულსა შინა“ (2 სჯულ. 27,15); ისიც დაწყევლილია, ვინც ვერცხლისმოყვარეების ვნებითაა შეპყრობილი. პირველი უსარგებლო გამონადნობს ეთაყვანება, ეს კი სიმდიდრეზე ოცნებას ატარებს კერპის სანაცვლოდ.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 126)

ვერცხლისმოყვარეების დასაბამი მოწყალების გულისსიტყვაა, ხოლო მისი აღსასრული — გლახაკთა სიძულვილი.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 348)

ეს ქონება უფლისაა, რა გზითაც არ უნდა იყოს შეგროვილი, და თუკი ჩვენ მისგან გლახაკებს მივცემთ, დიდ სიმდიდრეს შევიძენთ. ღმერთმა დაუშვა სხვებზე მეტი გქონოდა არა იმისთვის, რომ სიძვაში, მემთვრალეობაში, ნაყროვანებაში, ძვირფას სამოსელსა და განცხრომის სხვა საგნებში დაგეხარჯა, არამედ იმისთვის, რომ გაჭირვებულთათვის გაგენაწილებინა.

წმ. იოანე ოქროპირი (5 გვ. 805)

რამდენადაც არაფერია სიყვარულზე აღმატებული, ასევე არაფერია მძვინვარებასა და მრისხანებაზე უარესი. სჯობს უგულვებლვეყთ სასარგებლო და აუცილებელი, რათა მრისხანებას გავკეციკეთ. ასევე უმჯობესია მივიღოთ და გადავიტანოთ ყველანაირი უსიამოვნება იმისათვის, რომ სიყვარულისა და მშვიდობის სიწყნარე შევინარჩუნოთ; რადგან არაფერია მრისხანებასა და მწუხარებაზე უფრო დამლუპველი და სიყვარულზე უფრო სასარგებლო.

წმ. კასიანე რომაელი (23 გვ. 562)

როდესაც რაიმე საშინელისა და აუტანელის დათმენისას მრისხანება და მძვინვარება შემოგიტევს, ქრისტეს სიმშვიდე გაიხსენე და მალე დამშვიდდები და დამდაბლდები.

წმ. იოანე ოქროპირი (23 გვ. 565)

კეთილშობილება და თავისუფლება ის არის, რომ არავის ვუთხრათ რაიმე დამამცირებელი, თუნდაც ვინმე ამის ღირსიც იყოს.

წმ. იოანე ოქროპირი (23 გვ. 564)

მრისხანე ხარ? შენი ცოდვების მიმართ იყავი მრისხანე, სცემე შენს სულს, ჰგვემე შენი სინდისი, იყავი მკაცრი მსაჯული და

მრისხანე მტანჯველი შენი საკუთარი ცოდვებისა — აი, მრის-
ხანების სარგებელი, ამისთვის დანერგა იგი ღმერთმა ჩვენში.

წმ. იოანე ოქროპირი (23 გვ. 564)

როგორც მრისხანება, ასევე ღვარძლი უზომო თავისმოყვარე-
ბისაგან იშვება. თავისმოყვარე ყველაფერში გამორჩენას, ღიღე-
ბასა და პატივს ეძიებს. თუკი რაიმეში თავისი განზრახვისა და
სურვილის საწინააღმდეგოს დაინახავს, შეცბება, ეწყინება და
ურისხდება მას, ვინც წინააღმდეგობას უქმნის. ამიტომაც ცდი-
ლობს საქმეს მრისხანებით დაეხმაროს, ანუ სამაგიერო გადაუ-
ხადოს, რაც ღვარძლისთვისაა დამახასიათებელი.

წმ. ტიხონ ზადონელი (23 გვ. 563)

მრისხანება ღვარძლად და ძვირისხსენებად გადაიქცევა, რო-
ცა გულში დიდი ხნით გაჩერდება და იკვებება. ამიტომაც ბრძა-
ნებს უფალი მის სასწრაფოდ მოკვეთას, რომ არ გადაიზარდოს
სიძულვილსა და ღვარძლში და ამით ბოროტებას უფრო დიდი
ბოროტება არ დაემატოს. „მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქუ-
ენსა, ნუცა სცემთ ადვილს ეშმაკსა“ (ეფეს. 4,26-27), ამბობს მო-
ციქული. როგორც ხანძარი შემუსრავს სახლში ბევრ რამეს, თუ-
კი მაშინვე არ ჩავაქრობთ, ასევე მრისხანებაც, თუკი დროულად
არ შეწყდება, ბევრ ბოროტებას მოიტანს და მრავალი უბედუ-
რების მიზეზი გახდება.

წმ. ტიხონ ზადონელი (23 გვ. 563)

ყოველი ღონე უნდა ვიხმართ იმისთვის, რომ სულის სიმშვი-
დე შევინარჩუნოთ და არ ავლელდეთ, როდესაც შეურაცხყოფას
მოგვაყენებენ. ამისთვის საჭიროა ყოველი ღონით შევაკავოთ
მრისხანება და გული და გონება ყურადღებით დავიცვათ უჯერო
მოდრაობებისაგან.

წმ. სერაფიმე საროველი (28 გვ. 203)

სულის სიმშვიდის შესანარჩუნებლად ყოველნაირად უნდა განკვეშოროთ სხვების განკითხვას. არა განკითხვითა და ღუმილით სულის სიმშვიდეს შევინარჩუნებთ.

წმ. სერაფიმე საროველი (28 გვ. 203)

დატყვევებულ მეომარს ბარბაროსები რკინის ბორკილებს ადებენ, ვნებების ტყვეს კი მწუხარება შეკრავს. მწუხარება არ ძლიერდება, როცა სხვა ვნებებს არ ვემონებით, ისევე, როგორც ბორკილები თავისით არ შეგვკრავენ, თუკი არავინაა შემკვერელი. ვინც მწუხარებით არის შეკრული, იგი ვნებებს დაუმარცხებია და თავისი დამარცხების ნიშნად მწუხარების ბორკილებს ატარებს, რამეთუ მწუხარება ხორციელ სურვილთა დაუკმაყოფილებლობას მოსდევს, ხოლო ეს სურვილები ვნებებთანაა შეუღლებული. ვისაც სურვილები დაუძლევია, მას ვნებებიც დაუმარცხებია, ხოლო ვნებების მძლეველს ვერასოდეს დაეუფლება მწუხარება. მმარხველი არ წუხს საზრდელის სიმწირის გამო, არც უბიწო წუხს გარყვნილებაში წარუმატებლობის გამო, არც ურისხველი — სამაგიეროს გადაუხდელობის გამო, არც თავმდაბალი — კაცობრივი დიდების უქონლობის გამო, არც უპოვარი — დანაკარგის გამო.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 128)

არსებობს ბუნებრივი მოწყინება უძღურებისაგან, და არსებობს მოწყინება ეშმაკისაგან. თუკი მათი გარჩევა გსურს, ასე გარჩიე: ეშმაკისეული (მოწყინება) მოდის მანამდე, სანამ დასვენების დრო მოგივა. როცა კაცი რაიმეს კეთებას დაიწყებს, მოწყინება საქმის მესამედის ან მეოთხედის აღსრულებამდე მოვა, აიძულებს საქმის მიტოვებასა და წამოდგომას. ამ დროს მას არ უნდა ვუსმინოთ, უნდა ვილოცოთ და საქმე მოთმინებით გავაგრძელოთ. მტერი (ეშმაკი) დაინახავს, რომ მოწყინების გამო ვლოცულობთ

და შეწყვეტს ბრძოლას, რამეთუ მას არ სურს ლოცვისთვის მი-
ზეხის მოცემა. ხოლო ბუნებრივი მოწყინება მაშინ მოდის, რო-
დესაც კაცი თავის ძალებზე აღმატებულად შრომობს და თავს აი-
ძულებს კიდევ მეტი იშრომოს. ასე წარმოიშვება ბუნებრივი
მოწყინება სხეულის უძლურებისაგან. ამ შემთხვევაში ჩვენი ძა-
ლები გამოვცადოთ და სხეული მოვასვენოთ, ღმრთის შიშით.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 351)

მოწყინება სულიერ ძალებს აუძლურებს, მზვაობრობა კი
ღმრთისაგან განშორებულ გონებას ძაბავს, სხეულს აჯანსაღებს,
მონუსს ჭაბუკზე ძლიერს ხდის, თუკი ბევრი მოწმე ჰყავს იმ საქ-
მეს, რასაც მზვაობრობით შეპყრობილი ადასრულებს. მაშინ გა-
იოლდება მარხვაც, მღვიძარებაც და ლოცვაც, რადგან მრავალ-
თაგან მიღებული შექება გულმოდგინებას ადაგზნებს. მაგრამ შენ
ნუ გაყიდი შრომას კაცობრივ დიდებაზე და მომავალ დიდებას ნუ
გაცვლი არაფრად ღირებულ შექებაში. კაცობრივი დიდება
მტვრად იქცევა და მისმიერი ქებაც მიწაში გაქრება, ხოლო სათ-
ნოების დიდება საუკუნო იქნება.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 131)

დაუკვირდი და იპოვი იმ უკეთურს (მზვაობრობას) საფლავამ-
დე განუშორებლად შენთან მყოფს — სამოსელში, სიარულში და
ყოველ საქმეში.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 363)

ვინც ზვაობს ბუნებითი საქმეების — გონებამახვილობის, ხელ-
მარჯვეობის, კარგად კითხვის, მეცნიერული გულისხმისყოფის,
ტკბილხმოვანების, გარეგნული მშვენიერებისა და მათ მსგავსთა
გამო, იგი ვერასოდეს მიიღებს ბუნების უაღრეს სიკეთეებს, რა-

მეთუ ვინც მცირეზე არ არის საიმედო, იგი დიდზედაც არასაიმედო და მზვაობარია.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 366)

ყოველი კაცი, რომელსაც თავის გამოჩენა უყვარს, ცუდადმზვაობარია. მისი მარხვა უსასყიდლოა, ლოცვა — უსარგებლო, რამეთუ ორივეს კაცთამიერი ქებისათვის აღასრულებს.


წმ. იოანე სინელი (12 გვ. 363)

როცა საყვედურის ან შეურაცხყოფის გამო გიმძიმს, იცოდე, რომ ამას დიდი სარგებლობა მოაქვს შენთვის, — დამცირების საშუალებით მზვაობრობა განიდევნა შენგან.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი (20 გვ. 167)

არის ერთი მატლი, რომელიც გაიზრდება, ფრთებს შეისხამს და მაღლა აფრინდება. ასევეა ცუდადმზვაობრობა — როდესაც სისრულეს მიაღწევს, შობს ამპარტავნებას, რომელიც ყოველი ბოროტების დასაბამი და სრულმყოფელია.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 368)



თავი 3 ამპარტავნებისათვის

*„ამპარტავნთა შეჰმუსრავს
ღმერთი, ხოლო მდამალთა მოს-
რის მადლი“.*

იაკობ. 4,6

თეზაიდამი ერთი ახალგაზრდა მონაზონი ცხოვრობდა. იგი დიდსა და ფიცხელ მოღვაწეობაში, ლოცვა-ვედრებასა და მღვიძარებაში იყო; სხეულს უპოვარებითა და მძიმე მარხვით შეიმუსრავდა, მწუხრის ჟამზე ერთ მუჭა ცერცვს იღებდა. შემდეგ მოუმატა მარხვას და მხოლოდ კვირა დღეს იღებდა მცირეოდენ ცერცვს ან მხალს. იგი დიდ საზომს მისწვდა, სძლია სხეულის ბუნებას. შეშურდა მოღვაწეებთან მუდმივად მეტროლს, ბოროტ ეშმაკს, დაუწყო ბრძოლა ამპარტავნებით და მონაზონს ზვაობის გულისსიტყვებს უგზავნიდა: კაცთაგან მოღვაწეობაში შენი მსგავსი არავინ არის და აწ ჯეროვანია ღმრთისაგან ითხოვო, რათა შენ მიერ სასწაულნი და კურნებანი აღესრულებოდნენ, რომ შენი შემხედვარე სხვებიც ადიდებდნენ ზეციურ მამას, ხომ თავად მაცხოვარმა ბრძანა: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ“ (მათ. 7,7). ირწმუნა მონაზონმა ამაო განზრახვა, ითხოვდა უფლისაგან, რომ მისი ხელით იშვებდნენ გაჭირვებულნი და იღევნებოდნენ ეშმაკნი. ხოლო სახიერმა და კაცთმოყვარე ღმერთმა, რომელსაც ყოველი კაცის ცხოვება ნებავს, თავისი მოწყალებით მონაზონის ღვაწლი და შრომა მოიხსენა, არ მისცა ბოროტ ეშმაკს მისი ამპარტავნებით, ყველაზე ბოროტი ვნებით დაცემის უფლება. მონაზონი გონს მოეგო და გულში განიზრახა: წავალ რომელიმე ბერთან, ვეტყვი ჩემს გულისსიტყვას და რასაც მირჩევს იმას შევასრულებ, როგორც ღმრთისაგან სმენილს. მივიდა იგი ერთ სუ-

ლიერ ბერთან. როგორც კი მის სენაკში შევიდა, შეხედა ბერმა და მის მხრებზე მჯდომი ორი მაიმუნი იხილა, მისთვის ყელზე ჯაჭვები მოებათ და თავ-თავისკენ ეწეოდნენ. ეს რომ იხილა, გულისხმაყო ბერმა ამის მიზეზი, რამეთუ ღმერთისწავლული იყო. ამბორის შემდეგ დუმილით დასხდნენ, როგორც არის წესი მამათა. ამის შემდეგ უთხრა ძმამ ბერს: მამაო, იმისთვის მოვსულვარ, რომ ღმრთის ნება მასწავლო.

ბერმა მიუგო: შვილო, არა ვარ სხვისი სწავლების ღირსი, ჯერ მე მჭირდება სხვებისგან სწავლა. ძმა ევედრებოდა წმინდა ბერს: ნუ მეტყვი უარს, მამაო, რამეთუ ღმერთისთვის სიტყვა მიმცია — რასაც მიბრძანებ, ისე მივილო, როგორც უფლის ანგელოზისაგან სმენილი. მიუგო ბერმა: არ დამიჯერებ, შვილო და ამიტომ გეურჩები. ძმა იმასვე უმტკიცებდა: აღმითქვამს ისე გისმინო, როგორც ღმერთსო. მაშინ უთხრა ბერმა: აილე ეს ფული, წადი ქალაქში, იყიდე ათი ლიტრა ხორცი, ათი ლიტრა პური, ათი ქსენტი ღვინო და აქ მოიტანე. აილო ფული ჭაბუკმა მონაზონმა, წავიდა დამწუხრებული და გულში ამბობდა: რატომ მიყო ბერმა ეს საქმე? მნახავენ ახლა კაცნი ასე და დაბრკოლებიან ჩემდამი. წავიდა იგი ქალაქში დიდი სირცხვილით, იყიდა ღვინო და პური ტირილით და ამბობდა: როგორ ვიყიდო ხორცი ჩემთვის ან სხვისთვის? ვერ შეძლო თვითონ ხორცის ყიდვა, იპოვა ერთი ერისკაცი, მისცა ფარულად ფული და ხორცის ყიდვა სთხოვა. უყიდა იმ კაცმა ხორცი, მოიკიდა ძმამ ყველაფერი და მივიდა ბერთან.

ბერმა უთხრა: ნუ დაივიწყებ შენს ალთქმას, რომელიც ღმრთის წინაშე აღმითქვი. აილე ეს ყველაფერი, წადი შენს სენაკში, ლოცვის მსუბუქი კანონი აღასრულე, ყოველდღიურად ჭამე ერთი ლიტრა პური, ერთი ლიტრა ხორცი და სვი ერთი ქსენტი ღვინო. როდესაც დაილევა, ჩემთან მოდი. ეს რომ ძმამ მოისმინა, ემწარა, როგორც სიკვდილის სიტყვა, მაგრამ ალთქმის გამო ვერ ეურჩა. აილო ტირილით საზრდელი, წავიდა თავის სენაკში და

გოდებით ამბობდა: ვაი, მე უბადრუკს, როგორი მარხვიდან და-
ველი ამ ნაყროვანებასა და სისაძაგლემდე. ახლა რაღა ვქნა? თუ
ბერის სიტყვას არ შევასრულებ, ღმრთის წინააღმდეგომი ვიქნე-
ბი. დაჯდა და თავის გულისსიტყვებს იკვლევდა, თავის აღთქმას
იხსენებდა – როგორც ღმრთისაგან სმენილი ეგრე ვყო შენი
სიტყვაო. ვერ გაბედა ბერის ბრძანების დარღვევა და ჭამის დროს
ყველაფერს ცრემლით დაალტობდა, ლოცვას მოუმატა, განუწყ-
ვეტელი ტირილით შესტიროდა ღმერთს და ამბობდა: უფალო,
არ ვიყავი შენი წყალობისა და შეწევნის ღირსი, ახლა ვიცი, რომ
სამართლიანად მიმატოვე. მაშინ მიხედა ღმერთმა მის გლოვასა
და სინანულს და განანათლა მისი გონება. მოვიდა იგი იმ ვნების
გულისხმისყოფაში და შეიცნო ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი. ჰმად-
ლობდა ღმერთს და წინასწარმეტყველის სიტყვას ამბობდა: „ყო-
ველი სიმართლე ჩემი, ვითარცა ძონძი დედაკაცისა წიღოვანი-
საჲ არს შენ წინაშე, უფალო“ (ესაია 64,6); და კიდევ ამბობდა:
„არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშე-
ნებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღ-
ვიძებენ მხუმილნი მისნი“ (ფსალმ. 126,1). მივიდა ბერთან. მისი
სხეული ისე გამხდარიყო, თითქოს სრულიად არ მიეღო საზრდე-
ლი. როგორც კი იხილა ბერმა ამგვარად დამდნარი და დამდაბ-
ლებული, შეიწყნარა მხიარული სახით.

ილოცეს და დუმილით დასხდნენ. შემდეგ ბერმა თქვა: შვილო,
კაცთმოყვარე ღმერთმა გადმოგხელა და მტერს შენი დაუფლე-
ბის ნება არ მისცა. ბოროტს სჩვევია უფრო მეტად სიკეთის მი-
ზეზით აცთუნოს ცხონების მსურველნი და მოღვაწეებს გული
აღუმაღლოს. ჩააგონებს და არწმუნებს, რომ დიდ საზომს არიან
მიწევნულნი, მერე კი დასცემს, რადგან ღმრთის წინაშე ამპარ-
ტავნებაზე საძაგელი არაფერია, და არც სიმდაბლეზე პატიოსა-
ნია რაიმე. ეს ორივე მეზვერისა და ფარისევლისაგან გულისხმა-
ყავ, მთელი გულით მოიძულე ამპარტავნება და შეიყვარე სიმ-
დაბლე, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: „მსხვერპლ

ღმრთისა არს სული მდაბალი, გული წმიდა და სული მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“ (ფსალმ. 50,19); კვალად იგი იტყვის: „დავმდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან“ (ფსალმ. 114,6); და კვლავ უფალი ამბობს ესაია წინასწარმეტყველის მიერ: „ვის ზედა განვისუენო, არამედ მშვიდსა და მყუდროსა და რომელი ძრწის სიტყუათაგან ჩემთა“ (ესაია 66,2). ასე ასწავლა ახალგაზრდა მონაზონს წმინდა ბერმა სიმდაბლე, მერე ერთად ისაღილეს და გაუშვა ბერმა ის ძმა მშვიდობით.

წავიდა ძმა და მას შემდეგ, როგორც ბერმა ასწავლა, საშუალო გზა დაიკავა, იმ ბერის მიერ მიცემული წესით ცხოვრობდა, სიმდაბლითა და სინანულით გაატარა ცხოვრების დღენი და სრული კაცი იქმნა, გულისხმისმყოფელი, წმინდა და ღირსი მამების საზომს მისწვდა.

პატერიკი (2 გვ. 127)

ყველა, ვინც მხილებას გაურბის და შფოთავს ამის გამო, თავადვე მოწმობს საკუთარ ვნებას (ამპარტავნებას), ხოლო ვინც მხილებისაკენ ისწრაფვის, გათავისუფლებულია ბორკილთაგან.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 370)

ამპარტავან მონაზონს წინამძღვრობა სურს, რამეთუ სხვაგვარად ვერ ჰპოვებს სწრაფად წარწყმედას.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 370)

ამპარტავანთა სულებში გმობის სიტყვები იშვებიან, ხოლო მდაბალთა სულებში – ზეციური ხილვანი.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 372)

ამპარტავნება უარყოფაა ღმრთისა და მეგობრობაა ეშმაკებთან, შეურაცხმყოფელია კაცთა და დედაა განკითხვისა; ქებათაგანაა შობილი, სულის უნაყოფობის ნიშანია, ღმრთის შეწვევის

განმაშორებელია, შეშლილობის წინამორბედი, ეშმაკეულობისა და ღაცემების მიზეზია, გულისწყრომის წყაროა, ორგულობის კარია, ეშმაკთა სიმტკიცეა, ცოდვათა მცველია, უწყალოების მშობელია, მოწყალების უმეცრებაა, მწარე მოკამათეა, უწყალო მსაჯულია, ღმრთის მოწინააღმდეგეა და გამობის ძირია.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 369)

ცუდადმზვობრობის მკვლელი დაფარული მოღვაწეობაა, ხოლო ამპარტავნებას შეურაცხყოფის არავისთვის მიყენება განდევნის.

წმ. აბბა თალასე (16 გვ. 417)

ცუდადმზვობრობას რომ განეშორები, ღმერთთან დაამკვიდრე გონება. თუ არა და, ან სიძვაში ჩავარდები, ან ამპარტავნებაში.

წმ. აბბა თალასე (16 გვ. 447)

ცუდადმზვობრობის თვისებებია მაჩვენებლობა და ორგულობა, ხოლო ამპარტავნებისა — შეურაცხყოფა და მრისხანება.

წმ. აბბა თალასე (16 გვ. 444)

ამპარტავნებას მოსპობს ცრემლით ლოცვა-ვედრება, არავისთვის მიყენება შეურაცხყოფისა და უნებლიეთ მოსული განსაცდელნი.

წმ. აბბა თალასე (16 გვ. 448)

ჩვენში ქრისტეს შემოსვლას ჩვენი ამპარტავნული გულისსიტყვების, სიტყვებისა და საქმეების ბორცვები და მთები ეწინააღმდეგება, რამეთუ ქრისტე არ მიდის იქ, სადაც ამპარტავნე-

ბა აღმართულა, წმიდა წერილის თანახმად: „არაწმიდა არს წინაშე უფლისა ყოველი მაღალი გულითა“ (იგავ. 16,6).

წმ. დიმიტრი როსტოველი (23 გვ. 577)

უსაძაგლესი ცოდვია ამპარტავნება, მაგრამ მცირედნი შეიცნობენ, რამეთუ დაფარულია და გულის სიღრმეში იმყოფება. ამპარტავნების საწყისი საკუთარი თავის არცოდნაა. ეს უმეცრება აბრმავეს კაცს და ისიც ამაყობს. ოჰ! რომ შეეცნო აღამიანს თავი თვისი, საკუთარი უბედურება, სიგლახაკე და უბადრუკება, — არასოდეს იამაყებდა. მაგრამ იმითაა კაცი უფრო მეტად უბადრუკი, რომ ვერ ხედავს და ვერ შეიცნობს თავის უბედურებასა და უბადრუკებას. ისევე როგორც ხე ნაყოფთაგან, ამპარტავნება საქმეთაგან შეიცნობა.

ვნახოთ, როგორია ამპარტავნების მწარე თესლის ნაყოფი:

ა) ამპარტავანი კაცი ყოველი ხერხით ეძიებს პატივს, ღიღებასა და ქებას. მას ყოველთვის რაღაცის ჩვენება სურს და სხვებისთვის მითითება, მბრძანებლობა, უფროსობა. ვინც მის სურვილს ეწინააღმდეგება, მასზე ძლიერ მრისხანებს და ემტერება.

ბ) პატივისა და უფროსობის დაკარგვისას დრტვინავს, აყვედრებს და გმობს. — როდის შეეცოდე? რაში ვარ დამნაშავე? ნუთუ ამის ღირსია ჩემი შრომა და დამსახურება? ხშირად ასეთი კაცი თავს იკლავს.

გ) საკუთარ შესაძლებლობებზე აღმატებულ საქმეებს იწყებს, რომელთა აღსრულება არ ძალუძს. ჰოი კაცო! რატომ ეხები უღელს, რომლის ზიდვაც არ შეგიძლია?!

დ) სხვის საქმეებში თვითნებურად ერევა, ყველას სწავლება სწადია, თუმცა თავისი საქმეც არ იცის. ასე აბრმავეს ამპარტავნება.

ე) ურცხვად იქებს და აღიმაღლებს საკუთარ თავს: მე ესა და ეს საქმე გამიკეთებია, საზოგადოების წინაშე ასეთი და ასეთი დამსახურებები მაქვსო. ჰოი კაცო! დამსახურებებს რომ ითვლი, შენს

ცოდვებზე რატომ არაფერს ამბობ? თუ მათი გამოცხადებისა გრცხვენია, მაშ თავის ქებისაც შეგრცხვეს.

ვ) სხვა ადამიანებს შეურაცხყოფს და ამცირებს: ის ფლიდი კაცია, ის უვარგისია, და ა. შ. ადამიანო! ის ისეთივე ადამიანია, როგორც შენ. ჩვენ ყველანი კაცნი ვართ. ის ცოდვილია, მაგრამ, ვფიქრობ, არ უარყოფ, რომ ეს სახელწოდება შენც გეკუთვნის. ამან იმ ცოდვით შესცოდა ან სცოდავს, შენ სხვა ცოდვით სცოდავ, შესაძლოა იმავე ცოდვითაც: „ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებისაგან ღმრთისა“ (რომ. 3,23).

ზ) ხელისუფლებასა და მშობლებს არ ემორჩილება. ამპარტავანთ ფიცხელი და უღრეკი ბუნება აქვთ. მათი მუდმივი სურვილია, თავიანთი ნება დააწესონ და დაამტკიცონ.

თ) რაც კი სიკეთე აქვს, თავის თავს, თავის მონდომებასა და შრომას, თავის გონებას მიაწერს, და არა ღმერთს. ჰოი კაცო! შენი თავისაგან რა გაგაჩნია, როცა დედის მუცლიდან შიშველი გამოხვედი? რა გვექნება, თუკი ღმერთი არ მოგვცემს, წყარო ყოველივე კეთილისა? რა შეუძლია შენს მონდომებასა და შრომას იმის დაუხმარებლად, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ყოველივე და რომლის გარეშე ყოველი კაცი არარაობაა, როგორც აჩრდილი სხეულის გარეშე.

ი) მხილება და დარიგება არ უყვარს, თავი სუფთა ჰგონია, თუმცა მთლიანად გასვრილია.

კ) წარუმატებლობის, დამცირების, განსაცდელისა და უბედურების დროს მოუთმენელია, აყვედრებს, დრტვინავს და ხშირად გმობაშიც ვარდება.

ლ) სიტყვასა და საქმეში ზვაობასა და მედიდურობას გამოაჩენს და ა. შ.

ეს ყველაფერი ღმრთისა და კაცთათვის საძაგელი ამპარტავნების ნაყოფია; მწარეა ეს ნაყოფი. „კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკ. 16,15). ამიტომაც წერია: „ყო-


ველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“ (ლუკ. 14,11).

ამპარტავნების საპირისპირო სათნოება სიმდაბლეა; და რამდენადაც საძაგელია ამპარტავნება, იმდენად სასიამოვნო და საყვარელია სიმდაბლე ღმრთისა და კაცთათვის. დიდი და მაღალი ღმერთი ყველაზე დიდი სიყვარულით დამდაბლებულ და შემუსვრილ გულს უმზერს. ამიტომაც ამბობს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი თავის თავზე: „რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა“ (ლუკ. 1,48). როდესაც ამპარტავნება განეშორება კაცს, სიმდაბლე დაიმკვიდრებს მასში, და რაც მეტად მცირდება ამპარტავნება, მით მეტად იზრდება სიმდაბლე. ერთი ადგილს უთმობს მეორეს, როგორც საპირისპიროს. ბნელი განეშორება და ნათელი ისადგურებს. ბნელი ამპარტავნებაა, ხოლო სიმდაბლე ნათელია. როდესაც განვსჯით საკუთარ თავს და შევიცნობთ ჩვენს უბადრუკებასა და გაჭირვებას, მაშინ საკმარისი მიზეზი გვექნება, რომ თავი დავიმდაბლოთ. შიშველნი და მტირალნი ვიბადებით, ვცხოვრობთ გაჭირვებაში, უბედურებებსა და ცოდვებში, ვკვდებით შიშით, სნეულებითა და მწუხარებით, მიწიდან გამოსულნი მიწას ვუბრუნდებით. იქ არ ჩანს სად წევს მდიდარი, გლახაკი, დიდგვაროვანი, უგვაროვნო, ბატონი, მონა, ბრძენი, უჭკუო — მიწაში დაბრუნებული ყველა გათანაბრებულია. რითი მაღლობენ მიწა და წუთხი?

საყვარელო ქრისტიანებო! შევიცნოთ ჩვენი გასაჭირი და უბადრუკება. „და-უკუე-მდაბლდით წინაშე მტკიცესა ხელსა ღმრთისასა, რაჟთა აღგამაღლნეს თქვენ ჟამსა თვისსა“ (1 პეტ. 5,6). შევიცნოთ, საყვარელნო, რომ ქრისტიანები ვართ, მშვიდი და გულით მდაბალი ქრისტესნი. სასირცხვილო და ფრიად შეუფერებელია ქრისტიანთათვის ამპარტავნება, როდესაც ქრისტემ, დიდმა და მაღალმა ღმერთმა, თავი დაიმდაბლა. სასირცხვილოა ამპარტავნება მონებისა, როცა მათი უფალი მდაბალია. არაფერია ქრისტიანთათვის ისეთი შეუფერებელი და უღირსი, რო-

გორც ამპარტავნება, და ისე არაფერი წარმოაჩენს ქრისტიანს, როგორც სიმდაბლე. სიმდაბლით შეიცნობა კაცი, რომ იგი ჭეშმარიტი მოწაფეა მშვიდი და გულთ მდაბალი ქრისტესი. თუ გვინდა დავამტკიცოთ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები ვართ, ვისწავლოთ ქრისტესგან სიმდაბლე, როგორც თავად მოგვიწოდებს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მათ. 11,29). დავწეროთ და ჩავაღრმავოთ ჩვენს მენსიერებაში მოციქულის სიტყვები: „ამპარტავნთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (იაკ. 4,6).

წმ. ტიხონ ზადონელი (26 გვ. 98)



თავი 4 სიმდაბლისათვის

*„აღიღეთ უღლეო ჩემი თქვენ
ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამე-
თუ მშვიდ ვარ და მფარველ გუ-
ლითა“.*

მათ. 11,29

თქვა მამა ანტონიმ: ვიხილე ეშმაკის ყველა მახე, ქვეყანაზე დაგებული, ამოვიოხრე და ვთქვი: ვინ გადაურჩება ამათ? და მეს-
მა ხმა: სიმდაბლე გადაურჩება; მახეები მას არც კი შეეხებიან.

პატერიკი (1 გვ. 8)

თქვა ნეტარმა კომასემ: განუშორებელია დიდება მდაბალთა-
გან. და თუმცა ისინი სიმდაბლის გამო მას გაურბიან, მაგრამ რო-
გორც სული წმიდა ამბობს „იგავებში“, თან დაყვება დიდება მდა-
ბალთ.

პატერიკი (1 გვ. 110)

თქვა მამა მატომ: რაც უფრო მიუახლოვდება კაცი ღმერთს,
მით უფრო ცოდვილად იხილავს თავს. როდესაც ესაია წინასწარ-
მეტყველმა უფალი იხილა, უბადრუკი და არაწმინდა უწოდა თავს
(ესაია 6,5).

პატერიკი (1 გვ. 146)

თქვა ბერმა: ნებისმიერ განსაცდელში სხვას ნუ გააკიცხავ, მხო-
ლოდ თავი დაიდანაშაულებ; თქვი: ეს ჩემი ცოდვების გამო მოხდა.

პატერიკი (3 გვ. 292)

როდესაც მამა სისოი აღსასრულს მიუახლოვდა, იქვე მსხდომ-
მა მამებმა იხილეს სახე მისი, ვითარცა მზის ნათელი. უთხრა მათ
ბერმა: აი, მამა ანტონი მოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ თქვა: აი,
წმინდა წინასწარმეტყველთა კრებული მოვიდა. შემდეგ უმეტე-
სად გაუბრწყინდა სახე და თითქოს ვიღაცებს საუბარი დაუწყო.
ჰკითხეს მამებმა: ვის ესაუბრები, მამაო? მიუგო: აი, ანგელოზე-
ბი მოვიდნენ ჩემს წასაყვანად და ვევედრები – ცოტა დრო მომ-
ცენ მცირეოდენი სინანულისთვის. აღარ გჭირდება სინანული,
– უთხრეს მამებმა. ბერმა მიუგო: დაიჯერეთ, ჩემი გონება მეუბ-
ნება, რომ ჯერ არც კი დამიწყია მსახურება ღმრთისა. მიხვდნენ
ყველანი, რომ სრული კაცი იყო. შემდეგ სახე მზისთვალავით გა-
უბრწყინდა და ყველას შიში დაეცა. და თქვა მამა სისოიმ: იხი-
ლეთ, იხილეთ! აი, უფალი მოვიდა და ამბობს: მომართვით მე ეგ
უდაბნოს რჩეული ჭურჭელი. მყისვე ამოუტევა ბერმა სული და
ნათელი გამობრწყინდა, ვითარცა ელვა, ხოლო ის ადგილი სურ-
ნელებით აღივსო.

პატერიკი (1 გვ. 224)

ცხოვრობდა ერთად ორი ბერი. მივიდა ეშმაკი მათ წასაჩხუ-
ბებლად. როდესაც ერთმა მათგანმა სანთელი აანთო, ეშმაკმა წა-
აქცია. განურისხდა ერთი ბერი მეორეს და წაეჩხუბა. ის კი ფე-
ხებში ჩაუვარდა და უთხრა: სულგრძელება გამოიჩინე, ძმაო, და
მე კვლავ ავანთებ. იხილა ღმერთმა ამ ბერის სიმდაბლე, მოვიდა
ძალი ღმრთისა, ტანჯა ეშმაკი და ისიც განშორდა ბერებს. აუწყა
ეშმაკმა ეს ამბავი თავის მთავარს და გაიგონა კერპთა ქურუმმა.
წამოვიდა, მონაზონი გახდა და უპირველესად სიმდაბლე მოიპო-
ვა. ამბობდა, სიმდაბლე დაარღვევსო მტრის ძალას. ეშმაკთა სა-
უბარი ჰქონდა მოსმენილი: როცა მონაზვნებს წავაჩხუბებთ და ერ-
თი მათგანი მშვიდობის ჩამოსაგდებად მოიქცევა, მაშინ ყველა ჩვე-
ნი ტყუილი და ძალა დაირღვევაო.

პატერიკი (1 გვ. 264)

იყო ერთი ვინმე მამათაგანი და ჰყავდა ძმა ერისკაცი. მოკვდა ეს ძმა და დარჩა სამი წლის ვაჟი. მივიდა ბერი და წამოიყვანა ის ყრმა უდაბნოში. ჭამდა ბავშვი ბერთან ერთად ფინიქსა და მხალს, უდაბნოში გასვლის შემდეგ არ უხილავს კაცის სახე ბიძამისის გარდა, არც დედაკაცი უხილავს, არც სოფელი და არც პურის გემო გაუსინჯავს, არც ის იცოდა, როგორ ცხოვრობენ კაცნი ამ სოფლად. ბიძამისთან ერთად ფსალმუნებდა, ლოცულობდა და მარხულობდა. იცოცხლა თვრამეტი წელი, გარდაიცვალა და დამარხა ბერმა. ამის შემდეგ ბერმა ილოცა ღმრთის წინაშე იმის გასაგებად, თუ სად დაემკვიდრა ის ყრმა და თუ შეუერთდა წმინდანთა რიცხვს. გამოუცხადა ღმერთმა ძილში და იხილა ის ყრმა მყრალსა და სატანჯველ ადგილას, დიდ მწუხარებაში. როდესაც ბერმა გაიღვიძა, დადგა და ედავებოდა ღმერთს, ამბობდა: უფალო, უსამართლობაა ეს, განა ყრმა უბიწო არ იყო? არ გემსახურებოდა ყოველდღიურად? არ მარხულობდა ყოველდღე? ვიდრე ბერი ღმერთს ამას ეუბნებოდა, იხილა მასთან მდგომი უფლის ანგელოზი, რომელმაც უთხრა: კეთილო ბერო, ნამდვილად ეგრეა, გისწავლებია ყრმისათვის მარხვა, სიწმინდე, წესი; რატომ სიმდაბლე არ ასწავლე? ამის გამო მოხვდა იგი მყრალსა და სატანჯველ ადგილას, თავი დიდი და წმინდა კაცი ეგონა. მაგრამ იცოდე, ღმერთთან არ არის უსამართლობა, რამეთუ წერია: „საძულველ არს წინაშე ღმრთისა ყოველი კაცი გულითა მალაღი“ (ლუკ. 16,15; იგავ. 16,6). ხოლო ბერი სულ მუდამ ტიროდა ყრმის წარწყმედის გამო.

პატერიკი (1 გვ. 280)

რაც უფრო გამჭრიახია ჩვენი მხერა, მით უკეთ ვხვდებით რა შორს ვართ ცისგან. ამის მსგავსად, რაც მეტად წარვემატებით სათნოებაში, მით უკეთ შევიცნობთ, რა შორსა ვართ ღმერთისგან. დიდი სიბრძნეა, როდესაც თავის შეფასება შეგვიძლია.

ყველაზე უკეთ მან უწყის საკუთარი თავი, ვინც თავს არაფრად მიიჩნევს. ამიტომ იყო, დავითმა და აბრაამმა სათნოების უმაღლეს მწვერვალს რომ მიაღწიეს, მაშინ განსაკუთრებით გამოიჩინეს სიმდაბლის სათნოება: აბრაამი თავს მიწასა და ნაცარს უწოდებდა (დაბ. 17,27), ხოლო დავითი — მატლს (ფსალმ. 21,7). მათ მსგავსად ყველა წმინდანი თავს არაფრად მიიჩნევს. ამის საწინააღმდეგოდ, ვინც სიამაყითაა წარტაცებული, ის ყველაზე ნაკლებად იცნობს საკუთარ თავს.

წმ. იოანე ოქროპირი (8 გვ. 291)

შენ მწერ, რომ დიდად მოყვარული ხარ თავმდაბლობისა და იმის შეტყობაც გსურს, თუ როგორ მოიპოვო ეს ღმრთის მიერ პატივდებული სათნოება. ჰოდა, თუ მართლა გსურს ამას და ღმრთისათვის საძულველი ამპარტავნების თავიდან აცილება და ნეტარი საბოძვარის მფლობელი გინდა გახდე, ნურაფერს უგულებელჰყოფ, რაც ამ საქმეში შეგეწევა, ხალისით გაწვრთენ თავი ყველაფერში, რაც კი სიმდაბლეში სრულყოფას ემსახურება. სული, ჩვეულებრივ, იმას ემსგავსება, რითაც არის დაკავებული, რასაც საქმიანობს; და რასაც გამუდმებით აკეთებს, სწორედ იმას აღიბეჭდავს, იმის სახეს იღებს. ამიტომაც, ყოველივე — გარეგნობაც, სამოსიც, სიარულის სახეც, დასაჯდომელიც, საზრდელიც, საწოლიც, — ერთი სიტყვით ყველაფერი, — უაღრესი ზომიერებით იქონიე. დაე, შენი სიტყვაც, სხეულის მოძრაობაც და მოყვასთან საუბარიც თავმდაბლობისკენ იყოს მიქცეული და არა ქედმაღლობისკენ. კეთილი და მშვიდი იყავი ძმის წინაშე; გამზადებული — სხეულთა სანუგეშოდ და მოსასვენებლად; ტანჯულთა, დამაშვრალთა და მწუხარეთა მოსანახულებლად. საერთოდ, ნურავის მოიძაგებ, თავაზიანი იყავი საუბრისას, პასუხიც კეთილგანწყობით გაეცი, ყოველივეში კეთილისმსურველი და ყველა-სათვის მისაწვდომი იყავი.

წმ. ნილოს სინელი (2 გვ. 371)

თუკი ღმრთის გზაზე სიარული გსურს, ნუ ეძიებ პატივს შენთვის. გზა ღმრთისა მხოლოდ ისაა, რომ კაცმა ყველაფერში უარყოს საკუთარი ნება და თავი უკანასკნელად, ყველაზე უმცირესად მიიჩნიოს.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 340)

როგორც პორფირით შემოსილი კაცი გაიქცევა, თუკი უწმინდურ ძონძს მიუგდებენ, რომ ძვირფასი სამოსი არ შეიბილწოს, ასევე გაურბიან კაცთაგან დიდებას სათნოებით შემკობილი წმინდანები, რომ არ შეიბილწონ მისგან. ხოლო კაცობრივი დიდების მაძიებელნი იმ შიშველ კაცს ჰგვანან, რომელიც მცირე ძონძს დაემებს სიშიშველის დასაფარავად. ასე ეძებენ სათნოებისაგან შიშველნი დიდებას კაცთაგან. სიმდაბლის გამო წმინდანები უარს ამბობდნენ, როცა ღმერთი კაცთა დასახმარებლად გზავნიდა ხოლმე მათ. მოსე ამბობდა: „გევედრები შენ, მიავლინე სხვა უძლიერესი ჩემსა, რამეთუ მე ხმაწულილ ვარ და ენამძიმე“ (შდრ. გამოსლ. 4; 10, 14); ხოლო იერემია ამბობდა: „ჭაბუკ ვარ მე“ (იერ. 1,6). ერთი სიტყვით, ყველა წმინდანმა, როგორც ვთქვით, სიმდაბლე მცნებათა აღსრულებით მოიპოვა. მაგრამ რა არის ეს სიმდაბლე და როგორ იშვება სულში, ამისი სიტყვით გამოთქმა არავის ძალუძს. თუკი კაცი გამოცდილებით არ შეიცნობს სიმდაბლეს, მხოლოდ სიტყვებით ვერ მიხვდება ამას.

წმ. აბბა დოროთე (14 გვ. 366)

ყოველგვარი შეშფოთების მთავარი მიზეზი, თუკი საფუძვლიანად გამოვიკვლევთ, ის არის, რომ ჩვენ საკუთარ თავს არ ვიდანაშაულებთ... ვხედავთ, რომ ამ გზიდან გადამხვევმა ვერავინ ჰპოვა სიმშვიდე, ჩვენ კი, რომელთაც არასოდეს გვიჩნდება თავის დადანაშაულების სურვილი, დამშვიდების იმედი გვაქვს და გვეგონია, რომ წრფელ გზას ვადგავართ. ჭეშმარიტად, უთვალა-

ვი სიკეთეც რომ აღასრულოს კაცმა, თუკი ამ გზით არ ივლის, ვერასოდეს გათავისუფლდება გულნაკლულობისა და შფოთისაგან, რითაც მთელ თავის შრომას წარწყმედს. ამის საპირისპიროდ, როგორი სიხარული, როგორი სიმშვიდე აქვს მას, ვინც თავს იდანაშაულებს. როგორც მამა პიმენი ამბობდა, სადაც არ უნდა წავიდეს თავის მაბრალბელი, როგორი ზიანიც არ უნდა მიადგეს, ან უპატიობა, ან სხვა რაიმე გაჭირვება, ის წინასწარ მიიჩნევს თავს ყოველგვარი მწუხარების ღირსად და არასოდეს შეშფოთდება. რაღა იქნება ამაზე მეტი უზრუნველობა?

შეიძლება ვინმემ იკითხოს: როცა ძმა შეურაცხყოფას მამყენებს და მე ჩემი თავის განხილვისას აღმოვაჩენ, რომ მისთვის არ მიმიცია რაიმე მიზეზი, როგორ დავაბრალო საკუთარ თავს? ჭეშმარიტად, თუ კაცი ღმრთის შიშით გამოიკვლევს თავს, ნახავს, რომ მან თავად მისცა მიზეზი ან საქმით, ან სიტყვით, ან სახით. თუკი, როგორც ამბობს, ახლა არ მიუცია არანაირი მიზეზი, მაშინ ჩანს, რომ სხვა დროს შეურაცხყოფი იგი, ანდა სხვა ძმას აწყენინა და ამისთვის დაისაჯა. ხშირად რაიმე სხვა ცოდვის გამოც მოიწევა ამგვარი სასჯელი. ამიტომაც, როგორც ვთქვით, თუკი კაცი საკუთარ თავს ღმრთის შიშით გამოიძიებს და თავის სინდისს მკაცრად განსჯის, აუცილებლად ჰპოვებს თავს ბრალეულად.

წმ. აბბა დოროთე (14 გვ. 397)

უფალი მრავალგზის დაფარავს ჩვენგან, თუკი რაიმე სათნობა გაგვაჩნია, რათა სიმდაბლე მოვიპოვოთ. ხოლო ჩვენი მაქებელი, უფრო კი მაცთური, ქებით თვალს აგვიხელს, და როგორც კი თვალი აგვეხილება, ჩვენი სიმდიდრე წარწყმდება და გაუჩინარდება.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 363)

დიდია ის კაცი, რომელიც გინებას სიხარულით აიტანს, ხოლო წმინდა და პატიოსანია, ვინც ქებას უვნებელი გადაურჩება.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 363)

სიმდაბლეს ის კი არ გამოიჩენს, ვინც თავს თვითონ იმდაბლეს (რამეთუ ვინ არ მოითმენს შეურაცხყოფას საკუთარი თავისაგან), არამედ ის – ვინც გინებას მოითმენს და მაგინებელთა მიმართ სიყვარულს შეინარჩუნებს.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 363)

მდაბალი მონაზონი არ გამოიძიებს დაფარულ და გამოუთქმელ საქმეებს, ხოლო ამპარტავანი ღმრთის საიდუმლო განგებულეებს იკვლევს.
წმ. იოანე სინელი. (12 გვ. 384)

როგორც თოვლში ცეცხლი არ იპოვება, ასევე არც მწვალელებთან იპოვება სიმდაბლე. ეს სათნოება წმინდა და ღმრთისმოყვარე მართლმორწმუნეთა კუთვნილებაა.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 387)

მრავალნი შევიდნენ სასუფეველში წინასწარმეტყველებათა და სასწაულთა გარეშე, ხოლო სიმდაბლის გარეშე ვერავინ შევა ზეციურ სასძლოში.
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 390)

სხვაა გონება საყდარზე ამაღლებულისა და სხვა – სკორეზე მჯდომარისა. და იქნებ ამიტომაც იჯდა ქალაქგარეთ სასკორეზე დიდი და მართალი იობი, რამეთუ სრული სიმდაბლე მოიპოვა და თქვა სულიერი შემეცნებით: „დავიკინინე თავი ჩემი და დავლსბი, და შევრაცხე თავი ჩემი მიწა და ნაცარ“ (იობ. 42,6).
წმ. იოანე სინელი (12 გვ. 391)

მდაბალი სულ მუდამ მორჩილია და სხვებისგან ისმენს უმჯობეს სიტყვებს, რამეთუ საკუთარ თავს არასოდეს ენდობა და თავის საზრუნავს უფალს მიანდობს, რომელმაც ბალაამის ვირიც აამეტყველა. და თუნდ ყოველთვის საღმრთოდ ამბობდეს და იქმოდეს, მაინც არ სჯერა თავისი გულისხმისყოფისა, რამეთუ როგორც ამპარტავანს ეძძიმება სხვისთვის შეკითხვა, ასევე მდაბალს უძძიმს საკუთარი თავის მინდობა.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 390)

უფალმა ჩვენი დამდაბლებისთვის ისე განავო, რომ კაცის წყლულებს სხვა უკეთ ხედავს, ვიდრე თვითონ. ამიტომაც საჭიროა ჩვენთვის, რომ საკუთარ თავს კი არ ვმოდვრავდეთ, არამედ მწყემსის მიერ განვისწავლოთ, და როცა წყლულებათაგან განვიკურნებით, ღმერთსა და მას ვმადლობდეთ.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 390)

ნეტარი სიმდაბლის შენში დამკვიდრებას მაშინ შეიცნობ, ოდეს შენი გული გამოუთქმელი ნათლით აღივსება და მიუთხრობელი ტრფიალება გექნება ლოცვის მიმართ. ამათზე უწინ კი ისეთი გული უნდა მოიპოვო, რომელიც სხვების ცოდვებსა და ცთომილებებს არ განიკითხავს. ხოლო ამისი წინამორბედი ყოველგვარი მზვაობრობისა და კატცთამიერი დიდების სიძულვილია.

წმინდა იოანე სინელი (12 გვ. 386)

მრავალნი ვუწოდებთ ჩვენს თავს ცოდვილს და შესაძლოა ასეც ვფიქრობდეთ, მაგრამ გულის სიმდაბლეს სხვებისგან მიყენებული შეურაცხყოფა გამოცდის.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 387)

შხამი, რომელიც მთლიანად წამლავს ფარისეველთა საქმიანობას, ის არის, რომ ისინი „ყოველსა საქმესა მათსა იქმან სა-


ჩუენებელად კაცთა“ (მათ. 23,5). მათი მოღვაწეობის საფუძველი კაცთამიერი დიდების ძიებაა, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალება – ორგულობა (პირმოთნეობა, თვალთმაქცობა). ორგულობაა ფარისეველთა დამახასიათებელი თვისება. უფალმა ორგულობას ფარისეველთა ცოში უწოდა (ლუკ. 12,1). ფარისეველთა მთელი საქმიანობა ორგულობითაა გაჟღენთილი, ყოველი მათი ქმედების სული ორგულობაა. ორგულობა მზვაობრობისაგან და კაცთამიერი ქებისა და დიდების ძიებისაგან იბადება და თავისი წარმატებებით კვებავს მზვაობრობას. როდესაც მზვაობრობა ზრდასრულ ასაკს აღწევს, მაშინ მისი მოქმედება ცალკეული ალტყინებებიდან მუდმივ სწრაფვად გადაიქცევა. ამ დროს მზვაობრობისგან უგუნური და ბრმა ვნება – ამპარტავნება წარმოიქმნება. სულიერი მნიშვნელობით ამპარტავნება სულის სიკვდილია. ამპარტავნებით მოცულ სულს ადარ ძალუმს არც დამდაბლება, არც სინანული, არც მოწყალება, არც რაიმე სულიერი ზრახვა თუ შეგრძნება, რომელთაც მაცხოვრის ცოცხალი შემეცნება და მასთან შეთვისება მოაქვთ. იმისათვის, რომ ფარისეველთა ცომისაგან მომდინარე საშინელი შხამი ავიცილოთ, ვეცადოთ, ღმრთის მცნებები სახარების სწავლებისამებრ, მხოლოდ ღმრთისათვის აღვასრულოთ, მთელი გულმოდგინებით ვისწრაფოთ – მცნებათა აღსრულება ადამიანთა განმხრწნელი მზერისაგან დავფაროთ. დედამიწაზე ღმრთისათვის და ზეცისათვის ვიღვაწოთ და არა კაცთათვის! კაცთათვისაც ვიღვაწოთ, მაგრამ არა იმისთვის, რომ ჩვენი შექება გამოვტაცოთ, არამედ იმისთვის, რომ მათ ჭეშმარიტი სარგებელი მოვუტანოთ, რისთვისაც ისინი ხშირად ფლეთენ თავიანთ კეთილისმყოფელებს ისევე, როგორც ხშირად სულელი და მძვინვარე მხეცები ფლეთენ მათ, ვინც მათზე ზრუნავს და კვებავს. ასე მოექცნენ წმინდა მოციქულებს და მრავალ სხვა ღმრთის სათნო ადამიანს. განუწყვეტლივ ვადევნოთ თვალყური საკუთარ თავს ნაკლოვანებებისა და ცთომილებების შესამჩნევად. ვევედ-

როთ ღმერთს, რომ ჩვენი დაცემული და ცოდვილი მდგომარეობა დაგვანახოს! მუდმივი სწრაფვა ღმრთის ნების შესასრულებლად თანდათანობით აღმოფხვრის ჩვენში საკუთარი თავით კმაყოფილებას და სულის ნეტარ სიგლახაკეს შეგვმოსავს. ამ წმიდა, მაღლიანი სამოსით შემოსილნი უფლის წინაშე ღმრთის სათნო დგომას ვისწავლით, რისთვისაც სახარებაში თავმდაბალი მეზვერეა შექებული. გულწრფელად მლოცველნი, გულში ცოდვილობის განცდით, იმედია მივიღებთ ცოდვათა შენდობას და ჭეშმარიტ სიკეთეთა სიუხვეს, წარმავალსაც და მარადიულსაც. „რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკ. 18,14), უფალი ღმერთის, ჩვენი შემოქმედისა და მაცხოვრის ყოვლადძლიერი და ყოვლადსახიერი მარჯვენით, ამინ.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (31 გვ. 27)

დიდი უბედურებაა ჩვენთვის, როცა თავს მართალ კაცად შევიგრძნობთ. აღიბეჭდეთ მეხსიერებაში: როგორც კი ეს შეგრძნება მოვა, თუნდაც სუსტი ძალით, თქვენი საქმე ცუდად მიდის. რაც უფრო ცოდვილად იგრძნობთ თავს, მით უფრო მართებული იქნება თქვენი გზა.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 174)



თავი 5 განკითხვისათვის (განსჯისათვის)

*„ჰკითხე მამასა შენსა, ვითხ-
რას შენ და მოხუცებულთა შენ-
თა გაუნყონ შენ“.*

2 სჯულთ. 327

მამა თევდორესთან ერთხელ ძმა მივიდა და სამი დღე დარჩა, სიტყვას ითხოვდა მისგან. მამა თევდორე ღუძღა. წამოვიდა ძმა გულნაკლული. ჰკითხა მოწაფემ მამა თევდორეს: როგორ არაფერი უთხარი? ბერმა უპასუხა: სამართლიანად მოვექეცი, რადგან ვაჭარია და სხვისი სიტყვებით სურს განდიდება.

პატერიკი (1 გვ. 69)

მივიდნენ ძმები მამა ფელიკისთან და სიტყვას ითხოვდნენ მისგან, ხოლო ბერი ღუძღა. დიდხანს რომ ევედრებოდნენ, უთხრა: სიტყვის მოსმენა გნებავთ? დიახ, მამაო, — უპასუხეს ძმებმა. უთხრა ბერმა: აწ არ არის სიტყვა. როდესაც ძმები ბერებს ეკითხებოდნენ და მათ ნათქვამს ასრულებდნენ, ღმერთიც აძლევდა ბერებს სიტყვას. ახლა კი ეკითხებიან და ნათქვამს არ ასრულებენ. ამიტომ აიღო ღმერთმა ბერებისგან ის მაღლი და სათქმელს ველარ პოულობენ, რადგან არავინაა შემსრულებელი. ძმებმა ეს რომ მოისმინეს, ამოიხრეს და თქვეს: ილოცე ჩვენთვის, მამაო.

პატერიკი (1 გვ. 250)

ჰკითხა ერთმა კაცმა ბერს: როგორ ვიპოვო ღმერთი — მარხვით, შრომით, ღამისთევით თუ მოწყალებით? ბერმა მიუგო: განკითხვით (განსჯით, გულისხმისყოფით) იპოვება. მრავალთ შეაჭირვეს სხეული განკითხვის გარეშე და ცარიელნი წავიდნენ,

ვერაფერი ჰპოვეს. პირს მარხვით ავიყროლებთ, წმიდა წერილს კვითხულობთ, ფსალმუნი ზეპირად ვიცით, ხოლო სიყვარული და სიმშვიდე არ გავგაჩნია, რომელთაც ეძიებს ღმერთი ჩვენგან.

პატერიკი (1 გვ. 261)

ერთ კაცს ეშმაკი ნათლის ანგელოზად ეჩვენა და უთხრა: მე ანგელოზი გაბრიელი ვარ, ღმერთმა მომავლინა შენთან. ბერმა უთხრა: მე ცოდვილი და უღირსი ვარ, ვინმე სხვასთან მივაკვლენდა. როგორც კი ბერის დიდი სიმადაბლე იხილა, ეშმაკი იმწამსვე გაუჩინარდა.

პატერიკი (1 გვ. 264)

თქვა მამა ანტონიმ: ვიხილე მონაზონნი, რომელნიც დიდი შრომის შემდეგ დაეცნენ და გულისსიტყვათა მიმოტაცებაში ჩავარდნენ, რადგან თავიანთ საქმეებზე დაამყარეს სასოება და შეურაცხვეს უფლის მცნება: „ჰკითხე მამასა შენსა, გითხრას შენ და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“ (2 სჯულ. 32,7).

პატერიკი (2 გვ. 135)

თქვა ბერმა: დაეცა ერთი ძმა მძიმე ცოდვით. ამის შემდეგ შეინანა, მივიდა ბერთან და უთხრა: თუკი ვინმეს ამგვარი გულისსიტყვა მოუვა, უნდა ჰქონდეს მას ცხონების იმედი? ის ბერი არ იყო სულიერი განსჯის ნიჭის მქონე და უპასუხა: წარუწყმედა მას სული. ეს რომ მოისმინა იმ ძმამ, სასოება წარეკვეთა და სოფლად დაბრუნებას ფიქრობდა. შემდეგ თქვა გულში: წავალ, მამა სილოვანესაც შევეკითხები.

მამა სილოვანე ბრძენი, გამოცდილი და განსჯის ნიჭით უხვად დაჯილდოებული ბერი იყო; დაიწყო საუბარი წმიდა წერილიდან და თქვა: არც გულისსიტყვებისა და არც საქმეთა გამო არ დაისჯება კაცი, თუკი მთელი გულით შეინანებს, სრულიად

განეშორება და აღარ მიუბრუნდება ცოდვას. ძმამ წმინდა ბერის სიტყვები რომ მოისმინა, ძალა და სასოება მოეცა და თავისი ცოდვის შესახებ მოუთხრო. ხოლო ბერმა, როგორც კეთილმა ხელოვანმა და მკურნალმა, განკურნა ის ძმა.

ამბობდა მამა სილოვანე: აჰა, სასოწარკვეთილი და სოფლად მიმავალი აწ როგორც ვარსკვლავი ბრწყინავს ძმათა შორის. ეს იმისათვის გიამბოთ, რომ სცნოთ, რა დიდი ზიანი მოაქვს განსჯის ნიჭის არმქონე და გამოუცდელ კაცთათვის გულისსიტყვათა და საქმეთა გამხელას.

პატერიკი (2 გვ. 120)

ცხონებისთვის არ არსებობს უფრო საიმედო გზა, ვიდრე ის, რომ საკუთარი გულისსიტყვები სულიერი განსჯის მქონე მამებს გავუმხილოთ და ვიყოლიოთ ისინი სათნოებათა მოხვეჭის გზაზე ხელმძღვანლად, არ მივდიოთ საკუთარ გულისსიტყვასა და განსჯას.

წმ. კასიანე რომაელი (22 გვ. 43)

კარგია ჩვენი ნაკლოვანებები სულიერ ადამიანებს გავუმხილოთ. საჭიროა, რომ მათ სიბრძნე და ცოდნა გააჩნდეთ, რათა არ გვაენონ ზედმეტი ღმობიერებით ან ზედმეტი სიმკაცრით.

წმ. ანასტასი სინელი (15 გვ. 124)

ყველას დაემორჩილე ყველა კეთილ საქმეში, მხოლოდ ნუ მიჰყვები ანგარებისმოყვარეს, ვერცხლისმოყვარეს და წუთისოფლისმოყვარეს, რათა შენი მორჩილება საემშაკო საქმედ არ იქცეს.

წმ. ისააკ ასური (17 გვ. 56)

თუკი სულიერად ბრმა ადამიანი სხვებს წინამძღვრობს, ხიბლში იმყოფება და თავის მიმდევრებს დასაღუპავ თხრილში აგდებს, თანახმად უფლის სიტყვებისა: „ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღვინ, ორნივე მთხრებლსა შთაცვივიან“ (მათ. 15, 14).

წმ. სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი (21 გვ. 14)

ჭეშმარიტი მორჩილებისაგან ჭეშმარიტი სიმდაბლე იშვება, ჭეშმარიტ სიმდაბლეს ღმრთის მოწყალება განანათლებს. არასწორი და კაცთმოთნე მორჩილებისაგან ყალბი სიმდაბლე იშვება, რომელიც ადამიანს ღმრთის ნიჭთაგან განაშორებს და სატანის ჭურჭლად აქცევს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (19 გვ. 116)

ცრუწინასწარმეტყველნი ნაყოფით შეიცნობიან – ცხოვრებით, საქმეებით, მათი საქმიანობიდან გამომდინარე შედეგებით. ნუ გაგიტაცებს ფარისეველთა ტკბილსიტყვაობა, მათი წყნარი ხმა, თითქოს სიმშვიდის, სიმდაბლისა და სიყვარულის გამომხატველი; ნუ გაგიტაცებს ის ტკბილი ღიმილი, რომელიც ბაგეებსა და სახეზე დასთამაშებთ, ის ალერსი და მაამებლობა, მათი მზერიდან რომ გამოჰკრთის; ნუ ცთუნდები იმ ხმით, რომელსაც ისინი ოსტატურად ავრცელებენ კაცთა შორის საკუთარ თავზე. ნუ მოტყუვდები იმ მოწიწებით, ქებით, ხმამაღალი სახელებით, რომლითაც ადიდებს მათ სოფელი. მათ ნაყოფს დაუკვირდი.

წმ. ნილოს სორელი (40 გვ. 338)

შეიძლება ვინმემ იფიქროს: თუკი არა მყავს ადამიანი, რომელსაც შეიძლება შევეკითხო (ღმრთის ნების შესახებ), როგორ მოვიქცე? თუკი კაცს ჭეშმარიტად, მთელი გულით სურს ღმრთის ნების აღსრულება, მას ღმერთი არასოდეს მიატოვებს, უთუოდ ასწავლის თავის ნებას. ჭეშმარიტად, თუკი კაცი გულს ღმრთის

ნებისკენ მიმართავს, ღმერთი ჩვილ ყრმასაც განაბრძნობს მისთვის თავისი ნების საუწყებლად. ხოლო თუ კაცს გულწრფელად არ სურს ღმრთის ნების აღსრულება, წინასწარმეტყველთანაც რომ მივიდეს, ღმერთი წინასწარმეტყველსაც მისი გამრუდებული გულის შესაბამის პასუხს ათქმევინებს, როგორც წმიდა წერილი ამბობს: „და წინასწარმეტყველი თუ სცთეს და თქუას სიტყუაჲ, მე უფალმან შევაცთუნე იგი“ (ეზეკ. 14,9).

წმ. აბბა ღოროთე (16 გვ. 389)

რომელ სიტყვაშიც განისწავლება კაცი, იმ სიტყვის თვისებას იძენს, თუმც ვერ ხედავენ ამას გამოუცდელნი.

წმ. პეტრე დამასკელი (29 გვ. 155)

უფროხილდი მწვალებლური სწავლებების კითხვას, რამეთუ ყველაზე მეტად ეს ამხედრებს გმობის სულს შენს წინააღმდეგ.

წმ. ისააკ ასური (17 გვ. 346)

არიან ეშმაკები, რომლებიც წმიდა წერილის განმარტებას გვასწავლიან; ამას უმეტესად მზვობართა გულებში იქმან, და უფრო კი ფილოსოფიით განსწავლულებში. პირველად სიმართლეს ასწავლიან, რათა თანდათან აცთუნონ და წვალებასა და გმობაში ჩააგდონ.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 418)

დაიცავი გონება და გული ცრუმოდვრებათაგან. ნუ ისაუბრებ ქრისტიანობის შესახებ ცრუ აზრებით მოწამლულ ადამიანებთან. ნუ წაიკითხავ ცრუმოდვართა მიერ ქრისტიანობის შესახებ დაწერილ წიგნებს. ჭეშმარიტებაში სული წმიდა მკვიდრობს – სული ჭეშმარიტებისა. სიცრუეში ეშმაკის სული მკვიდრობს და მოქმედებს, იგი არის სიცრუე და მამა სიცრუისა.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (29. გვ. 115)

ნუ თამაშობთ თქვენი ცხონებით, ნუ თამაშობთ! სამუდამო ტირილი მოგიწევთ. იკითხეთ ახალი აღთქმა და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამები (და არა ტერეზა, ფრანცისკო და დასავლეთის სხვა გონებატომილები, რომელთაც მათი მწვალებლური საკრებულო წმინდანებად ასალებს).

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (31 გვ. 476)

კითხვა: მყავს მეგობარი, რომელიც მწვალებელი აღმოჩნდა. შეევაგონო, რომ სწორად იაზროვნოს, თუ არა?

პასუხი: ურჩიე მართალი სარწმუნოების შეცნობა, მაგრამ ნუ ეპაექრები და ნურც იმის გაგებას მოისურვებ, თუ როგორ ფიქრობს, რომ შენ თვითონაც არ შეგეყაროს მისი სენი. თუკი იგი სარგებლის მიღებასა და ღმრთის ჭეშმარიტი სარწმუნოების მოსმენას მოისურვებს, მიიყვანე იმ წმინდა მამებთან, რომელთაც მისთვის ქრისტეს მიერ სარგებლის მოტანა ძალუძთ. ამგვარად, დაეხმარები მას და თავსაც არ ავნებ. თუკი იგი პირველი და მეორე რჩევის შემდეგ არ გამოსწორდება, მაშინ განეშორე, მოციქულის სიტყვის თანახმად (ტიტე 3,10). ღმერთს, როგორც მამები ამბობენ, არ სურს, რომ კაცი თავის ძალაზე აღმატებულ საქმეს იქმოდეს. თუკი ხედავ, — ამბობენ მამები, — რომ ვინმე მდინარეში იძირება, ხელს ნუ გაუწვდი, რომ შენც არ ჩაგიყოლოს და მასთან ერთად არ ჩაიხრჩო; კვერთხი გაუწოდე და თუკი შეძლებ მის ამოყვანას, კარგია, ხოლო თუ ვერ შეძლებ, დაუტოვე კვერთხი ხელში და შენ გადარჩები.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 437)

თუკი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყოვლის შემძლებელი, ჰეროდეს ხორციელად განეშორა, — ისწავლონ ამპარტავნებმა, რომ საკუთარი ნებით თავი განსაცდელში არ ჩაიგდონ, რამეთუ

თქმულია: „ნუ მისცემ შეძრვად ფერხსა შენსა, და არა რულეს მცველსა შენსა“ (ფსალმ. 120,3).

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 421)

ემშაკები ხშირად მცირე საქმეთაგან განგვაშორებენ, რომელთაგან სარგებელს მივიღებდით, და მძიმე და ჩვენს შესაძლებლობებს აღმატებულ საქმეთა აღსრულებას მოგვიწოდებენ.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 421)

ვინც უნებლიეთ ვარდება ცოდვაში, მან უნდა იცოდეს, რომ სხვა, წინამორბედი ცოდვა დაუფლებია, რომელსაც იგი საკუთარი ნებით ემსახურება და რომელსაც შეჰყავს იმ ცოდვებში, რომლებში ჩავარდნაც არ სურდა.

წმ. ბასილი დიდი (4 გვ. 394)

ვისაც სიზმრების სჯერა, იგი სრულიად გამოუცდელია; ხოლო ვინც სრულიად არ ერწმუნება მათ, იგი ყოვლად ბრძენია.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 235)

საყვარელო, ის უკეთური მტერიც განდევნე, რომელიც გეუბნება: აღასრულე ეგ შენი გულისთქმა და კვლავ შეძლებ სინანულს, ლოცვას, მარხვასა და მღვიძარებას, კვლავ იგლოვებ და გამოაკეთებ შენ სულს. განდევნე იგი შენგან, რამეთუ მრავალთ ჰქმნეს ბოროტება და ვედარ შეძლეს სინანული; გულისთქმანი რომ დაეუფლნენ, ვედარ დაიხსნეს მათგან თავი, ანდა ცოდვის აღსრულებისთანავე სიკვდილი ეწიათ.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 346)

სინდისი მხოლოდ მათ არ განიკითხავს, რომელთაც სათნობის ან ბოროტების მწვერვალს მიაღწიეს.

წმ. აბბა თალასე (16 გვ. 422)

მთელი ძალითა და მონდომებით უნდა ვეცადოთ სიმდაბლის მეშვეობით განკითხვის (განსჯის, გულისხმისყოფის) ნიჭი მოვიპოვოთ, რომელსაც ძალუმს ორივე მხრივ დაგვიცვას ზედმეტობისაგან. როგორც მამები ამბობენ, უკიდურესობანი ერთი მხრიდანაც საშიშია და მეორედანაც — ზედმეტი მარხვაც და მუცლის გადავსებაც, ზედმეტი მღვიძარებაც და ხანგრძლივი ძილიც, ასევე სხვა ზედმეტობები. ჩვენ ისეთებიც ვიცით, რომლებიც ნაყოფიანებამ ვერ დაამარცხა, მაგრამ უზომო მარხვამ დასცა და შემდეგ ნაყოფიანებაში ჩავარდნენ სისუსტის გამო, რომელიც ზედმეტმა მარხვამ გამოიწვია.

წმ. კასიანე რომაელი (24 გვ. 560)

სულიერი განსჯის მოპოვება ხდება წმიდა წერილის, განსაკუთრებით ახალი აღთქმისა და იმ წმინდა მამების კითხვით, რომელთა ნაწერები შეესაბამება ცხოვრების იმ წესს, რომელსაც ესა თუ ის ქრისტიანი ადგას.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (24 გვ. 559)

ყოველი გულისსიტყვა (აზრი), რომელიც შენში სულიერ ბრძოლას იწვევს, შენს მოძღვარს გაუშხილე და ბრძოლა შემსუბუქდება. არ დაუშვა სირცხვილის გამო რომელიმე ამგვარი გულისსიტყვის დაფარვა, რადგან დემონები ადგილს მხოლოდ იმ ადამიანში ჰპოვენ, რომელიც მალავს თავის გულისსიტყვებს — როგორც კეთილს, ასევე ბოროტს.

წმ. აბბა ესაია (24 გვ. 764)

შენ გრცხვენია და წითლდები, როდესაც საჭიროა შენი ცოდვების აღსარება. უმჯობესია ცოდვის ჩადენისას შეგრცხვეს, ვიდრე აღსარებისას. დაფიქრდი: თუკი ცოდვებს აქ არ აღიარებ, მაშინ იქ (საშინელ სამსჯავროზე) გამოცხადდება ყოველივე მთე-

ლი სამყაროს წინაშე. სად უფრო მეტი იქნება ტანჯვა? სად მეტი სირცხვილი იქნება? ცოდვის ჩადენისას ჩვენ გაბედულები და ურცხვები ვართ, ხოლო აღსარებისას გვრცხვენია და ვაყოვნებთ.
წმ. ეფრემ ასური (24 გვ. 765)

ვერ მოვასწარი კეთილმსახური ღვაწლის დაწყება და უკვე მზვობრობით დავსწეულდი. ვერ მოვასწარი კარიბჭეში შესვლა და უკვე შინაგან საკურთხეველზე ვოცნებობ. ჯერ ღმრთის სათნო ცხოვრება არ დამიწყია და უკვე ჩემს ახლობლებს ვამხილებ. ჯერ ვერ გავიგე, რა არის ჭეშმარიტება და სხვების მოძღვრობა მწადა. სულო ჩემო! ღმერთმა ყველაფერი მოგანიჭა — აზრი, გონება, ცნობა, განსჯა; შეიცანი რა არის შენთვის სასარგებლო. როგორ ოცნებობ სხვებისთვის ნათლის გადაცემაზე, როცა თვითონ წყვიდადში ხარ ჩაძირული? ჯერ საკუთარი თავი განკურნე, ხოლო თუ ეს არ შეგიძლია, დაიტირე შენი სიბრმავე.

წმ. ეფრემ ასური (40 გვ. 211)

„გული თქვენი დე მხოლოდ უფალს ეკუთვნოდეს, და უფლის მიერ — მოყვასსაც. ამ პირობის გარეშე საშიშია ადამიანისადმი კუთვნილება. „*ნუ იქმნებით მონა კაცთა*” (1 კორ. 7,23) — ბრძანა მოციქულმა.

ყოველთვის ხვდებოდა ჩემს გულს წმინდა იოანე წინამორბედის სიტყვები, რომლებიც მან უფლისა და საკუთარი თავის შესახებ წარმოთქვა. ეს სიტყვები იოანეს სახარებაშია დაცული: „*რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისად, რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ხმითა სიძისადთა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს. მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად*” (იოან. 3, 29-30).

ყოველი სულიერი მოძღვარი მხოლოდ მსახური უნდა იყოს ზეციური სიძისა, [მოწაფეთა] სულები მასთან უნდა მიიყვანოს

და არა თავისთან. უნდა აუწყებდეს მათ ქრისტეს უსაზღვრო, გამოუთქმელი მშვენიერების შესახებ, მისი უსაზღვრო სახიერებისა და ძლიერების შესახებ. დაე, მათ ქრისტე შეიყვარონ, ჭეშმარიტად ღირსი სიყვარულისა. ხოლო მოძღვარი, დაე, ღიღებუი და მდაბალი (სიმდაბლით შემოსილი) ნათლისმცემლის მსგავსად გვერდით დადგეს, თავი არარაობად მიიჩნიოს, უხაროდეს მოწაფეთა თვალში მოძღვრის დაკნინება, – ეს დაკნინება მოწაფეთა სულიერი წინსვლის მანიშნებელია. სანამ მოწაფეებში ხორციელი გრძნობა ჭარბობს, მანამ დიდია მათ თვალში მოძღვარი; მაგრამ როდესაც მათში სულიერი შეგრძნება გაიღვიძებს და ქრისტე განდიდდება, ისინი მოძღვარს მხოლოდ ღმრთის კეთილისმოქმედ იარაღად შეიცნობენ.


თავი დაიცავით მოძღვრისადმი გადამეტებული, არაჯანსაღი სიყვარულისაგან. მრავალნი გაუფრთხილებლობის გამო მოძღვრებთან ერთად ეშმაკის ბადეებში გაიხლართნენ. რჩევის მიღება და მორჩილება წმინდა და ღმრთის სათნოა მანამ, სანამ ისინი ვნებიანი მიჯაჭვულობით არ არიან შებილწული. ვნებებზე დამყარებული სიყვარული ადამიანს კერპად აქცევს. ამ კერპისადმი შეწირულ მსხვერპლებს ღმერთი რისხვით განემორება. ასე იკარგება უსარგებლოდ ცხოვრება, იღუპება კეთილი საქმეები, როგორც საკმევლის სურნელება, ძლიერი ქარიშხლისაგან გაფანტული, ან მყარალი სუნით დახშული. არანაირ კერპს არ დაუთმობთ თქვენს გულში ადგილი.

და შენც, მოძღვარო, დაიცავი თავი ცოდვიანი წამოწყებისაგან. შენდამი შემოგრდომილ სულს ნუ შეუცვლი ღმერთს შენი თავით. წმინდა წინამორბედის მაგალითს მიბაძე: მხოლოდ ის ეძიე, რომ შენს მოწაფეებში ქრისტე განდიდდეს. როდესაც იგი განდიდდება, შენ დაკნინდები. ამის დანახვისას სიხარულით აღივსე. ასეთი საქციელის შედეგად საკვირველი მშვიდობა მოეფინება შენს გულს – საკუთარ თავში დაინახავ ქრისტეს სიტყვე-

ბის აღსრულებას: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამა-
ლღდეს“ (ლუკ. 18,14).

ნეტარ არიან ისინი, ვინც თავგანწირვით მიჰყვებიან ჭეშმარიტ სახარებისეულ სწავლებას, ვინც განაგდო სხეულისა და სულის სურვილები. დაცემული სხეულის სურვილები ცოდვიანია, ცოდვიანია აგრეთვე დაცემული სულის სურვილები, იგი ყველაფერში საკუთარი მეს განხორციელებას ეძიებს, ცდილობს იქცეს განცალკევებულ, თვითმყოფად, უპირატეს არსებად, რომლისთვისაც უნდა არსებობდეს ყოველივე. სახარება ამგვარი ცხოვრების მოკვდინებას ითხოვს, რათა კაცმა ღმერთი ღმერთად აღიაროს, ხოლო თვითონ თავისი შესაფერისი ადგილი დაიკავოს ქმნილებათა რიგში. უგუნური, მეოცნებე, სინამდვილეში არარსებული ცხოვრების მოკვდინებით შესაძლებელია ჭეშმარიტი ცხოვრება გამოცხადდეს, არსებობის გარდამატებული განცდით – ცხოვრება ღმერთში.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (31 გვ. 5518)



თავი 6
მოთმინებისა და კეთილმსახური
ცხოვრებისათვის

*„შვილო ჩემო, შე-თუ-ეყოფ-
ვოდი მონებად უფლისა, გან-
ჰმზადე თავი შენი ყოვლისათვის
განსაწყდელისა“.*

ზირაქ. 21

თქვა ბერმა გლახაკი ლახარესთვის: მასთან ვერ ვპოვებთ სათნოებას, გარდა იმისა, რომ არასოდეს დრტვინავდა ღმრთის წინაშე, ყველა ჭირსა და განსაცდელს მადლობით ითმენდა და არც ის მდიდარი განუკითხავს როდისმე. ამისთვის შეიყვარა იგი ღმერთმა.

პატერიკი (2 გვ. 97)

ბერმა თქვა: თუკი უცხო ადგილას მოხვდები და არავინ შეგიწყნარებს, ნუ შეწუხდები, არამედ თქვი: ღირსი რომ ვყოფილიყავ, უბრძანებდა ღმერთი თავის მონებს და განმისვენებდნენ.

პატერიკი (2 გვ. 97)

თქვა მამა მატრიმ: სამი ბერი მივიდა მამა პაფნოტისთან (რომელსაც კეფალოსი ერქვა) სიტყვის საკითხავად. უთხრა მათ ბერმა: სულიერი გასწავლო თუ ხორციელი? მათ უპასუხეს: ხორციელი. მაშინ უთხრა: წადით და შეიყვარეთ გაჭირვება განსვენებაზე მეტად, უპატიოება დიდებაზე მეტად და გაცემა გამორთმევაზე მეტად.

პატერიკი (1 გვ. 148)

შენ სიმდიდრე არ გაგაჩნია? შეგიძლია მიხედო ავადმყოფს, მიაკითხო პატიმარს, ჭიქა ცივი წყალი მიაწოდო, მწირი შეიწყნარო საკუთარ ჭერ ქვეშ, ორი გროში შეწირო ქვრივის მსგავსად, იტირო მგლოვიარეებთან ერთად; ესეც მოწყალეაა. მაგრამ შენ არაფერი გაგაჩნია, სრულიად გლახაკი ხარ, ხორციელად უძლური, და სიარულიც არ შეგიძლია? ყოველივე მადლობით გადაიტანე და დიდ ჯილდოს მიიღებ. ამგვარი იყო ლაზარეს სათნოება. ის ფულით არავის ეხმარებოდა; როგორ შეძლებდა ამას, როცა აუცილებელი საზრდელიც არ ჰქონდა? იგი არ აკითხავდა სხეულს; როგორ გააკეთებდა ამას, როცა ძაღლები ლომინდნენ? მაგრამ ამის გარეშეც მოიპოვა ჯილდო სათნოებისათვის — ყველა გასაჭირის მხნედ გადატანისთვის; — იმისთვის, რომ ხედავდა სასტიკსა და უწყალო კაცს პატივსა და განცხრომაში, თავს კი — ასეთ გაჭირვებაში, და არცერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს. ამიტომაც დაიმკვიდრა აბრაამის წიაღი, თუმცა არაფრით იყო მიცვალებულებზე უმჯობესი, გაუნძრევლად იწვა მდიდრის კართან. გვირგვინოსანი იქმნა პატრიარქთან ერთად, რომელმაც მრავალი კეთილი საქმე აღასრულა. განდიდებული და დამკვიდრებულია მის წიაღში ის, ვისაც მოწყალეა არ დაურიგებია, ჩაგრულისთვის ხელი არ გაუწვდია, მწირი არ შეუწყნარებია, არ შეეძლო ამათი მსგავსი რაიმე აღესრულებინა; მხოლოდ ღმერთს ჰმადლობდა ყველაფრისათვის და ნათელი გვირგვინი მიიღო. ჭეშმარიტად დიდებული საქმეა — მადლიერება, კეთილმსახურება, მოთმინება ასეთ გაჭირვებაში. ეს უმაღლესი სათნოებაა.

წმ. იოანე ოქროპირი (9 გვ. 76)

იწვა ლაზარე კარებთან, ჭრილობებით დაფარული, შიმშილით გატანჯული. ძაღლები მოდიოდნენ და ულომნიდნენ ჭრილობებს. ძაღლები ადამიანებზე უფრო კაცთმოყვარენი იყვნენ, ლოკავდნენ

ლაზარეს ჭრილობებს, წმენდნენ და ჩირქს აცლიდნენ. ის კი იწვა დავრდომილი, როგორც ოქრო ბრძმედში, ბრწყინვალეობა ემატებოდა. ის არ ამბობდა, როგორც მრავალი გლახაკი ამბობს: ეს არის განგებულება? ნუთუ ღმერთი ხელავს კაცთა საქმეებს? მე, მართალი, გლახაკი ვარ, ის კი უსამართლოა და მდიდარია. არაფერი ამის მსგავსი ლაზარეს არ უფიქრია, არამედ ღმრთის მიუწვედომელ კაცთმოყვარეობას მინდობოდა, სულს განსწმენდდა, ტანჯვას იტანდა, მოთმინებას ავლენდა. სხეულით იწვა, მაგრამ გონებით მიისწრაფოდა, გულისსიტყვით აღფრთოვანდებოდა, ჯილდოს მისაღებად ემზადებოდა, ბოროტებას განშორებული და სიკეთის ხატად ქმნილი. ის არ ამბობდა: მუქთახორები გარდამატებულად ტკბებიან, ხოლო მე ნამცეცების ღირსიც ვერ ვხდები. მაშ, რას შვრებოდა? ღმერთს ჰმადლობდა და ადიდებდა.

წმ. იოანე ოქროპირი (5 გვ. 856)

მცირედაც არ შეუშინდე გმობის სულს, რომელიც ხშირად აშფოთებს შენს ღმრთისმოყვარე და კეთილ გულს. უფრო კი წინ აღუდექი და სძლიე მას ლოცვებით, მოწყალებით, დაჩაგრულთა დაცვით, სულგრძელებით, თავმდაბლობითა და მშვიდი დამოკიდებულებით შენი მსახურებისადმი. ყოველივე ამას და მსგავს საქმეებს ნამდვილად ძალუძს შენი სულისაგან დამღუპველი დემონის განდევნა, რომელიც კადნიერდება უკეთური აზრები ჩაგაგონოს შენი ნების საწინააღმდეგოდ, ღმერთის, მისი ქმნილებების, წმიდა და პატიოსანი საიდუმლოების წინააღმდეგ.

წმ. ნილოს სინელი (10 გვ. 228)

სხეულის სიჯანსაღეც და სხეულებაც ღმერთზეა დამოკიდებული, რომელმაც ბრძანა: „მე მოვაკუდინი, მე ვაცხოვნი, მე მოვწყლი, მე განვკურნი და არა არს, რომელი განერეს ხელსა ჩემსა (2 სჯულ. 32,39). ამრიგად, თუ ღმერთს სურს, ჯანმრთელო-

ბას ექიმის მიერ მიანიჭებს, და როდესაც უნდა — თავისი ერთი სიტყვით განკურნავს.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 334)

წმიდა წერილი ამბობს: „განვლეთ ჩვენ ცეცხლი და წყალი და გამომიყვანენ ჩვენ განსასუენებელად“ (ფსალმ. 65, 12-13); და ვისაც სურს, რომ ღმერთს სათნო ეყოს, მცირე გაჭირვება უნდა გამოიაროს. როგორ უნდა ვნატრიდეთ წმინდა მოწამეებს ტანჯვისთვის, რომელიც ღმრთისათვის დაითმინეს, თუკი ჩვენ თვითონ ცხელების ატანაც არ შეგვიძლია? უთხარი შენს მწუხარე სულს: განა ცხელება გეენიაზე უმჯობესი არ არის შენთვის? ნუ ვიქნებით სნეულებაში სულმოკლენი. მოციქული ამბობს: „რაჟამს მოუძღურდე, მაშინ განვძლიერდები“ (2 კორ. 12,10). იცოდეთ — ღმერთი სცდის გულსა და შიგნეულს. მოვითმინოთ, გადავიტანოთ, ვიყოთ მოწაფე მოციქულისა, რომელიც ამბობს: „ჭირსა დაუთმობდით, ლოცვასა განკრძალულ იყვენით“ (რომ. 12,12), — რომ ჩვენზეც არ აღსრულდეს წმიდა წერილის სიტყვა: „აღვიაროს შენ, რაჟამს კეთილი უყო მას“ (ფსალმ. 48,19). თუკი უწინ სხეული არ გაწუხებდა და ახლა გამოსაცდელად მცირე გასაჭირი შეგხვდა, რატომ იობს არ გაიხსენებ, რომელმაც თქვა: „უკუეთე კეთილი იგი მოვიდეთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი ესე ვერ მოვითმინოთა?“ (იობ. 2,10). იცოდე, ვისაც ყველაფერში განსვენება სურს, ერთ ღროს გაიგონებს: „მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა“ (ლუკ. 16,25). ნუ მოგუძღურდებით, ჩვენ გვყავს მოწყალე ღმერთი, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცის ჩვენი უძღურება. თუკი იგი გამოსაცდელად უშვებს სნეულებას, ჩვენ მოციქულისაგან გაგვაჩნია კურნება: „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროდს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებადცა, რაჟთა შეუძლოთ დათმენად“ (1 კორ. 10,13).

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 136)

კეთილდღეობისას ფარისევლები და ბოროტი ადამიანებიც ხა-რობენ, უყვართ ღმერთი, მადლობენ ღმერთს. მაგრამ როცა კე-თილდღეობა წაერთმევათ, მაშინ დრტვინავენ, შფოთავენ, მწუ-ხარებენ, ხშირად ჰკმობენ კიდევ და ამით ამჟღავნებენ, რომ მათ ღმერთი ბაგეებით უყვართ და არა გულით, როგორც წერია ის-რაელელებზე: „და შეიყუარეს იგი პირითა მათითა და ენითა მა-თითა ეცრუვნეს მას. ხოლო გულნი მათნი არა წრფელ იყვნეს მისა მიმართ“ (ფსალმ. 77, 36-37). ასეთი ქმედებით მოწმობენ საკუ-თარ თავზე, რომ მათ ღმერთის სიკეთეები უყვართ და არა ღმერ-თი. მართალი და ღმრთისმოყვარე გული, რომელიც ღმერთს ყვე-ლაფერში ემორჩილება და მიყვება, ასე არ იქცევა: იგი კეთილ-დღეობაშიც მადლობს და უგალობს ღმერთს, როგორც კეთილის-მყოფელს; უბედურების ჟამსაც სცნობს და აქებს ღმერთს, რო-გორც კეთილისმყოფელს, დავითთან ერთად აღიარებს: „კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე“ (ფსალმ. 118,71); და ყოველ ჟამს, მხიარულებასა თუ მწუხარებაში, იმავე ფსალმუნთმგალო-ბელთან ერთად აკურთხევს ღმერთს: „ვაკურთხო უფალი ყოველ-სა ჟამსა, მარადის ქებაჲ მისი პირსა ჩემსა“ (ფსალმ. 33,2).

წმ. ტიხონ ზადონელი (24 გვ. 858)

დღეს მწუხარებანი რომ არა, ვერაფრით ვცხონდებოდით. ღვაწლი აღარ არის, ჭეშმარიტი მონაზვნობა აღარ არის, წინამ-ძღვრები (სულიერი) აღარ არიან. მხოლოდ მწუხარებანი ცვლიან ყველაფერს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (33 გვ. 412)

უდანაშაულო და ყოვლადწმიდა უფალმა მიწიერი ცხოვრება ტანჯვაში გაატარა; მით უმეტეს უნდა იტანჯებოდნენ დამნაშა-ვეები, იმის გაცნობიერებით, რომ ტანჯვის ღირსნი არიან. მათ უნდა უხაროდეთ, რომ ხანმოკლე ტანჯვით მარადიული ტანჯვი-

საგან თავისუფლდებიან, ღმერთკაცის მიმღევართა და თანამოსაგრეთა რიგში დგებიან. ვინც უარს ამბობს ტანჯვაზე, თავს ტანჯვის ღირსად არ მიიჩნევს, იგი არ ცნობს თავის დაცემასა და წარწყმედას! ვინც მიწიერ ცხოვრებას სიამოვნებებში ატარებს, იგი თავის ცხონებას უარყოფს! ვინც მიწიერი ცხოვრება მხოლოდ მიწიერი წარმატებისთვის გამოიყენა, იგი უგუნურად მიიჩნევს ხანმოკლე დროს მარადისობად, ხოლო მარადისობას — არარსებულად, საკუთარ თავს მარადისობაში უბედურებას უმზადებს. ვინც თავის დაცემასა და წარწყმედას არ ცნობს, ის არ ცნობს მაცხოვარს, უარყოფს მას!

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (32 გვ. 127)

აღამიანს სიკვდილი უხილავად დასდევს. იქ დაეწევა, სადაც სრულიად არ მოელოდა; მაშინ დაეწევა, როცა არ ელოდა; ისე დაეწევა, არასოდეს რომ არ უფიქრია. ყოველთვის ისეთი იყავი, როგორც აღსასრულის ჟამს გინდა იყო. იფიქრე ამაზე, იფხიზლე და არ მოგინდება არც პატივი, არც ღიღება, არც სიმდიდრე, არც წუთისოფლის რაიმე უპირატესობა და სიამოვნება. იფიქრე, რომ დღეს ან ხვალ მოკვდები, მაშინ ყოველი ამაოება გაქრება შენი გულიდან. რად უნდა პატივი, ღიღება, სიმდიდრე და უპირატესობა მომაკვდავს! შესთავაზე მეფობა, ოქროს მთები — არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს ამ შეთავაზებას. ერთი აზრი აქვს, ერთი ზრუნა: როგორმე ცხონებისა და ნეტარების იმედით წავიდეს ამ ქვეყნიდან. ამიერიდან შენც ამგვარი განწყობა მოიხვეჭე: შენი სიცოცხლის ყოველი დღე უკანასკნელად მიიჩნიე, ელოდე, რომ მოგიწოდებს უფალი შენი. ამგვარი განწყობით წუთისოფელში აღარაფერი მოგეჩვენება მიმზიდველად, და თუკი მუდმივად ამ სადარაჯოზე იდგები და იფხიზლებ, მშვიდობიანად შეხვდები სიკვდილს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (19 გვ. 364)

ამრიგად, დაუტევე ამსოფლიური ჩვეულებები, ყოველი შენი ქმედება და ყოველი ნაბიჯი ისე აღასრულე, როგორც სახარებისეული კანონი ბრძანებს და სოფელში ისე იცხოვრებ, როგორც უდაბნოში; შენსა და სოფელს შორის ეს კანონი კედელივით აღიმართება, რის შედეგად სოფელს ვეღარ დაინახავ. ის შენს თვალწინ იქნება, მაგრამ არა შენთვის. სოფელს ცვალებათა საკუთარი წესი ექნება, შენ კი – შენი წესრიგი. ის თეატრში წავა, შენ – ეკლესიაში; ის იცეკვებს, შენ მეტანიებს გააკეთებ; ის სასერიროდ იქნება, შენ კი – სახლში, განმარტოებით; ის უქმადმეტყველებასა და სიცილ-ხარხარში იქნება, შენ კი – დუმილსა და უფლის ქებაში; ის სიამტკბილობაში იქნება, შენ – შრომაში; ის უსარგებლო რომანების კითხვაში იქნება, შენ – საღმრთო წერილისა და მამათა სწავლებების კითხვაში; ის მეჯლისებზე იქნება, ხოლო შენ – თანამოაზრეებთან ან სულიერ მამასთან საუბარში; ის ანგარებიან ანგარიშებში იქნება, შენ კი – თავგანწირვაში; ის ვნებიან ოცნებებში იქნება, შენ კი – საღმრთო ფიქრებში. ამგვარად, ყველაფერში კანონები დაიწერე და ამასოფლის ჩვეულებათა საწინააღმდეგო ცხოვრების წესი შემოიღე; სოფელში ისე იქნები, როგორც უდაბნოში. არც შენ გამოჩნდები სოფელში, არც სოფელი გამოჩნდება შენში. მეუდაბნოე იქნები სოფელში, წმინდა მარიამის (ეგვიპტელის) მიმბაძველი გახდები უდაბნოში წაუსვლელად.

წმ. თეოფანე დაყულებული (35 გვ 248)

ყველაფერი ღმრთისგანაა – სნეულებებიც და სიჯანსაღეც; ღმრთისაგან ყველაფერი ცხონებისათვის გვეძლევა. შენც ასე მიიღე შენი სნეულება და ჰმადლობდე ღმერთს, რომ შენი ცხონებისთვის ზრუნავს. რით შეეწევა ღმრთისაგან მოცემული (სნეულება) ჩვენს ცხონებას, ეს შეიძლება არ გამოვიძიოთ, იმიტომ, რომ ალბათ ვერც გავიგებთ. ღმერთი სნეულებას ზოგჯერ სას-

ჯვლად გვიგზავნის, როგორც ეპიტიმბიას; ზოგჯერ გონზე მოსას-
ვლელად, რომ გამოფხიზლდეს კაცი; ზოგჯერ უბედურებისაგან
გადასარჩენად, რომელშიაც ჩავარდებოდა კაცი, ჯანმრთელად
რომ ყოფილიყო; ზოგჯერ იმისთვის, რომ კაცმა მოთმინება გა-
მოავლინოს და ამით უფრო დიდი ჯილდო მიიღოს; ზოგჯერ რო-
მელიმე ვნებისაგან განსაწმენდად; და კიდევ სხვა მრავალი მი-
ზეზით...

წმ. თეოფანე დაყუდებული (34 გვ. 12)

წმინდა ისააკ ასური დაწვრილებით აღწერს, როგორი თან-
მიმდევრობით შეჰყავს უფალს ადამიანი მეტ და მეტ განმწმედ
მწუხარებებში და როგორ განახურებს მასში სულის შემუსვრი-
ლებას. ჩვენი მხრივ, მხოლოდ ღმრთის კეთილი განგებულების
რწმენა და მისგან გამოგზავნილის მზადყოფნით, სიხარულით,
მაღლიერებით მიღება მოგვეთხოვება. ამის უკმარისობა სამწუ-
ხარო შემთხვევებს განმწმედ ძალას აცლის, არ უშვებს მათ ჩვენს
გულამდე და (სულის) სიღრმეებამდე... გარედან მომავალი მწუ-
ხარებების გარეშე ადამიანს ამპარტავნებისა და ზესთამჩენობის
წინააღდგომა გაუჭირდება.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 151)

ძალიან გაწუხებენ ხშირი ზიარების გამო. ნუ შეძრწუნდე-
ბით... ყველა ასე უნდა იქცეოდეს, მაგრამ არ დამკვიდრდა ჩვენ-
თან ეს ჩვევა. აღმოსავლეთში ქრისტიანები ხშირად ეზიარე-
ბიან, — არა მარტო დიდ მარხვებში. თავდაპირველად ქრისტეს
ეკლესიაში ყოველ წირვაზე ყველანი ეზიარებოდნენ. ბასილი
დიდს ჰკითხეს: შეიძლება თუ არა ხშირად ზიარება და როგო-
რი სიხშირით? მან უპასუხა, რომ არა მარტო შეიძლება, არა-
მედ აუცილებელია. ხოლო იმის შესახებ, თუ როგორი სიხში-
რით უნდა ეზიარონ, უპასუხა: ჩვენ კვირაში ოთხჯერ ვეზია-

რებით — ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას. ჩვენ — იგულისხმება ყველა კესარიელი. კითხვა ეხებოდა არა მღვდელმსახურებს, არამედ ერისკაცებს... ყოველ წირვაზე მღვდელი მოუწოდებს: „შიშითა ღმრთისაჲთა და სარწმუნოებით მოვედით“. აქედან გამომდინარე, ყოველ წირვაზე შეიძლება ზიარება... მხოლოდ ეცადეთ ყოველმხრივ მოემზადოთ როგორც საჭიროა და შიშით, ძრწოლით, სარწმუნოებით, შემუსვრილებითა და სინანულის გრძნობით ეზიაროთ.

წმ. თეოფანე დაყულებული (28 გვ. 371)

ჩვენ არ უნდა განვეშოროთ ზიარებას იმიტომ, რომ თავს ცოდვილად მივიჩნევთ. უფრო მეტი და მეტი წყურვილით უნდა ვისწრაფოდეთ მისკენ სულის განკურნებისა და განწმედისათვის... უფრო სწორი იქნება, ყოველ კვირა დღეს ვეზიაროთ ჩვენი საღმობების საკურნებლად გულის იმ სიმდაბლით, რომლითაც გვწამს და ვადიარებთ, რომ ვერასოდეს შევძლებთ ღირსეულად შეგვხოთ წმიდა საიდუმლოებს, ვიდრე გულის ამაო დარწმუნებით აღზვავებულებს გვწამდეს, რომ წელიწადში ერთხელ ზიარების ღირსნი ვხდებით.

წმ. კასიანე რომაელი (24 გვ. 29)



თავი 7 ლოცვისათვის

*„იღვიძებდით და ილორქევდით,
რათა არა შეხვიდეთ განსაჯ-
დელსა“.*

მათ. 26,41

ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ლოცვა ღმრთის სათნო საქმეთაგან უპირველესი და ყველაზე აუცილებელია. მას ყველა წმინდა სათნობაში შეეყვართ, ის ნერგავს ჩვენში სათნობებს, ის სრულყოფს მათ, ის აქცევს მათ უკვდავად და მარადიულად. ამიტომ მოგვეცა სახარებისეული მცნება: „მოუკლებლად ილორქევდით“ (1 თეს. 5,17).

წმ. იუსტინე პოპოვიჩი (39 გვ. 182)

ჰკითხა ძმამ ბერს: რატომაა, რომ ლოცვად დგომისას გულის-სიტყვები შემაშფოთებენ? ბერმა უპასუხა: იმიტომ, რომ ეშმაკმა დასაბამიდან არ ისურვა ღმრთის თაყვანისცემა და ამისთვის ჩამოგდებულ იქნა ზეციდან, დაკარგა ღმრთის სასუფეველი. მას სურს, რომ ჩვენც იგივე შეგვამთხვიოს და ხელს გვიშლის ლოცვაში.

პატერიკი (3 გვ. 242)

თქვა ბერმა: თუკი კაცი თავს ისე დაიცავს, რომ არავის ავნოს კაცთაგან და არავინ იყოს მისგან გულნაკლული, მისი ლოცვა ღმრთის წინაშეა; და თუკი ავნებს ვინმეს, არ მიიწევა მისი ლოცვა ღმრთის სასმენლად.

პატერიკი (1 გვ. 153)

თქვა მამა ისააკმა: ვიჯექი ერთხელ მამა ჰიმენთან და ვიხილე — განკვირვებამ (სულიერმა ალტაცებამ) შეიპყრო იგი. ვინაიდან მქონდა კადნიერება მის წინაშე, მუხლი მოვიდრიკე და ვუთხარი: მითხარ, მამაო, სად იყო ახლა შენი გონება? ღიღი იძულე-ბის შემდეგ მითხრა: ჩემი გონება მაცხოვრის ჯვარის წინაშე იყო, სადაც წმიდა მარიამ ღმრთისმშობელი იდგა და ტიროდა; და მეც მინდა ყოველთვის ასე ვტიროდე.

პატერიკი (1 გვ. 28)

დემონებს არ შეუძლიათ დაეუფლონ ვინმეს სულს ან სხეულს, არა აქვთ ძალაუფლება ვინმეს სულში შეჭრისა, თუკი პირველად არ დააკარგვინებენ მას ყველა წმინდა გულისსიტყვას და არ დააცარიელებენ, არ დატოვებენ სულიერი ჭვრეტის გარეშე.

წმ. კასიანე რომაელი (27 გვ. 143)

ფსალმუნთა გალობისა და ლოცვის მიტოვების გამო კი არ განგვსჯის ღმერთი საშინელ სამსჯავროზე, არამედ ჩვენში ეშმაკების შემოსვლის გამო, რომელიც მათ მიტოვებას მოსდევს.

წმ. ისააკ ასური (30 გვ. 175)

სადაც არის სიმდაბლე, ღმრთის ხსენება სიფხიზლითა და ყურადღებით და ხშირი ლოცვა სულიერი მტრების წინააღმდეგ მძარბული, იქ ღმრთის სამყოფელია ანუ გულის ზეცაა, რომელშიაც ეშმაკის ლაშქარს ეშინია დგომა იმიტომ, რომ ამ ადგილას ღმერთი მკვიდრობს.

წმ. ფილოთეოს სინელი (28 გვ. 162)

სინანულის გრძნობა იფარავს მლოცველს ეშმაკის ყველა მზაკვრობისაგან; ეშმაკი გაურბის იმ მოღვაწეებს, რომლებიც

სიმდაბლის სურნელებას გამოსცემენ. ეს სურნელება მონანულ-
თა გულებში იშვება.

წმ. გრიგოლ სინელი (28 გვ. 408)

სათნობათა ყველა კიბეც რომ აგველოს, მაინც ცოდვათა შენ-
დობისათვის ილოცე, რამეთუ გსმენია დიდი პავლე მოციქულის
ნათქვამი ცოდვილებზე – „რომელთაჲ პირველი მე ვარ“ (1 ტიმ.
1,15).

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 448)

გამოვიძიოთ, დავაკვირდეთ და გულისხმავეყოთ, ფსალმუნთა
გალობისას რომელი სიტყობეა მოდის სიძვის ეშმაკისაგან და
რომელი სული წმიდის სიტყვათაგან (ფსალმუნის სიტყვებიდან)
და მათში დამკვიდრებული მადლისა და ძალისაგან.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 337)

როგორც თვალთ ხედვა სიტყვით არ ისწავლება, რამეთუ ბუ-
ნებრივი ნიჭია იგი, ასევე არც ლოცვის მშვენიერება ისწავლება
სხვისი სიტყვით... მისი მოძღვარი ღმერთია, „რომელმან ასწა-
ვის კაცთა მეცნიერებაჲ“ (ფსალმ. 93,10) და „მოსცის ლოცვაჲ
მლოცველსა და აკურთხნა წელიწადნი მართლისანი“ (1 მეფ.
2,9).

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 453)

როდესაც ვინმე გეტყვის – ილოცე ჩემთვისო, თქვი გულში:
ღმერთმა შეგვიწყალოს ჩვენ; და ეს საკმარისია. ხოლო მისი მუდ-
მივად მოხსენიება არ არის შენი საქმე, არამედ (სულიერ) სრულ-
ყოფილებას მიღწეულთა, რომელთაც ძალუძთ ერთმანეთისთვის
ლოცვა.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 194)

ლოცვის ღირსება მხოლოდ ხარისხშია და არა რაოდენობაში. რაოდენობა მაშინ არის საქებარი, როდესაც ხარისხისკენ მივყავართ. ხარისხს ყოველთვის მივყავართ რაოდენობამდე; რაოდენობას მივყავართ ხარისხამდე, როდესაც მლოცველი გულმოდგინედ ლოცულობს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (28 გვ. 408)

აირჩიე შენი ძალების შესაფერისი კანონი. უფლის მიერ თქმული, რომ შაბათი კაცისთვისაა და არა კაცი შაბათისთვის (მარკ. 2,27), უნდა დაუკავშირო ყველა კეთილმსახურ მოღვაწეობას, მათ შორის ლოცვის კანონსაც. ლოცვის კანონი კაცისთვისაა და არა კაცი კანონისთვის: იგი ადამიანის სულიერ წინსვლას უნდა შეეწოდეს და არ უნდა იყოს ძნელად სატარებელი უღელი, ხორციელ ძალთა შემმუსვრელი და სულის შემადრწუნებელი. მით უმეტეს, არ უნდა ემსახუროდეს იგი ამპარტავნულ და დამღუბველ ზესთამჩენობას, მოყვასის განკითხვასა და დამცირებას.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 174)

ხშირად მოღვაწენი განუსჯელად უწესებენ საკუთარ თავს დამამძიმებელ (ლოცვის) კანონს და შემდეგ მეტად მძიმე კანონიდან ყოველგვარი კანონის მიტოვებაზე გადადიან. კანონის მიტოვების შემდეგ, ან თუნდაც მისი შემოკლებისას, მოღვაწეს აუცილებლად შეშფოთება დაატყდება თავს. შეშფოთებას სულიერი მოშლილობა მოჰყვება. მოშლილობისგან მოწყინება იბადება. როდესაც იგი გაძლიერდება, უძლურებასა და გამოთაყვანებას წარმოშობს, ხოლო მათი მოქმედებით უგუნური მოღვაწე უქმსა და გაფანტულ ცხოვრებას მიეცემა, გულგრილად ჩავარდება ყველაზე მძიმე ცოდვებში.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 175)

ფარისეველი ორგულობით აღიღებდა ღმერთს, ამბობდა: „არა ვარ, ვითარცა სსუანი კაცი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე, ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“ (ლუკ. 18,11-12). აქ აშკარაა: საკუთარი ცოდვილობის შეუცნობლობა, ღირსეულად მიჩნევა თავისა, ამათგან გამომდინარე ამპარტავნება, რომელიც მოყვასის განკითხვასა და დამცირებაში მჟღავნდება. ფარისევლის ლოცვა არ მიიღო უფალმა, რომელმაც ამ იგავის დასასრულს თქვა: „ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“. აქედან გამომდინარე, ყველამ, ვისაც სურს, რომ მისი ლოცვა შეიწიროს ღმერთმა, უნდა შესწიროს იგი საკუთარი ცოდვილობისა და ქველმოქმედების მიმართ უკიდურესი უკმარისობის შეგნებით; უნდა შესწიროს ლოცვა საკუთარი ღირსებების უარყოფით, რომელნიც სწორედ რომ არარაობაა ღმერთის უსახღვრო ღირსების წინაშე; უნდა შესწიროს ყველა მოყვასის წინაშე დამდაბლებული გულით, ყველა მოყვასის შემყვარებელი გულით, მოყვასისათვის ყველა შეურაცხყოფისა და წყენის მიმტევებელი გულით.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 181)

ისინი, ვინც ჭეშმარიტად მოღვაწეობენ, არ ფიქრობენ დამსახურებაზე, არამედ მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ განიწმინდონ ვნებებისაგან, ვნებიანი გრძნობებისა და გულისსიტყვებისაგან.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 154)

ღმრთის შიში და წუხილი (საკუთარ ცოდვებზე), ანუ გული შემუსვრილი და დამდაბლებული, მთავარი თვისებებია ნამდვილი შინაგანი ლოცვისა, ნებისმიერი ლოცვის სინჯია, რომელთა

მიხედვით უნდა განვსაჯოთ, ჯეროვანი წესით მიედინება ჩვენი ლოცვა თუ უჯეროთი. როცა ისინი გვაქვს – ლოცვა წესრიგშია, როცა არა გვაქვს – არ არის წესრიგში და უნდა მოვაწესრიგოთ. მათი უქონლობისას სიტკბოებამ და სითბომ შესაძლოა ზესთამჩნობა (თავზე დიდი წარმოდგენა) წარმოშვან, ეს კი სულიერი ამპარტავნებაა... და ეს დამღუპველი ხიბლი იქნება.

წმ. თეოფანე დაყულებული (27 გვ. 62)

უნდა ვიცოდეთ, რომ სრულყოფისაკენ ზეაღსვლა მოღვაწისათვის უხილავად ხდება. შრომობს, ოფლს ღვრის და თითქოს ნაყოფის გარეშე, – მაღლი თავის საქმეს დაფარულად ადასრულებს. კაცის თვალთ დანახული სიკეთე (საკუთარი) წახდება. მოღვაწეს ერთი რამ ხვდა წილად – საკუთარი უვარგისობის ხედვა. სრულყოფის გზა არის გზა იმის შეცნობისა, რომ მე ბრმა ვარ, გლახაკი და შიშველი. ამ გზასთან განუწყვეტელ კავშირშია სულის შემუსვრილება ანუ ღმრთის წინაშე გადმოღვრილი წუხილი საკუთარი უწმინდურობის გამო. ეს კი გახლავთ იგივე განუწყვეტელი სინანული. სინანულის გრძნობა ჭეშმარიტი მოღვაწეობის განმასხვავებელი ნიშანია.

წმ. თეოფანე დაყულებული (28 გვ. 395)

მაღლისმიერი შეწევნის გარეშე შენ ვერცერთი ვნების, ვერცერთი ცოდვის დამარცხებას ვერ შეძლებ, – ყოველთვის შესთხოვე დახმარება ქრისტეს, შენს მაცხოვარს. იგი იმისთვის მოვიდა ქვეყნად, იმისთვის ევნო, მოკვდა და აღდგა, რომ ყოველივეში დაგვეხმაროს, გადაგვარჩინოს ცოდვისა და ვნებათა მძლავრებისაგან, განგვწმინდოს ცოდვებისაგან, სული წმიდის მიერ მოგვცეს ძალა კეთილი საქმეების აღსასრულებლად, რომ განგვანათლოს, განგვაძტკიცოს, დაგვაძვიდოს. ამბობ: როგორ ცხონდე, როცა ყოველ ნაბიჯზე ცოდვა დგას და ყოველ წუთს

ვცოდავ? ამის პასუხი მარტივია: ყოველ ნაბიჯზე, ყოველ წუთს მოუხმე მაცხოვარს, გახსოვდეს მაცხოვარი და ცხონდები, სხვებსაც აცხოვნებ.

წმ. იოანე კრინშტადტელი (28 გვ. 282)

ნათელი, სითბო და სიმშვიდეა ჩემში, როდესაც მთელი არსებით მივმართავ სიმაართლის მზეს, ჩემს ღმერთს – ქრისტეს. დაღნება ჩემი გულის ყინული, მოისპობა უწმინდურობა და მისი გესლი, ქრება წყვდიადი, გარბის სულიერი სიკვდილი, ზეციური ცხოვრება მეფობს, აღარაფერი მიწიერი აღარ მაკავებს.

წმ. იოანე კრონშტადტელი (28 გვ. 482)

მე ვლოცულობ, გამუდმებით ვლოცულობ. არც კი მესმის, როგორ შეიძლება გაატარო დრო ლოცვის გარეშე. ჭეშმარიტად, ლოცვა სულის სუნთქვაა.

წმ. იოანე კრონშტადტელი (36 გვ. 188)



თავი 8 იესოს ლოცვისათვის

„მოუკლველად ილორქევდით“.
1 თესალო. 5,17

ღირსნი ანტონი დიდი უფალ იესო ქრისტეს სახელის განუწყვეტელ ხსენებას ამცნებს: „ნუ დაივიწყებ, — ამბობს იგი, — ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელს, განუწყვეტლივ ამყოფე იგი შენს გონებაში, დაიცავი გულში, აღიდე ენით, იმეორე: უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე. აგრეთვე: უფალო იესო ქრისტე, შემეწიე მე. ასევე: გადიდებ შენ, უფალო ჩემო, იესო ქრისტე“.

... წმინდა იოანე კიბისაღმწერელი მის მიერ მონახულებული ალექსანდრიის საერთო საცხოვრებელი მონასტრის ბერებზე ამბობს, რომ ისინი „თვით ტრაპეზის დროსაც არ ანებებენ თავს სულიერ ღვაწლს, სულში აღსასრულებელი ლოცვის შესახებ ნეტარნი ერთმანეთს დაწესებული ნიშნით შეახსენებენ და ამას არა მარტო ტრაპეზის დროს აკეთებენ, არამედ ყოველი შეხვედრისას, ყოველი შეკრებისას“. ღირსმა ისააკმა, ეგვიპტის სკიტეს დაყუდებულმა ბერმა აუწყა ღირს კასიანე რომაელს, რომ იგი განუწყვეტლივ ლოცულობდა 69-ე ფსალმუნის მეორე მუხლით: „ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ; უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე“. ღირსმა დოროთემ, აბბა სერიდეს საერთო საცხოვრებელი მონასტრის (პალესტინაში) ბერმა, „ღმრთის ხსენებაში“ განუწყვეტელი წვრთნა ასწავლა თავის მოწაფეს, ღირს დოსითეს, როგორც დოსითეს ცხოვრებაშია თქმული; ამცნო მას გამუდმებით წარმოეთქვა: უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე; და — ძეო ღმრთისაო, შემეწიე მე. ღირსი დოსითე მონაცვლეობით ლოცულობდა მისაღმი უწყებელი ლოცვის ხან პირველი და ხანაც მეორე სიტყვებით. ამგვარად ლოცვა ეუწყა მას გონების სიჩ-

ვილის გამო, რომ გონება არ დახსნილიყო ლოცვის ერთფეროვნებით... ღირსი იოანიკე დიდი გონებაში განუწყვეტლივ იმეორებდა ლოცვას: სასოებაჲ ჩემდა მამაჲ, შესავედრებელ ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სული წმიდაჲ, სამებაო წმიდაო, დიდებაჲ შენდა. იოანიკე დიდის მოწაფემ, ღირსმა ევსტრატიმ, რომელსაც მისი ცხოვრების წმინდა აღმწერელმა ღმრთაებრივი უწოდა, განუწყვეტელი ლოცვა მოიხვეჭა. „იგი შინაგანად გამუდმებით ამბობდა: უფალო შემიწყალე“ – ამბობს მისი ცხოვრების აღმწერელი... წმინდა ისააკ ასური იხსენიებს ერთ ბერს, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ერთი ლოცვით ლოცულობდა: ძე, ვითარცა კაცმან, შეგცოდე; შენ, ვითარცა ღმერთმან, შემინდე. სხვა მამებს ესმოდათ, რომ იგი მწუხარებით ლოცულობდა ამ ლოცვით, დაუდუმებლად ტიროდა და მისთვის დღისით და ღამით ყველა ლოცვას ეს ერთი ლოცვა ცვლიდა. მონაზონთა უმეტესობა ყოველთვის „იესოს ლოცვით“ განისწავლებოდა: უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე ძე ცოდვილი. ზოგჯერ, საჭიროების მიხედვით, დამწყებთათვის ამ ლოცვას ორ ნაწილად ყოფდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში ამბობდნენ: უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე ძე ცოდვილი; ხოლო შემდეგ, დროის სხვა მონაკვეთში: ძეო ღმრთისაო, შემიწყალე ძე ცოდვილი. მაგრამ არ არის საჭირო ლოცვის სიტყვების ხშირი მონაცვლეობა, რადგან როგორც წმინდა გრიგოლ სინელი აღნიშნავს, ხე, რომელსაც ხშირად გადარგავენ, ფესვს ვერ იღვამს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანიოვი (30 გვ. 192)

ჩვენც გვაქვს სულიერი შეფუცებები: ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელი და ჯვრის ძალა. ეს შეფუცება არა მარტო დემონს განდევნის თავისი სოროდან და ცეცხლში ჩააგდებს, არამედ მისგან მიყენებულ ჭრილობებსაც განკურნავს. თუკი მრავალნი წარმოთქვამდნენ ამ შეფუცებას და არ განიკურნენ, ეს მათი მცირედ-

მორწმუნეობის გამო მოხდა და არა წარმოთქმულის უმოქმედობის გამო. მრავალნი განუშორებლად მისდევდნენ ქრისტეს და ავიწროებდნენ მას, მაგრამ სარგებელი ვერ მიიღეს, ხოლო სისხლმდინარე ქალს, რომელიც უფლის კიდეს შეეხო, დიდი ხნის სისხლდენა შეუწყდა. უფალ იესო ქრისტეს სახელი საშინელია დემონებისთვის, სულის ვნებებისა და სნეულებებისთვის. მისით გავიმშვენოთ, მისით შემოვიზღუდოთ თავი.

წმ. იოანე ოქროპირი (30 გვ. 257)

ხომ განუწყვეტლივ შევისუნთქავთ ჰაერს; აი, ასევე განუწყვეტლივ უნდა ვაქებდეთ და ვუგალობდეთ უფალს მაშინაც კი, როდესაც ვსაქმიანობთ. სიბრძნით აღსავსე და ღმრთისმოყვარე გონებას ძალუძს განუწყვეტლივ იხსენებდეს ღმერთს. „მოვისხსენე ღმრთისაჲ და ვიხარე“ (ფსალმ. 76,4) – ამბობს დავით მეფესალმუნე. ამიტომაც, თუკი უფლის ხსენება სიხარულს აღმოაცენებს ჩვენს სულებში, ნუ დავიზარებთ ვისარგებლოთ ღმერთის ხსენებით.

წმ. ნილოს სინელი (11 გვ. 149)

საუბრის დროსაც, საუბრის დაწყებამდე, საუბრის შემდეგაც და ყოველ ჟამსა და ყოველ ადგილას უნდა ვუხმობდეთ ღმრთის სახელს. წმიდა წერილი ამბობს: „მოუკლებელად ილოცევდით“ (1 თესალ. 5,18), რამეთუ ამით განქარდება ყოველი განსაცდელი.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 431)

ამ პატარა მუხლით („ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ; უფალო, შეწვენად ჩემდა ისწრაფე“ (ფსალმ. 69,2) განუწყვეტლივ უნდა ვილოცოთ, რათა არ დაგვცენ განსაცდელებმა და მშვიდობიანად გადავურჩეთ აღზვავებასაც. ამ მცირე მუხლით წვარ-

თნა განუწყვეტლივ იყოს შენს გულში. ნუ შეწყვეტ მის გამეორებას, რა საქმითაც არ უნდა იყო დაკავებული, მორჩილება იქნება ეს თუ მოგზაურობა. განისწავლებოდე მასში ძილად მისვლისას, საკვების მიღებისას და სხეულის უმდაბლესი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას. გულის ამგვარი მოქმედება მაცხოვრებელ წესად გადაიქცევა შენთვის, რომელიც არა მხოლოდ დემონების ნებისმიერი თავდასხმისას დაგიცავს დაუზიანებლად, არამედ ყველა ხორციელი ვნებისგანაც განგვმდებს... გაღვიძებისთანავე ეს ლოცვა პირველი მოვა შენს გონებაში, ის ყველა სხვა გულისსიტყვას დაასწრებს... ის ყოველთვის შენი თანამგზავრი იქნება.

წმ. კასიანე რომაელი (30 გვ. 197)

დაე, ნურავინ იფიქრებს, ჩემო ძმებო, ქრისტიანებო, თითქოს მხოლოდ სამღვდლო პირებსა და მონაზვნებს ევალებათ განუწყვეტლივ და მარადის ლოცვა, და არა ერისკაცებს. არა, არა! ჩვენ ყველას, ქრისტიანებს გვევალება ყოველთვის ლოცვაში ვიმყოფებოდეთ... როდესაც ვსხედვართ ხელსაქმისთვის, როდესაც დავდივარ, როდესაც საზრდელს ვიღებთ, როდესაც ვსვამთ, ყოველთვის შეგვიძლია ვილოცოთ გონებით და აღვასრულებდეთ გონებით ლოცვას, ღმრთისათვის სათნოს, ჭეშმარიტ ლოცვას. სხეულით ვიმსახუროთ, ხოლო სულით ვილოცოთ.

წმ. გრიგოლი პალამა (27 გვ. 44)

განუწყვეტელი ლოცვისგან ჩვენში მყოფი გონიერი ჰაერი სუფთავდება ბოროტ სულთა ბნელი ღრუბლებისა და ქარებისაგან. როცა გულის ჰაერი სუფთაა, მაშინ აღარაფერი ეწინააღმდეგება მასში იესოს ღმრთაებრივი ნათლის გამობრწყინებას, — თუკი არ აღვზავდებით ზესთამჩენობითა და თავის გამოჩენის სურვილით... და ამის გამო არ მოვაკლდებით იესოს შეწევნას;

რამეთუ ქრისტეს, სიმდაბლის ხატს, სძაგს ყველაფერი ამგვარი.

წმ. ისინი იერუსალიმელი (28 გვ. 160)

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ უფლის სახელის განუწყვეტელი მოხმობა მკურნალობაა, რომელიც კლავს ვნებებსაც და მათ მოქმედებასაც. როგორც ექიმი შეურჩევს მკურნალობას ან სალბუნს ავადმყოფის ჭრილობას და ისინი მოქმედებენ ისე, რომ ავადმყოფმა არც კი იცის როგორ ხდება ეს, ზუსტად ამგვარადვე — როდესაც უფლის სახელს მოვუხმობთ, იგი კლავს ყველა ვნებას, თუმცა ჩვენ არ ვიცით როგორ აღესრულება ეს ყოველივე.

წმ. ბარსანუფი დიდი (13 გვ. 284)

დამწყებებმა (იესოს) ლოცვის დროს მხოლოდ კეთილმოშიში ყურადღება უნდა დაიმარხონ, გონების მიპყრობა ლოცვის სიტყვებზე; სიტყვები აუჩქარებლად უნდა წარმოთქვან, რომ გონებამ მათში შეღწევა მოასწროს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (29 გვ. 272)

ძილს რომ დააპირებ, „იესოს ლოცვა“ იმეორე, ლოცვით დაიძინე. შეაჩვიე თავი იმას, რომ გაღვიძებისას შენი პირველი აზრი, სიტყვა და საქმე „იესოს ლოცვა“ იყოს... საეკლესიო მსახურების დროს სასარგებლოა „იესოს ლოცვით“ ლოცვა, ის იცავს გონებას გაფანტულობისაგან, შეეწევა მას საეკლესიო გალობისა და კითხვის შესმენაში. შეეცადე ისე შეეჩვიო „იესოს ლოცვას“, რომ იგი შენს განუწყვეტელ ლოცვად იქცეს.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (28 გვ. 408)

გონებითი ლოცვის თვისებაა ვნებების გამოაშკარავება, რომელნიც კაცის გულში ცხოვრობენ და იმალებიან. იგი ააშკარავებს კიდევ და იმორჩილებს კიდევ მათ.

გონებითი ლოცვის თვისებაა იმ ტყვეობის გამოაშკარავება, რომელშიაც ვიმყოფებით დაცემულ სულბთან. იგი ააშკარავებს ამ ტყვეობას და გვათავისუფლებს მისგან.

აქედან გამომდინარე არ უნდა შევშოთღეთ და გავოცდეთ, როდესაც აღდგებიან ვნებები დაცემული ბუნებისაგან ან როცა დემონები ალაგზნებენ მათ.

ვინაიდან ვნებებს ლოცვა დააცხრობს, ამიტომაც, როდესაც ისინი აღდგებიან, ვილოცოთ გონებით აუჩქარებლად და ძალიან ჩუმად „იესოს ლოცვა“, რომელიც თანდათანობით დაიმორჩილებს ამბოხებულ ვნებებს. ზოგჯერ ვნებათა აღდგომა და ბოროტისეულ გულისსიტყვათა შემოტევა ისე ძლიერია, რომ დიდ სულიერ მოღვაწეობაში ავყავართ, ეს უხილავი მოწამეობის ჟამია. უნდა ვადიაროთ უფალი ვნებებისა და ეშმაკების წინაშე ხანგრძლივი ლოცვით, რომელიც აუცილებლად მოგვიტანს გამარჯვებას.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (27 გვ. 144)

სატანის ძალა, რომელიც შეუმჩნევლად მკვიდრობს ადამიანში მისი გაფანტული ცხოვრებისას, როდესაც მლოცველის მიერ მოხმობილ უფლის სახელს გაიგონებს, აწრიალდება. ის ადამიანში ყველა ვნებას ალაღვენს, მათი საშუალებით ადამიანს საშინლად შეარყევს, სხეულში სხვადასხვაგვარ, უცნაურ სნეულებებს აღმოაცენებს. ამ აზრით თქვა ღირსმა იოანე წინასწარმეტყველმა: „ჩვენ უძღურებს მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ იესოს სახელს მივმართოთ, რადგან ვნებები, როგორც ნათქვამია, დემონები არიან და ამ სახელის მოხმობით განიდევნებიან“. ეს ნიშნავს: ვნებები და დემონები ერთობლივად მოქმედებენ, დემონები ვნებების საშუალებით მოქმედებენ... წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „უფალ იესო ქრისტეს სახელის ხსენება მტერს საბრძოლველად ალაგზნებს. რამეთუ „იესოს ლოცვისთვის“ მაიძულებელ

სულს ამ ლოცვით ყველაფრის მოპოვება შეუძლია... პირველ რიგში, მას შეუძლია გველის ამოძრავება და ამ ლოცვას მისი დამორჩილებაც შეუძლია. ამ ლოცვას ჩვენში მცხოვრები ცოდვის მხილება შეუძლია და ამ ლოცვას მისი მოსპობაც შეუძლია... უფალ იესო ქრისტეს სახელი ჩავა გულის სიდრმეში, დაიმორჩილებს გულის საძოვრების მფლობელ გველს, ხოლო სულს გადაარჩენს და განაცხოველებს. განუწყვეტლივ იმყოფებოდე უფალ იესოს სახელში, დაე, შთანთქას გულმა უფალი და უფალმა გული, დაე, ეს ორნი ერთად იყვნენ. თუმცადა ეს საქმე ერთსა და ორ დღეში არ აღესრულება, არამედ მრავალ წელსა და დიდ დროს საჭიროებს, დიდი დრო და ღვაწლია საჭირო იმისთვის, რომ მტერი განიდევნოს და ქრისტე დაემკვიდროს“.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 246)

„იესოს ლოცვა“ თანდათანობით მოქმედებს: პირველად იგი მხოლოდ გონებაზე მოქმედებს, სიმშვიდესა და ყურადღებას ანიჭებს მას, შემდეგ გულში შეაღწევს, გამოიყვანს სასიკვდილო ძილისაგან და მის გაცოცხლებას ღმობიერების გრძნობითა და ცრემლებით გამოაჩენს. ეს ლოცვა უფრო ჩაღრმავდება და ნელ-ნელა სულისა და სხეულის ყველა ნაწილში ამოქმედდება, ყოველი ადგილიდან დაიწყებს ცოდვის გამოდევნას, ეშმაკის მბრძანებლობის, ზემოქმედებისა და გესლის განადგურებას.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 249)


განუწყვეტელ ლოცვაში გაწაფვისთვის იღვწით. კეთილი! მაგრამ დაუკვირდით, მოკლე ლოცვის მხოლოდ ერთ გამეორებით არ შემოიფარგლოთ. ეს იქნება ლოცვის მექანიკური გამეორება ლოცვის გარეშე. უნდა მიეჩვიოთ, რომ (ღმრთის) შიშსა და მოწიწებაში, შემუსვრილებასა და სიმდაბლეში იპყრათ თავი. ისე

იყავით, თითქოს უფლის წინაშე სამსჯავროზე იმყოფებოდეთ და თქვენს შესახებ უკანასკნელ განჩინებას ელოდეთ.

წმ. თეოფანე დაყუდებული (28 გვ. 376)

ვნებებთან ცნობილი ბრძოლა გონებითი ბრძოლაა. იგი ქმედითია, რადგან ვნებებს არ აძლევს საკვების მიღების საშუალებას და ამით აუძღურებს მათ. მაგრამ არსებობს მათთან საქმით ბრძოლაც – განზრახ კეთება ვნებათა საპირისპირო საქმეებისა. მაგალითად, – სიძუნწის დასაძლევად საჭიროა დავიწყოთ ხელგაშლილი გაცემა; ამპარტავნების საპირისპიროდ უნდა ავირჩიოთ დამამდაბლებელი, დამამცირებელი საქმიანობა; გართობა-მხიარულების ვნების წინააღმდეგ – შინიდან გაუსვლელიობა და ა. შ. ისიც მართალია, რომ მოქმედების მხოლოდ ამგვარი სახე პირდაპირ ვერ მიგვიყვანს მიზანთან, რადგან გარედან შევიწროებული ვნება შეიძლება შიგნით შეიჭრას, ან თვითონ, ან სხვას დაუთმოს ადგილი. მაგრამ, როდესაც ამ საქმით ბრძოლას შინაგანი გონებითი ბრძოლაც უერთდება, მაშინ ისინი სწრაფად დაამარცხებენ ნებისმიერ ვნებას, რომლის წინააღმდეგაც იქნებიან მიმართულნი.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 148)



თავი 9 ხიბლისათვის

„ნუ ყოველი სული გრნამნ“.
1 იოან. 4,1

ხიბლი ადამიანური ბუნების სიცრუით დაზიანებაა. ყოველი ადამიანი ხიბლის მდგომარეობაშია, რაც ჩვენი პირველმშობლების დაცემით არის გამოწვეული. ჩვენ ყველანი ხიბლში ვართ. ამის ცოდნა უდიდესი დაცვაა ხიბლისაგან. უდიდესი ხიბლია — თავი ხიბლში მყოფად არ მიგაჩნდეს. ჩვენ ყველანი მოტყუებულნი ვართ, ყველანი ცთუნებულნი ვართ, ყველანი სიცრუეში ვიმყოფებით, ყველას გვესაჭიროება ჭეშმარიტების მიერ გათავისუფლება. ჭეშმარიტება — უფალი ჩვენი იესო ქრისტეა. ამ ჭეშმარიტებას მისადმი რწმენით შევეთვისოთ, ლოცვით შევკვლით და ამ ჭეშმარიტებას და იგი გამოგვიყვანს ღმერთის საცთურების უფსკრულიდან.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (29 გვ. 230)

როგორც გონებით არასწორ მოქმედებას შევყავართ ცთუნებასა და ხიბლში, ზუსტად იგივე ხდება გულით არასწორი მოქმედების დროსაც. უგუნური ამპარტავნებით არის აღვსილი სულიერი ხილვების ნახვის სურვილი და ამისკენ სწრაფვა გონებით, რომელიც არ არის განწმედილი ვნებებისაგან, არ არის განახლებული და სული წმიდის მიერ აღდგენილი. ასეთივე ამპარტავნებითა და განუსჯელობითაა აღვსილი გულის სურვილი და სწრაფვა — დატკბეს წმინდა, სულიერი, ღმრთაებრივი გრძობებით, როცა იგი ჯერ სრულიადაც არ არის მზად ასეთი ტკობისათვის. როგორც განუწმედელი გონება, რომელსაც ღმრთაებრივი ხილვების ნახვა სურს, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს,

ხილვებს თვითონ იგონებს და მათით იტყუებს თავს, ასევე გულიც – როცა ღმრთაებრივი სიტკბობებისა და სხვა ღმრთაებრივი გრძნობების განცდას ცდილობს და ვერ პოულობს მათ საკუთარ თავში, მაშინ თვითონ იგონებს მათ, მათით იცთუნებს და ილუპავს თავს, რამეთუ შედის სიცრუის არეში, ეშმაკებთან ერთობაში, ემორჩილება მათ ზემოქმედებას და მათ ძალაუფლებას ემონება.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (29 გვ. 245)

ლოცვაში წარმატების მიღწევისა და ხიბლისაგან თავის დაღწევისათვის აუცილებელია თავგანწირვა, რომელიც ლოცვისას მხოლოდ ყურადღების მოკრებას გვასწავლის. მაშინ ლოცვითი ღვაწლი გაიოლდება და შემსუბუქდება, შემსუბუქებიან განსაცდელნიც, რომელნიც ყოველთვის თან სდევნენ მოღვაწეობას. თუკი ვინმე ნაადრევად ცდილობს საკუთარ თავში მაღლის მოქმედების გამომჟღავნებას, ასეთებზე, – როგორც ღირსი ნილოს სორელი ამბობს სხვა წმინდა მამებთან თანხმობით, – დაშვებული იქნება მძიმე, მის ძალებს აღმატებული ეშმაკისეული განსაცდელები. ასეთ მისწრაფებას საფუძვლად გაუცნობიერებელი ქედმაღლობა და ზესთამჩენობა უღევს, რომლებიც მას გულმოღვივნებად ეჩვენება.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (28 გვ. 342)

გულში სული წმიდის მოქმედების გამოცხადებამდე სისხლის ნაზი მოქმედება ან სრულიად აუხსნელი რჩება, ან ნაკლებად გასაგები, და შესაძლოა, მაღლის მოქმედებადაც კი იქნეს მიჩნეული, თუკი შესაფერისი სიფრთხილე არ იქნა გამოჩენილი. ეს სიფრთხილე იმაში გამოიხატება, რომ სული წმიდის მიერ განწმენდისა და განახლების დრომდე არცერთი გულისმიერი გრძნობა მართებულად არ იქნეს მიჩნეული, გარდა სინანულის გრძნობი-

სა, ცოდვების გამო მწუხარებისა, რომელიც შეწყალების იმედითაა გაჯერებული. დაცემული ბუნებისაგან გულის მხოლოდ ერთადერთი მსხვერპლი შეიწირება ღმერთის მიერ, მხოლოდ ერთი გრძნობა, ერთი მდგომარეობა: „მსხვერპლი ღმერთისაჲ არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“ (ფსალმ. 50,19).

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 213-214)

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენში მზვაობრობის მოქმედებას, რომლის მოქმედება სისხლზე ძალიან ძნელად შესამჩნევი და გასაგებია. მზვაობრობა თითქმის ყოველთვის შენიღბულ სიძვის ვნებასთან ერთად მოქმედებს და ადამიანს ყველაზე დახვეწილ ცოდვისმიერ სიამოვნებას ანიჭებს. ამ სიამოვნების შხამი ისეთი ნაზია, რომ მზვაობრობითა და სიძვის ვნებით მონიჭებულ ტკობას მრავალნი სინდისის ნუგეშისცემად, ღმრთაებრივი მადლის მოქმედებადაც კი მიიჩნევენ. ამ ტკობით ცთუნებული მოღვაწე თანდათანობით ხიბლის მდგომარეობაში ვარდება; მიიჩნევს რა ამ ყოფას მადლისმიერ მდგომარეობად, იგი თანდათანობით მთლიანად დაცემული ანგელოზის ძალაუფლების ქვეშ ექცევა.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 215)

თავმდაბალი მოღვაწე კმაყოფილია იმით, რომ ღირსი გახდა ღმერთის ხსენებისა. ამას იგი შემოქმედის დიდ მოწყალებად მიიჩნევს გლახაკი და უმწეო ქმნილებისთვის – ადამიანისთვის. ის თავს მადლის მიღების ღირსად არ თვლის, არ ეძიებს საკუთარ თავში მისი მოქმედების აღმოჩენას, რადგან იცის წმინდა მამათაგან, რომ ასეთი ძიების საწყისი მზვაობრობაშია, რომლისგანაც წარმოიშვება ხიბლი და დაცემა.

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (30 გვ. 200)

გონებითი ლოცვისას ხიბლში რომ არ ჩავარდე, — არ დაუშვა შენში არავითარი წარმოდგენა, არანაირი სახე ან ჩვენება.

წმ. ნილოს სორელი (27 გვ. 47)

თუკი ვინმე ზესთამჩენობაზე დამყარებული თავდაჯერებით მაღალი ლოცვითი მდგომარეობების მიღწევას ცდილობს, და მოუპოვებია არა ჭეშმარიტი, არამედ სატანური მოშურნეობა, ასეთს ეშმაკი იოლად გაახვევს საკუთარ ქსელში, როგორც თავის მსახურს.

წმ. გრიგოლ სინელი (29 გვ. 233)

მამათა წიგნები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ასწავლიან ჭეშმარიტ მორჩილებას, გონების სიფხიზლესა და დაყუდებას, ყურადღებასა და გონებით ლოცვას, ანუ იმგვარს, რომელიც გონებით გულში აღესრულება, მხოლოდ და მხოლოდ სამონაზვნო წესისთვისაა შესაფერისი და არა საზოგადოდ ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის. ღმერთშემოსილი მამები, გადმოსცემენ რა ამ ლოცვის შესახებ სწავლებას, ამტკიცებენ, რომ მისი საწყისი და შეურყეველი საფუძველი მორჩილებაა, რომლისგანაც ჭეშმარიტი სიმდაბლე იშვება, ხოლო სიმდაბლე იცავს ლოცვაში მოღვაწეს ყოველგვარი ხიბლისაგან, რომელიც თვითნებობას მოსდევს. ჭეშმარიტი მონაზვნური მორჩილება და საკუთარი ნებისა და განსჯის სრული მოკვეთა შეუძლებელია ერისკაცთათვის... ისეთი საშიშია ეს საქმე, — ლოცვა არა უბრალოდ გონებისმიერი, არამედ გონებით გულში ხელოვნებით მოქმედი, — რომ ჭეშმარიტი მორჩილებიც კი (რომელთაც არა მხოლოდ მოიკვეთეს, არამედ სრულიად მოაკვდინეს საკუთარი ნება და განსჯა თავიანთი მამების, ამ ლოცვის აღსრულების ჭეშმარიტი და უგამოცდილესი მასწავლებლების წინაშე), მუდამ შიშსა და ძრწოლაში არიან, რომ ამ ლოცვისას რაიმე ხიბლში არ ჩავარ-

დნენ, თუშცა ღმერთი გამუდმებით მფარველობს მათ, ჭეშმარი-
ტი სიძღაბლის გამო, რომელიც მათ ღმრთის მაღლით მოიპოვეს,
ჭეშმარიტი მორჩილების საშუალებით. მით უმეტეს ერისკაცებს,
მორჩილების გარეშე მცხოვრებთ, თუკი ისინი მხოლოდ ამგვა-
რი წიგნების კითხვით დაიწყებენ ასეთ ლოცვას, ელოდებათ რა-
მენაირ ხიბლში ჩავარდნის საშიშროება, რაც ამ ლოცვის ღვაწ-
ლის თვითნებობით დამწყებთ ემუქრება. ამ ლოცვას წმინდანებმა
ხელოვნებათა ხელოვნება უწოდეს; ვინ შეძლებს მის შესწავლას
ხელოვანის, ანუ გამოცდილი მასწავლებლის გარეშე?

წმ. პაისი ველიჩკოვსკი (28 გვ. 412)

ლოცვის ის სახე, რომელიც აღწერილია „ფილოკალიაში“
(„ღობროტოლები“), უნდა აღესრულებოდეს ამ საქმის მცოდ-
ნე მოძღვართან ერთად, მის თვალწინ. თუკი ვინმე მართო შეუდ-
გება ამ საქმეს, მხოლოდ აღწერილობის მიხედვით, ის ხიბლს ვერ
ასცდება. აქ აღწერილია საქმის მხოლოდ გარეგნული მხარე, ხო-
ლო ის, რაც ამას ემატება მოძღვრის მიერ შინაგანი აგებულე-
ბის შესავსებად, არ ჩანს. ხელმძღვანელის გარეშე ამგვარი მოლ-
ვაწეობის აღმასრულებელი ბუნებრივია, მხოლოდ გარეგნული
მოღვაწეობის ამარა რჩება, მკაცრად ასრულებს იმას, რაც ეხე-
ბა სხეულის მდგომარეობას, სუნთქვას და გულში ხედვას. ვინა-
იდან ასეთ ხერხებს ბუნებრივად შეუძლიათ მიიყვანონ კაცი გარ-
კვეული ღონით ყურადღების შემოკრებამდე და სითბომდე, რად-
გან არ ჰყავს სანდო განმსჯელი, რომელიც ეტყოდა თუ რა ღირ-
სებების მქონეა მასში მიმდინარე ცვლილებები, იმ აზრამდე მი-
დის, რომ ეს სწორედ ისაა, რასაც ეძებს, ანუ მაღლის მიერ იქნა
გაცისკროვნებული, როცა ეს ასე არაა, და ფიქრობს, რომ მაღ-
ლითაა მოსილი, როდესაც მაღლის გარეშეა. სწორედ ესაა ხიბ-
ლი, რომელიც შემდგომ მის მომავალ ცხოვრებას გაამრუდებს.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 413)

„იესოს ლოცვისაგან“ მაშინ შეიძლება შეიშალოს კაცი, თუ-
კი ამ ლოცვის აღსრულების პერიოდში არ მიატოვებს ცოდვებსა
და ცოდვილ ჩვეულებებს, რომელთაც ჰკმობს სინდისი.

წმ. თეოფანე დაყუდებული (27 გვ. 189)

ნუ მოიხიბლები შინაგანი სიტკბოებებით; ჯვრის გარეშე ისინი
არამყარი და სახიფათოა. ყოველი ადამიანი შენზე უმჯობესად
მიიჩნე. ამ გულისსიტყვის გარეშე სასწაულიც რომ აღასრულოს
ვინმემ, მაინც შორს იქნება ღმრთისაგან.


მონაზონ მაგდალინას ცხოვრება (27 გვ. 191)

ერთი ვინმე, სახელად მალპასი, წარმოშობით ედესიდან, ერთ
დროს ეკვტიტების მწვალებლობის გამომგონებელი გახდა. ის
ამაღლებულ ცხოვრებას ეწეოდა, მძიმე შრომასა და მწუხარე-
ბებს იტანდა. ამბობენ, რომ იგი ნეტარი იულიანეს (საბად წო-
დებულის) მოწაფე იყო, მცირე ხნით მასთან ერთად სინასა და
ეკვიპტეში იმოგზაურა. მალპასმა იმ დროის დიდი მამები იხი-
ლა, ნახა ნეტარი ანტონი (დიდი), საიდუმლო სიტყვები ესმა მის-
გან სულის სიწმინდესა და ცხოვებაზე, ზედმიწევნითი მსჯელო-
ბა მოისმინა ვნებების შესახებ. ამ საუბარში ანტონი დიდი ხსნი-
და, რომ გონება, განწმედის შემდეგ, სულიერ საიდუმლოებებს
ჭვრეტს და სულს ძალუძს მადლის მიერ უვნებელობას მიაღწი-
ოს, მას შემდეგ, რაც მცნებების აღსრულებით ძველი ვნებებისა-
გან გათავისუფლდება და თავისი პირვანდელი ბუნების სიჯან-
საღეს მოიპოვებს. და როცა მალპასმა თავისი სიჭაბუკის გაფურ-
ჩქენის ჟამს ეს სიტყვები მოისმინა, ცეცხლივით აღეგზნა და თა-
ვის ქალაქში დაბრუნდა. და რადგან მასში დიდებისმოყვარეობის
ვნება აენტო, აირჩია განდევნილის ნაგებობა და შრომას, უწყა-
ლო გაჭირვებებსა და განუწყვეტელ ლოცვას მისცა თავი.

როდესაც მასში დიდებისმოყვარეობის ვნება უზომოდ აგიზგიზდა, ანუ იმ მაღალი ნიჭების მიღების იმედი მიეცა, რომელთა შესახებაც სმენოდა, ვერ გულისხმავო ეშმაკის ხრიკები, ტყუილები და გაქნილობა, რომლითაც ის ძლიერებს იტაცებს დასაღუპად. მაღპასს არ ჰქონდა შესწავლილი ჭეშმარიტების მტრების წინააღდგომის ხელოვნება, იმედი შრომაზე, გაჭირვებაზე, უპოვარებაზე, მოღვაწეობასა და მოთმინებაზე დაამყარა, როცა მოპოვებული არ ჰქონდა ბოროტთან საბრძოლველი უძველესი იარაღები — თავის დამცირება, სიმდაბლე, გულის შემუსვრილება; მან წმიდა წერილიც დაივიწყა, რომელიც ამბობს: როდესაც საქმეს აღასრულებთ, მცნებებს დაიცავთ, გაჭირვებას გადაიტანთ, თქვენი თავი უმაქნის მონებად მიიჩნიეთო. ამის საპირისპიროდ, მას თავის ღვაწლზე დაფუძნებული თავდაჯერება განახურებდა, იმ მაღალი ნიჭის მიღების სურვილით იწვოდა, რომლის შესახებაც გაგონილი ჰქონდა. და აი, დიდი ხნის შემდეგ, როცა ეშმაკმა შენიშნა, რომ მას სიმდაბლე არ გააჩნდა და მხოლოდ ხილვები სწყუროდა იმ საიდუმლოთა განსაცდელად, რომელთა შესახებაც სმენოდა, გამოეცხადა ბრწყინვალე ნათელში და უთხრა: მე ვარ ნუგეშინისმცემელი, მამისგან შენთან გამოგზავნილი, რათა იმ ხილვების ღირსი გაგხადო, რომლებსაც შენი საქმეების საზღაურად ესწრაფვი, უვნებელობა მოგანიჭო და სამომავლოდ საქმეთაგან განგისვენო. ამის სანაცვლოდ ვერაგმა მტერმა თავყანისცემა მოითხოვა. გასულელებულმა მაღპასმა ვერ იგრძნო ბოროტის ბრძოლა, დაუყოვნებლივ, სიხარულით მიიღო იგი, თაყვანისცა და იმწამსვე მისი ძალაუფლების ქვეშ მოექცა. ხოლო მტერმა ღმრთაებრივი ხილვის ნაცვლად საეშმაკო ოცნებებით აავსო იგი, ჭეშმარიტებისთვის შრომა მიატოვებინა, აღაზავა და უვნებელობის ამაო იმედით აცთუნა, უთხრა: ახლა შენ აღარ გჭირდება არც საქმეები, არც სხეულის ტანჯვა, არც ვნებებთან და გულისთქმებთან ბრძოლა; შემდეგ ეკატიტების ერესიარქი გა-

ხადა იგი. როცა ეს მწვანელებლები გამრავლდნენ და მათი საძაგე-
ლი და მცდარი სწავლება გამოაშკარავდა, მაშინდელმა ეპისკო-
პოსმა გააძევა ისინი.

წმ. ისააკ ასური (17 გვ. 334)



თავი 10 სიყვარულისათვის

*„ამით უნან ყოველთა, ვითარმედ
ჩემნი მონათენი ხართ, ყუყუთუ იყუ-
არებოდით ურთიერთას“.*

იოან. 13, 35

მამა აგათონზე ამბობდნენ: ერთხელ ქალაქში მიდიოდა ნახელავის გასაყიდად. გზაზე კეთროვანი ნახა, ძირს დაგდებული. ჰკითხა სნეულმა: მამაო, სად მიდიხარ? უპასუხა მამა აგათონმა: ქალაქში მივდივარ, ნახელავის გასაყიდად. უთხრა კეთროვანმა: სიყვარული გამოიჩინე და მეც იქ მიმიყვანე. ბერმა მოიკიდა იგი და ქალაქში ჩაიყვანა. სნეულმა უთხრა, სადაც ჭურჭელს გაყიდი, მეც იქ დამდეო. შეუსრულა ბერმა თხოვნა. როდესაც იგი ჭურჭელს გაყიდა, სნეული ეკითხებოდა: რამდენისა გაყიდე? ბერი მიუგებდა: ამდენის. ნამცხვარი მიყიდეო, ეტყოდა კეთროვანი. და ისევ, სხვა ჭურჭელს რომ გაყიდა, ჰკითხავდა: რამდენისაა? ეტყოდა: ამდენისა. კვლავ ეტყოდა: მამაო, მამაო, მიყიდე ნამცხვარი. როდესაც ბერმა მთელი ჭურჭელი გაყიდა და წასვლა დააპირა, უძღურმა ჰკითხა: მიდიხარ? დიახ, მივდივარ — მიუგო ბერმა. უთხრა სნეულმა: გამოიჩინე სიყვარული და ისევ იმ ადგილას მიმიყვანე, სადაც მიპოვე. ბერმა ეს თხოვნაც შეუსრულა. მაშინ კეთროვანმა უთხრა: კურთხეულ ხარ, აგათონ, უფლისა მიერ, ზეცაშიაც და ქვეყანაზეც. როდესაც მამა აგათონმა უკან მოიხედა, ვერავინ იხილა, რამეთუ უფლის ანგელოზი იყო მოსული მის გამოსაცდელად.

პატერიკი (1 გვ. 25)

თქვა ბერმა: თუკი შენ ძმას ცოდვაში ჩავარდნილს იხილავ და ეშმაკი მისი განკითხვის სურვილს ჩაგიგდებს გულში, გაფრთხილდი და ნუ შეიწყნარებ, არამედ მიუგე: წყეულ იყავ შენ, ეშმაკო, რამეთუ ეგ საქმე ჩემი ძმისა არ არის, შენია და შენზე იყოს. ჯვრით აღიბეჭდე სხეული და დაიცავი გონება, რომ შენი ძმა არ განიკითხო, თორემ სული წმიდა განგეშორება.

პატერიკი (2 გვ. 109)

თქვა მამა პიმენმა: უკეთურება უკეთურებას ვერ აღმოფხვრის. თუკი ვინმე ბოროტს გიყოფს, შენ კეთილი უყავ, რათა ამ სიკეთით მოსპო ის ბოროტება.

პატერიკი (1 გვ. 192)

იყო ერთი ძმა, მონაზვნურ ღვაწლში ცოტა ზარმაცი. იგი ერთი კეთილი ბერის მახლობლად ცხოვრობდა. ამ ზარმაცი ბერის აღსრულების ჟამს მის გარშემო მამები და ძმები იხსდნენ და ხედავდნენ, რომ მას ამ სოფლიდან გასვლა უხაროდა. კეთილ ბერს სურდა იქ მყოფი მამების დამოდღრა და ჰკითხა მას: ვიცი, ძმაო, მონაზვნობაში მოსწრაფე არ იყავი და ახლა, ამ საშინელ ჟამს, როგორ ხარ ასე გახარებული? მიუგო ძმამ: სიმართლეს ამბობ, მამაო, ყველამ იცით, რომ ზარმაცი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მონაზონი გავხდი, კაცთაგან არავინ განმიკითხავს და თუკი ვინმე რაიმეს მავნებდა, იმწამსვე შევუნდობდი წმინდა გულით; და აწ მაქვს სიტყვა უფლისა მიმართ — შენ სთქვი, მეუფეო: „ნუ განიკითხავთ, რაფთა არა განიკითხნეთ; მიუტევეთ და მოგეტყვნენ თქვენ“ (ლუკ. 6, 37). მაშინ უთხრა მას ბერმა: მშვიდობა შენდა, შვილო, რამეთუ ცხონდი მწუხარებათა გარეშე და აწ მარადიულ ცხოვრებაში განსასვენებლად მიდიხარ.

პატერიკი (2 გვ. 30)

თქვა მამა კომასემ: ერთმა ბერმა მომითხრო: ორი ეპისკოპოსი მკვიდრობდა ერთმანეთის მახლობლად და უთანხმოება იყო მათ შორის. ერთი მათგანი მდიდარი და ძალაუფლების მქონე იყო, მეორე კი — მეტად თავმდაბალი. პირველი ეპისკოპოსი მეორეს ემტერებოდა, ხოლო მეორეს ესმოდა ამის შესახებ და თავის მღვდლებს ეუბნებოდა: ნუ ზრუნავთ, ჩვენ ვძლევეთ მას ქრისტეს სახელით. მღვდლები ეკითხებოდნენ: მეუფეო, ვის ძალუძს მისი წინააღდგომა? თავმდაბალი ეპისკოპოსი უპასუხებდა: მოითმინეთ და ღმრთის წყალობას იხილავთ. ამის შემდეგ მეორე ეპისკოპოსმა შეიტყო, რომ მის მტერს შეკრება ჰქონდა წმინდა მოწამეების დღესასწაულზე. წაიყვანა თავისი მღვდლები და უთხრა: გამომყევით, რასაც მე ვიზამ, თქვენც იგივე მოიმოქმედეთ და ვძლევეთ მას. მღვდლები კი ამბობდნენ: ნეტავ რას აპირებს? და როდესაც წავიდა ეს ეპისკოპოსი სამღვდელოებასთან ერთად ლოცვითა და გალობით, მთელი ქალაქი გაყვა უკან. მივიდა, ფეხებში ჩაუვარდა მდიდარ ეპისკოპოსს თავის სამღვდელოებასთან ერთად და უთხრა: შეგვინდე, ბატონო ჩვენო, შენი მონები ვართ. შეძრწუნდა ის ეპისკოპოსი და შეინანა, ღმერთმა მოაქცია მისი გული, თვითონ მოეხვია თავმდაბალ ეპისკოპოსს და უთხრა: შენა ხარ ჩემი ბატონი. ამის შემდეგ მათ შორის დიდმა სიყვარულმა დაისადგურა. უთხრა თავმდაბალმა ეპისკოპოსმა თავის მღვდლებს: ხომ გეუბნებოდით, რომ ჩვენ ვძლებდით მას ქრისტეს მაღლით. და თქვენც, თუკი ოდესმე მტერი გეყოლებათ, ასევე მოიქეცით და ცხონდით.

პატერიკი (1 გვ. 112)

კითხვა: თუკი ვხედავ, რომ ვინმე უწესოდ იქცევა, შემიძლია თუ არა განვსაჯო ეს უწესობა? როგორ გავექცე აქედან მომდინარე მოყვასის განკითხვას?

პასუხი: ის საქმე, რომელიც უწესოა, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვალიართ უწესოდ; სხვანაირად როგორ ავიცდნეთ მისგან მომავალ ზიანს? ხომ ამბობს უფალი: „ეკრძალენით ცრუწინაწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“ (მათ. 7;15,16). ის, ვინც ამგვარ საქმეს ჩადის, არ უნდა განვიკითხოთ. ჯერ ერთი წმიდა წერილის თანახმად: „ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ“ (ლუკ. 6,37); მეორეც იმიტომ, რომ ჩვენ საკუთარ თავს უნდა ვალიარებდეთ ყველაზე ცოდვილად; კიდევ იმიტომ, რომ ძმის ცოდვა ჩვენ ცოდვად უნდა მიგვჩანდეს და მხოლოდ მისი მაცთუნებელი ეშმაკი გვძულდეს. როდესაც ვინმე სხვას ორმოში ჩააგდებს, ჩვენ ჩავარდნილს კი არ ვკიცხავთ, არამედ იმას, ვინც უბიძგა. ზუსტად ასევეა აქაც. ისიც ხდება, რომ კაცი საქმეს აკეთებს, რომელიც მხილველებს უწესოდ ეჩვენებათ, მაგრამ საქმე კეთილი განზრახვით აღესრულება, როგორც ეს ცნობილ წმინდა ბერს შეემთხვა: იგი ცხენების სარბიელის ახლოს მიდიოდა და მასში გარკვეული განზრახვით შევიდა. როდესაც ნახა, თუ როგორ ცდილობდა იქ თითოეული სხვის დასწრებასა და დამარცხებას, უთხრა თავს: ხედავ როგორი მონღომებით იღვწიან ეშმაკის მსახურნი? ჩვენ, ცათა სასუფეველის მემკვიდრეებმა, უფრო მეტად არ უნდა ვიღვაწოთ? ბერი ამ სანახაობიდან უწინდელზე მეტად გულმოდგინე წავიდა სულიერი მოღვაწეობისათვის. ჩვენ არც ის ვიცით, იქნებ ცოდვაში ჩავარდნილი ძმა სინანულის მეშვეობით, თავმდაბლობითა და აღსარებით ღმრთის სათნო გახდეს. ფარისეველი მზვაობრობის გამო წავიდა დასჯილი. ეს რომ ვიცით, მეზვერის სიმდაბლეს მივბაძოთ და საკუთარი თავი განვიკითხოთ, რათა განვმართლდეთ; და ფარისევლის განდიდებას გავექცეთ, რომ არ დავისაჯოთ.

წმ. იოანე წინასწარმეტყველი (13 გვ. 294)

როდესაც საჭიროა კეთილისყოფა, დაე, ყოველი კაცი შენი მოყვასი იყოს, ხოლო როცა საქმე ჭეშმარიტებას შეეხება, მაშინ გაარჩიე შენიანი უცხოოსაგან. თუკი შენი ძმა, ღვიძლი დედითა და მამით, არ არის შენთან გაერთიანებული ჭეშმარიტების კანონით, მაშინ იგი უფრო უცხო უნდა იყოს შენთვის, ვიდრე სკვითი; და პირიქით, თუ სკვითსა და სავრომატს უპყრიათ მართალი დოგმატები და სწამთ იგივე, რაც შენ გწამს, მაშინ ისინი უფრო ახლოს უნდა იყვნენ შენთან, ვიდრე ღვიძლი ძმა. ბარბაროსსა და არაბარბაროსს ჩვენ განვარჩევთ არა ენითა და წარმომავლობით, არამედ აზრებისა და სულის მიხედვით. ადამიანი უპირატესად ის არის, ვინც მართალ სწავლებას იმარხავს სარწმუნოებაზე და კეთილმსახურ ცხოვრებას ეწევა.

წმ. იოანე ოქროპირი (6 გვ. 516)

იტყვი: ნუთუ არ უნდა გვძულდეს თვით მტრებიცა და წარმართებიც? უნდა გვძულდეს არა ისინი, არამედ მათი სწავლება, არა ადამიანი, არამედ მანკიერი ცხოვრება და გამრუდებული ნება. ადამიანი ღმრთის ქმნილებაა, ხოლო ცთომილება — ეშმაკისა. ამიტომ ნუ შეურევ ღმრთისას ეშმაკისაში. იუდეველნი ჰგმობდნენ, სდევნიდნენ, შეურაცხყოფდნენ ქრისტეს და ბევრ რამეს ამბობდნენ მასზე, მაგრამ განა სძულდა ისინი ჰავლეს, რომელსაც ქრისტე ყველაზე მეტად უყვარდა? არა, პირიქით, მას უყვარდა ისინი და ყველაფერს აკეთებდა მათთვის. ხან ამბობდა: „ნებაა გულისა ჩემისა და ვედრებაა ჩემი ღმრთისა მიმართ ისრაელისათვის არს საცხოვრებელად“ (რომ. 10,1); ხან კი: „ვილოცევედ მე შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათვის და ნათესავთა ჩემთა ხორციელად“ (რომ. 9,3). ასევე ეზეკიელი, მათ დალუპვას რომ ხედავდა, ამბობდა: „ვაჲ მე, აღონაჲ უფალო, აღჰხოც შენ ნეშტთა ისრაელისათა?“ (ეზეკ. 9,8). ასევე მოსეც ამბობდა: „მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ,

უკუეთე არა, აღმზოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე“ (გამოსლ. 32, 31-32)... თუკი ჩვენ უღმერთოებსა და უსჯულეებს მოვიძულებთ, მაშინ განვაგრძობთ და ცოდვილებსაც მოვიძულებთ, ხოლო ამ გზით მავალნი თანდათანობით გამოვეყოფით ძმათა დიდ ნაწილს, უფრო სწორედ კი ყველას, რამეთუ არავინაა უცოდველი. თუკი ღმრთის მტრების მოძულებაა საჭირო, მაშინ უნდა მოვიძულოთ არა მხოლოდ უღმერთონი, არამედ ცოდვილნიც; ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მხეცებზე უარესნი ვიქნებით, ყველასაგან განვეშორებით და სიამაყით აღვზვავდებით ფარისევლის მსგავსად. მაგრამ პავლემ სხვაგვარად გვამცნო: „სწავლიდით უწესოთა მათ, ნუგეშინის-სცემდით სულმოკლეთა, თავს-იდებდით უძლურთა მათ, სულგრძელ იყვენით ყოველთა მიმართ“ (1 თესალ. 5,14).

წმ. იოანე ოქროპირი (8 გვ. 336)

მე არ მსურს, რომ მწვალებლები იტანჯებოდნენ, არ მახარებს მათი უბედურება. ღმერთო, დამიფარე! მე მათი მოქცევა მახარებს. მორწმუნისათვის რა უნდა იყოს უფრო სასიამოვნო, ვიდრე ხილვა გაფანტული ღმრთის შვილების შეკრებისა. მე იმდენად არ დამიკარგავს გონება, რომ ვურჩიო, უმოწყალობა კაცთმოყვარეობაზე მეტად შეაფასონ. პირიქით, მე ვურჩევ ყურადღებითა და მოთმინებით მიაგონ სიკეთე ყოველ ადამიანს და ყველას დაეხმარონ საჭიროების მიხედვით. ამასთან მე ვამბობ: დაუშვებელია დაეხმარო მწვალებლებს მათ უგუნურ სარწმუნოებაში განსამტკიცებლად; აქ, პირიქით, მტკიცე და შეურიგებელი უნდა იყო. მე კაცთმოძულეობას დავარქმევდი და არა სიყვარულს, როცა მწვალებლებს ვინმე მათეულ ცთომილებაში განამტკიცებს, რაც მათი უფრო მეტად დაცემისა და გარდაუვალი დაღუპვის მიზეზი გახდება.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი (38 გვ. 159)

წმიდა წერილი ამბობს: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (მათ. 22,39). ნუ იტყვი: ეს სათნოება დიდია და არ ძალმიძს მისი მოხვეჭა. როგორ შემიძლია შევიყვარო მოყუასი საკუთარი თავით? მის გაჭირვებებზე როგორ ვიზრუნო ისე, როგორც საკუთარზე, მით უმეტეს მის გულში დაფარულზე, რომელიც არავინ უწყის? ნუ გაგიტაცებს ამგვარი ფიქრები, არამედ ღმრთის სასოებით შეუდექი ამ სათნოების აღსრულებას, უჩვენე უფალს სურვილი და მცდელობა და ღმრთის შეწევნას მიიღებ, რომელიც დაგეხმარება სათნოების აღსრულებაში. წარმოიდგინე ორი კიბე: ერთს ზეცაში აყავხარ, ხოლო მეორეს ჯოჯოხეთში ჩაყავხარ, შენ კი ამ კიბეებს შორის მიწაზე დგახარ. ნუ იტყვი: როგორ ავფრინდები მიწიდან და მივწვდები იმ კიბის თავს? ეს შეუძლებელია და ღმერთი ამას არც ითხოვს შენგან. შენ მხოლოდ თავი დაიცავი, რომ ქვემოთ არ ჩახვიდე. მოყვასს ბოროტებას ნუ გაუკეთებ, ცუდს ნურაფერს ეტყვი, ცილს ნუ დასწამებ, შეურაცხყოფას ნუ მიაყენებ. ამგვარად, ნელ-ნელა მას სიკეთესაც გაუკეთებ — სიტყვით ანუგეშებ, თანაუგძნობ, შეეწევი იმით, რასაც საჭიროებს. ასე ახვალ ერთი საფეხურიდან მეორეზე და ღმრთის შეწევნით კიბის თავსაც მიაღწევ. მოყვასის შეწევნაში თანდათანობით იქამდეც მიხვალ, რომ სიკეთესა და წარმატებას მისთვის ისევე მოინდომებ, როგორც საკუთარი თავისთვის. სწორედ ეს არის „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

წმ. აბბა დოროთე (14 გვ. 448)

თუკი შენ არ პატიობ ყველას, ვინც კი შეგცოდა, მაშ მარხვასა და ლოცვაში ნუ დაშვრები... ღმერთი არ მიგიღებს.

წმ. ეფრემ ასურის (24 გვ. 834)

ჩვენ უნდა შევუნდოთ იმათ, ვინც გვაწყენინა, რადგან ვიცით, რომ შენდობის მისაგებელი ყველა სხვა სათნობის მისაგებელს აღემატება.

წმ. მარკოზ მოღვაწე (24 გვ. 837)

თუნდ დაინახო, რომ კაცი ვინმე უწმინდურთაგან ყველაზე ბილწია და მზაკვართაგან ყველაზე მზაკვარია, მაინც ნუ განიკითხავ და მაშინ არც ღმერთი მიგატოვებს და ბოროტ სულთა ტყვეობაში არ მოხვდება.

წმ. ნილოს სინელი (11 გვ. 348)

ვინც სიყვარული მოიპოვა, მან საუნჯენი განაბნია; ხოლო ვინც ამბობს ორივე მაქვსო, იგი თავს იტყუებს.

წმ. იოანე სინელი (12 გვ. 348)

ვინც თავის გულში რომელიმე ადამიანის მიმართ რაიმე დანაშაულის გამო სიძულვილის თუნდაც კვალს ამჩნევს, იგი ღმრთის სიყვარულისაგან სრულიად უცხოა. ღმრთის სიყვარული ვერანაირად ვერ იტანს ადამიანის მიმართ სიძულვილს.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი (20 გვ. 165)

რა არის სხვების განკითხვის მიზეზი? ის, რომ საკუთარი თავის შეცნობას არ ვცდილობთ. ვინც თავის შეცნობით არის დაკავებული, მას სხვების ცოდვების შესამჩნევად აღარ სცალია. საკუთარი თავი განიკითხე და სხვების განკითხვას მოეშვი... ყოველი ადამიანი შენზე უკეთესად მიიჩნევს. ამ გულისსიტყვის გარეშე სასწაულიც რომ აღასრულოს ვინმემ, მაინც შორს იქნება ღმრთისაგან.

მონაზონ მაგდალინას ცხოვრება (27 გვ. 182)

მამათა სწავლებები თარგმნა ვლადიმერ წამალაშვილმა

ლიტერატურა

1. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები. წ. 2. ანბანურ-ანონიმური პატერიკი. თბილისი, 1974.
2. „ – “. წ. 1. თემატური პატერიკი.
3. Древний Патерик, изложенный по главам. Москва, 1899.
4. Творения иже во святых отца нашего Василия Великого, Архиепископа Кесарии Каппадокийския. ч. 3. Москва, 1846.
5. Творения иже во святых отца нашего Иоанна Златоуста, Архиепископа Константинопольского. Т. 1. СПб. 1898.
6. „ – “. т. 5.
7. „ – “. т. 7.
8. „ – “. т. 10.
9. Избранные места из творений святого Иоанна Златоустого. Москва, 1897.
10. Творения преподобного отца нашего Нила Синайского. Москва, 2000.
11. Преподобный Нил Синайский, Слово подвижническое, письма. Москва, 2000.
12. საქართველოს ეკლესიის კალენდარი – 1986 წ. ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემქის რომელ არს კიბე. თბილისი, 1986.
13. Преподобных отцев Варсануфия Великого и Иоанна. Руководство к духовной жизни, в ответах на вопрошения учеников. Москва, 1993.
14. საქართველოს ეკლესიის კალენდარი – 1991 წ. ღირსისა მამისა ჩვენისა აბბა დოროთესი სულთა სასარგებლონი სწავლანი და ეპისტოლენი. თბილისი, 1991.
15. Подвижники благочестия, процветавшие на Синайской горе и в ее окрестностях. Москва, 1994.

16. საქართველოს ეკლესიის კალენდარი – 1989 წ. წმინდა აბბა თალასე „სიყვარულის, მარხვის და სულიერი მოქალაქობის შესახებ“. თბილისი, 1989.

17. Иже во святых отца нашего Аввы Исаака Сириянина, слова подвижнические. Москва, 1854.

18. Преподобного Симеона Нового Богослава, слова. т. 1. Москва, 1892.

19. Отечник, избранные изречения святых иноков и повести из жизни их, собранные епископом Игнатием (Брянчаниновым). Москва, 1999.

20. Добротолюбие. т. 3. Свято-Троицкая Сергиева Лавра, 1992.

21. „ – “. т. 5.

22. Отечник №7. О духовном отце. Москва, 2000.

23. Настольная книга священнослужителя. т. 5. Москва, 1986.

24. „ – “. т. 6. Москва, 1988.

25. Невидимая брань. Блаженной памяти старца Никодима Святогорца. Москва, 1912.

26. Святитель Тихон Задонский. Наставления о личных обязанностях каждого христианина. Москва, 1999.

27. Умное делание. О Молитве Иисусовой. Издание Валаамского монастыря, 1936.

28. Что такое Молитва Иисусова по преданию Православной церкви. Издание Валаамского монастыря, 1938.

29. Сочинения Епископа Игнатия Брянчанинова. т. 1. Аскетические опыты. Джорданвилль, 1985.

30. „ – “. т. 2. СПб., 1905.

31. „ – “. т. 4. Аскетическая проповедь и письма к мирянам.

32. „ – “. т. 5. Приношение современному монашеству.

33. Епископ Игнатий Брянчанинов. Письма о подвижнической жизни. Москва, 1996.

34. Святитель Феофан Затворник. Болезнь и смерть. Выдержки из писем. Москва, 1998.
35. Святитель Феофан Затворник. О покаянии, причащении святых христовых таин и исправлении жизни.
36. Ответы о. Иоанна Кронштадтского на вопросы о духовной жизни. Калуга, 1999.
37. Архимандрит Иустин Попович. О первородном грехе. Пермь, 1999.
38. Архимандрит Иустин Попович. Православная Церковь и экуменизм. Москва, 1997.
39. Преподобный Иустин Попович. На Богочеловеческом пути. СПб., 1999.
40. Архимандрит Лазарь. Таинство исповеди. Фесалоники, Греция.
41. Преподобный Никодим Святогорец. О хранении чувств. Москва, 2000.



„ღიღუბანა შენდა ღმერთო ყოველივესთვის“.

ნმ. იოანე ოქროპირი

